VII

## კარი მეშვიდე

# ყარამანიანი

სპარსულიდამ ქართულად ნათარგმნი, სახლთხუცის და სარდლის თავ. დავით ორბელიანისაგან. „საამოთ სასმენელი“.

მესამე გამოცემა საკუთარის რედაქციით

დ. ლაზარევის-მიერ.

ტფილისი
ელექტრომბეჭდავი სტამბა „ნადეჟდა“
1914

# შინა-არსი.

აქ ამბავი ჰეყნუსურასი და უყრუსურასი, ოდეს ყარამანი დააბრმავეს.—აქავ ამბავი უმიან-ფერიისა ოდეს ყარამანი სიბრმავიდამ გაანთავისუფლა. ჰეყნუსურა მოკლა და იმის სისხლით თვალები აუხილა.—აქავ მცირე რამ საჰმანის ამბავი მოიხსენიეთ.—მცირე რამ ყარამანის ამბავი.—კვალად საჰმანის ამბავი.—აქავ ქურუკ-ყარამანის ამბავი.—აქავ სეილან-შაჰის ამბავი.—აქავ ქურუკ-ყარამანის წასვლა თავის პაპასთან და გზასა ზედა მრავალთა ჭირთა ნახვა.—აქავ ორთა ფერიათ ამბავი.—კვალად ქურუკ-ყარამანისა.—აქავ შაჰპალ-შაჰას ასულის გულიჯანის ამბავი.—კვალად შაჰპალი-ფერიის ამბავი.—აქავ შაჰპალ-შაჰას ამბავი.—ქურუკისა და გულიჯანის ამბავი.—ქურუკ-ყარამანისაგან თავის პაპის ნახვა ყარამანისა.—აქავ ყარამანისა ჭურუკისა და სხვა დევების წასვლა, ჰაზარექ-დასტისაკენ,—აქ მესამედ დაწყება ყარამანისა და ჰაზარექ-დასტის ომი და გარდაწყვეტა მათი.—კვალად ყარამანის ამბავი მოიხსენიეთ.—აქავ ჰაზარექ-დასტის ამბავი.—აქავ ქურუკ-ყარამანისა და კოჭლი დევის ამბავი.—აქ შაჰპალ-შაჰას ქვეყნის ამბავი მოიხსენიეთ.—აქავ ჯინი დევის წასვლა შაჰპალ-შაჰის ქვეყანასა და გულიჯანის ომი და მრავალი ფერიის დახოცა.—კვალად გულიჯანის ამბავი მოიხსენიეთ.—აქავ ჰაზარექ-დასტის ამბავი ოდეს თავისი ძლიერი გოფია დევი გაგზავნა ასი ათასის დევით ქაბულისაკენ.—აქავ ნარიმანისა და ამ დევების დიდი ომი.—აქავ როვშან-ბახტისა, ჯიმშიდ-ხანისა და ხურშიდ-ხანისა, შემდეგ ნარიმანისა და ჯადოების ამბავი.—კვალად ნარიმანის ამბავი მოიხსენიეთ.—აქავ რავბან-ბახტის ამკავი.—კვალად ნარიმანის ამბავი მოიხსენიეთ,

## ႫႤႸႥႨႣႤ ႩႠႰႨႱ ႱႳႰႠႧႤႡႨ:

1. ჰეყნუსურასაგან დაბრმავებული ყარამანი წრეში მჯდომი.
2. უმიან-ფერიამ თავის ქმარი მარუნ-შაჰა მოართვა ჰეყნუსურას.
3. საჰმან-ადამ-ზადს მოჰყავს ჯაჭვით შეკრული წამოკიდებული, კოჭლი დევი; ქუჩუკ-ყარამანის წინაშე.

VII

საბა მშვიდე

# ყარამანიანი

აქ ამბავი ყარამანის დაბრმავებისა, ოდეს ჭეუნუსარ ჯადომ დააბრმავა და წრეში მჯდომი ღმერთს ევედრებოდა. უმიან-ფერიის ამბავი, ოდეს თავის ქმარი მარუნ-შაჰა ტყვედ მიჰგვარა ჭეუნუსურ-ჯადოს და მით უსინათლობიდამ გაანთავისუფლა ყარამანი.

იმ ჟამად ოდეს ყარამანი ჭეუნუსურ-ჯადომ დააბრმავა და საბაოთ ღმერთს ევედრებოდა და მადლობას უძღვნიდა ღვთის განგებას წრეში მჯდომი. რა ესე ვედრება გათავა შემდეგ დაფიქრდა და იმედი გარდაიწყვიტა; გული აუდუღდა და მოჰყვა ტირილს მოთქმით: „ვაჰ ღვაწლო, ვაჰ შრომავ, რა ტყუილად დავკარგე ამდენი ჭირნახული და ღვაწლი, მრავალი ჯადონი, მრავალი ჯინნი, გადამეკიდნენ და ყოველივე ვძლიე საბაოთ ღვთის ძალით და დავნთქე. ვაჰ შენს ბედს სარვიხურამან! ვაჰ შენს დაბადებას ნარიმან! ვაჰ შენს აღზრდასა სამსურ! მე ხომ ჩემ სიკვდილ არ ვჩივი!... ვაჰ ცოლო და შვილო დატყვევებულო! ვაჰ ქვეყანავ დაქცეულო! ახლა კი აღზდგებიან შენზე უცნაურნი მტერნი და შეგაძრწუნებენ, აგაოხრებენ, გაგატყავებენ, გაგცრცვიან!.. მაშინ სადღა გეყოლება შენი ერთგული ყარამანი“?...

„ახ საჰმან სადა ხარ? გაჭირვების ტალკვესო, ჩემთვის თავ-დადებულო! ჰოი უფალო, დიდ არს სახელი შენი, დიდ არს განგება შენი; რა ვიყავ და ახლა რა ვარ! ფუ, წარმავალო წუთი სოფელო, ეს გეწადა

ჩემთვის?! თუ ქს გეწადა, ბარემ სრულიად წარმავლენდი და სიკვდილს მიმცემდი, რიღას სიცოცხლეა, რიღას შვებაა, რიღას სიქადულია ჩემი? ჩამშხამდა სიცოცხლე და გამიმწარდა“.

„ჰოი მტერნო, დევნო და ქაჯნო, დროა თქვენი გამარჯვებისა ჩემზე! ვაჰ ყარამანსა! ვაჰ თქვენს ყოფასა ერთგულნო ჩემნო! ვაჰ თქვენს ცხოვრებასა... ჩემთვის ყოველთვის თავდადებულო სიმრუდ, ჩემის იმედით უნდა დასახლებულიყავ ჯეზირ-ვახვახში, ფუჭად ჩაგიარა შენმა განზრახვამ? ვგონებ შენზედაც მოაცლიან მოსისხლე მტერნი ჩემს გამოთ! სადა ხართ ძმანო საყვარელნო! ყათრან, ბარამჯიბილ, გარდანქეშან, უმეტესად ჩემო ხელმწიფევ უშანგ, გიკვდება საკუთარი ერთგული შვილი ყარამანი. ხელმწიფეო ჩემო უშანგ, გევედრები მოიგონო ჩემი ერთგულობა შენზე, მე რომ შენთვის თავ-გაწირული ვიყავ, ნუ აატირებ ჩემს სარვიხურამანს, ნუ შეაწუხებ და კეთილ იმედს ნუ მოაკლებ, როგორც ხელმწიფურად არის ზრდილი, ხელმწიფურად პატრონობა გაუწიე. მაგრამ ვაჰ იმის სიცოცხლეს რომ ყარამანი აღარ ეყოლება“. „ცოტა ხნის დაფიქრების შემდეგ, ღმერთი სულგრძელ არს და მეც ვისულგრძელებ და თუ არა მეშველარა, ან შიმშილი მომკლავს, ან მხეცი შემჭამს და ან მტერი მომკლავს, მე ვგონებ რომ აქედამ ჩემი წასვლა არსაით შეიძლება. ოჰ საყვარელო ძმაო ხოსროვშირ, მომაგონდა შენი უსინათლობა, ძლიერ ძნელი ყოფილა, რა ლხინია ამ დროს ჩემთვის სიკვდილი, ვაქებ შენს ვაჟკაცობას, შაბაშ შაბაშ შემოვწირავ შენს მაგისთანა სიმხნეს, რომ იმდონი ხანი უსინათლოთ გასძელ საპყრობილეში, სადა ხარ საყვარელო ძმაო რომ ამ ძნელ სატანჯველს გადამარჩინო. ჩემი სიცოცხლე ბრძოლაში დავალამე, ჩემი დღე მტრობაში გავატარე, ჩემ საყვარელ სარვიხურამანს და ხელმწიფე უშანგს წლობით დავშორდი, ყველას ვპატრონობდი და მეგონა მცირე ხანს სიხარულში და მოსვენებაში ვიქმნებოდი. ნახე ჩემმა ბედმა და წუთისოფლის სიმუხთლემ როგორ მოდალატა და როგორ დამამხო და დამიბნელა მზე. ჰეი ყარამანია ქალაქო! ვგონებ რომ შენც იტირო ჩემთვის, მაგრამ ნუ იტირებ, ჩემი სარვიხურამანი მანდ არის და იმისი შემწე ნარიმანი, იმათთვის ჩამიბარებიხარ მოიგონე ჩემი სამსახური შენზე და შენც უმსახურე მაგათ ჩემოგულისთვის, ვერვინ აგიღებს ოღონდ კი გაფთხილებული იყო. ჩემი შვილის-შვილი ქუჩუკ-ყარამანი, არდევან-შაჰისთვის მიმიბარებია და ვევედრები, როგორც მე უშანგ-ხელმწიფე პატივსა მცემდა ისე არდევან-შაჰამ სამსურს (ქუჩუქ-ყარამანს) პატივი სცეს. ღმერთო ცისა და ქვეყნის დამბადებელო, სულო ჭეშმარიტებისავ, ჩემა ცოდვილის პირით გევე-

დრები ქს ჩემი მეტ-ნაკლები ლაპარაკი ცოდვათ არ მიიღო და რომელიც შენს ღმერთობას ჰგმოეს, გევედრები იმას ჩემზე ნუ გაახარებ. ღმერთო ჭეშმარიტებისავ, ღმერთო კაცთმოყვარევ, აწ შემეწიე და ნუ დამივიწყებ". შემდეგ დაჯდა და სთქვა: საჰმანმა როგორ ვერ იგრძნო რომ მე ამ მწუხარებაში ვარ: მოდი ჩემო ერთგულო მეგობარო და მომიარე, შენს დამხსნელსა. რომელმაც ყარუნ-შაჰას თილისმიდამ გამოგიხსნა".

ყარამანი რომ ესე მოსთქვამდა, ჰეუნუსურა იქავ ახლო იდგა და შესძახა: „ჰეი ყარამან! ახლა შეშინდი? ქვეყანაზედ რომელიც არავის იდრიდი, არ იცოდი რომ ეგრე დაგემართებოდა, აბა ვის აბრალებ შენ დაბრმავებასა? მე ვარ შენი მკვლელი და შენი თვალის მთხრელი ჰეუნუსურა, დღეში რომ ათი ათასჯერ ილოცო, შენ არა გეშველებარა, საუკუნოდ ეგრე უნდა დარჩე". ვაჰ თუ ამ წრეს შემოვიდოდე, მე მოგისწრაფებდი დღეს, მაგრამ შენს ბედს უმუშავნია რომ ჭკუა გიხმარია და ეგ წრე შემოგივლია".

ყარამანმა მიუგო: „წყეულო შენ ამაზე ნუ გიხარიან, თუმცა მე მამკლავ, ნარიმანი ცოცხალია და თუ ნარიმანსაც მოჰკლავ, სამსური ხომ ცოცხალია, თავათ ჩემი დამბადებლის ღვთისგან იმედი მაქვს რომ არ გამწიროს—და თუ გამწირავს, ისინი მოგაგებენ მუქაფას".

ჯადომ ხარხარით გაიცინა და უთხრა: მე შეტყობილი მაქვს რომ ამ სამი ათას წლის განმავლობაში, შენისთანა სააბყირანი არც გამოსულა და არც გამოვა და რადგან შენ ეგრე დაგმართე, ისინი ვერას მიზამენ, შემძლებელი ვარ რომ იმათთვის ქვეშკნელ მიწა გავიარო. ყარამანმა მიუგო: „ჰეი ჯადოვ მე იმედს არ გადვიწყვეტ და მგონია რომ ჩემის ხელითვე აგისრულდეს ამ სოფელში ყოფნა„. დევმა მიუგო წყეულო მიწავ, ვიდრე მე ცოცხალი ვარ, შენი მორჩენა არც კაცს და არც შენ ღმერთ შეუძლიან, ტყუილად რად იქადი? ყარამანმა მიუგო: წყეულო ემ ჩემის დამბადებელის ღვთის ძალით ვიქადი, რომელიც შენ არა გწამს და ის შენ სიცოცხლეს გააქარვებს. ამ ჯადოს ეს სიტყვები ეწყინა, განრისდა და ყარამანს შემოუტია, მაგრამ წრეს ვერ შეუვიდა. რა რომ წრეს ვერ შეუვიდა უფრო განრისხდა და შესძახა: ჰეი ყარამან, შენ ხომ ამაზედ ხათრიჯამი შეიქენ რომ მაგ სიბრმავისგან ველარ მორჩები დამიჯერე ჩემ ღმერთს თაყვანი ეც, მე დამემორჩილე და არ მოგკლავ, წაგიყვან ჩემ სახლში გიმსახურებ და პურს გაჭმევ. რა ყარამანმა ესე გაიგონა, ამ სიტყვებზე ასე განრისხდა რომ აღგზნებულს ცეცხლ დაემგზავსა, ასე რომ იმ ჯადომ თვალი ველარ გაუმართა რომ სწორედ შეეხედა. ყარამანმა შესძახა: ჰეი საძაგელო ჯადო! როგორ თუ



ვგმო ჩემი დამბადებელი და წყეულ ეშმაკ თაყვანი ვსცე. წყეულიმც იყოს სახსენებელი მისი და მისნი თაყვანის მცემელნიც, მოინდომა ჯადოს შეტევა, მაგრამ იფიქრა, თუ წრიდამ გავიდე, ვაი თუ საქმე უარესად წავისდინო და იქავ დადგა. ჯადომ უთხრა: ყარმან, ადვირ წაგდებულ ცხენივით ნუ დარბიხარ, თუ შენი თავის სიცოცხლე გინდა, მე დამიჯერე, იამმორჩილდი და კარგათ შეგინახავო. მაშინ ყარამანმა მოინდომა იმის ახლო მიდგომა და თქვა თავის გულში, ეგება ის წყეული ხერხით როგორმე ხელში ჩავიგდო და მერე მე ვაჩვენებ იმას თამაშასავო, უთხრა: „ჯადოთ ხელმწიფევ, ამ ერთ ადგილ დგომამ დიდათ შემაწუხა და მაინც რადა ღონე მაქვს რომ არ დაგმორჩილდე, სიბრმავით გზა ვერ გამიგნია, მოდი მაჯა დამიჭირე და საცა გინდა იქ წამიყვანეო“. ჯადომ ხარხარით გაიცინა და უთხრა: „ყარმან ჩემი ოსტატი უხორცო ეშმაკი იყო და შენ უნდა მომატყუო, გინდა დამიჭირო და ვარიასავით თავი წამგლიჯო, არა მაგას ვერ მიეხწევი, მაგრამ თუ შენ ჩემთვის არ გემტერა, მეც არ აგიმტერდებოდი და თუ ჩემ ჯადოსაც არ გაეჭრა, მაშინ ამ ჯადოს მასწავლებელს დავსწყევლიდი, იმიტომ რომ რატომ იმისთანა ჯადო არ მასწავლა რომ შენისთანა სწორ-უპოვარი ფალევანი შემეპყრაო; ახლა მე იმედი მაქვს ჩემი ღმერთისაგან რომ უფრო უმეტესი საქმე დაგმართო და აბა ახლა უყურე შენ ყოფასა, ამ წამსვე წავალ და სამანდუნ-ჯაზარექდასტს შევატყობინებ, მოვიდეს და ერთის დაკარით მიწასთან გაასწოროსო.

ეს უთხრა და ჯადო წავიდა. შემდეგ სხვა მრავალი დევნი და ქაჯნი მოუცვივდნენ ყარამანს სამტეროთ, რა რომ შეეტყუოთ ყარამანის დაბრმავება. მაგრამ ვერც ისინი შევიდნენ იმის წრეს და თიღიყამყამისა ძლიერ ეშინოდათ, ამიტომ ახლო ვერ უდგებოდნენ.

## აქ საჰმან-ადამიანთ მონათესავის ამბავი მოიხსენიეთ.

იმ ჟამად საჰმანი ქუი-იაზამში მივიდა და მნათობი უმიან-ფერია თავის მამას სეილან-შაჰას მიჰგვარა. სეილან-შაჰამ რომ თავის ქალი იხილა, ზე წამოიჭრა წინ მიეგება და საჰმანს პირს აკოცა, აგრეთვე საჰმანი მიესალმა, შემდეგ თავის ქალს გადაეხვია და ერთ ჟამამდის უცნობოსავით იყვნენ, შემდეგ უმიან-ფერიას ყველანი მიესალმნენ და მიულოცეს თავის განთავისუფლება იმ ადგილიდამ, შემდეგ დიდ მხიარულებას მიეცნენ. საჰმანმა ყარამანის ბრძანება გამოუცხადა რომელიც ჯარი დაებარებინა. მათ მოახსენეს: ფალევანო საჰმან, შენ წადი ყარამანთან და

ჩვენს მაკიურს თაყვანისცემა და ფეხთ-კოცნა მოახსენე და აწვე ჩვენც ჯა-
რით ავიყრებით და უკან მოვეწევითო. საჰმანმა იმათ თავი დაუკრა და
მაშინვე ჰაერში შეფრინდა და ჯეზირ-ვახვახში ყარამანისაკენ წავიდა. რა
იქ მივიდა ნახა რომ ყარამანს დიდძალი დევთა ლაშქარი დაეხოცა, ისე
რომ მათი სისხლი ზღვასავით დამდგარიყო, ყარამანი იქ ვერ იხილა,
ეძებდა და ბოლოში ჰპოვა ყარამანი ხის ქვეშ მჯდომარე, შორიდამ შეხედა
საჰმანმა თუ არა ყარამანი ნამტირალევი დაინახა, გულ-ხელდაკრეფილი.
საჰმანი შიშის მწუხარებამ აღიტაცა და გონება დაეფანტა, ახლოს რომ
მივიდა დააკვირდა საჰმანი ნახა რომ ყარამანი სრულიად უსინათლო და
ვერარას ჰხედავს. მაშინ საჰმანმა თავის ნაჯახის ყუა თავში იცა და და-
ბნედილი ძირს დაეცა, რა გონებას მოვიდა შესძახა: „ჰეი ხელმწიფეო,
ამას რას გხედავ და რა ღვთის რისხვა და ჩემი თვალების დადგომაა?
რომელიც თქვენ დაგმართვიათ, მიბრძანე ფალევანო, ქვეყანა სრულიად
ავაოხრო! უშენოთ მე ჩემი თავის სიცოცხლე აღარ მინდა და თუ თავი
არ მინდა, ქვეყანა რაღათ მინდა?...

ყარამანს გული ამოუჯდა და ტირილით მიუგო, ძმაო საჰმან, ჰეე-
ნუსურამ დამაბრმავა, იმ ქალის გულისთვის, რომელიც ტყვეობიდამ გა-
მოვიხსენით უმიან-ფერია.

რა საჰმანმა ესე გაიგონა, გული ცეცხლით აღევსო, თვალთაგან
წყაროსავებრ ცრემლები გადმოზდიოდა, თავსა და პირს იცემდა გორავდა
და იძახდა: „ვაჰ პურობილნო გამოუხსნელნო და ქვეყანავ დატყვევებუ-
ლო! ჰოი, სამუნიას ქვეყანავ! მტერთა ასაოხრებელო და დასაქცევო. ჰოი,
რუბი-მასკუნო დამხობილო, გამქრალი იქმნება თქვენი სანთელი და გამ-
შრალი იქნება თქვენი მომდინარე წყარო, დაბნელებულა თქვენი ცხოვე-
ლი მზე, ძალი მოჰკლდებია თქვენს აღმყვავებელსა, რაღათ გინდათ სი-
ცოცხლე, რაღათ გინდათ სიხარული, რადგანაც თქვენს მზეს სხივი მო-
ჰკლდებია, ვიღა ააყვავებს თქვენ ნორჩ ყვავილს? იქნება ამ ცოტა ხანშიაც
დაგჭირდეთ“. ჰოი სარვიხურამან! ნარიმან სადა ხართ!? არ იცით თუ
მზე დაებნელებიათ, არ იცით თუ თქვენი ქვეყანა დაობლებას აპირებს.
„ჰოი ხელმწიფეო ყარამან, თუ ესე ჩაგვშხამდებოდა, ბევრად უმჯობესი
იყო, ჩემი ყარუნ-შაჰას თილისმაში ყოფნა. ხელმწიფეო, რას მიბრძანებ
წავალ ზღვასა და ხმელეთს მოვივლი, ნუ თუ მკურნალი ვპოვო? და თუ
ვერ ვპოვე მაბრძანე ყაფის მთის და რუბი-მასკუნის დევებს შევყრი და
ქვეყანას გავაოხრებ“. ყარამანმა ლექსი უთხრა:

ნუ სტირი საჰმან ერთგულო, მწუხარებითა დაგულო,
ჩემი მკურნალი ღმერთია, ის არის ჩემი საშველო

ჩემი ცოდვისა ტვირთები დიდ მთაზედ უსიიუსია
და თუ შენც კვალად ეცდები, არვისგან დასაძრახია.

საჭმანმა უარამანი რომ კარგათ გაშინჯა, ნახა რომ სრულებით ვერასა ჰხედავდა და იფიქრა ეს რომ აქ უპატრონოთ გაუშვა, ამას უარესი დაემართებაო, გაგიჟებული პირქვე დაეცა, კივილსა და ღრიალს მოჰყვა და ესე იტყოდა: „ე საბაოთ ღმერთო! მარადის შენ გზაზე მავალია, შენი მცნების და ბრძანების აღმასრულებელია, შენს ურწმუნოს და უსჯულოს შენს სადიდებლად შენ გზაზედ მომქცევია, შენ შეეწიე უარამანს და დაიხსენ ამ განსაცდელისაგან“. ჰეი, მუხანათო წუთო სოფელო, ქვეყანას რომ ამისთანა ყვავილს ართმევ, აბა რას აძლევ მაგიერ, სანუგეშოთ ქვეყანას?

უარამანს საჭმანის ხმა შეესმა და დაუძახა: ჰეი ერთგულო საჭმანი! მოდი აქ, რა საჭმანი ახლოს მოვიდა, ფალევანმა ლექსათ უთხრა:

ნუ სტირი საჭმან მოთქმითა, ნუ იხეთქ გულსა ბოღმითა,
ნუ მასმენ მწუხერებასა, შენ მაგისთანა გლოვითა,
იმედს ნუ გადაიწყვეტავ ვევედროთ ღმერთსა ლოცვითა,
სისხლსაც ის მალე დაანთხევს საბაოთ ღვთისა ძალითა.

საჭმანმა მოახსენა: ჰეი ხელმწიფეო უარამან! იმედი მაქვს რომ შენგან შეყვარებულის ღვთისაგან მალე განთავისუფლდე, მაგრამ ამ ჟამად ჩემი მწუხარება ეს არის რომ ვაი თუ იმ წყეულმა ჭაზარექ-დასტმა შეიტყოს, მოვიდეს, მაშინ ვინ იქნება იმის პასუხის გამცემი?..

უარამანმა უპასუხა: მაშინაც ღმერთია მოწყალე, მაგრამ ახლა ძმაო საჭმან, მეშვიდე დღეა რაც არა მიგემიარა, მშიერი მაინც არ მოვკვდე, წადი იშოვე რამე საჭმელი და მომიტანეო. საჭმანს თუმცა სიცოცხლე აღარ შერჩენოდა და აღარც სიცოცხლე მოზდიოდა თვალში, მაგრამ მაშინვე ფრთა-ფრთასა ჰკრა წავიდა და ღვინო პური და შემწვარი ფრინველი მოართვა, შემდეგ უარამანმა უბრძანა: შენ ჯარს მიეგებე წინ რომ დევთა და ჯადოთაგან არა ევნოსრა და ყველანი გააფრთხილე რომ ისმიაზამს პირიდამ ნუ განიშორებენ, იმიტომ რომ ყველა მტერი ახლა მოიცლის. მაშინვე საჭმანი წავიდა და ლაშქარს წინ მიეგება. რა სეილანშაჭამ საჭმანს შემოხედა მკვდრის ფერი დასდებოდა და შესძახა, საჭმან რა ამბავს იტყვიო? მან ტირილით უარამანის დაბრმავება აუწყა. რა ესე შეიტყეს, მეორედ მოსვლის გლოვა შექმნეს, ისე რომ იმათი ტირილისაგან ის არე-მარე ირყეოდა. ის თერთმეტნი დევნი რომელნიც საჭმანის ამხანაგნი იყვნენ, ზოგმა ლოდით თავში იცა, ზოგმა სიმწარისაგან დიდრონი ხენი დაგლიჯეს ძირითურთ და თავში იცემდნენ და საში-

ჩელი ხმით გლოვა-ტირილი შექმნეს, სიმრუღმა ფრთებით სამსავე თავში ეგოდენი იცა რომ რუსაებრ სისხლი გადმოედინა, აგრეთვე სეილან-შაჰამ, უმიან-ფერიამ და სხვათა, საშინელი გლოვა შექმნეს. შემდეგ საჰმანმა უთხრა: ხელმწიფენო და ჩემნო ძმანო, ტირილით ვერას მოუმატებთ, იმდენს უნდა ვეცადნეთ რომ ის ჯადო მოვკლათ, თორემ თუ ის არ მოკვდა, ყარამანის მორჩენა არ შეიძლებაო, აბა ახლა ყველამ ამ ფიქრი და რჩევა ჰპოვეთ თუ იმის ერთგულნი ხართ ეგებ უშველოთ რამე. აწ მე ქვეყნის ხელმწიფე ყარამანი ბრმათ გამიშვია მარტოკა და მე თქვენთან წამოვსულვარ, მე კვალად იმასთან დავბრუნდები და თქვენც სიფრთხილით და ისმიაზამის თქმით ერთიანად წამოდითო, საჰმანმა თავის თერთმეტნი ამხანაგნი და სიმრუღი წამოიყვანა, მაგრამ აღარც ერთ ღონე აღარა ჰქონდა, სუყველა წელებ დაწყვეტილნი იყვნენ, მაგრამ რაც შეეძლოთ მსწრაფვის ჩქარულით ყარამანისაკენ მოდიოდნენ.

## აქ ჯადოს ამბავი მოიხსენიეთ.

იმ ჟამად ჰეუნისურამ რომ ყარამანს ესეთი განსაცდელი მიაყენა, დაიწყო სიარული და თავის მამის ყეითნუსარისაკენ წავიდა. ყეითნუსარასთან რომ მივიდა თავის შვილი-შვილი. დიდის მხიარულებით წინ მიეგება და ერთმანერთს მიესალმნენ. ყეითნუსარამ ჰკითხა: ჰეი ჩემის გულის სიხარულო, რასა იქს მამა შენი ყუნუსარა? ჰეუნუსარამ ერთი დიდათ ამოიოხრა და ტირილი დაიწყო, ერთი მოქნილი ვირის ტყავის ხელსახოცი ჰქონდა იგი ამოიღო და თვალებს წმენდა დაუწყო და რაც გადახდოდა ყოველივე დაწვრილებით უამბო, შემდეგ ყარამანის დაბრმავება და ჯეზირ-ვახვასში იმის დაგდება.

რა ყეითნუსარამ თავის შვილის სიკვდილი გაიგო, ძაღლივით ყეფა დაიწყო და ღმუილი შექმნა, შემდეგ განრისხებულმა მოიხმო თავის სარდალი და უბრძანა რომ ჯარი შეეყარა რიცხვით ოთხასი ათასი და განრისხებული ყარამანის სასიკვდილოთ გაემართა, სამი დღე იარეს და მეოთხე დღეს ჯეზირ-ვახვასში მოვიდნენ; ნახეს რომ ყარამანი მარტოთ-მარტო გულ-ხელი დაუკრეფია და ღმერთს ლოცულობს, მაშინვე ყეითნუსარამ შეტევა უბრძანა და დევთა ერთობით შეუტიეს, ყარამანმა რომ შეტევა ისმინა თქვა: „ღმერთო ცისა და ქვეყნის გამჩენო, ჩემი თავი შენთვის მომინდვია და ამ წყეულთაგან განმარინეო“. რა ესე სიტყვა დაასრულა ზე წამოიჭრა, თიღიყამუამს ხელი გაიკრა, ყეითნუსარის დევთა ჯერ ყარამანის ბრძოლა არ ენახათ და თამამათ იყვნენ. მაშინ ყარამანმა

საშინელის ხმით ღვთის სახელი დასძახა, ისე რომ იმ ხმის შიშით დევთა ჭკუა დაეფანტათ და თავის ლაშქრისაკენ გაბრუნდნენ და ერთმანერთ ხოცვა დაუწყეს. განრისხებული ყარამანი წრიდამ გარეთ გამოვიდა და დევთა ლაშქრის გუნდი გაერია და ეგოდენი დევთა ლაშქარი დახოცა რომ რიცხვი არ შეიგდებოდა, იმ ერთ წამში ღვთის რისხვა მათ თავს მოაღწია და რაც ჯარი იყო სულ დაფანტა, შემდეგ მალე გამობრუნდა და იმდონი ეცადა რომ თავის წრე იპოვა და შიგ ჩადგა.

რა წყეულმა ყეითნუსარამ თავისი ჯარი ესე დაფანტული იხილა განრისხდა და შესძახა: ჰეი დევნო! არა გცხვენიანთ რომ ერთ უთვალო კაცისაგან ეგრე შეშინდით და იხოცებით? ეგრე როგორ დაიფანტეთ? ეს საქმე დიდი სირცხვილია თქვენი მამაცობისათვის, ახლა მაგას არაფერი არ შეუძლიან, ეცადენით რომ ხელ-და-ხელ ცოცხალი შეიპყრათ. მაშინვე დევნი გამობრუნდნენ და ზღვის ღელვასავით გარშემო ალყასავით შემოერტყნენ, ამ ყოფით შვიდი დღე და ღამე იბრძოლეს და ახლოს კი ვერ მიუდგნენ. როდესაც გაბეზრდნენ ერთად შეიყარნენ და ყეითნუსარასთან მოვიდნენ და მოახსენეს: ხელმწიფეო, ეს ყარამანია თუ ვიღაც, რა ძლიერი რამ ყოფილა რომ შვიდი დღე და ღამ ვებრძოლეთ და ვერა დავაკელითრა. თუ კიდევ ვებრძოლოთ იმას ჩვენ ერთიც ვერ გადურჩებით ცოცხალნი და იმას კი ვერას ვავნებთო. ჰეუნუსარამ და ყეითნუსარამ უთხრეს: დევნო მოდით ერთი კიდევ შეუტიეთ და ჩვენ აქედამ შეულოცავთ ეგები როგორმე შევიპყრათო. იმ ჟამად არას დროს ყარამანის პირიდამ „ისმიაზამის“ ლოცვის თქმა არ გასწყდებოდა. ამ ჯადოებმა ბევრი შეულოცეს მაგრამ ვერა ავნესრა. რა ჯადოებმა ნახეს რომ იმათმა ლოცვამაც ვერა ავნორა, ყეითნუსარა განრისხდა და თქვა: რაც მე ამას ჯადო შეულოცე, ჩემს თავსა ვფიცავ, თუმცა დიდრონი მთისთვის შემელოცა ისიც სრულიად დაინგრეოდა, მაგრამ მე ამ მიწისაგან შექმნილს ვერა დავაკელრაო. შემდეგ ჰეუნუსურას უთხრა: შვილო ეს მერვე დღეა რაც ამ წყეულს ვებრძვით, ამას არც უსვამს არც უჭამია და ხედავ როგორ გაუძლურდა, აწ ახლა მე გავალ შევებმი და მე გაურიგებ მაგას საქმესო, ესე თქვა და უკანიდამ მოუარა და მთის ოდენი ლახტი ყარამანს დასაკრავად შეუმაღლა, რა ყარამანმა ლახტის მოქნევის ხმა გაიგონა, ჰეუნუსურა ეგონა და ცდილობდა რომ ეგები ხელში ჩავიგდოვო, ხელი აექნია და იმ მოქნეულ ლახტს ხელი სტაცა, მეორე ხელით მაჯაში წაავლო და ასეთი მოუჭირა რომ ყეითნუსარამ ღრიალი დაიწყო მიშველეთო.

რა ყარამანმა იგრძნო რომ ჯადოს ხელი ხელში იგდო, ასე მოუჭირა გამწარებულმა რომ მარჯვენა ხელი მოათვშვნიტა, მსწრაფლ ხელი

კი ერში ჩაავლო ასწია და დედამიწას დასცა და ზედ ასეთი მუშტი მო-
ჰხუდა რომ იმის ხორცი, ძვალი, ტვინი და ძარღვი ერთმანერთში უ-
რია და იმ ბილწი ჯადოს სული ჯოჯოხეთში გაისტუმრა. თურმე უეით-
ნუსარა გამოჩენილი ფალევანი უროვილიურ და დიდათ ძლიერი იმათში.
უარამანმა რომ ისე ადვილათ მოკლა, დევთა გაუკვირდათ. ამაზე ჭეუნუ-
სარამ შესძახა: ჭეი შე წყეულო უარამან, რად გაჩნდი ჩვენდა მაჭირვებ-
ლად?!. მამაჩემი მოჰკალ და მბძე პაპაჩემი იყო, მაგრამ იცოდე რომ არ
შეგრჩება მაგათი სისხლი. უარამანმა მიუგო: ჭეუნუსურავ, შენ მეგონე
თორემ არ მოვკლავდი. მაშინ ის წყეული ჭეუნუსურა გაბრაზებული მო-
უხტა და ჯარსაც შემოტევება უბრძანა, მაგრამ ვერცარა მაშინ დააკლო,
რა დევთა და ჯადოთ ნახეს რომ უარამანი უწყალოთ და შეუბრალებლივ
მუსრავს სულ დაითვანტნენ და ჯეზირ-ვასვახის მთისაკენ გადიხვეწნენ.
რა უარამანმა დევთა ბრძოლისაგან მოიცალა და შეიტყო რომ გაიქცნენ,
მივიდა თავის ხის ქვეშ დაიჩოქა და ღმერთს მადლობა შესწირა, ლოცვა
რომ გაათავა დაწვა და ძილს მიეცა წრეში.

## აქ საჭმანის ამბავი მოიხსენიეთ.

იმ ჟამად საჭმან-ალამზადი თავის თერთმეტის ამხანაგებით და ფამ-
კუნჯით ჯეზირ-ვახვახში მივიდნენ, მაგრამ საჭმანმა დაარიგა და უთხრა
არამც და არამც ტირილი ამოუტეოთ და ან რამე გაახსენოთ, მაშინ
უფრო შეაწუხებთ და იმას რადა შეწუხება უნდა. ჩამოხტნენ ნახეს რომ
ურიცხვი დევთა ლაშქარი გაუჟლეტია უარამანს. რა ახლოს მივიდნენ უა-
რამანთან, იმ ჟამად უარამანს გამოეღვიძა და ღმერთს ლოცულობდა. ეს
თერთმეტი დევნი მივიდნენ და უარამანს ფეხთ მოეხვივნენ მაგრამ რა-
დგან საჭმანისაგან დარიგებულნი იყვნენ, ხმა ვეღარ ამოიღეს და რუსაებრ
ცრემლი ზღიოდა და რამდენჯერაც უარამანს პირ შეხედავდნენ გულში
მარადის მწუხარება უფრო და უფრო უმატებოდათ. ბოლოს გულებმა ვე-
ღარ გაუძლეს და მოჰყვენ საკვირველის ხმით ტირილსა: „ჩვენო მხსნე-
ლო ხელმწიფეო უარამან, ვაჰ ჩვენს ფალევნობასა და ქვეყნის დაბნელე-
ბას. სარვიხურამანი ერთგულ მონას გიქძახდა და ახლა რიღას ერთგულ-
ნი ვართ, ან რას მოგეხმარენით ან რა გიშველეთ, ჩვენზე დიდათ ამაგ-
დებულო ხელმწიფევ! უარუნ-შაჭას თილისმაში შვიდი დღე და ღამე თა-
ვქვე იარე ჩვენი გამოხსნისთვის, თავი სასიკვდილოთ გადაზდე ჩვენთვის
და დედამიწის შვიდი ნაწილი ჩაიარე და იმ ძნელ ტანჯვისაგანა გამო-
გვიხსენ. ვაჰ თუ ბოლო ასე მოხთდებოდა ნეტავ ჩვენ არც გვენახე და

არც გაგვეცან, სჯობდა იქავ თილისმაში ჩავმპალვიყავით და შენი ყოველთვის კეთილ-მომქმედი თავი მაგ შეწირვებაში არ გვენახა. ხელმწიფევ გვიბძანე ქვეყანა ავაოხროთ, დავაქციოთ და ზღვაში დავანიავოთ, უშენოთ ქვეყანა რაღათ უნდა იყოს“? საჭმანი და ბარყუში ეხვეწებოდნენ დევებს რომ დარჩუმებულიყვნენ და ძლივს დაარჩუმეს, შემდეგ ყარამანმა უბრძანა: მე ჩემ ერთგულნო ძმანო ბევრი გლოვა ვერას მიშველის და თქვენთვისაც საწყენი საქმეა. მხოლოდ ამასა გთხოვთ ძმანო რომ ვინც ჩემი ერთგულნი ხართ, სარვიხურამანს და ნარიმანს არ შეატყობინოთ. თქვენ ჩემთვის ნუ სწუხხართ ღმერთი მოწყალეა. შემდეგ საჭმანი და სიმრუღი იკითხა, ისინი წინ წადგნენ და ხელს აკოცეს, სიმრუღმა მოახსენა: ხელმწიფევ საამყირანო, ნუ მისცემ შენს თავს მწუხარებას, აი ჩვენ შენი ერთგულნი აქ გახლავართ და მტერი შენის დოვლათით ვერას დაგვაკლებს და ღმერთი მოგვხედავს და ამ განსაცდელიდამ ის გაგვანთავისუფლებს.

ყარამანმა უთხრა: ძმაო სიმრუღ ამ წუთ-სოფელს ესეთი ზნე სჭირს გულოვან ფალევანთა ყოველთვის ამ გვარი განსაცდელი ზღვევს, ამიტომ ჩვენც არ უნდა ვიმწუხაროთ და შენთან ეს ვედრება მაქვს რომ საცა ის ჯადოა იქ მიმიყვანო, ეგები ავუტეხო რამე. შემდეგ საჭმანმა მოახსენა: ფალევანო, ჩვენი აქედამ დაძვრა შეუძლებელია, ან ის ჯადო ჩვენვე მოგვძებნის, ან არა და ჯარს მოუცადოთ მოვიდნენ, ვარჩიოთ და რომელიც უმჯობესი იყოს ისე აღვასრულოთ, ყარამანმაც ნება დართო. შემდეგ კვალად საჭმანმა მოახსენა: გეტყობათ რომ კიდე ბრძოლაში ბრძანებულხართ, ყარამანმა მიუგო: წყეული ჭეუნუსურა რომ წავიდა, რამდენიმე ათასი დევთ ლაშქარი მოიყვანა და თავისი პაპა ყეითნუსარაც თან, შემომებნენ რვა დღე და ღამე მშიერმა და მწყურვალმა ვიბრძოლე, ყეთინუსარა მომეპარა და ლახტი დასაკრავად მომიტანა, რა ლახტის ხმა გავიგე მე ჭეუნუსურა მეგონა, უცებ მივწვდი და იმის მაჯა ხელში ჩამივარდა, ღმერთმან ძალა მომცა და შევიპყარ და მოვკალ. რა იგი მოვკალ ყოველნი გაიქცნენ, მერმე ჭეუნუსურამ შემომძახა, მამა ხომ მომიკალ და პაპაც ეგ იყო რომელიც ეხლა მოჰკალი, აბა ახლა ნახე, ასეთი საქმე გიყო რომ არავის დამართებოდესო. ეს რომ მითხრა თვითონაც გაიქცა და სხვანიც გარდაიხვეწნენ. რა ფაშკუნჯმა და სხვათა ესე გაიგონეს დიდი ქება შეასხეს და მოახსენეს: საამყირანო, ძლიერ საკვირველი საქმე ჩაგიდენია მაგ უსინათლობის დროსაც, ასე რომ ქვეყანა იმ წყეულის ბრჭყალებისაგან დაგიხსნია, სიმრუღმა დაატანა, მარტო მე იმისგან ძალიან ვიყავ შეძრწუნებული და ახლა ვმადლობ ღმერთს რომ ის ქვეყნიდამ გამოგისალმებია.

შემდეგ საჰმანმა მოახსენა: ხელმწიფეო ყარამან, გვიბრძანე წავიდეთ ჰეუნუსარა ვიპოვოთ და იქნება ბრძოლით აუტეხოთ რამეო. ყარამანმა უბრძანა: ეგ კარგია მაგრამ მცირე საჭმელი რამ მომიტანე ჯერ ვსჭამო და შენდეგ გეტყვით მაგის პასუხს, ეს მეცხრე დღეა რაც უჭმო ვარ, ამან უფრო შემაწუხა. საჰმანმა მაშინვე ფრთა ფრთასა ჰკრა წავიდა და შემწვარი ფრინველი, ღვინო და პური მოართვა, ყარამანმა ფაშკუნჯი გვერდით მოისვა და პურს ჭამა დაუწყო. საჰმანმა კი თავის თერთმეტი ამხანაგი ცალკე იხმო და რჩევა იწყეს და მსწრაფლ ჯეზირვახვახისაკენ წავიდნენ. იმ ჟამად ის წყეული ჰეუნუსურა ჯეზირის მთაში იყო, თავის მამისა და პაპის სისხლის საქმეს არიგებდა და ამასაც ფიქრობდა რომ ყარამანს ხომ თავისი დავმართე, მაგრამ საჰმანი და ფაშკუნჯი როგორ უნდა შევიპყრაო. ამ ფიქრში და სჯაში რომ იყო ნახა რომ ჰაერიდამ ცეცხლმა ყრა დაიწყო, მაშინვე შეიტყო იმ წყეულმა რომ საჰმანი და იმის ამხანაგნი იყვნენ და ცეცხლს ჰყრიდნენ. მაშინვე ჯადოს ჯარი მოამზადა და საჰმანის საომრად გამოვიდა. იმ დღეს საშინელი და საზარელი ომი გადაიხადეს, მაგრამ მოკლეთ მოგახსენოთ, ამ წყეულმა საჰმანის ამხანაგები ჯადოთი დაიჭირა და დაატყვევა, საჰმანმა სამი თვე, დღე და ღამე იბრძოლა, ბევრი ლაშქარი დახოცა და ბოლოს რა ვერა გააწყორა, დიდათ მგლოვიარე და მწუხარე გამობრუნდა და ყარამანთან ცარიელი მივიდა. იმ ჟამად ფაშკუნჯი ყარამანს სანადიროთ გაეგზავნა და მარტოთ იჯდა და ღმერთს ევედრებოდა თავისი თავის მორჩენისათვის. მაშინ საჰმანი წინ წადგა თავი დაუკრა და თავისი თავს გარდასავალი ყველა უამბო. ყარამანმა ერთი დიდათ ამოიოხრა და თქვა: „ნახე იმ წყეულმა რა საქმე მოგვივლინა? ლამის ერთობით გაგვაოხროს და დაფიქრდა. შემდეგ დაფიქრებისა თქვა: იცი რას გეტყვი საჰმან, ზოგჯერ ძალი უნდა იხმაროს კაცმა, ზოგჯერ ოსტატობა, ნუ იფიქრებ რომ ჯადოს ძალი მოეკიდოს ვისმეს და საძირკველი ჰქონდეს. თორემ შენ ამაების დამსწრე ხარ, პირველად გარდანქეშანმა რომ აზრაიდ მეთილისმე მოკლა ჯარი არა ჰყოლია. მე ოჰყალი-ჯადო მოვკალ თუმცა დიდი ჯარი მყვანდა მაგრამ იმისთვის უსარგებლონი იყვნენ, ფალანგისარ მოვკალ, იქაც ჯარი არ მიხმარია, კვალად ზღვაში ჯადო მოვკალ, იქაც კი ჯარი არ მომიშველებია. ესენი დიდრონნი და წვრილები ურიცხვი, ეუნუსურა იყო იმ დღეს მოვკალ მარტო — და მერმე ამ უსინათლობის დროს, ქვეყნის გამაოხრებელი უეითნუსარა მოვკალ, რომელიც ჯადოთი და გრძნეულობით სავსე იყო. იმ დღეს ვერაფერი ვედარ გითხარ თორემ რა ჯარი გაეწყობა ჯადოს; ისიც კარგა გახსოვს რომ

ოჭუალი-ჯადომ მთელი ერანი გაოხრა. ახლა მე ჩემი თერთმეტი დევისთვის ვჩივი, ვაი თუ იმ წყეულმა შებნიდოს და ისე დახოცოს, თორემ ეს კი მაქვს იმედათ რომ თუ თავის მდგომარეობაში არიან იგინი თერთმეტნი ყაფის მთასაც გაოხრებენ თორემ იმათი ბრძოლა ვერავის შეუძლიან. შემდეგ საჰმანმა მოახსენა: რა ვქმნათ, შეგვემთხვა მოულოდნელი საქმე. ყარამანმა მიუგო: საჰმან ნუ შესწუხდები ღმერთი მოწყალეა. კვალად საჰმანმა მოახსენა; წავალ რუბი-მასკუნსა და ყაფის მთას შევყრი და აქ მოვიყვანო, ყარამანმა კვალად მიუგო, ნუ ძმაო საჰმან, მე იმათ შეწევნას არა ვთხოვ, ჩემი შემწე ცისა და ქვეყნის დამაარსებელია, ის უფრო უდიდესი და მძლავრია ყველაზე, მცირედი მოიცადე. ყარამანი შვიდი თვე და თერთმეტი დღე იქ იყო უსინათლოთ.

## აქ სეილან-შაჰასი და იმის ასულის უმიან-ფერიის ამბავი.

იმ ჟამად სეილან-შაჰა და მნათობი უმიან-ფერია და იმისი ქმარი მარუნ-შაჰა დახოცილივით იყვნენ, როდესაც ყარამანის სიბრმავე შეიტყეს და არ იცოდნენ თუ ყარამანისთვის რა წამალი ეშოვნათ. დღესა ერთსა პურის ჭამაზე ისხდნენ და უმიან-ფერიას ყარამანის სიბრმავე მოაგონდა და ღვინის სასმელი ხელიდამ გავარდა და მდუღარე ცრემლები გადმოყარა. შემდეგ მამასა და ქმარს მოახსენა: ჩემო ხელმწიფენო, ერთი ვედრება მაქვს თქვენთან რომლის სამართალი თქვენვე უნდა გასჯოთ. სააბუირანი არც ჩვენი ნათესავია არც ჩვენი გაზრდილი, რომელიც იგი მოვიდა სასიკვდილოთ თავი გადადო ჩვენთვის და ტყვეობიდამ გამოგვიხსნა, და ის ჩვენის მიზეზით ძნელს განსაცდელს მიეცა, თუ ჩვენვე იმას არ უშველით და ან შველას არ ვეცდებით ღმერთი ჩვენ არას დროს არ დაგვიმადლებსო, ჩვენ, ჩვენ მოვალეობიდამ ამით გამოვალთ რომ ეგები წამალი რამ ვშოვოთ სააბუირანისათვის და დავიხსნათ იგი უსინათლობიდამ.

მაშინ მამამ და ქმარმა უპასუხეს, ჩვენის სიცოცხლის დამწარების დღე დღეს არისო, და ჩვენი ფიქრი იმის მორჩენის წამალზეა. აწ ჩვენო საყვარელო, თუ რასმე იფიქრებ იმისთვის წამალს, ჩვენც დიდის სიამოვნებით მოგიმართავთ ხელს და ჩვენც თავს გადავდებთ იმისთვის ოღონდ იმას ეშველოს რამეო. უმიან-ფერიამ ესე რომ მოისმინა იმათგან, ქმარს უთხრა: ჰეი საყვარელო! ჟამია გარჯისა, მოდი ჩვენ წავიდეთ და ეგები უშველოთ რამეო. ორნივე შავის ფოლადით შეიჭურვნენ და იწყეს სიარული და ჯუზირ-ვახვახში მივიდნენ, სადაც ყარამანი იყო.

მნათობი უმიან-ფერია რომ ყარამანის სიახლოვეს მივიდა, თავს სახურავი მოიგლიჯა, თავზე მიწა გადაიყარა და მოსთქვა:

„ჰჱი ქვეყნის მზეო! რამ დაგაბნელა? ჰჱი ყოველთა ტყვეთ გამომხსნელო! ვინ დაგაძაბუნა? ჰჱი სწორ-უპოვარო ფალევანო! ვინა გძლია? ჰჱი ჯადოთ ამომწყვეტო! ვინ შეიძლო შენი მაგვარი დატყვევება? ჰჱი შენ ყოველთვის თავ-დადებულო ყარამან! ჩემ საცოცხლის ბედნიერებას შენგან მოველოდი და აწ რაღა ვყო? ვისაგანაც გამომიხსენ დატყვევებული, ახლა კვალად წამიყვანს საუკუნოდ. ვაჰ რომ ასე მცირეს ხანსა მქონდა ბედნიერება. თუ ცრუ ხოფელი ასე მსწრაფლ მაღალატებდა, უმჯობესი იყო იმ ჯადოსთან დავმჰალიყავ და ქვეყნით გავოხრებულიყავ. ჰჱი სწორ-უპოვარო ფალევანო! მაგისთანა განსაცდელი ხომ ჩემის მიზეზით შეგემთხვა, ვგონებ რომ სარვიხურამანმა და ნარიმანმა აღარ მაცოცხლონ და ახიც არი ჩემზე. უმეტესად ჩემს თავს აღარ ვზოგავ, მაგრამ სააბყირანო, მე თვითონ ან თავსა ჩემსა მოვიკლავ ან იმ წყეულ ჯადოს უნდა ავუტეხო რამე“.

უმიან-ფერია მოთქმით ტიროდა და ყარამანი ჩუმათ იჯდა, შემდეგ ყარამანმა მიუგო: „ჰჱი მნათობო უმიან ნუ სწუხარ სააპყირანის დავის გამწევს ბევრი ამ გვარი განსაცდელი შეემთხვევა და არ უნდა გაიკვირვო, შემდეგ დამშვიდდნენ, ყარამანმა მოახსენა: მნათობო მე დარწმუნებული ვარ რომ ჩემთვის შენ თავს არ დაზოგავ, მეტრედ დატყვევებისთვის, მაგრამ ისევ ჩემი ჭირი იქმნები, საქმეს ნუღარ გაიჭირვებ. ქალმა მიუგო: ფალევანო, შენ ჩემის მეტი სხვა ვერავინ მოგარჩენსო. მე ერთი საქმე მომიფიქრებია, თუ თქვენც დამეთანხმებით, დღესვე უნდა აღვასრულო და მანამ დავბრუნდებოდე ჩემთვის ილოცე და თუ იქიდამ ვეღარ მოველო ჩემს სულს ნუ დაივიწყებო. შემდეგ რაც გულში რჩევა ჰქონდა ყოველივე ყარამანს მოახსენა: ყარამანს ეს რჩევა ძლიერ მოეწონა და უთხრა: წარვედ საბაოთ ღმერთი იყოს შენი წინამძღვარიო.

მაშინ ქალმა თავის ქმარს უთხრა: „რაც გითხრა იმის უარის თქმა არ შეგეძლოს, უნდა აღასრულოვო, იმანაც ნება დართო, მაშინ უმიან-ფერიამ თავის ქმარს ხელ-ფეხი შეუკრა, თვითონ კი საკვირველად შეიკაზმა, ჰერანგს და ახალუხს ქვეშ ერთი ბასრი ხანჯალი გაიკეთა, შემდეგ თავისი ქმარი აიკიდა და ჯეზირის მთისაკენ გაემგზავრა და სადა ჰკეინუსურა იყო იქ მიიყვანა, ჰკეინუსურამ რომ ქალი დაინახა, გაფეთებული წამოხტა და წინ მიეგება და უთხრა: ჰჱი მნათობო, ეგ რა მალე შეგძულებია შენი ქმარი? განა ქრმის სიყვარული აგრე უნდა? მაშინ უმიან-ფერიამ მიუგო: ჰჱი გრძნეულთა ხელმწიფევო, მე რომ შენ ტყვედ გყავან-



დი, მაშინ დიდი ტროვიალი შევიქმენ შენი და საკვირვლად შემიყვარდა შენ, თრმცა ბევრჯელ გაწყენინე შენ ჩემ თავმოყვარეობით მაგრამ ისიც მეტის-მეტი სიყვარულით ვნაზობდი, შენც ხომ კარგათ მოგეხსენება რომ შირბახტისაგან წყეული და შეჩვენებული მიწის შვილმა ყარამანმა ამ საძაგელს ძალათ მიმცა, რომელიც მე არა მსურდა ეს, მე მსურდი შენ, აგი შენი ხელით მიჯგო მაგიერი იმას და ახლა ხომ საუკუნოდ აღარა ემშველებარა იმას, მე ესე ვგონებ რომ რამდენსამე დღესაც იცოცხლებს და შემდეგ მოკვდება, მე რადგანაც არ მიყვარდა ეს საძაგელი ჩემი ქმარი, ერთ ღამეს დრო დავიცე შევკარ და შენთან მოვიყვანე რომ შენ გადაკარგო სადმე. ახლა ისეა ჩემი აღთქმა შირბახტთან რომ ჩემი დღენი შენს სამსახურში უნდა დავალამოვო“.

ჭეუნუსარამ რომ ესე გაიგონა ქალისაგან, ისე გაეხარდა რომ გახეთქას ცოტადა უკლდა, შემდეგ თავის გუნებაში თქვა, ნახე ჩემა ღოთმა ეშმაკმა რა სიხარული მომაყენა, ეს ჩემი სახე რომ ყაფის მთის დევებმა ნახონ, შიშით და ზიზღით დასქდებიან და ესეთ მნათობ როგორ შევუყვარებივარ რომ ჩემის სიყვარულით მოსვენება აღარა ჰქონია და თვითონვე თავის ქმარი შეუკრავ და აქ მომგვარა ტყვედ. შემდეგ უთხრა: „ჰეი მნათობო, რადგან ეგრე შეგუყვარებივარ, მეც შენი მორჩილი ვიქმნები და ჩვენი ცხოვრება უოვლთვის სიხარულში გავატაროთ“. მაშინვე ხელი დაუჭირა და თავის სასახლეში შეიყვანა. მარუნ შაჰა კი საპყრობილეს ჩასვა. იმ დღეს რაც შეეძლო ჭეუნუსურ-ჯადო უცხოთ დახვდა უმიან-ფერიას და ლხინი გადიხადა; ლხინს რომ მორჩნენ დევები დაითხოვა და მოსვენებას ახირებდა. ქალმა მოახსენა: ჯადოთ ხელმწიფევ, თქვენ ხომ კარგათ მოგეხსენებათ რომ არც მე ვარ უბრალო კაცის ქალი და არც შენა ხარ უბრალო კაცი. მე დიდებული ხელმწიფის სეილან-შაჰას ქალი ვარ და შენც ჯადოთ ხელმწიფის უნუსურის შვილი ჭეუნუსურა, რაც საკადრისია გვარ-მართებულის ქორწილის თადარიგი ნახე პატიოსანი და ჩვენი საკადრისი ქორწილი გარდავიხადოთ და შემდეგ ჩემი თავი შენი იქნება საუკუნოდ და შენი აგრეთვე ჩემი.

მაშინვე სიხარულით ჭეუნუსურამ ქორწილის თადარიგი ნახა, შვიდი დღე და ღამე ქორწილი ჰქონდა, ამ ქალმაც მოილხინა ვითომც დიდი მოხარულია თვითონაც. მერვე დღეს რამდენიმე მერალნი და საძაგელნი ბევრი დევის ქალები შეიყარნენ და როგორც იმათი ბილწი წესი და ჩვეულება იყო ეს ქალი ისე მორთეს. შემდეგ ჭეუნუსურ-ჯადო დევებმა დიდის დიდებით გამოიყვანეს და რომელ სასახლეშიაც ქალი იყო, იქ მიუყვანეს. შემდეგ დევები ყველანი თავ-თავის სადგომში წავიდნენ. იმ სა-

სასახლეში ჭეენუსურა და მნათობი უმიან-ფერია მარტოკა დარჩნენ. დევი მოუახლოვდა და დააპირა რომ ჩინარის მზგავსი მკლავებით მოხვევოდა, მაშინ უმიან-ფერიამ სახელი ღვთისა ახსენა ახალუხსა და პერანგ შუა შენახული ხანჯალი ამოიღო და მოედნის მზგავს მკერდს ისე მედგრად დასცა რომ მეორეს მხარეს ორი მტკაველი გარეთ გამოჭყო, დევი მიწას დაეცა და საშინლად დაიღრიალა, უმიან-ფერიამ მსწრაფლ თავი ტანიდამ განაშორა და იმისი მურალი ჯადო სული ჯოჯოხეთს გაამგზავრა, მსწრაფლ აიჭრა მიდგა მოდგა და ერთი მინის ჭურჭელი იშოვა და იმის სისხლით აავსო, შემდეგ გამოვიდა და თავისი ქმარი მარუნ-შაჰა მონახა და გაანთავისუფლა. იმ ღამეს ისე მსწრაფად იარეს რომ გათენებამდის ყარამანთან მოვიდნენ. ყარამანმა რომ იმ ჯადოს სიკვდილი შეიტყო, დიდ სიხარულს მიეცა, შემდეგ მინით სავსე სისხლი მისცეს, ახსენეს სახელი ღვთისა და ყარამანს თვალები დაბანინეს, ყარამანის თვალებს სიბნელის ზეწარი მსწრაფლ დაუხია, ჭეენუსურას სისხლმა და მაშინვე ქვეყნიერება იხილა ისე როგორც პირველად ჰქონდა, რა რომ მარუნ-შაჰამ და უმიან-ფერიამ ყარამანის თვალები ახელილი ნახეს დიდ მხიარულებას მიეცნენ და ღმერთს დიდი მადლობა შესწირეს.

მაშინ ყარამანმა დიდის ლოცვით ღმერთს მადლობა შესწირა. შემდეგ უმიან-ფერიას უთხრა: შაბაშ შენსა ძლიერებას რომ იგი საძაგელი დევი ისე ადვილად მოჰკლავს. ჰეი მნათობო, დღეს ისეთი საქმე ჰქმენ შენ რომ მეორედ მოსვლამდის დაუვიწყარი იქნება: ეს ამბავი მაშინვე შენოსაროს ახარეს, იგი დიდის სიხარულით წამოვიდა, მოვიდა და ყარამანს მორჩენა მიულოცა და დიდი სიხარული შეიქმნა. აქედამ სარვიხურამანს და ნარიმანს წიგნი მისწერა და თავის ამბავი ყოველივე გამოუცხადა, აგრეთვე უშანგ-ხელმწიფესაც აცნობა წიგნით თავისი თავს გარდასავალი. შემდეგ ყარამანმა აყრა ბრძანა და ჯეზირ-ვახვახში მივიდნენ, რაც მუნ დევი ჰპოვეს სუყველა გაწყვიტეს, ისე რომ ერთი ცოცხალი არ გაუშვეს, იმ ჟამად საჰმანიც თან ახლდა. შემდეგ საჰმანი წავიდა და თავისი ამხანაგნი თერთმეტნი დევნი იპოვა და ყარამანის წინაშე მოასხა. რა მათ ყარამანი თვალ-ახილებული იხილეს დიდ სიხარულს მიეცნენ, მივიდნენ მიულოცეს და თაყვანი სცეს და ხელს აკოცეს. ყარამანმა იგი ქალაქი შუა გაჰყო, ნახევარი ათორმეტთ დევთა უბოძა და ნახევარი უმიან-ფერიას და სეილან-შეჰას. შვიდი დღე და ღამე ჯეზირ ვახვახში იარეს, სადაც დევი ან ჯადო მოახელეს სულ გაწყვიტეს. შემდეგ ყარამანმა სიმრუდს მოახსენა: ფრინველთა ხელმწიფეო, ჩვენი ვედრება ეს არის რომ ერთი ვალი კვალად დაგვდო და ქაფის მთისაკენ წა-

ფალევანო, ეგები ის წყეული ჭაზარეჭ-დასტი ხელთ ჭიგდოთ, სიმრუდი მაშინვე იმის ბრძანებას დაემორჩილა, იმ ღამეს იქ განისვენეს, რა დილა გათენდა აიყარნენ, სიმრუდზე ყარამანი შეჯდა, სეილან-შაჰა, დარუნ-შაჰა, მარუნ-შაჰა და უმიან-თერია, ყველა ესენი თან წაიყვანა, არც შეშეაიბარი დაუტევა და წარვიდნენ. რა მცირე ხანი იარეს ყარამანმა სეილან-შაჰა დაითხოვა და თავის სადგომს გაისტუმრა, იგინი კი ლხინსა და განცხრომაში იყვნენ, შვიდი დღე და ღამე ჰაერით მიდიოდნენ. ერთ მთასთან მიმავლობაში ერთი გუმბათის მზგავსი რაღაც დაინახა, რომლის საძირკველი მწვანის ზურმუხტით იყო ნაშენი, ისე შემკული იყო რომ კაცის თვალი უკეთესს ვერას ნახავდა. ყარამანმა სიმრუდსა ჰკითხა: ფრინველთ ხელმწიფევ, იმ გუმბათში რა უნდა იმყოფებოდესო? მან მოახსენა: ფალევანო, ის გუმბათი პაპის-შენის სიამქაშის სათლავია, ის ერთ დღეს მაღნარში ღვთის მიმართ ილოცვიდა, იმ დროს დევებმა ყაში დაიცვეს მოვიდნენ და ჰაერიდამ ჩაჰქოლეს, იმდენი ქვა დაყარეს რომ ვეღარ გადურჩა და მოკლეს, სამ წელ უკან პაპიშენის მამა ქეიომარ-შაჰმა ბევრი ძებნის შემდეგ იმისი გვამი იპოვა და რადგანაც ის უსჯულოთაგან წმინდა ღვთის ლოცვაში მოკვდა, ახლაც კი იტყვიან რომ ჯერეც იმის გვამიდამ სისხლი სწვეთსო. ქეიომარს ისეთი ძალი ჰქონდა საპყირანობისა რომ თავისი სიცოცხლე ყაფის მთის ბრძოლაში დაღამა. დიდი ღვთის მლოცავი კაცი იყო და მუდამ ღვთის ვედრებაში იმყოფებოდა ქეომარი თავის სიცოცხლეში ტახტსა და საპყირანობას თავის შვილს სიამქაშს აძლევდა მაგრამ ამას ეუბნებოდა, მე არა მშვენის ჩემ სიცოცხლეში მე საპყირანობა დავიპყრაო, ამის მიზეზით წარვიდა და მარტოდ-მარტო ილოცვიდა და განშორებით იმყოფებოდა. ისეთი კაცი იყო სიამქაში რომ დევნი იმის შიშით ვერ იძინებდნენ. ერთ დღეს ლოცვაში იმყოფებოდა, ეშმაკნი მოვიდნენ და დევებს შეატყობინეს, მოვიდნენ და იმ წყეულებმა ლოცვაში ჩაქვავეს როგორც მოგახსენეთ, შემდეგ პოვნისა აქ დაასათლავეს და ეს მატური ქეომარმა გააკეთებინა.

ყარამანმა სთხოვა სიმრუდს იმ მატურთან ჩამოხდომა და უთხრა მე მსურს ნახვა პაპიჩემის სათლავისა. სიმრუდმაც თხოვნა აღუსრულა და იმ მატურის კართან ჩამოახდინა, წინ მივიდნენ ნახეს რომ შიგნიდამ იყო დაკეტილი, ისე რომ კაცისაგან იმის გაღება არ შეიძლებოდა, მობრუნდა სიმრუდს და საჭმანს უთხრა: ყველა კარგი მაგრამ ეს კარი როგორ უნდა გავაღოთ? ამათ მოახსენეს, ფალევანო, მცირე ხანს ვუყუროთ და ვნახოთ რა საშუალებით გავაღებთ. ყარამანმა კარის ზევით შეხედა ნახა რომ რამდონიმე სტრიქონი დაწერილი იყო, ფალევანმა იგი წაი-

კითხა რომელზედაც ესე ეწერა: „ჰეი აქ მოსულო ჩემო ჩამომავლობავ, ამ კარების გაღება თუ ისურვო, სამ ნაბიჯზე გათხარე და გასაღებ იქ იხილავ და იმით გააღე", ყარამანმა სამ ნაბიჯზე გათხარა და გასაღები იქა ჰპოვა და კარები გააღო, რა კარები გაიღო, ისეთი სუნნელების სუნი გამოხდა რომ კაცის გონებას დაჰფანტავდა. ყარამანმა ღვთის სახელი ახსენა და შინ შევიდა, ნახა რომ სიამქაში ერთ კუბოში მდებარე იყო, მერმე აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა, ნახა რომ იგი აკლდამა სრულიად თლილის ქვით იყო ნაშენი და სამარის ძირს ქვით იყო მოკირწყლული, ფერი წითელ იაგუნდს უგვანდა, ისეთი სუნნელების სუნი უდიოდა რომ არც მუშკისა და არც ამბრის სუნი იმასთან არ მოვიდოდა და ის მატური სულ იმისთანა სუნნელებით იყო შეზავებული და იმ სუნნელების სუნი სულ იმ ნაშენ ქვისაგან გამოდიოდა. სიამქაშს თავისი იარაღები ყველა თავით ეწყო. ყარამანი წინ წადგა და იგი კუბო მხრით გაზომა, სამოცდა ხუთი მხარი გამოვიდა იმის სიგრძე და სიმაღლე დიდათ მოეწონა. იმის იარაღებიდამ ერთი ალმასის ლახტი ხელთ აიღო და ზედ ტარზე ეწერა შვიდი ათასი ლიტრაო, ყარამანმა დიდის თავაზით რამდონჯერ თავს შემოივლო და თავისავე ალაგს დასდვა, შემდეგ მივიდა და იმისი ჩასაცმელი ჯაჭვი ნახა, სრულიად ალმასით იყო შეთხუზული, ისეთი უცხო რამ იყო რომ კაცი იმის ქებას ვერ იტყოდა, მერე ხმალი გასინჯა და იგიც დიდათ მოეწონა, ყუაზედ ეწერა ექვსასი ლიტრა არისო, მერმე ქარქაშიდამ ამოიღო და პირი გასინჯა, მისი სიწმინდე და მკვეთელობაც დიდათ მოეწონე, იმ ხმლის ბრწყინვალეობა მზის სხივივით ანათებდა, ხმალი აგრეთვე ქარქაშს შეაქცია და თავის ადგილს დადვა. მოკლედ მოგახსენოთ ყარამანმა სიამქაშის სამოცდა ორი იარაღი გასინჯა, მოსაწონიც იყო და დიდათაც მოეწონა. შემდეგ წინ წადგა და იმის თავ ქვეშ რამდენიმე დაწერილი სტრიქონი იხილა, ფალჰევანმა იგი დაწერილი სტრიქონებიც წაიკითხა:

ესრედ ეწერა: "ჰეი ჯაი სეირდან შაჰარიარდუნ სანი ბუნდა სოუზ გარ ბეილა სან ქიმ ბანდაზი. ჰეი შაჰასე ვარ ბუნდად ავალ შაჰი სიამ ნამ დურ ბარი ბარუნ მარიქი ჰანქი ვარ, ყამუ ბანდახ ეოჰყარი და ბიყარ არ ადლუ დაედილა ჯანდა. შოლა ბილო ბრუსულ დუნ ალთი იუზ იქი ისმალ, რაუბად ბუდუურ დუნია იმან ბანდახი ყალმადი ბილსაან ქაბი სანდა ყალმა ბედოვრი ზუზკარი ქიმი დურ ტუთან ბუალ ამალი ყასარ".

ამის თარგმანნი: „ჰეი შენ ქვეყნის მპყრობელო ხელმწიფევ, შაჰასი ვარ, ამტონი წელიწადის ქვეყანაზედ კარგის ცხოვრებით ვიცხოვრე, ბო-

დოს კიდევ სიკვდილმა კალთა დამიჭირა, მრავალს ვეცადე იმისაგან დახსნას, მაგრამ წამალი არა დამედვარა და ჩემი სიცოცხლის დასასრული სიკვდილით იყო. რა ესე დაასრულა მეორე მხარეს შეხედა ნახა რომ ორი კუბო ძვეს უცხოთ შემკული, დიახ ტკიც დიდი ზომისა იყო, ორსავე ზედ სტრიქონები ეწერა. პირველზე ესე ეწერა. ოჰე კაცო, აქ მოსულო, თუ ხარ ჩემი გვარისა, ესრეთ შეიტყე რომ მე ვიყავ სიამქაშის შვილი თახ-მურად ხელმწიფე დიდად ამაღლებული და მძლავრი, ისე რომ ჩემს სიცოცხლეში რაც ქვეყანაზედ ხელმწიფენი იყვნენ სულ მე მმორჩილებდნენ, არავერი ნაღველი არა მქონდარა, ერთი შვილი მყვანდა სახელად ყარამანი ერქვა. ეს რომელიც ჩემ გვერდით განისვენებს, ჩემი ძმა გვარჯასპია, ერთი შვილიც მაგასა ჰყვანდა სახელად ყათრანი ეწოდა მაგრამ ჩემი შვილი უფრო პატარა იყო, ერთ ჟამად დევებმა მომტაცეს და წაიყვანეს, მისმა ნაღველმა გამათავა და ვეღარ გავძელ. რა ვნახე რომ ჩემი სიკვდილი მოწეულა, ეს ანდერძი დავაგდე რომ როცა მოვკვდე მამაჩემთან დამმარხონ, აგრეთვე ჩემი ძმა გვარჯასპი, რადგან წმიდა ადაგია. აჰა შვილო ყარამან ჩემი თვალი შენ გზაზე დარჩა, შენმა ნაღველმა გამათავა, ნეტავი შენ ქვეყანაზე ცოცხალი იყო და შენის ჭირის სანაცვლოდ შევიქმნე. აჰა შვილო ყარამან ვინიცობა აქ სადმე მოხვიდე ეს ჩემი და პაპიშენის საფლავი იხილო, შენდობა გვადირსე. საყვარელო შვილო, არამც ამპარტავნობამ მოგატყუოს და ღმერთი დაივიწყო, თორემ მიწაც არ გეღირსება და ღმერთთანაც პირშავი დარჩები. შვილო, მე ვეღარ მოვასწარ რომ ეს ადაგი სასაფლავოდ გამეკეთებინა და დარჩა ამ მატურის სინაბარათ. აჰა შვილო ანუ ჩემო ჩამომავლობისავ, ჩემი ანდერძი ეს არის, რომ როგორც მე, მამაჩემს და ჩემ ძმას ეკადრებოდეს იმისთინა სასაფლაო გააკეთეო. მეორეც ეს არის ჩემი თხოვნა რომ თუ იყო ძლიერთა ძლიერი უღვთოთ ძალას ნუ დაიკვეხებ და თუ იყო ხელმწიფე მოწყალე და მოსამართლე იყავ და ჭეშმარიტი ღმერთი გიყვარდეს. თუ იყო საბოყირანი თავ-მდაბლად იყავი და უღმერთოთ საქმეს ნუ დაიჭერ. აჰა შვილო, თუ ჩემი შვილი ხარ, შენთვის ეს სამოცდა სამი იარაღი ანდერძათ დაგიტოვე რომელიც აქვე პატარა ოთახში აწყვია“.

ყარამანმა რომ ესე ყველა ამოიკითხა, ცრემლები გადმოყარა და მამისა და პაპის საფლავზე ლოცვა სთქვა და შენდობა მოახსენა. შემდეგ მობრუნდა და საჭმანს უთხრა აგრეთვე სიმრულს, კარგი ბედი იყო რომ ჩვენ ამას აქ შევხვდითო და მმართებს მამაჩემის ანდერძის შესრულებაო.

ამაზე სიმრულმა და საჭმანმა მოახსენეს: საბოყირანო დიად გმართებს, ისეთი რამ ააშენო რომ არას ქვეყანაში არავისგან არც აღშენებულ-

იყოს და არც აშენდესო. სხვა ესე იარაღებიც ქუწუკისათვის კარგი იქ-
ნებაო. ყარამანმა ბრძანა: ჩვენ აქ ბაღი და სასაფლაო გავაკეთოთ და მა-
ნამ ეგებთ იმ წყეულმა ჭაზარექ-დასტმა ჩემი დაბრმავება შეიტყოს და
აქეთკენ წამოვიდეს და ჩვენი გრძელი გზა შემოკლდეს და ეგები ჩვენი
ქვეყნიდამაც ერთი რამ ამბავი მოგვივიდესო. რა ესე ლაპარაკი დაასრუ-
ლა, თავის ერთგულ თორმეტ დევს დაუძახა და პირველად საჭმანს უბრ-
ძანა: შენ წადი ქუი-ათეშის მთაში და რაც იქ დევები არიან სულ აქ მო-
ასხით. მერე მეორე დევს უბრძანა: შენ წადი ანგურ და შაჭყუნნარა დევ-
თან და უთხარ რომ თავიანთ ლაშქრებით აქ მოვიდნენ, მესამეს უბრძა-
ნა, შენ წადი და ქუი-ყაფის დევები აქ მოასხით. მეოთხეს უბრძანა: შენ
წადი ანუაფუზ დევს უბრძანე რომ თავის ლაშქრით აქ მოვიდესო. რადა
გავაგრძელო, ესენი ყოველ მხარეს გაგზავნა და რაც თავისნი ხელ-
ქვეითნი დევნი იყვნენ, სრულიად თავისთან მოიწვია და დევთა ლაშქარ-
მა ყოვლის მხრიდამ დენა დაიწყეს. თუ დევნი თუ ფერიანი ყოველნი
მოვიდნენ და თაყვანი სცეს. ვინც დაჯდომის ღირსნი იყვნენ მათ და
ჯდომა უბრძანა, მაგრამ ყველას უკვირდათ და თავიანთ გუნებაში ამბო-
ბდნენ რომ რათ უნდა ამდონი დევთა და ფერიათ ლაშქარი რომ მოა-
გროვაო?! შემდეგ უმიან-ფერიაც დაიბარა და იგიც მაშინვე მოვიდა, ყა-
რამანს მიესალმა და ერთმანერთი მოიკითხეს, შემდეგ დიდი მეჯლისი გა-
მართეს. მეჯლისში რომ ყველა გამხიარულდა, ყარამანმა ბრძანა: დიდე-
ბულნო და მცირეულნო, თქვენ იცით აქ რისთვის შეგყარეთ? მე მწადს
მამის ჩემის ანდერძი ავასრულო და დიად კარგი ალაგიც არის. მე მნე-
ბავს აქ ისეთი სასაფლაო გავაკეთო რომ ქვეყანაზე იმისთანა არავის გა-
ეკეთებინოს, სულ თილისმებით შეზავებული უნდა იყოს, ისე რომ არა
საბყირანს და არა ხელმწიფეს არ გაეკეთებინოს ისე რომ ჩემი სახელი
მეორეთ მოსვლამდინ იხსენიებოდეს და რამინის საფლავსაცა სჯობდესო.
ჵე დიდებულნო თქვენთვისაც სახელი იქნება, ამას იტყვიან რომ ამის-
თანა ხელოვანნი დევნი, ჯინნი და ფერიანი მეგობარი ჰყოლიაო და გა-
მკეთებელს ცხონებას ეტყვიან. და მე კი დიდათ დამავალებთ, როგორც სუ-
ლეიმანის ბაღის სახელია და გამკეთებლის სახელი იხსენებაო. ახლა
თქვენზედ მომიგდია ისეთი რამ უნდა გააკეთოთ როგორიც ჩემს საბ-
ყირაობას ეკადრება, ისეთი დიდი უნდა გააკეთოთ რომ ექვსი ადაჯი სი-
გრძე ჰქონდეს, ექვსი განი და კედლის განი ოცდა ათი მწყრთა უნდა
იყოს და ორმოცი მწყრთა სიმაღლეო, თორმეტი ფერი მადნის ქვით
უნდა შეაზავოთო და ისეთი თილისმები უნდა გააკეთოთ რომ არა იარა-
ღი არ მოეკიდებოდესო, არა ხელმწიფეს არა საბყირანს და არა დევს

იმის სიახლოვეს მისვლა არ შეეძლოს, ეს სასაივლათ მხოლოდ ჩვენი გვარეულობისთვის უნდა იყოს.

რა დევთა და ფერიათა ფარამანისაგან ესე გაიგონეს, ყველანი ფეხზე წამოდგნენ თაყვანი სცეს და მოახსენეს: ადიდოს ღმერთმა ძლიერება თქვენი და სააბჯირანობა, ჩვენზე უკლებრივ იყოს შენი წყალობა. სააბჯირანო, ჩვენ ესე ვიცით რომ აღმოსავლეთიდამ დასავლეთამდე შენისთანა სააბჯირანი არც დაბადებულა და არც თუ დაიბადება. თქვენი სახელი და ძლიერება სამას წელწადს წინათ შეტყობილი გვაქვს რამლით და რადგანაც თქვენი საწადელი ეგ არის, ისეთ რამეს გაკიკეთებთ რომ ქვეყანაზე არც გაკეთებულიყოს და არც თუ გაკეთდეს, ვითა თქვენი სახელი ამაღლებულია ისე თქვენი გაკეთებული ბაღისა და სასაფლაოსი უნდა იყოს.

რა ფარამანმა მათგან ესე სიტყვები მოისმინა, ვინც კარგნი ოსტატნი იყვნენ, შაჰყუნნარა დევსა და სხვათა მრავალს ხალათები დაურიგა და სთქვა: მე ძლიერ მაკვირს საჭმანმა რათ დაიგვიანაო, მაშინ შაჰყუნნარა დევმა ბრძანა და ასი ათასი დევი ოკეანეს ზღვაზე გაგზავნა, მადნის ქვებისათვის, ასი ათასნი დევნი ყაფის მთაში წარვიდნენ და ასი ათასიც ჯანი-ჯუნუმის ქვეყანაში. პირველად რომელნიც ოკეანეს ზღვაზე წავიდნენ, რაც იქ ქალაქები იყო, სულ დაანგრიეს, ოთხი ფერი მადნის ქვა იპოვეს, გამოზიდეს და სულ იქ მოიტანეს. ისეთი გვარის ქვა იყო რომ ალმასივით ელავდა; ოთხი ფერი მადნის ქვაც ყაფის მთიდამ მოიტანეს, ოთხიც ჯანი-ჯუნუმიდამ, რომელიც შესრულდა თორმეტი ფერი მადნის ქვა. რა ესე შეასრულეს მას შემდეგ ოთხი ათასი დევი დააყენეს და საძირკველი მოათხრევინეს, ისე ღრმად რომ წყალზე დადგა. საძირკვლის თხრას რომ მორჩნენ, მაშინ შაჰყუნნარა დევმა გააკეთა სპილენძის ჩარხები და მილები თითისმით. სამი საძირკვლის ძირი დიდრონი კლდის ქვით აავსო და მდინარი ტყვია ასხა შიგ და ის მილები, ჩარხების შიგ ჩატანა, ისრე რომ დედამიწამდის ამოიტანა, ყოველმა ნახეს რომ ამ საძირკვლიდამ ისეთი ხმები ისმოდა რომ მეორედ მოსვლის ხმასა ჰკავდა. რა ფარამანმა ამისთანა ოსტატობა ნახა შაჰყუნნარა დევს დიდი ქება შეასხა და ერთი ისეთი ხალათი უბოძა რომ ერთი ქვეყნის წლის ხარჯი იყო.

## აქ ესენი დაუტეოთ და მცირე რამ საჭმანის ამბავი მოვიხსენიეთ.

იმ ჟამად საჭმანი რომ წავიდა და დევებს შეატყობინა, თვითონ ბროლი-იაზამის მთის კალთაში ერთს მაღაროს შეხვდა, ნახა რომ ამ მაღაროს კარებთან ორი ბერი დევი იდგა, რა ახლოს მივიდა იმათ საჭმანი დაინახეს და მაშინვე მოვიდნენ, თაყვანი სცეს, საჭმანმა თავის გუნებაში სთქვა: ნეტარ ესენი ვინ უნდა იყვნენო! საჭმანმა მაღალის ხმით შესძახა: დევნო ვინა ხართო?! ანუ ამ მაღაროში ვინ იმყოფებაო?

მათ მიუგეს: ჩვენი ხელმწიფის ბიძის ძეო. მადლობა ღმერთს რომ ყარუნ-შაჰას თილისმიდამ გამობრძანებულხართ, ნუ თუ არ გვიცნობთ? თქვენი ბიძის ძის ფარვას-დევის ყმანი გახლავართ ჩვენაო. რა საჭმანმა ფარვან დევის სახელი გაიგო, არა მცირედ იამა და მაშინვე მაღაროში შევიდა. რა დარბაზს შევიდა, ნახა რომ მრავალი დევთა ყრილობა იყო. რა საჭმანმა ფარვან-დევი დაინახა მაშინვე იცნა რომ თავისი ბიძის ძე იყო. რა იმ დევთა იხილეს რომ ერთი საკვირველი და საშინელი დევი შევიდა, მათგან ერთი წინ წადგა და ფარვან-დევს მოახსენა: მიხარებია, თქვენი ბიძაშვილი საჭმან-ადამზადი გიახლათო. რა ფარვან-დევმა საჭმანის მისვლა შეიტყო ადგა და წინ მიეგება, მიესალმნენ და ერთიერთმანერთს მოეხვივნენ და სიყვარულით მოიკითხეს- შემდეგ დასხდნენ და ტკბილად იმუსაიფეს, ფარვან-დევმა უთხრა: საჭმან მადლობა ღმერთს რომ იმ ძნელ საკანიდგან დახსნილხარ! ნეტა იმისთანა ღვთიანი და ძლიერი ვინ იყო რომ იქ მოახწია და თქვენ გაგანთავისუფლათო, საჭმანს რაც თავს გადახდოდა ყოველივე უკლებლივ მოახსენა: ყარამანის ძლიერება დევთა ზედა და სრულიად ქაჯთა და ფერიათ დამორჩილება და ჭუჟუნუსურასაგან მისი დაბრმავება და უმიან-ფერიისაგან მის განთავისუფლება, ახლა სასაფლაოს გაკეთება, თავისაგან და თავის ამხანაგთაგან, ყარამანის მონობა მრავალი ქება მოახსენა ყარამანისა: შემდეგ ფარვანმა ჰკითხა: მაშ ახლა ჩემი მაგირდები მაჭუჟუნნარა და მაქილ იქ იქნებიან? საჭმანმა მოახსენა: დიახ იქ გახლავანო და სხვანიც მრავალნი. რა ფარვან-დევმა ყარამანის ამდენი ქება მოისმინა, საჭმანს უთხრა: ჩემო ბიძის ძეო, რადგანაც ყარამანი მაგოდენი მიქე, მეც გული გამომეცვალა და მინდა გიახლო ყარამანთან და ჩემ სიცოცხლეში მას ვემსახურო. რა ესე მოიუბნეს შემდეგ მეჯლისი გამართეს და სამი დღე და ღამ ლხინობდნენ. მეოთხე დღეს ფარვან-დევმა ბრძანა და ოცი ათასი დევი მოამზადა და რაც თილისმის ია-

რაცი ჰქონდა ყოველივე იმ დევთა აჰკიდა და თვითონ წინ გამოუძღვნენ ოცი დღე ბარეს და ყარამანს მოახლოვდნენ და ორი დღის სავალზე შენ ჩამოხტნენ, ფარვან-დევმა მოახსენა საჰმანს, ამ დევთა ნუ მოშორდებით და მნებავს რომ ამ მთაზედ მცირე ვინადირო. საჰმანმა მოახსენა: ბიძისა ჩემის ძეო, წაბძანდი მაგრამ ჩვენის მხრის დევებს გაუფთხილდი, იქნება ვერ გიცნონ და ფათერაკ არას წაეკიდო. რა ესე სიტყვა დასრულა, ფარვან-დევი მაშინვე თავის იარაღით შეიჭურვა, თავის რკინის კეტი მხარზე გაიდო და მთის წვერზე გავიდა.

## ეს ამ მთაზე დაუტეოთ და მცირე რამ ყარამანისა მოიხსენიეთ.

იმ ჟამად რა ფარვან-დევი სანადიროდ წავიდა მთაზე, ყარამანიც იქით მხარეს ნადირობდა მასვე მთაზე, ფარვან-დევმა ნახა რომ ერთი ვიღაც კაცი დაიარებოდა სანადიროდ. სამოცდა ორი იარაღით შეჭურვილი და რამდენიმე დევნიც მას უკან ნადირობდნენ, ფარვან-დევი საკვირველებას შიეცა და თქვა: ნეტა ეს მამაცი ვინ უნდა იყოსო, იქნება რომ ის იყოს რომელიც საჰმანმა აქო იმის ფალევნობა; მოდი ამას გამოვცდი და თუ მამერევა შევეხვეწები და გამანთავისუფლებს. საჰმანმა როგორც მითხრა მოწყალე გულის პატრონიაო და არცა მგონია თუ მსწრაფად გამათავოს. ფარვან-დევი რომ ამ განზრახვაში იყო, ყარამანმა იქიდამ შემოხედა ნახა რომ ერთი საშინელი დევი დიდის მრავლის იარაღით შეჭურვილი და მხარზე რკინის კეტი უდევს და ორი თავი აბია და შეუპოვრად დადის. ყარამანმა თქვა ღმერთო ეს ვინ უნდა იყოსო, ეს დევი ამის მეტად არსად მინახავს და ესეც იქნება ჭეჟრ ყსურას ნათესავი ვინმე იყოსო. მე ამას დავიჭერ და წვალებით მოვკლავო, ესე თქვა და შესძახა: ჰეი შენ დევო, ვინა ხარ?! რა გეწოდება და ანუ რას დადიხარ? გამიფრთხილდი რომ მიწასთან მინდა გასწორება შენი თავისა. ესე სიტყუვა რომ დასრულა, ფარმან-დევისაკენ წამოვიდა. რა მან დევმა ყარამანისა ესეთი განრისხება იხილა თუმცა მცირედ შეშინდა მაგრამ ფარმან-დევს ენება მისი გამოცდა და იქიდამაც დევმა შემოსძახა: ჰეი შენ მოწადამ ნაშობო! შენ როგორ გაბედე ამ მთაზე მოსვლა? გამიფრთხილდი რომ მინდა მიწასთან გაგასწოროვო! ესე შესძახა და ორთავემ მძამე ლახტება ურთიერთს შეუმადლეს, პირველი ფარვან-დევმა დაჰკრა და არა მცირე ძალა დაადგა, მისი ძლიერება მოეწონა ყარამანს, მეორე და მესამეც დაჰკრა, მაგრამ ყარამანს დიდი ძალა დაადგა. რა რიგი ყარამანს ერ-

გო თავისი მძიმე ლახტი შეუმაღლა. ფარვან-დევმა ფარი იფარა, მაგრამ ისე ძლიერად მოხვდა რომ ფარმა ვეღარ გაუძლო შუა გახეთქა თავს მოხვდა და ორ ალაგ გაუჩეთქა, ასე რომ დაბნედას ლამობდა, მაგრამ ძალა იხმარა და ჭკუა შემოიკრიბა, რა მეორეც უნდა დაეკრა, მაშინ ფარვანი წინიდამ უჩინო შეიქმნა, რა ყარამანმა ესე იხილა არა მცირედ ეწყინა და თქვა: ესეც ჭეუჩუსურას ბიძაშვილი იქნებოდა და ანუ ნათესავი, თორემ ამ გვარი საქმე არავის შეეძლო ჩემთან, შემდეგ შესძახა: ჭეო შე ბილწო, აბა სად წახვალ ხელთა ჩემთაგანაო — თუმცა ოკეანეს ზღვაში შთახვიდე იქიდამაც კი გამოგიყვანო. იგი რომ უჩინო შეიქმნა, მივიდა ერთ ალაგ დაჯდა და დიდიხანი უსულოთ ეგდო, რა გონებას მოეგო თქვა: უთუოდ იგი ყარამანი იყოვო, როგორც საჭმანი მიქებდა კიდეც ყოფილაო. თუ მეორეთაც დაეკრა კიდეც მომკლავდაო. შემდეგ იფიქრა და თქვა: მოდი ჩემო თავო ერთსაც გამოვცდიო და უფრო უკეთ გავიგებ ვითარი გულისა არისო. ესე თქვა და ერთ საშინელ შვიდ თავიან ვეშაპათ გარდაიქცა, ერთი დიდი მთის ოდენი შეიქმნა და მაშინვე ყარამანისაკენ წამოვიდა, მაშინ ყარამანი განრისხებული მიმოიხედვიდა მთაზე რა იგი დევი უჩინო შეიქმნა, მაშინ ერთი საშინელი ხმა მოესმა და ოთხსავ მხარეს ყურება დაიწყო, იხილა რომ მთის წვერიდამ ერთი საშინელი ვეშაპი მოდის რომელსაც შვიდი თავი აბია, ასეთი მრისხანედ მოდის რომ კაც შეეზარებოდა, კუდი ზეცამდის აეწია, პირიდამ ცეცხლსა ჰყრიდა და გაცეცხლებული ყარამანზე მოდიოდა. ყარამანმა თქვა: ეს ვეშაპი ბიძაჩემ გარსამიბთან რომ მოვკალი სწორედ იმასა ჰგავსო და ამისგან სიფრთხილე მმართებსო. ამ განზრახვით უყურებდა, ნახა რომ თავის დევებთაგან რამდენიმე წინ დაუხვდნენ და მან წყეულმა ხუთი დევი იხელთა და ერთად ჩაყლაპა, სხვანი კი გაიქცნენ და დაიძახეს სააბყირანო გაუფთხილდი რომ ამისთანა ვეშაპი ჩვენ არასოდეს არ გვინახავო! ყარამანმა შეხედა რომ იგი ვეშაპი თან და თან მოახლოვდა, ყარამანმა მშვილდ-ისარი მოიმართა. ენება რომ შეეტყორცნა, მაშინვე იგი ვეშაპი ასე ამაღლდა რომ ისარი ვეღარ მისწვდებოდა. ყარამანი გაკვირვებული მას უყურებდა. ნახა რომ იმ ვეშაპის პირიდამ იმოდენა ცეცხლი სცვივა რომ ჰაერი სრულიად ცეცხლით აღივსო და ყარამანზე სცვივა. ამაზედ ყარამანი არა მცირე ფიქრს ჩავარდა, ფარვან-დევმა ჩამოიხედა ნახა რომ ყარამანი მთასავით დგას და არ გაქცეულა, მაშინ ცეცხლის ყრა დაყენა. ყარამანმა ნახა რომ იმ ვეშაპის პირიდამ ერთი რაღაც ჩამოვარდა, მივიდა და მსწრაფლ ხელში აიღო ნახა რომ ერთი ასეთი ბეჭედი იყო რომ თუ ვსთქვათ მისის ფასის დადება არ შეიძლებოდა, ყარამანი დიდათ გა-

ჰკვირდა ამ ბეჭდის ნახვით, რა იგი ბეჭედი აიღო გაკვირვებული ვეშაპს ყურება დაუწყო, ნახა რომ იგი მთის ოდენი ვეშაპი ერთ მტრედათ გადაიქცა და აღმოსავლეთისაკენ გაფრინდა.

ყარამანმა რომ ესე იხილა არა მცირეს საკვირველებას მიეცა და წამოვიდა; გზაზედ ნახა რომ ის ხუთი ჩაყლაპილი დევებიც მოდიან. რა ყარამანთან მოვიდნენ, თაყვანი სცეს, ყარამანი ამათზე გაშტერებული უყურებდა ამ ხუთთა დევთა და უთხრა: დევნო თქვენ ხომ ვეშაპმა ჩაგყლაპათ; მათ მოახსენეს: საამყირანო ჩვენ მაგისთანა საქმე არაოდეს არა გვსმენია, არც გვინახავს, რა ჩვენ დაგვიჭირა და გადაგვყლაპა ერთიც ვნახეთ რომ უკან გაგვყარა და იგი ვეშაპი ამაღლდა და ცეცხლით მორთო ჭაური და შემდეგ ვეღარ ვიხილეთ საით წარვიდა და ჩვენც აქეთკენ გამოვეშურენით. ამისთანა საუბრით თავიანთ ბინაზე წამოვიდნენ, მაგრამ ყარამანი დიდ საგონებელ ჩავარდა და ასე იტყოდა თუ იგი ჯადო იყო, ეს ბეჭედი რაღა არისო?!

## აქ ეს ამბავი დაუტეოთ და მცირე რამ საჰმანის ამბავი მოიხსენიეთ.

რომელსაც ფარვან-დევმა ბეჭედი ჩამოაგდო და თვითონ მტრედათ გადაიქცა, საჰმანთან თავისივე სახით მოვიდა და გვერდით დაუჯდა. საჰმანმა ჰკითხა: ბიძის ძევ სად იყავ, ან რა ინადირეო? ფარვანმა მოახსენა: აქედამ რომ წაველ ერთ კაც შემოვხვდი იმისთანას რომ ჩემს სიცოცხლეში იმისთანა გულოვანი არ მინახავს და არც თუ ამბათ მსმენია; მგონი რომ იგი შენი ნათქვამი ყარამანი უნდა იყოსო; და კიდეც გამოვცადე მაგრამ თუ იმას თვალწინ არ დავკარგოდი და მეორეც დავკრა მიწასთან გამასწორებდა, შემდეგ ვეშაპათ ვიქეც ვერცა თუ მაშინ შევაშინე, ბოლოს რომ არ იქმნა მაშინ ჩემი ბეჭედი ჩაუაგდე და მე აქეთ წამოველ, რაღა ნადირი და ან სხვა რამ მაგონდებოდა, საჰმანმა მოახსენა: ჩემო ბიძის ძეო, კარგია დროზე წავიდეთ თორემ მე იმის ზნე და ხასიათი ვიცი ძალიან შესწუხდება ვიდრე შენ ვინაობას შეიტყობს.

მაშინვე აიყარნენ და ყარამანისაკენ წამოვიდნენ, ორი დღე გზაზე იარეს და ყარამანის სამყოფს მოახლოვდნენ. რა ყარამანის დევთა ნახეს რომ საჰმანი მოდის და ერთი ორ თავიანი დევიც მოზდევს, ყოვლის თილისმის იარაღებით შეჭურვილი, მაშინვე შევიდნენ და ყარამანს აცნობეს და მოახსენეს: საამყირანო, საჰმანი გიახლებათ და თან ერთი საკვირველი ორ თავიანი დევიც მოჰყავსო და ოცი ათასი დევნიც სხვა თან

მოზდევდნო სულ თილისმის იარაღით დატვირთულნი. რა ყარამანმა ორ თავა დევის სახელი გაიგონა, დიდათ ამოიოხრა და ის დევი მოაგონდა რომელიც მთაზე ებრძოლა და გაქრა. ყარამანი მაშინვე კარზე გამოვიდა და ნახა რომ საჭმანიც თან მოზდევდა, რა ამათ ყარამანი დაინახეს ფარვან დევმა მაშინვე იცნა რომ იგი თავის ზარის დამცემი იყო, საჭმანი შევიდა და კალთას აკოცა, აგრეთვე ფარვან-დევიც წარსდგა თაყვანი სცა ყარამანს და ხელს აკოცა, შემდეგ წინ დაუჩოქა და დანაშაულობის მიტევებას ევედრა. რა ყარამანმა იგი დევი იხილა, იცნა რომ რომელიც მთაზე შეებრძოლა იგი იყო, ამისთვის ყარამანმა დიდათ გაიხარა, იმიტომ რომ იმის უცნობლობისთვის მწუხარეობდა. ახლა ამისთვის ყარამანს დიდათ იამა. მაშინვე ბეჭედი ამოიღო, უჩვენა და უთხრა: შეკობარო ხვადო დევო, ეს ბეჭედი შენია თუ არა? ფარვან-დევმა მოახსენა: საბყირანო, ეგ ბეჭედი ჩემი გახლავთ მაგრამ მაღლიდამ თქვენდა საქებრად მოგართვით და სხვაც მრავალი სამსახური მაქვს თქვენთვის. რა ყარამანმა მისი ვინაობა შეიტყო, მაშინვე ხელი მოჰკიდა საყელო და ბრძანა თავის გვერდით მისთვის კარვის დადგმა და მაშინ საჭმანმა მოახსენა: საბყირანო, ქვეყანაზე რასაც ჩემის გუნებისას ვეძებდი აჰა გპოვე და ეს არის, ბიძის ჩემისა შვილი და სახელად ფარვან-დევი ჰქვიან, ამისთანა მეთილისმე და ჯადო ქვეყანაზე არც ყოფილა და არცა თუ დღეის შემდეგ იქნება. ეგე მაქილ დევი და შაჰყუნნარა ამის შაგირდნი არიან და მხოლოდ თითო წელიწადს უმსახურნიათ. რა ფარვან-დევი ვიპოვე, ასე მგონია ქვეყანა ვიპოვნე, რა თქვენი ქება მოვახსენე მაშინვე თქვა, რადგანაც მაგისთანა ძლიერი და მოწყალე საბყირანი ბრძანებულა მეც თან გიახლებით და რადგანაც იმას მოუწადინებიათ ციხისა და სასათლაოს გაკეთება, მე იმისთვის ასეთ ციხეს და სასათლაოს გავაკეთებ რომ ქვეყანაზედ არც გაკეთებულიყოს და არც გაკეთდესო. შემდეგ იქიდამ წამოვედით და აქ შენთან გიახელით.

ახლა ჩემის მხრით მეცა გთხოვ საბყირანო რომ ამას თავის შეცოდება მიუტეო, რადგანაც გეწინააღმდეგა თქვენ და გამოსაცდელათ ჩაიდინა თქვენთან ბრძოლა. ყარამანმა რომ ფარვან-დევის ვითარება შეიტყო და ხელოვნება, არა მცირედ იამა — და მაშინვე მეჯლისი გამართეს. რა დევთა შეიტყეს რომ ფარვან-დევი მოსულა, მსწრაფლ ყოველნი მოვიდნენ და ფარაან-დევს ხელს აკოცეს, რა ყარამანმა ფარვანის ამისთანა უფროსობა იხილა, მაშინვე უცხო ხალათები უბოძა და მრავალი დევთა ქვეყნები დაჰპირდა და უთხრა: ფარვან, ამას შემდეგ ჩემი საყვარელი და ერთგული შენც უნდა გახდე, ვითარცა საჭმანი და მისნი ამხანაგნი, ამ

ახალ შენობის ციხის ყურისობაც შენთვის მომიცია და ახლა შენ იცი.

რა ფარვან-დევმა ყარამანისაგან ამისთანა წყალობიანი სიტყვა მოისმინა, მივიდა თაყვანი სცა და კალთას კოცნას ლამობდა, მაგრამ ყარამანმა არ გაუშო, შემდეგ ფარვანმა მოახსენა: სააბყირანო, ადიდოს ღმერთმა ძლიერება თქვენი და ამაღლოს სახელი თქვენი, ვითა მზისა და მთვარისა, ვგონებ რომ ამ ორი ათასი წლის განმავლობაში, თქვენებრივ სააბყირანი არც ყოფილა და არც თუ დაიბადება, ამიტომ მე მმართებს თქვენი ერთგულად სამსახური, ასეთი ციხე ბაღი და სასათვლაო გაგიკეთო რომ აღმოსავლეთიდამ დასავლეთამდე არ მოიპოვებოდეს. როგორც თქვენი სახელი და ძლიერება არის ამაღლებული, იმ ციხის სახელიც ისე უნდა ავამაღლო, ისე რომ სულეიმანის ბაღი მასთან ერთის კუთხის ტოლაც არ იყოს.

ყარამანმა რომ ფარვან-დევისაგან ამისთანა ბჭყითი სიტყვები ისმინა, მაშინვე ბრძანა და ერთი უცხოთ გაკეთებული თაჯი მოიღეს და თავს დაახურეს, რომელიც დევთა ხელმწიფის ღირსი იყო და ერთი დევთა ქვეყნის ხელმწიფობაც უბოძა და წლიურ ჯამაგირად ასი ათასის თუმნის ოქრო გაუჩინა. რა ფარვან-დევმა ამისთანა წყალობა მიიღო, მერეთ თაყვანი სცა ხელს აკოცა და მოახსენა: სააბყირანო, თქვენსა მოწყალებას ნახევარსაც არა ვარ ღირსი. მაგრამ აჯა და ჩემი მოხსენება ეს არის რომ ამ ორ წელიწადს, თქვენ განსვენებაში და ნადირობაში ბრძანდებოდეთ; შემდეგ ამ ორი წლისა თქვენ ციხე-სასათვლაოს და ბაღს ისეირნეთ. ამ სიტყვის თქმაში მაქიდ და შაჭყუნნარამ ერთმანერთს უთხრეს ეს დიდ შემძლებელია ყოვლის ფერისა და ჩვენთვისაც უმჯობესია რადგანაც მრავალ თილისმებს ვისწავლით. მაშინვე ყარამანმა ყოველი დევი და ფერიანი, ფარვან-დევს მიაბარა და გამოუცხადა ყოველთა მისი მორჩილება, მათ ყოველთა თავი დაუკრეს და თითონ სააბყირანი ნადირობასა და შექცევაში იმყოფებოდა. ფარვან-დევმა მაქიდ და შაჭყუნნარა თან წაიყვანა და ყოველი დევთა ჯარი და რაც ნაკლები რამ ჰქონდა ყოველს მხარეს დევნი გაგზავნა და მოატანინა, მრავალი თვალი ალმასი და ოქრო-ვერცხლი და სპილენძი, ას ათასმა დევმა ყოველ დღე სულ ამისთანა ნივთი ზიდეს და ფარმან-დევმაც ხელი მიჰყო ბაღის კეთებას.

## აქ მცირე რამ ქუჩუკ-ყარამანის ამბავი მოიხსენიეთ.

რა ყარამანი ჭაზარექ-დასტისაკენ წამოვიდა იმ ჟამად ქუჩუკი სამი წლისა დაუტევა. მას შემდეგ, ამ დროს განმავლობაში თორმეტმა წე-

დაწადმა განვლო, მაშინ რასაკვირველია ქურუკი თხუტმეტი წლისა შეიქმნებოდა. ქურუკი ასეთი ძლიერი ყრმა შექმნილიყო რომ ყოველთა ზედა მეტობდა. როცა ნარიმანი, ყარამანის ძე ქურუკის მამა, ქაბულის ქვეყანას ხელმწიფეთ იჯდა და როცა მამა-შვილი სანადიროთ წავიდოდნენ თავისის დიდებულებით, იგინი ხედავდნენ რომ შვილი მამაზედ მეტობდა ყოველს ნავარდობაში, — და ღმერთს ახვეწებდნენ მისს დღეგრძელობასა.

## აქ მცირე რამ შაჰპალ-შაჰას ამბავი მოიხსენიეთ.

მას ჟამად შაჰპალ-შაჰამ ნახა რომ სამმა თვემ განვლო ყარამანის დაბრმავება, მაშინ საბურანის მალვით ერთი წიგნი მისწერა ნარიმანს და ყარამანის დაბრმავება შეატყობინა, ამისთვის რომ ეგება ყარამანთან მოსულიყო და რამე ეშველა. ორ ფერიას მისცა წიგნი და ქაბულისაკენ გაისტუმრა. ეს ორნი ფერიანი ბრძანების მორჩილნი გაფრინდნენ, დღე ღამ იარეს და ქაბულის ქვეყანას მიაწიეს. მაშინ იმ ქვეყნის კაცთა იხილეს რომ ჰაერიდამ ორი ფერია ძირს ჩამოხტნენ. იმ ჟამად ხელმწიფესთან ისხდნენ ბურჯ-ვეზირი და ნარიმანი და ყარამანის ამბავს ლაპარაკობდნენ, მაშინ კარის კაცნი შევიდნენ თაყვანი სცეს და მოახსენეს: ჰა ერით ორი ფერია მოვიდაო; ბურჯ-ვეზირმა მაშინვე მოახსენა: ეს მომსვლელნი ფერიანი საბურანის მოამბენი იქნებიანო, მაშინვე სამნივე კარში გამოვიდნენ და იგინი ფერიებიც ახლნენ თაყვანი სცეს და ნარიმანს ხელს აკოცეს და შაჰპალ შაჰას წიგნი მიართვეს. მაშინვე შინ შევიდნენ და იგი წიგნი წაიკითხეს, რა ნარიმანმა ამოიკითხა თვალებიდამ ცრემლები გადმოსცვივდა უეცრად. ბურჯ-ვეზირმა რომ ნარიმანის ცრემლის დენა იხილა ძლიერ შესწუხდა. რა ქურუკ-ყარამანმა მამა თვისი იმ ყოფით იხილა, მოახსენა: მამა-ჩემო ეგ ცრემლი რა მიზეზია? და ანუ რა ამბავია, ვისი სიცოცხლის ფრინველი გაფრენილა, ანუ მაგისთანა ძალა ვისი დაგმართებია, ანუ პაპიჩემის ყარამანისა რა იცით? თუ ღმერთი გიყვართ ყოველივე მითხარით. მაშინ ნარიმანმა ტირილით უთხრა „საყვარელო შვილო, პაპაშენი ერთ ჯადოს გადაჰკიდებია, მათგან მრავალი დევი დაუხოცია მასუკან ერთს ბაღს შიგან სძინებია მარტოთ, მოსულა იგი ჯადო და ახლოს რომ ვერ მისულია, შორიდამ წამალი რამ შეუყრია თვალებზე და დაუბრმავებია, მას იმ ბრმა დროს კიდევ მრავალი დევნი გაუწყვეტია და იმ ჯადოს მამა-პაპაც მოუკლავს. რა იმ ჯადოს ვეღარა გაუწყვიარა, მაშინვე ჰაზარეჭ-დასტთან წასულა რომ შეატყობინოს, მოვიდეს და მას ბრმას აუტეხოს რამე. ტე შვილო, ჰაზარეჭ-დასტი ძა-

ლიანი დევია მაგრამ მამაშენმა ორჯელ დაკოდა და ახლა ის დროს უძებს, ამ ამბავს რომ შეიტყობს მაშინვე გაჯავრებული წამოვა და აუტეხს რამეს ახლა შვილო ეს ბურჯ-ვეზირი ჩვენი ერთგული და მოჭირნახულეა, მერე გარჩევ შენ ჩემ ალაგას დაჯდე და ამისთვის ჩამობარებიხარ, მხოლოდ ყოველსა შენსა რჩევასა ამ ბურჯს დაეკითხებოდე და იყავ მორჩილი ამ ვეზირისა და მე ამისაგან დარწმუნებული ვარ რომ ყოველსავე კეთილად განაგებს. მე აწ წავალ ან მამაჩემ ყარამანს დავიხსნი იმ გაჭირვებიდამ, ანუ ჩემ თავს იმის გზაზედ მოვიკლავ, შემდეგ ჩემი ხელმწიფობაც შენთვის დამიდვია, ღმერთმა მოგახმაროს როგორც ჭკუამ გაგიჭრას ისე მოიხმარე.

რა ქუჩუკ-ყარამანმა და ბურჯ-ვეზირმა ეს ამბავი მოისმინეს, ორთავემ ცრემლები გადმოყარეს და ქუჩუკმა მოახსენა ნარიმანს: „მამაჩემო პირველად ჩემი მოხსენება და ვედრება შეისმინე და მას შემდეგ ნება თქვენი აღსრულდეს. „ხელმწიფევ ჩემო, ღმერთს თქვენთვის ხელმწიფობა მოუცია და მრავალი საქმეცა გაქვს და ღმერთმა უკეთ იცის ხვალ და ზეგ რა მოხდება, თქვენ თქვენსავე სახელმწიფოს დაეპატრონეთ, მე წავალ და იმედი მაქვს ღვთისაგან რომ იმ შეჭირვებისაგან გავანთავისუფლო პაპა ჩემი. ამასაც მოგახსენებ, თუ თქვენ წახვიდეთ არა სჯობს. უმჯობესია თქვენ აქ ბრძანდებოდეთ და მე გიახლოთ“.

მაშინ ნარიმანმა ბურჯ-ვეზირს ჰკითხა რჩევა: ვეზირმა მოახსენა: ხელმწიფევო, ჩემი რჩევაც ეს არის, სჯობს რომ ქუჩუკ-ყარამანი წავიდეს, ამისთვის რომ როგორც რამლში ჩანს ჯაზარექ-დასტის სიკვდილი ქუჩუკ-ყარამანის ხელით უნდა აღსრულდეს. ეტლიც ამას გრძელი აქვს, „თუ ღმერთს კაცის სიცოცხლე უნდა, თუნდ რომ ოკიანეს ზღვაში ჩააგდო იქაც ცოცხალი გადარჩება და თუ კაცის სიკვდილი მოახლოვებულა ზანდუკშიაც რომ ჩაჯდეს და დაიმალოს მაშინაც თავის ბედის წერა აღსრულდება“. ნარიმანმა უთხრა: ბურჯ-ვეზირო, ყოველ საქმეში შენი რჩევა კარგათ მოხდენილა და ახლაც ნება შენი აღსრულდესო. მაშინ ბურჯ-ვეზირმა უთხრა ქუჩუკს: „ჰე სახელოვნის ფალავნის შვილო, ქუჩუკო და თვით უებრო ფალავანო! მართალია თქვენი აქედამ წასვლა ადვილი არ არის, რადგანაც თქვენ ამ ჟამად ნორჩი ხართ და გამოუცდელი ბრძანდებით, თქვენ ყოველთვის ჭკვიანი ფიქრი და მოსაზრება გმართებთ, თქვენი საქმე ისე უნდა დაიჭიროთ რომ, როგორც სჯობდეს და მეც რაც შემიძლიან ყოველ საქმეს გასწავლი და იმ გვარათაც უნდა მოიქცე, მაშინ ღვთით ყოველი საქმე კეთილად მოგივა და ერთ წამალსაც გასწავლი და მოგცემ კიდეც რომ თან წაიღო, ვინიცობა თუ პაპაშენი ისევ

ისე იყოს, ამით შეგიძლიან ამის მორჩენა; და სხვაც მრავალი თილისმა ასწავლა, ნარიმანმაც მრავალი ყარამანისაგან მოცემული იარაღები მისცა; ოც დღეს თავისი თადარიკი ყოველივე გაარიგა და შემდეგ გზას გამართა და წავიდა.

## აქ ქურუკ-ყარამანის წასვლა თავის პაპა ყარამანთან და გზაზედ მრავალთა ჭირთა ნახვა.

რა ქურუკ-ყარამანი მოემზადა წასასვლელად, სარვიხურამანმა შეიტყო და ტირილით გამოვარდა, უთხრა საყვარელო შვილო ეს რა ამბავია და ან რა მომხდარა? ყოველივე მაუწყე რომ ჩემ თავს აუტეხო რამეო. ნარიმანმა მოახსენა: ჩემო დედავ მაგისთვის ნუ სწუხხარ, საამბყირანობის დავის გამწევ იმისთანა საქმე მრავალჯერ დაემართება, მაგრამ ღვთით მალე განთავისუფლდება, ხოსროვშირისა და გულჩინისა მაინც მოიგონე, ჩვენ ასეთი ღვთის მსახურნი ვართ რომ ეშმაკის თაყვანის მცემელს ჩვენზედ არ გაამარჯვებს, ამაზედ თქვენ ხათრიჯამი ბრძანდებოდეთ და იმედიცა მაქვს ჩვენი შეყვარებულის ღვთისაგან რომ აქამდის კიდეც მორჩენილიყოს. მაგრამ სარვიხურამანი გაგიჟებული იმ ფერიათა ყარამანის ამბავს ჰკითხვიდა და იგინიც იმედს მოახსენებდნენ. იმ ჟამად სარვიხურამანმა გული ვეღარ შეიმაგრა და ვეღარც თუ გაუძლო გულმა და მოჰყვა მაღლის ხმით ტირილსა, თავი მოიგლიჯა და მკერდს იცემდა და იტყოდა ასე: „ჰოი საყვარელო, ნეტარ თუ რა ხმა არის? ჰოი გულისა ჩემისა ნათელო, ნეტარ თუ რა მწუხარებაში და ფიქრში იქნები! ჰოი თვალის ჩინო, ნეტარ მაგ მწუხარებაში რომ ხარ ვინა გყავს გვერდით იმედათ? ჰოი ღმერთო, ნეტარ ამ ამბის მსმენელს რაღათ მინდა სიცოცხლე? ჰოი სიხარულო, ნეტარ თვალნი ჩემნი დაბრმავდეს ნაცვლად შენისა! ჰოი გულის ვარდო, ნეტამც მკვდარი ვიყო და ამ დროს არ შევსწრებოდე. ჰოი საჭმან, აკი ერთგულს გეძახდა, სად არის შენი ერთგულობა? ჰოი ხოსროვშირ სადა ხარ რომ შენ ძმას უშველო როგორც მან გიშველა? ჰოი შენ, გმირო და მტერთა ზარის დამცემო, სად არის მშვენიერი სახე შენი და მამაცობა შენი? ოჰ ღმერთო, ნეტარ ვისთან წარვიდე ანუ ვის შევევედრო რომ ყარამანის მკურნალი ჰპოვოს. ჰოი ქურუკ: მეც თან წამიყვანე ეგები მას მეც შველა მივცე, თუ არა თავსა ჩემსა მოვიკლავ. ჰოი მტერნო და დევნო, რა სიხარულია თქვენთვის?..

რა სარვიხურამანი ტიროდა ამ გვარ მოთქმით და იგლეჯდა მშვენიერს სახეს და გიშრის მზგავსსა თმასა, მაშინ ფერიებმა მოახსენეს:

დედოფალო უბრალოთ ნუ მწუხარებთ, დაჯერებული ბრძანდებოდეთ რომ აქამდის სააბურანი განთავისუფლებული იქნება უსინათლობიდამ, ჩვენ მხოლოდ რვა თვის ამბავს მოგახსენებთ.

ქურუკმა მოახსენა: საყვარელო დიდო დედავ, ნუ სწუხხარ, თუნდა განთავისუფლებული არ იყოს, მე ღვთის შეწყალებით მალე მოვარჩენ, თქვენ აქავე ბრძანდებოდეთ და მე ჩემი გული ისე მამოწმებს რომ გზი-დამვე მშვიდობის ამბავს გაცნობებთ. რა ქურუკისაგან ამისთანა ნუგეშის სიტყვები მოისმინა, მცირედ დაწყნარდა და გულს იმედი მიეცა, ამ საუბარს რომ იყვნენ, ბურჯა-ვეზირმა ერთი ჩასაცმელი ჯაჭვი მოუტანა და ქურუკს წინ დაუდო, რა ქურუკ-ყარამანმა ეს ჯაჭვი იხილა, არა მცირედ გაიკვირვა, ასე რომ მისთანა ჩასაცმელი ჯაჭვი არავისი არ ენახა, და როდესაც ჩაიცვა ყოველთა გაუკვირდათ, თავით ფეხამდის მიგნიდამ რგო-ლებით იყო და გარედამ ორასი ნახევარ-ნახევარ ადლის სიგრძე ფოლადი-საგან შექმნილი შუბები ჰქონდა წვერები მაღლა აშვერილი და ალმასი-ვით მკვეთელობა ჰქონდა. ეს ჯაჭვი ბურჯა-ვეზირს მხეცთა და ვეშაპ-თათვის გაეკეთებინა რომ მის ჩამცმელს ვერა მხეცს და ვერა ვეშაპს ვე-რა ევნოთ. ქურუკმა რომ ამისთანა ხელოვნება იხილა იმისაგან, მივიდა და ბურჯა-ვეზირს ხელს აკოცა და თავის მამა ნარიმანსაც, შემდეგ ერთ-მანეთს გარდაეხვივნენ და ტირილით ესალმებოდნენ, მივიდა აგრეთვე თავის დედა უსნიარასთან და იმანაც დედაშვილობის სიყვარულით გამო-ესალმა და მოახსენა: თქვენ ლოცვაში არ დამივიწყოთო. იმ დღეს იმო-დენა ცრემლი დაღვარეს რომ იგი სახლი მოირწყო. შემდეგ გული და-იამეს ყოველთა და ქურუკი სამოცდა ორის იარაღით შეიჭურვა, ყოველ-თავე თავის შესაფერად გამოესალმა და ერთს ფერიაზე შეჯდა, მეორე ფერიამ მისი მეტი იარაღი ზურგით იტვირთა და გაემგზავრნენ. მშობლები რადგანსაც თვალით ჰხედავდნენ უჭვრეტდნენ და როდესაც თვალთაგან უჩინოთ იქმნენ, მაშინ შეწუხებული უკუ მოიქცნენ.

იმ ფერიათა სამი დღე ჭაერით იარეს და მივიდნენ ერთს მწვანო-ვან ადგილს ჩამოხტნენ და მცირედ მოსვენებას მიეცნენ, რომელზედაც ქურუკი იჯდა, ის ფერია ძალიან შეწუხებული იყო, ასე რომ ხუთს ჟა-მამდე უსულოდ ეგდო. ცნობას რომ მოეგო, ქურუკს მოახსენა სააბურა-ნის გულის ვარდო, ამ მოხსენებისთვის კი ნუ გამიწყრებით, თხუთმეტს წელიწადს წინათ, ბაბაშენი ჟარამან-ჟათილი სააბურანი, უშანგბათიდამ ქაჯ-ყამარში წავიყვანე, მაშინაც შევსწუხდი მაგრამ თუ ეს შევწუხებულ-ვიყავ მოვკვდებოდი კიდეც და ვითხოვ წყალობას თქვენგან რომ ეგ ია-რაღი მოიხსნათ ამას რომ მეტად გვამძიმებს და ახლა ნება თქვენია.

რა ქურუკმა ამ ფერიის ისე შეწუხება იხილა, ყოველი იარაღი შემოიხსნა და ზანდუკში ჩააწყო, მხოლოდ ერთი ხმალი და მშვილდ-ისარი იქონია. რა ამ საუბარს იყვნენ, მრავალმა ჯუჯარანმა ჩამოირბინა, ქურუკმა ქამანდი შესტყორცნა და რამდენიმე შეიპყრა, დახოცეს დასტამბეს და ცეცხლი დაუგზნეს, ამასობაში კიდევ დაღამდა და სიბნელის ფარდა ქვეყანაზე მოეფინა. მაშინ ნახეს რომ დასავლეთის მხრიდამ ერთი შავი ღრუბელი წამოვიდა და ისეთი ქარი მოჰყვა რომ რაც იმ არე-მარეში ხე იდგა სულ ძირითურთ მოგლიჯა და ვითა ბზე ისე დაფანტა. რა ფერიებმა ესე იხილეს მოახსენეს: ფადიშაჰო ეს კარგი ნიშანი არ არის, ამ ხევში ჩავიდეთ და ვნახოთ ღმერთი რას გვიზამს. ქურუკმა მათი რჩევა დაიჯერა და ხევში ჩავიდნენ. ყურება დაიწყეს ნახეს რომ რაღაც ღრუბელი ელავდა კაცს ეგონებოდა ქვეყანა ცეცხლით აღვსილაო; ქურუკმა მათ ფერიათ ჰკითხა ეს ცეცხლი რისაგან არისო? ამის ვითარება ეხლავ უნდა მაუწყოთო, რომელიც მე ამის ნახვით გაკვირვებულვარ. რა ქურუკისაგან ესე სიტყვა მოისმინეს, ფერიებმა მოახსენეს; ფადიშაჰო, ამ ცეცხლს რომ ხედავთ, ელვარების გარდა სხვა რამეც არის და მისაგან გაფრთხილება გვმართებს, ამისთვის რომ იმ ღრუბელში ახლა რასაც იხილავ ეს ცეცხლი იმისაგან არის. ქურუკმა რომ ღრუბელს თვალი დააკვირვა, ნახა რომ იმ ღრუბელში ასეთი საშინელი ვეშაპია რომ საზარლად კმაა და არც თუ იმისთანა ნახულა, როცა იგი ვეშაპი კბილებს ცემას დააწყებინებდა იმისი ცეცხლი ქვეყანას ავსებდა. რა ქურუკმა იგი ვეშაპი კარგათ გაშინჯა, უმაწვილობის ქარმა აღატაცა, ველარ მოითმინა და მშვილდ-ისარი მოიმართა და მას ვეშაპს შეტყორცნას ლამობდა, იმ დროს ვეშაპმა ნახა რომ დედამიწაზე სამნი ვიღაცნიც არიან, მსწრაფლ ბოლო ჩამოუშო, ფერიათ რომ იხილეს ვეშაპის ბოლოს ჩამოშვება, მაშინვე გაიქცნენ, მაგრამ ქურუკი კი მუნვე დარჩა უშიშრად და მშვილდ-ისარს მომართვა დაუწყო, რა მშვილდ-ისარი ველარ მოასწრო ქურუკმა, ვეშაპმა ჩამოშვებული კუდი ქურუკს შემოახვია, ქურუკმა იმ ჯაჭვის ძალით არა შეამჩნია რა, მას მოხვეულს დროს ქურუკის ჯაჭვის მუხლებმა ვეშაპის ბოლო ოც ალაგ დაკოდა და სისხლმა დენა დაიწყო. რა ვეშაპმა იგრძნო თავის ბოლოს დაკოდილება, მაშინ ბოლო მოაშორა და თავი ჩამოიტანა, ქურუკმა ნახა რომ ბოლოთი ვერა გააწყო რა და პირით ლამობდა მის ჩაყლაპვასა, ქურუკმა შეატყო რომ თუმცა დიდრონი მთაც იყოს იმასაც შთანთქავდა, ამიტომ მშვილდ-ისარს ხელი მიჰყო და იმის დაღრეჯილს პირს შესტყორცნა. ასეთ რიგათ მოხვდა რომ თავში ამოუთ წვერმა და მის ბოლოდამაც ღვარსავით სისხლი ხდიოდა და მწარეთ დასუსტდა იგი

მთის ოდენი ვეშაპი, შემდეგ მიწას დაეცა და მისს დაცემაზედ ის არე-მარე სრულიად შეიძრა. ქურუკმა რომ ნახა ვეშაპის უძლურობა, ხელი აი-ღო ვეშაპისაგან და წარმოვიდა, იმ ფერიათ ძებნა დაუწყო, მაგრამ ვერა-რა ჰპოვა. რა ვეშაპი ძირს დაეცა მაშინ ქურუკმა ვითარც ელვარება იხილა და ვითარც ცეცხლი, ვითარც ქარი, ყოველივე დაწყნარდა; ქურუკმა ბევრი სძებნა იგი ფერიანი მთელ იმ არე-მარეში მაგრამ იგინი ვერსად ჰპო-ვა; ქურუკი დარჩა დიდ მწუხარებაში და ესე იტყოდა: ღმერთო რა ვქმნა ეხა არ ვიცი და კვალი სით წავიდე? სჩანს რომ იმ ფერიებმაც მიმ-ტოვეს, სჯობს ამაღამ აქვე მოვიცადო და ვნახო ღმერთი რას ინებებს ჩემთვისაო. იმ ღამეს იარაღის ზანდუკი გახსნა, სამოცდა ორის იარა-ღით შეიჭურვა ფარი თავქვეშ დაიდო და დაიძინა.

## აქ ქურუკი ამ ფიქრიან ძილში დაუტეოთ და იმ ორთა ფერიათ ამბავი მოისმინეთ.

როდესაც ამ ფერიათ იმ საშინელი ვეშაპის ჩამოსვლა იხილეს, მა-შინვე თქვეს ეს ვეშაპი ამ ყმაწვილს მოუკლავს არ გაუშვებსო და ჩვენ წავიდეთ დროიანათ შაჰპალ-ფერიას გამოუცხადოთო. მსწრაფლ აღფრინდ-ნენ და წავიდნენ, ოცს დღეს იარეს და შაჰპალ-ფერიასთან მივიდნენ, რა რომ მივიდნენ მდაბლად თაყვანი სცეს. მაშინვე შაჰპალ-ფერიამ ჰკით-ხა: ფერიანო, ყარამანისა არავინ მოვიდა? ახლა ხომ მორჩა ყარამანი იმ განსაცდელისაგან და ვითარც თუ მას შემწე ეწირება, მაგრამ მე ეს მი-კვირს რომ არავინ გაჩნდა იმათგანი! რა მათ ფერიათ შაჰპალი-ფერიისა-გან ესე გაიგონეს ერთი საზარლად ამოიოხრეს და მოახსენეს: ხელმწი-ფეო, ყარამანის ერთი უცხო ფალევანი ჰყავდა თავის შვილის-შვილი, რო-მელსაც სახელად ქურუკ-ყარამანი ეწოდებოდა, ის გამოგვატანეს, სამი დღე ვიარეთ და მეოთხე დღეს სირინის მთის ძირს ჩამოვხტით, რა მცი-რე მოვისვენეთ კიდეც დაღამდა, იმ ჟამად დასავლეთის მხრიდამ ერთი შავი ღრუბელი გამოჩნდა, მას ასეთი ქარი ამოჰყვა რომ რაც მუნ არე-მარეში ხე იდგა სრულიად ძირითურთ დაგლიჯა, შემდეგ ძლიერი ელვა-რება და ცეცხლის ერა გამოჩნდა, სრულიად აღივსო ის არე-მარე ცეცხ-ლით, შემდეგ იმ ღრუბლიდამ ერთი საშინელი ვეშაპი ვიხილეთ, ისეთი რომ შიშით გულები დაგვისკდა, მან ვეშაპმა თავისი საკვირველი ბოლო ჩამოუშო, რა ჩვენ იგი იმ გვარად ვიხილეთ მას ყრმას მრავალი ვუშალეთ რომ იმ ვეშაპს გაგვცლოდით მაგრამ არ დაიშალა და არცა გვისმინა, რა მას ვეშაპს ჩვენ გავშორდით იგი ვეშაპიც ძირს ჩამოვიდა, მას ღამეს

მუნვე დავრჩით და მეორეს დღეს აღარც იგი ვეშაპი იყო და აღარც იგი უებრო ყმაწვილი, მაშინ არა მცირედ შევსწუხდით და სამი დღე მუნ მოვიარეთ და მისი ამბავი ვერა ვსცანით, ვერცა თუ ნიშანი ვპოვეთ, რა რომ ჩვენ იქ გახლდით და ვერა ვპოვეთ, შემდეგ დიდი მწუხარებით პირ ვიქეცით და თქვენს უმაღლესობის წინ გამოვცხადდით.

რა მაჭპალი ხელმწიფემ ესე გაიგონა იმ ორთა ფერიათაგანა, ფერი ზაფრანათ შეეცვალა და ნახა რომ იგი ფერიანი სიტყვასაც ურჯვდნენ, ამაზე პრძანა: არ ვიცი თქვენი დამპრაკი რას მივაგვართ; ვაი ფერიანო რომ ამას იქით სულ დევების ხელით უნდა დავტყვევდეთ. შემდეგ შე- ჭყვირა: მოდით ვინა ხართ! იხელთეთ და ამ ორთა მსწრაფლ სიცოცხლე გამოასალმეთო. მაჭპალის ვეზირმა მაჭი ფერიამ თავისი ხელმწიფე რომ ამისთანა მწუხარებაში იხილა, მაშინვე ამ ორთავეს ასეთი ხმალი ჰკრა რომ ორივე შუაზე გაწყვიტა, მაშინვე ხელმწიფემ სხვა ათასი უცხო მამაცი ფერიები დაფანტა სირინის მთისაკენ და უბრძანა: თუ თქვენც მშვიდო- ბის ამბავს არ მომიტანთ, გფიცავ თავსა ჩემსა, სრულიად დაგხოცავთო.

ესენი რომ იქით გაისტუმრა და მათ მშართველობაში იყო, იტყო- და თავისთვის ეს რა საქმე მომივიდა და ან რა მრჯიდა? ეს ხომ ვი- ცოდი რომ ყარამანი მალე განთავისუფლდებოდა იმ განსაცდელიდამ, ახ- ლა რა პასუხი მივსცე ყარამანს? ის ხომ ცოცხალს აღარ დამარჩენს და აღარც შემიძლიან მისი სახლის ხილვა; ის მაშინვე ამას მეტყვის მე რო- დის გთხოვე რომ შენ ჩემ ქვეყანაში შეატყობინო? ალბათ ჩემი მტრო- ბა რამ გქონია და გაგეხარდა, დრო იპოვე და შეატყობინე: და რადგანაც შვილსაც ამისთანა საქმე შემთხვევია ახლა უფრო დაიჯერებს, მაშინ მე რა პასუხი უნდა გავსცე? ოჰ, ღმერთო! ეს ჩემი ვედრება ისმინე და თვით გულთა მხილავი ხარ რომ მე ამაში ბრალი არაფერი მაქვს, შენი წყალობა მოიღე და იმის მშვიდობის ამბავი მაღირსე. ოჰ ღმერთო ცისა და ქვეყნის გამჩენო, აღგითქვამ ამასაც რომელიც იმის მშვიდობის ამ- ბავს მომიტანს ჩემ სახელმწიფოს გარდა რასაც ინებებს მიმცემი ვარ. რომელიც ერთი ასული მიზის, მშვენებით მზისა მზგავსი არს, იმასაც ცოლად მივსცემ აჰა ეს არის ჩემი წრფელი აღთქმა უფალთან,, კვალად რომელსაც გნებოს წარვიდეს ამბის საცნობლად და ყველა თავის ფარვა- ნიც მიმიცია, ასე რომ ჩემმა უკანასკნელმა მსახურმაც რომ მშვიდობის ამბავი მომიტანოს ქურუკისა, რაც აღმითქვამს აღმსრულებელი ვარ.

აქ ეს ამ მწუხარებაში დაუტეოთ და მცირე რამ მაჭკვალ-მაჭას ასულის გულიჯანის ამბავი მოიხსენიეთ.

ამ ჟამად რა მაჭკვალა-ფერიამ ესეთი ბრძანება გასცა, მას ჰყავდა ერთი ასული რომელსაც სახელად უწოდებოდა გულიჯანი. რა მან მამის თვისისაგან ამისთანა აღთქმა შეიტყო, არა მცირედ შესწუხდა და ამას იტყოდა; ვაჰმე ერთმა ქალაჩუნა ვინმემ და უბრალო კაცმა მისი ამბავი შეიტყო, მას უნდა მივცე? მაშინ ჩემთვის სიკვდილი უმჯობესი იქნება ვიდრე იმისთანა კაცის ცოლობას. ესე თქვა და თავის ხიჯას უბრძანა საიდუმლოდ, ახლავე ერთი ხელი ვაჟური ტანისამოსი მოიტანეო და ამასაც გაცნობებ თუ ესე ამბავი შენგან გაცხადდეს, ვფიცავ თავსა ჩემსა რომ უსიკვდილოთ ვეღარ მორჩები, ეს ქალი ბარამჯიბილის უმცროსი და, იყო, თუმცა ცამეტი წლისა იყო მაგრამ ბარამჯიბილზე ეს ძლიერებით მეტობდა, სილამაზე მისი თხუთმეტის დღის მთვარესავით ანათებდა ბნელ ღამეს, ამისთანა ბრწყინვალე ქალისთვის მაჭკვალი ფერია წინად ამის შესაფერ ქმარს ეძებდა მაგრამ ვერა რომელი მოსწონდა და ამისთანა უებრო ქალი ამისთვის ვერ გაემეტებინა, მაჭკვალა-ფერიას ძალიან უყვარდა თავისი ასული ისე რომ თავის სიცოცხლეს ერჩივნა, მაგრამ ყარამანის შვილის-შვილისათვის საჩუქრად აღუთქვა და აღარც მან ქალმა მოითმინა, მაშინვე ვაჟურად შეიმოსა და ერთი უცხო მარტორქა ჰყავანდა ის მოაყვანინა და ორი ფერიაც, რომელნიც თავის ერთგულნი იყვნენ: მათ უბრძანა, აბა ახლა გამოჩნდება თქვენი ერთგული სამსახური და თვითონაც სამოცდა ორი იარაღით შეიჭურვა და კარზე გამოვიდა და იგი ფერიებიც წინ გამოუძღოდნენ და ვით მართებდა ჩქარის სიარულით სირიის მთისაკენ წავიდა და ამას იტყოდა გულსა თვისსა: როდის იქნება იმ ფერიათ მოვეშორო და ყოველნი დავხოცო და უკანვე დავბრუნდე — და იმ უცხო ვაჟკაცის ამბავიც მეც შევიტყო და იმისი ბრწყინვალე სახის ნახვაც მეღირსოს; და თუ იგი მე ვერ ვიხილო, აღარც მინდა სიცოცხლე იმის შემდეგ; რომელიც მე იმის ქების მსმენია, მას ფეშაში ვერას დააკლებდა, მე მგონი იგი ფერიანი შიშით გამოქცეულან, ის კი იქვე გაუშვიათ. რასაკვირველია იმას გზა არ ეცოდინებოდა და იმისთვის იქავ დარჩებოდა. რა ესე თქვა მდუღარე ცრემლი გადმოყარა და სიყვარულის ლექსი სთქვა:

„უნახავად სიყვარულმა მით შეაწყრო ჩემი გული,
„თუ ვერ შეგხვდი საყვარელო მოვაკვდინო ჩემი გული.

„სიყვარულმა გამაგიჟა გამოვიწყე ველად რული,
„ვფიცავ ღმერთსა თუ ვერ გნახო, დღეს ჩემია დასასრული.

## აქ ეს ქალი ამ მიმავლობაში დავუტეოთ და მცირე რამ ქურუკ-ყარამანის ამბავი მოისმინეთ.

ამ ჟამად რა ქურუკი იმ ორთა ფერიათ იქ დაუტოვებს და გაიქცნენ ბევრი ძებნის შემდეგ, სამოცდა ორი ათასდით შეიწუხა და მწუხარებაში იქვე ჩაეძინა. რა დილა გათენდა და ქვეყნის გამაშვენებელმა მზემ თავის ბრწყინვალე სხივნი ხმელეთს მოჰფინა, მაშინ ქურუკი ზე აღსდგა ილოცა და ღმერთს მადლობა შესწირა და აქეთ-იქით ყურება დაიწყო, ნახა რომ ერთი მთის ოდენი ვეშაპი გდია და ბოლოს იქნევს. ისე ძლიერათ სცემს დედამიწას რომ დედამიწა იძვრის, არც მკვდარია და არც ცოცხალი და ისე ეწვალება. რა ქურუკმა ესე იხილა, სახელი ღვთისა ახსენა, მივიდა და იმ ვეშაპს ერთი ისეთი ხმალი შემოჰკრა რომ თავი ბოლო შუა გააწყვიტა, ვეშაპი მაშინვე მოკვდა, შემდეგ დაიჩოქა და ღმერთ მადლობა შესწირა, ადგა იმ ვეშაპს ტყავი გახადა და ქამანდათ გააკეთა. შემდეგ წარვიდა კვალად ფერიების ძებნა დაუწყო, მაგრამ ვერსად ვერ იხილა იგინი, დარჩა შეწუხებული და იტყოდა: ღმერთო რა ვქმნა, გზა არსაით ვიცი და კვალი საით წარვიდე, იქნება ეშმაკნი იყვნენ? მე ამ ვეშაპის ხელში ჩამაგდეს და თვითონ კი ურიცხო შეიქმნენ. ამ განზრახვაში რომ იყო, იხილა რომ ამ მთის წვერიდამ ერთი ისეთი მარტორქა მოდის რომ დიდ მთასა ჰგავს, ერთ სპილოსათვის რქა ამოუკრავს აუყვანია და თან მოაქვს, ქურუკმა გაიფიქრა ეს მარტორქა უცხო სანახავი იქნება ჩემთვის მაგრამ ამას მეჭყრობა სჯობს, ჩემი ბედია რომ რქა არა აქვს ცარიელი, როგორც იქნას უნდა ვეცადო რომ დავიმორჩილო. რა ქურუკი იმ განზრახვაში იყო, მუნიდამ მარტორქამ შემოხედა, იხილა რომ ერთი ადამიანი დგას, უნდოდა რომ ქურუკისთვის შემოეტია, რა მან მისი განცხადება იხილა, იმ ვეშაპის ტყავი ახლად დაწრილი ჰქონდა ქამანდათ, მკლავზე გაიმაგრა და წინ წადგა, მაპისებულად ასეთი ხმით შესძახა სახელი ღვთისა რომ იმ არე-მარეს ზანზარი დაიწყო. მარტორქამ რომ ესეთი საზარელი ხმა გაიგონა, გაშტერებული მასვე ადგილ დადგა. რა ქურუკმა ესე იხილა სახელი ღვთისა ახსენა და წინ წადგა უფრო, და ქამანდი შესტყორცნა, წელში მოზდო და ერთი ძალიანად მოზიდა; ისე რომ მარტორქა წინა მუხლებზე დაჩოქდა, მაშინვე მივარდა და იმ მთის ოდენა მხეცს ფეხები მაგრა შეუკრა და ისე გაუშვა.

მაშინვე ხუთი სხვილი ძელი გათალა, ხუთ ადგილას დაურჭო და იმ მხეცს ფეხები თითო ძელოზე გაუმაგრა და აგრეთვე ერთიც რქას მოაბა და ძე-ლოზე გამაგრა წვერი, იმოდენა ეცადა რომ სხვილი რქიდამ ამოართვა და მხეცის ფეხზე წამოაყენა. რა მხეცმა თავისი თავი იმ მდგომარეობაში იხილა, აქეთ-იქით ძელზედ გაიწია, მაგრამ ვერა დაიძრა და გამწარებუ-ლი კანკალი დაიწყო; იმ დღეს საღამომდის იმ ყოფაში გაუშვა მშიერ-მწყურვალი და აგრეთვე გათენებამდის.

რა დილა გათენდა წავიდა სანადიროთ ერთი ჯეირანი მოკლა, ცე-ცხლი დაითო შეწვა და მცირე რამ დანაყრდა. იმ ლემსაც მერგე დარ-ჩა, ფარი თავქვეშ დაიდო და მცირე მოსვენებას მიეცა. რა მეორე დი-ლა გათენდა მაშინვე ქურუკი ზე ადგა პირველად დილაცა ღმერთს მადლობა შესწირა, შემდეგ აიღო ერთი კეტი და იმ მხეცს იმდენი სცე-მა რომ შეაწუხა, მას შემდეგ ბალახი მოუტანა და წინ დაუყარა და ჩქეი-ნუდა თვალებზე ხელი მოუსვა. ისე შეაშინა რომ რა ქურუკი ახლო მივიდოდა, იმ მხეცს კანკალი დაწყებინებოდა. ათი დღე ამ ყოფით შეინახა, ასე რიგათ დაარჩვია რომ როცა გვერდით მივიდოდა თავს მიუშვერდა და იგიც მოკვლის ადგას ამოფხანდა და მხეცსაც ამებოდა. შემდეგ ერთი ლაგამი მოიღო და პირში ამოსდო, ერთი ჩულიც ზედ გადააფარა და ზედ შეახტა, მარტორქამ მრავალი იხტუნა, მრავალი ირბინა, მაგრამ ვერა გაწყორა და დამორჩილდა. ქურუკმა ბევრი ცემით ისე გამოჰქნა და თავის საჯდომად გახადა, ამ ყოფა ქცევით თხუთმეტ დღემდის სრულიად საჯდომათ გაიხადა. მეთექვსმეტე დღესაც ქურუკი იმ მინდორს დარჩა, მი-სი საჭმელი ნადირთ ხორცი იყო. დღესა მეშვიდმეტეს, სამოცდა ორი ისრით შეეჭურვა და იმ მხეცს ამხედრდა. თავის აბჯრის ზანდუკი იქ ერთს ადგას დაუტევა და თვითონ სანადიროთ იარებოდა და კიდეც ეძებ-და ვისმეს და ამბობდა: „ნუ თუ ერთი ადამის ტომთაგანი ვინმე მაინც არ მოიპოვება რომ გზა მასწავლოსო“. ამისთანა ფიქრით და ნადირობით საზდოებდა.

## აქ ესე ამ ნადირობაში დაუტევით და მცირე რამ მაჭპალი-ფერიის ასულის გულიჯანის ამბავი მოიხსენით.

რა გულიჯანი ფერიისტანიდამ გამოვიდა, ძლიერ სიჩქარით იარა, იხილა რომ თავის მამის გაგზავნილი ათასი ფერიანი მსწრაფლ მიდიან, იმდენი ეცადა რომ წინიდამ მოურბინა, რა ამ ფერიათა იხილეს რომ ერთი უებრო ლამაზი ყრმაწვილი მოვიდოდა, ისე რომ ამისთანა არა ენა-

ხათრა, სამოცდა ორის იარაღით შეჭურვილი ერთის მხეცს ზის და მიდის. ამ ფერიებმა ერთმანეთს უთხრეს რომ იქნება ეს იყოს ქურუკ-უჯრამანი? ფერიებმა დაუძახეს: ჰეი მშვენიერო ყმაწვილო! ვინა ბრძანდები და ანუ რომელი წალკოტის ვარდი ხარ? ანუ რომლის სადაფის მარგალიტი? იქიდამ გულიჯანმა შემოსძახა: ჰეი ფერიანო! მე არც ქურუკი ვარ და არც თუ ვიცნობ. მე მივალ თქვენი მაჰმალ-ფერიის ქალის ქება შემიტყვია და ის უნდა მოვიტაცო, თქვენც იცოდეთ რომ ერთი ცოცხალი ვერ წამიხვალთ. ეს რომ უთხრა ხმალს ხელი გაიკრა და შეუტია, ფერიათ ნახეს რომ მისი წინააღმდეგობა არაფრით შეიძლებოდა და ვერც თუ პასუხის გაცემა შეეძლოთ, მაშინვე პირი გასაქცევათ იბრუნეს. გულიჯანი ამათ გამოუდგა და მათგან მრავალი დახოცა და უკან გამობრუნდა, თავის გუნებაში ამას იტყოდა, წადით ახლა კარგს ამბავს მიუტანეთ. რა მათ ფერიათა მისი სიმხნე და ძალა იხილეს, რომელნიც დახოცვას გადურჩნენ, მაშინვე მაჰმალ-ფერიასთან მივიდნენ, ენებათ რომ სულერთიანათ მაჰმალთან შესულიყვნენ საჩივლელად, მაგრამ ვეღარ გაბედეს. შემდეგ ერთი ფერთა შეგზავნეს და თავიანთ თავის გარდასავალი ყოველივე მოახსენეს. მაჰმალ-ფერიამ ესეთი ამბავი რომ შეიტყო, ძალიან შესწუხდა და იტყოდა: ღმერთო იგი ჭაბუკი ვინ უნდა იყოსო? მაშინვე უბრძანა რომ შეიტყოთ თავის ქალი გულიჯანი შინ არის თუ არა. მსწრაფლ იმის ლალა დაიძახებინა და ჰკითხა: ჩემი ქალი გულის ვარდი რასა იქსო? ლალამ მოახსენა: თქვენის დღეგრძელობით მშვიდობით გახლავსო. რადგანაც იმ ქალის ჰარემხანა დაშორებით იყო, მაჰმალ-შაჰა ამიტომ მალმალ არ იარებოდა და აღარც თუ ახლა წავიდა რომ ენახა, და ლალას უბრძანა: ფრთხილათ იყავო; ლალამ და ხოჯამ თავი დაუკრეს და მოახსენეს: რომელ ფრინველს შეუძლიან მისის სარაიის (სამყოფის) ახლოს მისვლა?

იმ ჟამად რა გულიჯანი იმ ფერიათ გაშორდა, წავიდა და თავისი მსახურნი ჰპოვა და ჩქარის სიარულით სირინის მთისაკენ წარვიდა, სამი დღე იარა და იმ მთაზე ავიდა, მუნიდამ ოთხსავე მხარეს შინჯვა დაუწყო, იხილა რომ ერთ მხრიდამ ერთ მარტორქაზე მჯდომი ვინმე ყმაწვილი მოდის, რომელსაც სახეზედ ფალავნობა ეტყობოდა და სამოცდა ორის იარაღით შეჭურვილია, იმის შეხედულობა, მტერთა ზარის დამცემია და თვით უებრო ლამაზი. რა იგი იმ სახით იხილა, მაშინვე თქვა ვისაც ვეძებდი მგონი რომ იგი უნდა იყოსო და ერთი ასეთი ამოიოხრა რომ გამგონთ ეგონებოდათ გული ამოვარდაო და იტყოდა: ღმერთო ნეტა ვისთვისაც გამოვჭრილვარ იგი იყოს, ამ განზრახვით უყურებდა,

მეორე მხარეს შეხედა ნახა რომ ერთი მთის ოდენი ვეშაპი გდია, თუმცა ერთს ადგილზედ შორს იყო, მაგრამ მხეცის სიდიდით შორიდამ ჩანდა და იგი არე-მარე სრულიად მოეცვა მძოვრის სუნსა და ჰაერი გაეფუჭებინა ზაფხულის სიმხურვალეს. რა მკვდარი ვეშაპიც იხილა მაშინ სწორედ დარწმუნდა რომ იგი უმაწვილი უნდა ქურუკი იყოსო და ლექსი თქვა:

აწ მე ვნახე მოყვარე ჩემი, განმინათლა ბნელი გული,
გამიკეთოს საწყალმა, მოაბრუნოს ჩემი გული.
მე ვისთვისაც გამოვჭრილვარ ხომ არა მშურს ჩემი სული;
თუ ვეღირსო მის შეყრასა აღარ მომკლავს სევდა სრული.

რა ესე ლექსი დაასრულა მივიდა და ერთ ალაგ ჩამოხტა, მარტო-რქა თავის მსახურებს მიაბარა და უთხრა თავის მსახურთა: მე წავალ იმ უმაწვილს გამოვცდი, ვინიცობა მე მამჯობს და უეცრათ მკლავდეს, თქვენ აქედამ დაუძახეთ ფალევანსა ხელი შეინახე მაგისაკენა არ მოკლა მოყვა-ლე და არა მტერი შენი თქო, მე ამათი კვარის საქმე როგორც გამო-ვია უეცრათ არ მომკლავს.

მსახურნი რომ დაარიგა, მაშინვე ქურუკ-ყარამანისაკენ წავიდა. ქუ-რუკმაც იხილა რომ ერთის მხრიდამ ვიღაც უმაწვილი ფალევანი მოდის შემოსილი ორის იარაღით შეჭურვილი და თვით ისეთი ლამაზი რომ მი-სი მსგავსი არა ენახა. მას ორი მსახური მოსდევდა რომელთაც მარ-ტორქა უპყრიათ ხელთა. რა ესენი ნახა ქურუკი გაჰკვირდა და თქვა: ღმერ-თო აგერ ოცდა ხუთი დღეა რაც მე აქ ვიმყოფები, რომელსაც ადამის ძე არ მინახავს, კეთილი იყოს, მაგრამ ვინ უნდა იყოს? ამათ ნახვით არა მეცრუედ იმა, ნუ თუ ამათ გზა ეცოდნეთ? რა ნახა რომ გულიჯანი ქვეითი მოდის იგიც მხეცრიდამ ჩამოხტა და გულიჯანისაკენ წამოვიდა. ერთმანერთს რომ დაუახლოვდნენ, გულიჯანმა შემოსძახა: ჰეი შენ მშვე-ნიერო ქებულო უმაწვილო ფალევანო! შენ ვით გაბედე რომ ამ ჩემს საბრძანებელში უშიშრად და ან მაგ გვარ კადნიერად დაიარებიო! არა გსმენია სარან-ინდოს სახელი? ან შვილის მისისა? აწ სად წახვალ ხელ-თა ჩემთაგანო?! ლადეგ რომ ერთის დაკვრით მიწდა მიწასთან გაგასწორო.

მაშინ ქურუკმა უპასუხა: უცხო და მშვენიერო ფალევანო, მეც კი გატყობ რომ მართალსა ბრძანებთ, მაგრამ ასე უბრალოთ მე და შენ რომ ერთმანერთი დახოცოთ ჩვენთვის რა სახელი და სარგებლობა იქნებაო, სჯობს რომ ერთმანერთს მოუთმინოთ, თქვენც დაწყნარდეთ და მეც, შე-მდეგ ჩვენი ძალ-გული. ამ რიგათ გამოვსცადოთ, ჯერ გავიგოთ ერთ-მანერთის ვითარება, ამიტომ რომ არა რომელს გვეზიანოს ამ მარტო ალაგს, ამისთვის რომ თქვენისთანა სახის მქონებელს მე ადვილად ვერ

გამოვიმეტებ სასიკვდილოთ და თუ გნებავთ და მოთმინებას არ გქონიებთ, ღვთის ძალით ძალიან ტკბილ შარბათს გასმევ ასეთს რომ მონამდის ირბინო და არც თუ საკვდილამდის ამ შარბათის გემო დაგავიწყდეს. თუ ისურვებთ მეორე და უკანასკნელის საქმით, ერთმანერთის ძალა ვსცნათ და რომელმაც გაჯობოთ იგი მისი ყმა შეიქმნეს.

ამ პაიმანზე გულიჯანიც დათანხმდა და მოახსენა: „უმაწვილო ნუ აჩქარდებით და ვითა თქვენ ბრძანეთ ისე აღასრულეთ". გულიჯანმა თავის გუნებაში სთქვა: თუ რომ შენ ის ჭაბუკი ფალავანი ხარ, მაშინ შენსა მამაცობას და თავმდაბლობას რომ შენგნით მაგისთანა პასუხი იბადება. რა თავიანთ საუბარი დაასრულეს, მაშინ მეგობრებივით ერთმანეთს თავი დაუკრეს ხელი ჩამოართვეს და გამოესალმნენ. ამ საუბარსა შინა ქურუკის მარტორქამ გაიწია და ხელიდამ წაუვიდა, მაშინვე გულიჯანი გამოუდგა ქამანდი ესროლა და მკლავთა გამაგრა, მაშინ მარტორქამ ისე ძალზე გაიწია რომ ვეღარ შეიმაგრა. ქურუკმა რომ ნახა მარტორქა წაუვიდა მაშინვე ქარის უსწრაფესად მხეცს გამოუდგა ქამანდის წვერი ხელში ჩაიგდო და გულიჯანს მოახსენა: ჭაბუკო ფალავანო, თქვენ ნუ იწყენთ, თავი ანებეთ, ვნახოთ რომ იწევს სად წავა, რა გულიჯანმა ესეთი მამაცობა ნახა დიდათ მოეწონა და სიყვარული მრავალ რიგათ გაუმრავლდა, მაშინვე ხელი აიღო და თქვა პირველი ცნება ამის ძალათ. ქურუკმა ქამანდის წვერი რომ ხელში იგდო, ერთი ასეთი შეჰყვირა რომ იმ მთამ და ბარმა სრულიად ზანზარი დაიწყო. რა გულიჯანმა მისგან ასეთი ძლიერი ხმა ისმინა დიდ განკვირვებას მიეცა და ქურუკს ყურება დაუწყო. ნახა რომ იმ ქამანდის წვერი ასეთი მედგრად მოსწია რომ ნახევარ აღაჯამდის თრევით მოიყვანა თავისთან. გულიჯანმა რომ იმ ყმაწვილის ასეთი ძალა იხილა, სიყვარულისაგან ცოტა უკლდა რომ ჭკუას არ შესცდა და თქვა გულსა თვისსა: ვისაც ვქებიდი გვალად იგი ვპოვე და პირის-პირ მოახსენა ესე ლექსი:

„მე ვიყავ შენი მქებნელი და გიპოვე მთასა ზედა,
„სიზმრად გნახე არ მჯეროდა შევიმალე ჭკუაზედა,
„შენ გექებდი საყვარელო, გეთაყვანე მკლავთა ზედა,
„და ეს ჩემი საიდუმლო, შეინახე გულსა ზედა.

ქურუკმა ამ ფალავნისაგან რომ ასეთი სიყვარულის ლექსი გაიგონა, გამტერებული ყურება დაუწყო და ლექსის პასუხი უთხრა:

„ფალავანო ნეტარ ვინ ხარ? ან რა ვარდი ვისი გვარი?!
შენის ლექსით მე გავმტერდი, რა ალაღე ბაგე მტკბარა,
„თუ ვიცოდე რას მიბრძანებ, მე მამიჯა უცხო დარი,
„სწორედ მითხარ თუ ხარ ჩემი, არ შევიქმნე მხეცთა გვარი!..

რა გულიჯანმა ქურჯისაგან ამისთანა ლექსი მოისმინა, მწარეთ მოეწონა და ფეხთ ქვეშ მოეფინა და მოახსენა: ჭაბუკო შემინდე, თუ სი-ტყვით შეგაწუხეთ, ვინაიდგ თქვენის მოწყალე გულისაგან რომ მიიბძა-ნოთ რომლის წალკოტის ვარდი ბრძანდებით, ანუ რომლის სადაფის მა-რგალიტი? მცირეს შეეტყობა შენი ვინაობისა, რომ ჩემმა გულმა განიხა-როს შენის მზერით. ქურჯმა ამისაგან რომ ესეთი ტრფიალი სიტყვანი ყურად იღო, მოახსენა: ჩვენი ფალავანო, თუმცა გსურთ რომ ისმინოთ მოგახსენებთ ლექსით:

„ვზარდი ვიყავ დედმამისა, ფერთათა მომაშორეს,
„აქა მომგვრეს შეცრეთ, ეშმაკიდგან განმეშორეს,
„დამრჩომილვარ მთასა ზედა, ვერა წავედ უცხო მხარეს,
„არცა ვიცი გზა და კვალი, არც მასწავლეს რომელ მხარეს.

რა ესე ლექსი შეიტყო ქურჯისაგან, გულიჯანმა, პასუხათ მიუგო: საყვარელო ვით გეშობილი კიდეც გპოვე, და აწ მოგახსენო: მე გახლავარ მაჭმალი-ფერიის ასული გულიჯანი, აქედამ რომ ფერიები გაგიქცნენ მამა-ჩემთან მოვიდნენ, თქვენი ამბავი მოახსენეს მამაჩემს, მაშინვე ისინი სი-კვდილს შეაბა და ათასი ფერია თქვენის ამბის საცნობლად დაფანტა და ასე აღუთქვა: ვინც ქურჯის კეთილ ამბავს მოიტანსო წყალობის გარდა ჩემს ქალსაც იმას მივსცემ საპოვნელათაო. რა ამისთანა აღთქმა შევიტყე, ძლიერ ვითაკილე სხვა რამ ვერა მოვიფიქრე, ესე ვაჟური ტანისამოსი ჩავიცვი და მსახურნი თან წავასხი. და რაც მამისაგან გაგზავნილ ფერიათათვის დღე დამენიშნა ყოველივე დაწვრილებით მოახსენა: და ახლა ვმადლობ ღმერთს რომ უვნებლივ თქვენს ნახვას ვღირსე. ღმერთმა თქვენი სა-ხელი და ფალავნობა ნუ მოაკლოს თავსა ჩემსა, უკეთ მისთვის გხარობ რომ თქვენ მშვიდობით გპოვეთ და საპოვნელსაც მევე მივიღებ. მაგრამ შენს შვილაფთა ძლიერ უნდობს რომელიც დაურიდებლივ ამისთანა საზარელი ვეშა-პი მოგიკლავს, ათასიმეც ჩემისთანა თქვენის ჭირის სანაცვლოდ შეიქმ-ნებოდეს: ახლა წყალობას ვითხოვ რომ დროიანად წავიდეთ მამაჩემთან, ამისთვის რომ ძლიერ შეწუხებული იქნება თქვენი უცნობი ამბისათვის.

რა ქურჯ-ფალავანმა ესეთი საუბარი ისმინა და მისი ქალობაცა სცნა, არა მცირე განკვირვებას მიეცა და სიყვარულისაგან პირისახე ვარდივით შეექმნა და უთხრა: „ვგონებ რომ გრძნეული უნდა იყო ანუ ჯადო და მათისავით გინდა მაცთუნებლო“. მაშინვე ბურჯ-ვეზირის ნასწავლი ღვთის სახელზე ერთი ისმიაზამი თქვა და ფიქრობდა თუ ეს ჯადო-იყოს გამოჩნდება და განქარდება, მაგრამ ნახა რომ გულიჯანი სიყვა-რულს შეეპყრა და ჭეშმარიტად ეტრფოდა. მასვე წამს გონება შეიკრიბა

და უთხრა თავსა თვისსა: ამისთანა საოცარი საქმე ჩემს კარში არ მომხდარა და არცა თუ მოვახდენ, სჯობს რომ თავი ჩემი შევიპყრო ქუ-ბრის გამზრდელის (ქორწინებამდის) მოვითმინო, და ჩემთვის ამის მეტ-ცოდო ჭირამი იქნება სიკვდილამდის, თუ ამისმა მამამ ნებით არ მომეცა ამის თავი, მაშინ ძალით ჩემთა წავიყვან. გულიჯანმა მაშინვე შეიტყო მისი სიჩქარე და აზრი, მაშინ მოახსენა: ფალევანო, ნათქვამია „სიჩქა-რით ქვეყანა არვის არ მოუგიამა, ვისაც კი მოუგიამა, მასაც კი დაუნა-ნია“. ახლა ამასა გთხოვ რომ აჩქარებით საქმე წახდება და არცა თუ გაკეთდება, არც ყოველ მეჯლისში გვექნება ხმა, მცირეს ხანს მოითმინე ღვთით ჩვენი საქმე ყოველთვე კარგათ მოვა და თუმცა მე არ შეგხვდე, ჩემის ხელით თავსა ჩემსა მოვიკლავ და ჩემი ცოდვა შენ გეკითხებოდეს და თუ მე ნებითა ჩემითა სხვას მივხვდე, მერე მოსვლას პასუხის გამცე-მი ვიყო. ახლა სჯობს რომ დროიანათ წავიდეთ. თუ ჩვენ ჭაერით ვია-როთ მარტორქები აქ დაგვრჩებიან, სჯობს რომ ხმელეთით წავიდეთ მარტორქებით, შექცევით და სიხარულით. ქუჩუკმა უთხრა: მართალია მამაშენთან წასვლა სჯობს მაგრამ, საბუარანთან წასვლა მეჩქარება. გუ-ლიჯანმა უთხრა: საყვარელო ქუჩუკ, თუ საბუარანთან გეჩქარება, იქიდამ უფრო მალე წავიყვანთ საბუარანთან. ამისთანა საუბრით მივიდნენ, სა-ცა ქუჩუკის ბინა და იარაღის ზანდუკი იყო.

რა გულიჯანმა ქუჩუკისა იმდენი იარაღები და მისთანა ჯაჭვი ნახა დიდათ გაიკვირვა გულსა თვისსა და თქვა ამისთანა ფალევნის წინააღმ-დეგობა ვის ძალუძს, მადლობა ღმერთს რომ მე არა ვაწყენინერა თო-რემ ერთის დაკვრით მიწასთან გამასწორებდა, შემდეგ წასვლის თადა-რიგი ნახეს, მარტორქებზედ ამხედრდნენ და გულიჯანის მსახურთ ფე-რიებმა იარაღის ზანდუკი წამოიკიდეს და წინ გამოუძღვნენ, რა მცირე იარეს, იხილეს რომ აღმოსავლეთის მხრიდამ ერთი შავი ღრუბელი მო-დის, რა იმ ღრუბელს კარგა დააკვირდნენ ცოტა შედგნენ. გულიჯანმა თავის მსახურს უბრძანა: შენ ახლოს მიდი და იგი ღრუბელი ნახე რა არის და მალე ამბავი გვაცნობე. რა გულიჯანისაგან ესე ბრძანება ისმი-ნა, მაშინვე ჭაერში აფრინდა, მცირე რომ გაიარა გამობრუნებას ლამობ-და, მაშინ ერთმა დევმა მოასწრო შეიპყრო იგი ფერია და წაიყვანა. მაშინ გულიჯანმა ეს იხილა და მაშინვე მუხლთა ხელი დაიკრა და თქვა ვაჲ, აწ წახდა საქმე ჩემი, ამდენ დევებს პასუხი ვინ უნდა გასცეს?

რა ქუჩუკმა მისი ესეთი შეშინება იხილა უთხრა: საყვარელო რას შეკრთი? თუ ინებებთ აქ მიწას მოკათხრი შიგ ჩაგსომ და ისე უყურე თამაშა, ნახე თუ ვითარი ფალავანი უშობავარ დედაჩემს. რა გულიჯანმა

მისგან ესეთი კუდლოგობა მოისმინა, სირცხვილით თავი ჩამოაგდო და მოახსენა: თვალთა ჩემთა ნათელო, ჩემი რა სახელი იქმნება რომ მე აქე-დამ სეირი გიყურო და თქვენ მარტო მათზე გაიბრძოლოთ? ეგანა მე მე-შინდი, ამისთვის მოგახსენე რომ ჩვენი წასვლა გაგრძელდება. ამ საუ-ბარს რომ იყვნენ, ნახეს ის შავი ნისლი, თანდათან მოახლოვდა და ერთ ალაგას მოეფინა.

## ქურუკი და გულიჯანი აქ დაუტეოთ და იმ ფერიის ამბა-ვი მოისმინეთ, რომელიც დევმა დაიჭირა და წაიყვანა.

ამ ჟამად რა ის ფერია დაიჭირა და წაიყვანა, ქვეყანით უფროს-თან მიიყვანეს, ფერიამ ნახა რომ ასი ათასამდის დევის ლაშქარი მო-დის და შუაში ერთი ტახტი მოაქვთ და ზედ ერთი საშინელი დევი ზის, ასეთი რომ იმისთანა საშინელი დევი არა დროს არ ენახა. ამ დევთან რომ მიიყვანეს, ფერიას შიშით კინაღამ გული გაუსკდა. დევმა რომ შე-მოხედა, უთხრა: ფერიავ ამ ალაგს მარტო რას დადიხარ ან რა საქმე გაქვს? უფრო სწორეთ მაუწყე თორემ, ამ წამსვე მოგკლავ. ფერიამ კანკალით უთხრა: მე მაჭანკალი-ფერიის ქალის მსახური ვარო იმან აქ მომიყვანა და ყარამანის შვილის ნარიმანის შვილს ქურუკ-ყარამანს შე-მოვხვდით. ახლა მივდიოდით მაჭანკალი-ფერიასთან, რა თქვენ გაიგეს მე მიბრძანეს წადი შეიტყე ვინ არიანო, რა წამოვედი მსწრაფლ დამი-ჭირეს და თქვენთან მომიყვანეს, სწორე ეს არის. რა იმ საშინელმა დევ-მა მაჭანკალი-ფერიის ქალის სახელი გაიგო, მეტად აჩქარდა და მაშინვე ხუთ დევს უბრძანა: წადით ამ წამსვე და ის ორნივ დაიჭირეთ და აქ მომგვარეთო. რა ფერიამ ესე შეიტყო თავის გულში თქვა ვაჰ აფსუს, ცოდვანი არიან რომ იმითანა ანგელოზნი ამათ ხელში ჩაცვივდნენ. ნე-ტა ჩემმა ქალბატონმა თავის თავს რა უყო, მე ხომ დავტუსაღდი და ისინიც აქ უნდა მოიყვანონ.

მაშინვე ის ხუთი დევნი მოვიდნენ ქურუკთან, მართალია გულიჯანს ეშინოდა მაგრამ ქურუკთან მალავდა თავის შიშს. ნახეს რომ ხუთნი ხვავ-ნი დევნი მოვიდნენ და ერთმანეთს წინ უსწრობდნენ, თუ მე უწინ და-ვიჭირო, ამიტომაც მიუახლოვდნენ და უნდოდათ რომ ორნივ ერთად შეეპყრათ. ქურუკმა მაშინვე ქამანდი ხელში მოიმართა და თქვა, ამათ ერთი ასეთი საქმე უნდა უყო რომ ამათი ამბავი მივიდეს და ჩემი ქება თქვანო. ეს დევნი რომ მიუახლოვდნენ, მაშინ ქამანდი შესტყორცა და ხუთნივ გააბა, თავისთან მიათრია, რა გულიჯანმა ქურუკისაგან ესე ისა-

და გაკვირვების მიზეზი, ქურუქმა ამ ხუთ დევთაგან ორი მოკლა და სამს ცხვირები და ყურები დაჭრა და თითო თვალიც ამოართვა, სასირცხვოც დააჭრა და ყველას ხელში მისცა და გაუშვა, უთხრა: წადით და ასე უთხარით თქვენ უფროსს ჩემ მაგიერათ, მე ვარ საბუორანის ძის ჩარიშახის შვილი ქურუქ-ყარამანი, ესე უთხარით, თვითონ თავის ნებით არ მოდის თქო და ვისაც შეუძლიან ჩემი ძალით წაყვანა ის გამოგზავნეთ თქო და მე რაც ხელში გიჭირავთ ძღვნად მოართვით ჩემ მაგიერად. ახლა წადით და ვაი თქვენი ბრალი თუ ეგრე არ გითქვამთ. რა ისინი იქიდან გაამგზავრა, ერთი წრე შემოავლო ბურჯ-ყუზარის ნასწავლი და მის გულიჯანი ჩააყენა და უთხრა: მნათობო, შენ მანდედამ სეირი მიყურე, დევნი კი ვერ მოვიდგებიან და ნახე რა თამაშას გიჩვენებ იმათსას ღვთით, მაგრამ ყოვლისა ჩემს თავს ერთი რამ მოუვიდეს, შენ ისე უნდა მოიქცე რომ შენი თავი ამ დევთა ხელში არ ჩავდო.

ამ სიტყვაზე გულიჯანმა მოახსენა: საყვარელო ქურუქ, თქვენ მაგის თქმა რად იკადრეთ? ღმერთმა დაგიფარათ, შორბელად მე ჩემ სიკვდილს ვირჩევ და თქვენი დამარცხება არა ვნახო. ამ სიტყვების თქმით გულიჯანი მოეხვია ცრემლის დენით დაჰკოცნა, კვალად უთხრა: საყვარელო და სასურველო, ვერ გავიმეტებ შენ რომ მაგისთანა მძვინვარემა ჯაბუკმა მაგ ემბაზის მზგავსებთან ომი, ვაი თუ გაჭირდა რამე და მაშინ მე ჩემის ხელით ჩემს თავს აქვე მოვიკლავ, მაგრამ ჩვენ ახლა უნდა შევეცადოთ ყოველის ღონისძიებით რომ გადავურჩეთ ამ წყეულებს, რათ მინდა ამ წრეში დგომა და თამაშის ყურება? განა ჩემი თავი სჯობიან შენ თავსა, ჩემისთანა ათასიც შენი ძირის სანაცვლოდ შეიქმნან, მე შენ არ მოგშორდები, შენი ტოლი თუ რომ არ შემშველოს, ნახევარს მაინც შევიძლებ, რა ესენი ამ ლაპარაკში იყვნენ, ეს სამი დამახინჯებული დევნი მივიდნენ გამწარებულნი თავიანთ ბანაკში და თვითონ კი ვეღარ წადგნენ თავიანთ უფროსთან და სხვა დევნი მიგზავნეს, ყოველივე მათი შემთხვევილი და თავგადასავალი აუწყეს.

რა ზორაბ დევთან მივიდნენ თავიანთი სცეს და მოახსენეს: ხელმწიფევ, რომელნიც დევნიც მიგზავნეთ ხუთნი, იმ ქალთან და ყმაწვილთან შესაშვრომად, იმ ყმაწვილს ორი მოუკლავს და სამისთვისაც თითო თვალი, ცხვირები, ყურები და სასირცხვო დაუჭრია, ხელში მიუცია საცოდავათ და შემოუთვლია: „მე ვარი საბუორანის შვილის შვილი ქურუქ ყარამანი, მე ჩემის ნებით კი არ მოვალო და ვისაც ძალუძსო, მიმდით და წამიყვანეთო. ესეთი პასუხი შემოუთვლია და ახლა თქვენი ნება აღსრულდეს. ზორაბ დევმა რომ ესეთი ამბავი გაიგო და ყარამა-

რის ძმობა, დიდ საკონკებლის ჩავარდა და უთხრა: არა გეცხვენიათ, ხუთმა დევმა ერთი ემაწვილი და ერთი ქალი ვერ შეიპყარით და მაგავარად სასაცილოთაც დაუმახინჯებიათ, ამას იქით რაღა იმედი უნდა მქონდეს თქვენგან? მაშინვე ხუთას დევს უბრძანა, წადით მალე და ვინც იმის ერთ ნიშანს მომიტანს იმას დიდათ დავაჯილდოვებო, მიხვიდეთ თუ არა ის ემაწვილი ვარიასხვით გაგლიჯეთ და ის ქალი კი უვნებლად აქ მომგვარეთ. რა ისინი იქით გაისტუმრა, თვითონ რაც ნაქები კარგი ტანისამოსი ჰქონდა ის ჩაიცვა, მოემზადა რომ ჯვარი იმ ქალზე მოეწერინოს.

ქსენი ამ მიმავლობაში დაუტეოთ და ქურუკისა მოისსენიეთ.

რა ქურუკმა ისე დამახინჯა ის დევნი და გაისტუმრა თავიანთ უფროსთან, მაშინვე შეშებიანი ჯაჭვი ჩაიცვა და მზათ დადგა საომრათ, იცოდა რომ დევთა ჯარი უეჭველად მოვიდოდა, შემდეგ ნახა რომ ხუთასნი დევნი საჩქაროთ მოდიან და ერთმანერთს ეუბნებიან რომ იმისი თავი მე უნდა წავიღოვო და არა მე უნდა წავიღოვო, რომელთაც ჩხუბი მოზდით ერთმანერთთან. რა მოახლოვდნენ, შემოხედეს ნახეს რომ ამ ყმაწვილს ერთი ისეთი რამ აცვია რომ ვერავინ ვერ მიუდგება, ამაზე გაშტერდნენ მაგრამ არად ჩააგდეს, მაშინვე ერთიანად იერიში მიიტანეს, რა ახლოს მივიდნენ ქურუკმა ღვთის სახელი ახსენა და ისე შესძახა რომ ის დევნი გაშტერებულნი აირ-დაირივნენ და ზოგს ყურები დაუწყვეს, რა იგინი ესე გაშტერდნენ ქურუკმა ბედნიერი ქარქაშიდამ ხმალი ამოაძრო და ამ დევთა შეუტია, ასე რომ ერთს რომ ხმალსა სცემდა მეორეს ეცემოდა და იმ ჯაჭვის შუბების შემწეობით მეორესაც ჰკოდავდა, ამ დევთა ნახეს რომ ერთი რაღაც ღვთის რისხვა აცვია და ახლოს მიდგომა შეუძლებელია, მაშინვე პირი იბრუნეს გასაქცევათ, ქურუკი ცოტა ადევნა ხოცვით მისცვა დევთა და მიაძახა: წადით და ახლა თქვენი უფროსი ვინცა ბძანებს იგი გამოგზავნეთ, თქვენ უბრალოთ ნუ იხოცებით, თორემ მე ისეთი ღმერთი მყავს შემწე რომ სუყველას გაგწყვეტთ.

რა დევთა ქურუკისაგან ამისთანა სიტყვები გაიგონეს და დარწმუნდნენ რომ იმ ერთ წამზე ორმოცზე მეტი ამოწყვიტა, მაშინ ამ დევებმა ერთმანერთს უთხრეს: ეს ვილაც არის, ადამიანი არ უნდა იყოს, ეს ღვთისაგან რისხვა იქნება ჩვენ თავზე გამოგზავნილი, თორემ ამას რა შეუძლიან? თუ შეგიტყვიათ მაგის მამა-პაპის საქმე. ქვეყნის დევნი და ჯინი თუ ფერიანი ყოველნი მაგათ მონობენ, ამ ქვეყანაში მარტო ერთის ჯაზარეკ-სამანდოვანი დარჩომილა და ეს ზორაბ-დევი, სამანდოვანი

ჯარამანმა ორჯერაც დამარცხდა და სიკვდილისკენ მხოლოდ გაქცევით გადარჩა და თუ კიდე შეხვდა, ერთი დაკვრით მიწასთან გაასწორებს და ესეც იმის შვილის შვილი არ არის? ხომ ნახეთ იმის ძალა და ძლიერება, ეს შამაზე ნაკლები არ არის, მე ვგონებ რომ ჩვენი უფროსიც რომ შებ-ძოლოს ისიც ვერას გააწყობს ამასთან, ჩვენ რაზე დავიხოცოთ უბრა-ლოთ, ჩვენ შორით თამაშა ვუყუროთ, ვნახოთ ზორაბ დევი და ეს რას უზამენ ერთმანერთს.

რა ესე მოთუბნეს ერთობრივ მოიწონეს და თქვეს, წავიდეთ და დამქარსაც ესე მოვასმინოთ, მაშინ მოედანი ვისაც დარჩეს ჩვენც იმის მხარეთ შევიქმნეთ, ადამის ტომმა დევის მატიგი უფრო იცის; ამ აზ-რით მივიდნენ თავიანთ ბანაკში. ესე ყველას შეატყობინეს და თავიანთ რჩევა მოაწონეს ყოველს. ჩვენ იმ გვარათ უნდა შევატყობინოთ ზორაბ-დევს რომ თვითონ გავიდეს იმასთან საომრათ. იმათში ორნი ამაყნი დევნი ერივნენ, მაშინვე იგინი წარვიდნენ და ზორაბ-დევს ამბავი მოუტანეს ესე რომ ის თქვენი გაგზავნილი ხუთასნი დევნი უკან მოვიდნენ და-მარცხებულნი და ბევრიც დახოციათ, ისე შეშინებულან იმ ყმაწვილის-გან რომ ხის ფურცელივით თრთიან, როგორც ჩვენ ვხედავთ ამ ჩვენ დევებში იმის პირდაპირი არავის შეუძლიან. ის უკან დაბრუნებულ-ნი დევნი თქვენთან სირცხვილით ვერ შემოსულან რომ გამოგიცხადონ, მათი საწადელი ეს არის რომ არც ერთი არ გავიდეს მასზედ, ბრძანეთ რომ ჩვენ მივიდეთ და დავიჭიროთ. ზორაბ-დევმა რომ ეს ამბავი გაი-გონა, ასე განრისხდა რომ ცეცხლს დაუმგზავსა, მაშინვე გამოვიდა, თავის მძიმე ლახტი აიღო და იმ უკან დაბრუნებულ დევთაგანი რამდენი-მე დახოცა, ერთი შეჰყვირა და საბრძოლველად გამოვიდა, თავის ჯარიც უკან მოჰყვნენ, საომ გაიწიეს და დადგნენ. ყველანი თავიანთ გუნებაში ამბობდნენ, ჩვენი ამხანაგი ხომ ტყუილად დახოცე, აბა ახლა მიიბრძან-დი და ეგ ყმაწვილი გიჩვენებს შენ თამაშასათ. ზორაბ დევი მოედანზე გავიდა თუ არა, აქეთ მხარეს ქურუკმა უთხრა: საყვარელო გულიჯან, არამც თუ ერთიანათ იერიში მოიტანონ დევის ჯარმა, რადგანაც არ იმ-ლი ჩემს მოშორებას თქვენ ეს ჯაჭვი ჩაიცვით, მაშინ თავის შუბებიანი (ჯაჭვის ჩაჩქანი) გაიხადა და გულიჯანს ჩაცვა, რადგანაც გულიჯანიც სა-კვირველი ფალავანი იყო, ისიც საომრად ორის იარაღით შეიჭურვა და მზათ დადგა. ქურუკმა ორნივ მარტორქანი იმ წრეში ჩაყენა რომ დე-ვებმა არ დაიჭირონ და მაშინ ორივე მზათ დადგნენ. ქურუკმა შეხედა ნახა რომ მოედანზე ერთი საკვირველი და საშიშარი დევი გამოსულა, ას თოხმოცი მწყრთის მქონებელი და ხელთა ასეთი ლახტი უჭერია რომ

მახსენებისათვის საზარლად კმა არის და საკვირველად დიდებულის და იმისის; მეფე შენ ყარამანის ნათესავი მოდი დამიჭირე მაგ ქალს თავი დაჰკრე და შენ მშვიდობით გაიარე, თორემ ასეთ საქმეს გიზამ რომ პაპაშენმა გა-ლარ გიშველოს და შენმა ნათესაობამ, რა შენი საქმე შეიტყონ დევთა დავისაკენ ხელი აიღონ, თუ ჭკუა გაქვს მოდი დამიჭირე იგი ქალი მე მომეც და შენც ჩემ შვილად აგიყვან და დევთა ხელმწიფეთ დაგსვამ და ჩემ რაჯაბ ყმაკს თაყვანი სცე, თუ თავისა შენისა მშვიდობა გინდა! რა ეს თქვა: შემოხედა ნახა რომ ქურქუთან ერთი ვიღაც ახალგაზ-რდა ფალავანიცა დგას და ერთი საკვირველი ჯაჭვი აცვია, რომელსაც ზედ შუბები აქვს და იმ შუბების წვერნი ალმასივით ელავენ. რა ზორაბ-დევ-მა ესე ნახა თქვა, აგი იმ ფერიამ მითხრა რომ ერთი ქალი არისო? ესე-ნი ორივე ვაჟნი ყოფილან; მაშინვე დაუძახა ერთ დევს და უთხრა, იგი ფერია აქ მომგვარეთო. მაშინვე მისი ბრძანება აღასრულეს. რა იგი ფე-რია იმ მოედანზე მიიყვანეს, ფერიამ თავისი თავის იმედი გარდაიწყვე-ტა და თქვა თავის გუნებაში სწორეთ სასიკვდილოთ მიყვანენო. რა ფერია ზორაბ-დევთან მიიყვანეს წინ, ზორაბმა ფერიას მრისხანედ შე-მოხედა ასე რომ ფერიას გული შემოეყარა და მიწაზე წაიქცა, მაშინვე ზორაბმა ბრძანა ეგ მოაბრუნეთო, რა ცნობას მოიყვანეს ზორაბ-დევმა უთხრა: ფერიავ ნუ გეშინიან, ერთ საქმეს გკითხავ და სწორეთ მითხარ, შენ რომ გუშინ მითხარ თუ ის ერთი მაჯმალ-ფერიის ქალიაო, მე იმას-თან ქალს ვერა ვხედავ, რათ მომატყუე? ფერიამ კანკალით მოახსენა: ის ერთი ქალია და მეორე ქურქუ-ყარამანი და იმ ქალს ვაჟური ტანისამოსი აცვია. ზორაბმა რომ ესე გაიგონა დაიყვირა და ფერიას უბრძანა: ახლავ წადი იმ შენ ქალბატონს მოახსენე რომ ახლავ ჩემთან მოვიდეს, ამ წუ-თისოფელს ჩემთან გაატაროს და ყოველთ დევების დედოფლად იმყო-ფებოდეს, ასე უთხარი, ნებით მოსულა საყვარელი იქნებითქო, და თუ ძალით მოგიყვანეთქო, იცოდე რომ წვალებით შეგინახავთქო და ჩემს ნებასაც აღვასრულებთქო. ახლავ წადი და ეს უთხარ და ამასაც მალე მოართვი რომ მინდა ქვეყანა ცეცხლით ავავსო, ეს თქვა და ფერია იქით გაისტუმრა, თვითონ კი მისს ამბავს ელოდა.

რა იგი ფერია იქიდამ წამოვიდა, მოვიდა და ქურქუს თავი დაუკრა და ზორაბ-დევის შემოთვლილება გულდაკანკალით მოახსენა: რა ქალიჯანმა თავის მსახურისაგან ეს სიტყვა მოისმინა, მაშინვე ქურქუს მოახსენა: ქურქუმაც წაიყვანა და ეს ფერია იმ წრეში დაყენა და მარტორქების ჯო-ლავო ხელში მისცა და უთხრა: შენ აქ დადექ და ეგ მარტორქანი შე-ნახე, სხვა ფიქრი ნურა გაქვსო, ეს იცოდე ქვეყანა რომ დევით აღივ-

სოს მაგ წრეში დევი ვერ შემოვა. თვითონ მივიდა კულდუშანთან და უთხრა იმასაც, შენც მანდ იმყოფებოდე, მე შენის სახელით გავალ და შენ მანდედამ ნუ დაიძვრი. მამინვე ქურუცი გავიდა მოედანზე, რა ზორაბ-დევმა შემოხედა ნახა რომ ერთი უმაწვილი ფალავანი მოედანზე წინ მოდის, სახეც მტერთის მქონებელი და სამოსიც ოქროს აბჯრით შეჭურვილი, ასეთი მოისხანდა დგას რომ მის შემხედავს ნაღველი გაუსკდება. მარჯვენა ხელი მარცხენა გვერდს შემოიღო და მარცხენა მარჯვენას და ერთი ასეთი ხმით შესძახა სახელი ღვთისა რომ იმ არე-მარეზ ზანზარი დაიწყო, ზორაბ-დევს რომ ესეთი ხმა ესმა, ცა ქვეყანას დაეცემის ხმა ეგონა და ზეცას ყურება დაუწყო, მაშინ საშუალოს გამოვიდა და დაიძახა: ჰეი შენ უცხო უმაწვილო! ნადირსავით ნუ დაწვები მარტო, მოდი ჩემ შვილად გაგხადო, ყოველთვის როდესაც სანადიროთ წავიდეთ ასი ათასი დევი გაგზავნოთ თან და გემსახურონ, თუ არ მიხვალ ისეთს ტანჯვით მოგკლავ რომ მსოფლიოში სიკვდილი ნატრობდე.

აქედამ ქურუცმა შესძახა: შე ქოფაკო ძაღლო და ეშმაკის თაყვანის მცემელო, საძაგელო, რომ მემუქრები რას მემუქრები? ხუთი მაგდონი დევის ჯარი რომ გვყავდეს, მაშინაც არ შემეშინდება, თორემ ვის აშინებ? სიტყვა ის არის ჩემსავებრ მარტო გამოხვიდე და პასუხი გამეცი, თორე ჯარით და შენის ეშმაკით ნუ მაშინებ, შენც დაწყევლის ჩემს ღმერთმა და შენი ეშმაკიც, რომელიც ღმერთად მიგიღია, მე იმედი მაქვს ჩემის გამჩენისაგან რომ შენი თავი ჩემ ხელში ჩავარდეს.

ზორაბ-დევმა რომ ქურუცისაგან ესეთი სიტყვები მოისმინა ისე განრისხდა რომ თავის ხორცს კბილით გლეჯა დაუწყო და თავისი მძიმე ლახტი აიღო და მოედანზე გამოვიდა, ქურუცს შემოსძახა: შე საწყალობელო ჩემი სიტყვა რადგანაც არ დაიჯერე და მაგისთანა უშვერი სიტყვები მაკადრე, აბა ახლა ნახე რა დღეში ჩაგაგდო, გამოეთხოვდი რომ შეჭკუოს ეს ჩემი ლახტი ჭკუაზე მოიყვანს, ეს თქვა და თავისი მძიმე ლახტი ქურუცს შეუმალა, ქურუცმა ფარი იფარა, მისი ლახტი გრუგვინით მივიდა და ფარს მოხვდა, ასეთი ძალა დაჰკრა ქურუცს რომ იმისთანა ძალა ჯერ არავისგან დასდგომოდა. ზორაბ-დევმა მეორეც შეუმალა, ქურუცმა თავის თავი რომ ამ მდგომარეობაში იხილა თავის გულში თქვა ეს წყეული რას მიპირებსო, თუ ერთიც დამკრას საქმე წამიხდებაო, ვიდრე ლახტი ფარს მოხვდებოდა, ქურუცი ქარის უმალესად შორს გარდახტა, მაშინ ზორაბის ლახტი დედამიწას მოხვდა ისე რომ დედამიწა გაპო და ლახტი შიგ მიწაში ჩავარდა. ასეთი მტვერი ავარდა რომ ქურუცი მტვერში აღარ გამოჩნდა, ზორაბმა რომ ქურუცი ვეღარ იხილა, მიწასთან გასწო-

რბეულდი ქვერსა და თქვა: შენ მიწის ნაშობი, არ მოკვდები განა, რო-
-გორათ მიწასთან გაგასწორე თუმცა, ახლაც არ დამანებებ ქალსაო; და
გულდაჯანმა ნახა რომ ქურუკი მტვერში აღარ გამოჩნდა, ერთი ამოიოხრა
და თქვა: ვაი მეგე რომ დაიჩაგრდი, შენს უკან რაღა მაცოცხლებს, მე-
ჯვარა და ლახტი აიღო ხელში და ტირილით მოედნისკენ გასწია რა
ცოტა ხანი გავიდა და მტვერი გადასწყდა, ნახა რომ ქურუკი უვნებლად
დგას, ღმერთის მადლობა შესწირა და იქვე დადგა და ყურება დაუწყო,
რა ქურუკმა იმ დევისაგან ისეთი დაყვედრება გაიგო, განრისხდა და ისე-
თი შესძახა რომ მეხის ტევას უმგზავსებოდა და თავის მძიმე ლახტი
სამჯერ თავს შემოივლო და დასაკრავად მიუტანა, რა ზორაბ-დევმა ქუ-
რუკის გაჯავრება ნახა, დიდი ქება დაუწყო და თქვა თუ ამის ლახტს გა-
დურჩი ფიქრი აღარა მაქვს, მაშინ თავის ლახტი ქურუკის ლახტს მიაგე-
ბა, რა ლახტი ლახტს მოხვდა, დასხლტა და ზორაბს თავ-პირი სამა-
ლაგ დაუკოდა და ერთ ჟამამდის უცნობი შეიქმნა, მაგრამ მისწრაფე-
ბამ შეიკრიბა, რა დევთა ლაშქარმა ქურუკის ესეთი ძალა ნახეს, დიდა
ქება შეასხეს და ერთმანერთს უთხრეს, თუმცა ყარამანი ცოტად დაბერე-
ბულა მაგრამ იმაზე უარესი მძლავრი გაჩენილა მათ გვარში, ჩვენ გვე-
ნებით რომ ამ ყმაწვილმა ზორაბი დაიმორჩილოს, რა ამ განზრახვაში
იყვნენ, ნახეს რომ ქურუკმა იმ ერთის დაკვრით ვერა დააკლორა, დიდათ
განრისხდა და მეორეთ მოუქნია ლახტი, ზორაბმა რომ წინა ლახტის
კვლა მიიგორა, ამ ლახტს გაუშორდა და ქურუკის ლახტი მიწას მოხვ-
და, რა ქურუკმა იხილა რომ თავისი ლახტიდამ გაშორდა იგი დევი,
ლახტი ძირს დაგდო მივარდა და მუშტი მოუღერა, ზორაბმა ხელი მო-
აშველა, მუშტი მისს ხელს მოხვდა, ხელმა ვეღარ გაუძლო და წარბს
მოხვდა და სისხლი გადმოედინა. მაშინ ზორაბი განრისხდა მკლავები
გამართა და უნდოდა რომ აეყვანა და შორს გადაეგდო, ქურუკი თვალში
იყუმსავატა. ქურუკმა რომ ეს იხილა თვითონაც წელში შეუვარდა, მა-
გრამ ქურუკმა მკლავებით ვერ შემოსვია რადგან საზარელი დიდი დევი
იყო, ერთი მკლავი ცარიელი შეუნახა და მარჯვენის მკლავით ჭიდაობდა
ამდენი ეცადა რომ ორივე ფეხები მარცხნის ხელით დაუჭირა, შემდეგ
მარჯვენა ხელი კისერში ჩაუყვლო, დაიძახა და ერთი ისეთი ხმით ღვთის
სახელი ახსენა რომ ამ დევის ლაშქარი ერთმანერთს ეცნენ და ზეცას
ყურება დაუწყეს, ის ხმა ლოდებიდამ მგონია, ასე გაშტერდნენ რომ
ზორაბის იმედი აღარ მოაგონდათ. ქურუკმა რომ დაიძახა და ღვთის სა-
ხელი შესძახა, მაშინ ძალა დადგა და ეს დევი თავამდის აზიდა და მოე-
ხლიდამ გულდაჯანამდის მოარბენინა და იმას წინ დედამიწას დასცა, ისე

რომ დედამიწა შეიძრა და ზორაბ-დევი უგონოდ შეიქმნა, მაშინვე ორ-ნივე მისცვივდნენ და მაგრა შეკრეს, შემდეგ გულიჯანი მისწვდა და ქუ-ჩუკს მუხლს აკოცა და ლექსით მოახსენა:

„ფალავანო ლომს ხარ ქებით, ღმერთმა ძალა ნუ მოგაკლოს,
„ათასმეცა ჩემისთანა შენსა თავსა ენაცვალოს,
„ბედნიერო თვალის ჩინო, მტერს დაჰკარი ფეხსალესი,
„ვინც შეიტყოს ეს საქმე, შენ წინ ომი ვერ გაბედოს.

შემდეგ გულიჯანს გული ცოტათ არის დაუწყნარდა და მოახსენა: ჰეი თვალთა ჩემთა ნათელო, ახლა კი დროა გაიგოსა, შე შვილოდ ამის მამა მკლავდა ამიტომ რომ ამის ქება მესმენოდა და რადგანაც ახლა ამი-სი თავი ღმერთმა ჩვენ გვაჩუქა, ახლა ფიქრი აღარაფრისა მაქვს, ქუჩუკ-მა მაშინვე ზორაბ-დევი შეკრული მიიტანა და წრეში დაგდო, შემდეგ მსწრაფლ ორთა დიდმა ხმლებს ხელი გაიკრეს და ამ დევთა ლაშქარს შეუტიეს, რა დევთა ლაშქარი ცნობას მოვიდა, ნახეს რომ მოედანზე აღარც ზორაბ-დევი იყო და აღარც ქუჩუკ-ყარაჩანი, გამოცვივდნენ და ზოგ-მა დევმა კი მაშინვე ქუჩუკს შემოუტიეს და ზოგნი აღარგინამაც არ და-იძვრნენ და თამაშას ყურებს დაუწყეს, ასე იძახდნენ, ამან რომ ჩვენი უფროსი იმ დღეში ჩაგდო ჩვენ რას გვიზამს? და ვნახოთ ეს ჩვენი ლაშქარი ახლა რას უზამს და ჩვენც იმ გვარათ საქმე დავიჭიროთ, ესე თქვეს და ყურებს დაუწყეს, ნახეს რომ ქუჩუკმა და გულიჯანმა ხმლებს ხელი მოიკრეს და დევებს შეუტიეს, ერთი მხრიდამ ქუჩუკი რომელ დევსაც თავს სცემდა შუა გაჰკვეთდა, რომელსაც წელში აძგერდა შუა გასწყვეტდა. გულიჯანიც მეორე მხარეს იბრძოდა ფოლადის ცდით, ასე რომ ამის ახლოს ვერა დევი ვერ მიიდგარიყო, რა დევთა ამ ორისაგან ესეთი საქმე ნახეს, პირი იბრუნეს. დანარჩენ დევის ლაშქარს, ქუჩუკმა და გულიჯანმა რისხვა ღვთისა მოაყენეს უკან მიჰყვნენ და მალ-მალე ნა-რასა სწყვიდნენ. იმ დევთა თავიანთ ამხანაგების დამარცხება და დახოცვა რომ იხილეს, ერთმანეთს უთხრეს: დევნო ხომ ხედავთ ჩვენი აღსას-რული მოახლოვებულა, თუ არ დავმორჩილდით ყველანი დავიხოცებით; ერთიც ეს რომ რაც ის წყეული, ჩვენ ღმერთად დავსახეთ, იმის სიტყ-ვები სულ ტყუილი გამოდგა, თქვენ ხომ გახსოვთ წამოსვლაზე რანაირი იმედები მოგვცა და ახლა სულ ტყუილი გამოდგა, აი ჭეშმარიტი ყო-ფილა ამათი ღმერთი, ხედავთ ორი სული რასა შვრებიან. რა ესე თქვეს ერთობით ხმა მისცეს. ჰეი საბერძნეთის ძეო და ნაქებო ჭაბუკო! ნუ გვხოცავ თქვენი მონა შევიქმნებით და თქვენი ღმერთიც გვიწამებია. წყეულიმც იყოს ჩვენი მუხდური ეშმაკი ღმერთი, მოწიწებით გთხოვთ

რომ შეგვიწყალეთ და ჩვენი დანაშაული გვაპატიეთ, ჩვენი ჯილდო მეტს სა-სხლი და საუკუნოდ თქვენი მონა ვიქნებით.

ამ თხოვნაზე ქურუკამ და გულოჯანმა იმიდამ ხელი აიღეს და დადგნენ. მაშინ ქურუკამ შესძახა: ჰეი დევნო! სად წახვედით ხელთა ჩვენთა?! იგეკარგს ზღვაშიაც რომ ჩასვიდეთ მაშინაც ვერ დამემალებით, თუ გინდათ ბუნი, მოდით და ჩემ საბაოთ ღმერთის თაყვანი ეცით და თქვენ ჯამაგს შეასრულეთ, თორემ ყველას გაგწყვეტთ. მაშინვე დევებს ხმლები კისრებზე შემოიკიდეს და ქურუკის და გულოჯანის წინაშე მოვიდნენ და წინ დაიჩოქეს და მუცლით მორობის პირობას უცხადებდნენ და ჯამაგს აძლევდნენ. რა ქურუკამ მათი ჭეშმარიტი მორობა დაიჯერა, შემდეგ ქურუკამ ბრძანა: დევნო აქამდის ყოფნახეთში იყავით, ახლა კი მოისვენებთ. აბა ახლა წამობრძანდით თქვენი უფროსი ცნახოთ რა ჭკუაზე შეიქნილა, მისი სიცოცხლე გაგრძელდებაშია თუ სიკვდილს მოახლოვდება, ესე რომ ბრძანა, ზორაბ-დევისაკენ წამოვიდნენ, დევებმა მოახსენეს: ფადიშაჰო, ბოდიშდელად თქვენი ჭირიმე რომ ვნახეთ მაშინვე მოვახსენეთ ზორაბს, მაგრამ არ გვისმინა და ახლა კი თქვენი ძალით და ბედნიერი ხმლით შეახრიეთ, როგორც ეკადრებოდეთ. ახლა კი მოვკარგებს ჩვენი ნათქვამი სიტყვები და სრულ ჭკუაზე იქნება მოსული. ამ ლაპარაკით მოვიდნენ ზორაბ-დევთან, ნახეს რომ ზორაბ-დევი საცოდავათ შეკრული წრეში კლდეს ხელ-ფეხ შეკრული და ბეჭრედით ერთი ფერის უდგას და ორი საზარელი მარტო-რქა შემოწვავს ხელთა. რა ზორაბმა ნახა რომ ქურუკა და გულოჯანი მოდიან და უკან თავის დამწყარი მოზღვავს, რადგა ქურუკას შეშლი მოაკონდებოდა ტახში ჯოჯოხეთი დაუწყილდა. ქურუკა წრესთან მივიდა, დევებს უთხრა: დევო მოდით თქვენი უფროსი წრიდამ გამოიყვანეთ, დევებმა მოახსენეს, ფადიშახო ჩვენ წრეში ვერ შევალთ. ქურუკს რომ ესე მოახსენეს: თვითონ შევიდა, მხოლოდ გულოჯანი და დევნი კი წრის გარეთ დარჩნენ, ქურუკამ უთხრა: ზორაბ-დევს, დევო რას ფიქრობ, სამ საქმეს გეტყვი რომელიც გინდა ირჩიე, ხომ ნახე ჩვენ ღმერთმა შენი თავი მე მაჩუქა და შენი დამწყარიც. ახლა მინდა მოგკლა თუ მინდა დავკარგო, შენი დაშქარიც მე დამორჩილდა და რომელნიც ცხენ-ურჩადან დაიჭირნენ იმათი ცოდვაც კისერზე დაგედო, ახლა პირველად ამას გკითხავ, რის საქმით მოსჩივი, ერთის საქმით წახვალ. მართლად თუ გინდა შენი თავის მორჩენა, ბაპაჩემ თვალები აუხილე იმის თავის და ჩემი გულოჯანის მიზეზ, შენდობით დაგარჩენ. მეორედ ამ ქვეყნის ღმერთად რომ გაჭამებიათ, შეასრულეთ იმის ღმერთობას და ახლა ციხა და ქვეყნის გამჩენი ჭეშმარიტი ღმერთი, თუ ეს ორი სწა-

ლვის არ შეისმინე, მერე ხელ-ფეხ შეკრული მიგდებ თუ დევს კიდობანის ფსკერში და ტყიდამ ძირს ჩამოაგდონ. რომელიც გინდა ის ირჩიე.

რა ზურაბ-დევმა ქუჩუკისაკენ ესე მოისმინა, მოახსენა: ფადიშაჰთა ფადიშაჰო მიხარება თქვენთვის, ყმაწ ფერიამ ის ჯადო მოკლა, იმისი სისხლი შეიტანა და მით მოარჩინა პაპაშენი და ახლა თავის მამის სასთუმალზე ბრძანდება. იქ ცოხე-ბადის და სასთუმალის კალთებისგან, და ყოველი დევი თუ ფერია იქ არიან შეყრილნი, მეც დავამშვე რომ პაპიშენის ყმა არ გავხდი, წყეულმა ეშმაკმა მომატყუა, წყეულიც იყოს ისისი სახსენებელი და ვინც ის იქმოს. ფადიშაჰო გთხოვ წყალობა მიყო შენის გულის საყვარელის სიდღეგრძელით და გამართავისუფლებელით, მართალად შეგიქმნები შენი ერთგული მონა და მეყოლე მიწამებით თქვენი ჭეშმარიტი ღმერთი, ახლა ნება თქვენი აღსრულდეს, თუ გნებავთ უბრძანეთ თავი გამაგდებინონ ლორის ვარ სავდილისა, ესე თქვა და თავი ჩამოაგდო და დადგა. რა ქუჩუკმა ამ საზარელი დევისაგან ამისთანა მორჩილობა ნახა ღმერთს მადლობა შესწირა, მიერე ზურაბი შეკრულობისაგან გახსნა და განთავისუფლა, რა მან თავისი თავი განთავისუფლებული იხილა, მაშინვე მივიდა და ქუჩუკის კალთას აკოცა და მოახსენა: ფადიშაჰო, ამას იქით თქვენი ბირთველი მონა მე უნდა ვიყო, ღმერთმა დაგიფაროთ, თუ თქვენ თავს ერთი რამ ზიანი იყოს მისასვლელი მარჯვენაზედ ჩემს თავს მოვიკლავ. ჭაბუკო ფადიშაჰო, ადრე მოხდეთ თქვენის პაპის საამბორანის მონა შევქმნილიყავ, მაგრამ წყეულმაც იყოს ჩვენი ეშმაკი, მისმა სიტყვებმა მამატყუეს, თორემ მე რა მრჯიდა თქვენობისა, ღმერთს ქვეყანა თქვენთვის მოუცია. მაშინვე წრიდამ გარეთ გამოვიდნენ, მივიდნენ და ზურაბ-დევის ტახტზე დაბრძანდნენ, მარჯვენა კერძით გულიჯანი დაისვა და მარცხენა მხარეს ზურაბ-დევი. მაშინ ქუჩუკმა საწერ-კალამი მოითხოვა, მსწრაფლ მოიღეს და ერთი წიგნი დასწერა, თავის მამა ნარიმანთან, ყარამანის სიბრძნისაკენ ამბავი გისუფლება და შემდეგ თავის მამისა და პაპის სასთუმალთან გაკეთებისა და თავისა ამბავი უოველივე, და დევს მისცა იგი წერილი და ქალაქისაკენ გაისტუმრა.

შემდეგ ქუჩუკმა ბრძანა: მალე წავიდეთ, ჯერ შამშად-მაჰვასთან და შემდეგ თავის პაპა ყარამანთან. მაშინვე ზურაბ-დევის სხვა ტახტი მოიღეს, ზურაბი იმაზე დაჯდა, ქუჩუკი და გულიჯანი იმ მეორეზე ტახტზე, მაშინ მოვიდნენ ოცი ხუთი დევნი და იგი ტახტი აიწიეს და შამშადფერიისაკენ გაემგზავრნენ, წინ ზურაბის ტახტი მიექანებოდა, შუაში ქუჩუკის იარაღის ზანდუკი, და ორ დევსაც ის ორი მარტორქის ტყავი-

თათ, ამ ყოფით ოთხი დღე იარეს, შემდეგ ზღვის პირს ჩამოხტნენ და მოსვენებას მიეცნენ, მაგრამ როდესაც ქურუკს და გულიჯანს მოსვენება და ძილი უნდოდათ, შორი-შორს წვებოდნენ ამიტომ რომ ვიდრე ქებინის გაჭრამდე პირნათლად უნდა ყოფილიყვნენ, ამიტომ ორნივე ითმენდნენ.

იმ ჟამად რომ ზღვის პირს ჩამოხტნენ, დევებმა მრავალი ფრინველი და ნადირი ინადირეს და ქურუკს მოართვეს, ქურუკი და გულიჯანი ყოველთვის ტკბილ საუბარში იმყოფებოდნენ. ზორაბ-დევი კი რამდონიმე დევებით ამ ზღვის პირ დადიოდნენ, ქურუკმა ნახა რომ რამდონიმე დევი უკან მორბიან, ჰკითხა დევნო რათ მორბიხართ უკან? ან ზორაბი რა იქნაო? დევებმა მოახსენეს, ფალევანო ზორაბი რამდონიმე დევებით ზღვის პირათ დადიოდა, ანაზდად ვნახეთ რომ ზღვიდამ ერთი საკვირველი მხეცი გამოვიდა, თვითონ დაბალია, სიგძე კი აქვს თორმეტი მწყრთა. თავი აქვს გრძელი ტანი სულ ძვლისა აქვს, ასე რომ არაიარაღი არ ეკიდებოდა, როცა პირს აღებდა, იმისი კბილების დათვლა შეუძლებელი იყო, თითო პირის დაღებაზე თითო დევსა ჰყლაპავდა, ხუთი დევი გადაყლაპა, ახლა ზორაბ დევს ეწადა იმის ომი, მაგრამ იმასაც კი ავნებს და თუ თქვენი მოწყალება არ შეწია რა დევთა ჯარის ყველა მუსრს გავლებს და შთანთქავს.

რა ქურუკმა ესე შეიტყო, მაშინვე ერთი ირმის გუდის გაძრობა ბრძანა, ერთ ირემს გუდა გახადეს, ქურუკმა ის გუდა ხანჯლებით და შუბებით ავსო, თავისი შუბებიანი ჯაჭვი ჩაიცვა და გულიჯანიც თან წაიყვანა, ამიტომ რადგანაც დევებისა ეშინოდა, მივიდნენ ნახეს რომ ერთი საკვირველი და საზარელი მხეცი ზორაბს წინ უდგას და მასთან ბრძოლას აპირებს, მაშინვე ქურუკმა იმ ირმის გუდა მიტანა და მხეცის პირდაპირ გზაზედ დაგდო, თვითონ კი მივიდა და ზორაბს უთხრა: თქვენ მაგ მხეცისაგან ხელი აიღეთ და ვნახოთ ღმერთი რას გაარიგებს, რა მხეცმა ნახა რომ კიდე ორი ადამიანი სხვა მივიდნენ, ამაზე გაცხარდა და ზორაბს შემოუტია — და ერთი ასეთი ტოტი დაჰკრა რომ მაშინვე ზორაბ-დევი პირქვე წაიქცა. რა ზორაბი დაეცა ჩაყლაპვას უპირებდა. იმ ჟამად ქურუკმა იხილა რომ ზორაბის აღსასრული მოსულა, მაშინვე ღვთის სახელი ისე შესძახა რომ მთა და ბარმა ზანზარი დაიწყეს, რა მხეცს ესეთი ხმა ესმა ზორაბს თავი დაანება და გაშტერებული დადგა, შემდეგ ქურუკისა და გულიჯანისაკენ წამოვიდა, რა გულიჯანმა თავიანთზე იმის მომავლობა იხილა, ტირილი იწყო და ქურუკს ეხვეწებოდა, საყვარელო მოდი მხარზე შეგსვამ და ჭაერში ავიდეთ ოღონდ ამით გადავრჩეთ, ქურუკმა უპასუხა: საყვარელო გულიჯან, ფალევნობის

წესი არ მოითხოვს რომ ჩვენ ჩვენს მტერს მოვერიდოთ, მე ამასა გთხოვ რომ შენ ამაღლდე და თამაშა მიუშრო, თუ ღმერთი ამის თავს როგორმე მაძლევინებს. არა ჩემო საყვარელო მე არ შემიძლიან მარტო დაგტოვო, მეც უნდა შენთან ვიმყოფებოდე განუშორებლივ. ამ საუბარში მხეცი უფრო მოუახლოვდათ, მხეცის მომავლობაში ის ირმის გუდა წინ დაუხვდა, მაშინვე ის შთანთქა, ქუჩუკმა ესე იხილა მაშინ ერთი ნარაც გასწია, ისე რომ მხეცი ადგილიდამ ვეღარ დაიძრა, ქუჩუკმა მაშინ ღმერთი ძლიერი ახსენა და ქამანდი შესტყორცა და კისერს მოზდო, მხეცმა რომ თავის თავი ქამანდში გაბმული ნახა, მაშინ ქუჩუკს მრისხანედ შეუტია ქუჩუკმა ქამანდის წვერი ხელში გაიმაგრა და ვიდრე მხეცი მოუახლოვდებოდა მეორე მხარეს გადუხლტა, ერთი ნარაც მაშინ გასწია და ქამანდს ისე მოზიდა რომ ის საზარელი მხეცი ორის ფეხით დააჩოქა, რა მხეცმა თავისი თავი ამ მდგომარეობაში იხილა, გაქცევა დააპირა, პირი რომ იბრუნა გასაქცევათ, მაშინ ქუჩუკმა კვალად ერთი ნარაც გასწია, ქამანდ მოზიდა და მხეცი წაქცია, მხეცი მეორედ ადგა და ქუჩუკს შემოუტია, ცოტა ახლოს რომ მოვიდა, მაშინ ქუჩუკმა კიდე ნახა გასწია, გვერდით მდგომ გულიჯანს ცნობა დაეკარგა და ზორაბ-დევი ცნობას მოვიდა. ზორაბმა რომ თვალები ახილა, ნახა რომ მხეცი ქუჩუკის ქამანდში გაბმულა, ქუჩუკმა კვალად ქამანდი მოზიდა, მაშინ ის მხეცი პირქვე დაეცა, მხეცი რომ დაეცა, გვამშიაც იმოქმედეს იმ ადრე ჩაულაპულ შუბებმა და მკვეთელ ხანჯლებმა, მხეცს უნდოდა მესამედ ამდგარიყო მაგრამ ადგა და წაიქცა, ძალიან დასუსტებულიყო, რა ქუჩუკმა ესე იხილა მაშინვე ქარის უმალესად მივარდა, თავს ასეთი გურზი დასცხო რომ იალბუზის მთისათვისაც რომ დაეკრა იგიც დაინგრეოდა, მაგრამ ვერა ავნორა, რა გურზით ვერა ავნორა, მხეცმა პირი დაადო ქუჩუკის ჩასაულაპავად, ქუჩუკმა თავის შუბი პირში ისე ჩასცა რომ მუცელში გაუოფინა თავი, მხეცმა მაშინ გორვა დაიწყო. ქუჩუკი მისდგა და თავისი მძიმე გურზით თავი დაუნაყა, მაშინ ძლივს მხეცმა სული დაცალა. რა ახლოს მივიდნენ კარგათ გაშინჯეს ნახეს რომ ერთი უშველებელი ზღვის (კროკოდილოს). რა ზორაბ-დევმა ქუჩუკისა ამისთანა ძლიერება იხილა, მივიდა და ქუჩუკის კალთას აკოცა, აგრეთვე გულიჯანმაც და სიყვარული ერთი ათასად განუცხოველდა და ლექსად მოახსენა:

„საყვარელო გულის ვარდო, ღვთისაგან გაქვს შენ ეგ ძალი,
„აღმოსავლეთ დასავლეთსა, ვერ ვადარე შენი ცალი.
„ღმერთმა მისცეს პირ-ნათელი, ვინც დაგბადა შენ ძლიერი,
„მოდი ახლოს რო ვიხარო, დავიმშვენო ჩემი მხარი.

ესე ლექსი რომ მოასხენა გულიჯანმა: მაშინ ქუნუკი მივიდა მკლავი დაუჭირა და ამ მხეცთან მიიყვანა და შინჯვა დაუწყეს. ქუნუკმა ჰკითხა: მეგობარო ზურაბ ეს რა მხეცი უნდა იყოს? მე ჯერ ამისთანა მხეცის მნახავი არა ვარო. ფალევანო, ამ მხეცის ვითარებას მოგახსენებთ დაწვრილებით, ამას ჰქვიან სახელად კროკოდილო ე. ი. ქართულად ზღვის ჯოჯო, ეს მხეცი ზღვაში ცხოვრობს, რაც ზღვაში წვრილი ცხოველები არიან ეს ნადირობს და იმით იკვებება, რა გარეთ გამოვა, გარეთაც რასაც მოასწრებს ყველას ჩანთქავს, შემდეგ მივა და ერთ ალაგ დაიძინებს პირღია, ამის მტერი ერთი დიდი თაგვისტოლა რამ ცხოველია, კუდ-გრძელა გველსავით, ის მივა პირში ჩაუძვრება და გულს ამოსჭამს და იმით კვდება ეს, თორემ ამას არა იარაღი არ მოეკიდება, ეს დიდხან ცოცხლობს, ამის ზურგის ძვლის სისქე სამი მტკაველია, აგრეთვე თავი მომეტებული ძვალია. ფალევანო, ღმერთმა მკლავის ძალა არ მოგაკლოსთ, თქვენ დღეს ისეთი საქმე ჰქენით რომ არა ფალევანს არ უქმნია, ამის სიკვდილი არც დევთაგან შეგვიტყვია და არც საჰყირანებისაგან. მე რა შემეძლო ამის წინააღმდეგობა, მაგრამ თქვენის სირცხვილით წინ უდექი, მე ჩემი აღსასრულის დღე მომელანდა თვალში, თუ მე გამოვქცეულვიყავ თქვენ უნდა გეთქოთ, შე თავლაფიანო ერთი მხეცისაგან როგორ გამოიქეციო? მაშინ ამ სიტყვის გამგონს სიკვდილი ერჩივნა და ამიტომ წინ დაუდექი, ამას იქით რასაც ვიცოცხლებ მეტი სიცოცხლე იქნება თქვენგან მოცემული. ღმერთმა მაგიერი ერთი ათასად გადაგახდევინოს თქვენი სამსახური. შემდეგ დევებს უბრძანა იმ მხეცის ტყავის გახდა, მათ ტყავი გაძრეს, ტყავის სისქე სრულიად ძვალი იყო და არა იარაღი არ მოეკიდებოდა, იმის ტყავი თავის ფარისათვის შეინახა. მხეცის მუცელი გაპეს, ნახეს რომ ხუთი დევი, მრავალი ზღვის თევზი და მინდვრის ნადირი მუცლიდამ ამოართვეს, შიგ ხანჯლები და შუბები გახიდვოდა, ისინი სულ ამოიღეს და თავიანთ ბინაზე მოვიდნენ. იქ ორი დღე განისვენეს მესამე დღეს აიყარნენ და შაჰპალ-შაჰისაკენ გაემგზავრნენ, სამი დღის შემდეგ ფერიისტანის სამზღვარს მივიდნენ.

## ესენი ამ მიმავლობაში დაუტეოთ და შაჰპალ-შაჰას ამბავი მოისმენიეთ.

იმ ჟამად, გულიჯანმა რომ ვაჟური ტანისამოსი ჩაიცვა და თავის სამშობლოდამ გამოვიდა სირინის მთისაკენ გაემგზავრა ქუნუკის საძებნელად, კარგა ხანი ვერავინ შეიტყო. ერთხელ შაჰპალ-შაჰს დედოფალ-

მა მოინდომა თავის ქალის ნახვა, შევიდა ნახა რომ თავისი ქალი არსად ჩანს, ძლიერ დაღონდა და მაშინვე შაჰპალ-შაჰასთან მივიდა ტირილით და მოახსენა: ხელმწიფევ ჩვენი ქალი გულიჯანი არსად ჩანსო. რა შაჰპალი-ფერიამ თავის ქალის უჩინოთ შექმნა შეიტყო, მაშინვე გულს შემოეყარა და ძლივას მოაბრუნეს, რა მოაბრუნეს მოახსენეს: ხელმწიფეო, მაგაზე თქვენ ნუ სწუხსართო, იმის ხოჯა მოიხმეთ, იმას ეცოდინება იმის ამბავი. მაშინვე გულიჯანის ხოჯა დაიბარეს და ხელმწიფემ ჰკითხა: ხოჯავ სწორეთ მითხარ, ჩემი ქალი სად არის? თორემ ამ წამსვე მოგაკვლევინებ შენ თავს, თუ სწორეს მეტყვი მორჩები.

ხოჯამ მოახსენა: ხელმწიფევო სწორეს მოგახსენებ, თქვენთან ცხადია რომ თქვენი ქალი სისხლის მღვრელია, თქვენ რომ მაშინ ბრძანეთ ვინც ქურუკ-ყარამანის ამბავს მომიტანსო, ის რასაც მთხოვს იმას ვაჩუქებო და მის გარდა ჩემ ქალსაც მივცემო. თქვენი ასეთი აღთქმა რომ შეიტყო, მაშინვე ბრძანა ერთი ხელი ვაჟური ტანისამოსი მამიტანეთო, რა მიუტანე ჩაიცვა და მაჰმად-ხოჯაც თან წაიყვანა, თავის მარტო რქაზე შეჯდა და მე მიბრძანა, თუ ეს ჩემი საქმე ვისმეს შეუტყვია უეჭველად მოგკლავო, ამიტომ მისის შიშით აქამდის ვერ მოგახსენეთ, მე ასე მეგონა რომ მალე მოვიდოდა; აგერ ოცდა სამი დღეა წასულა, მე ასე ვგონებ ფერიანი რომ გაისტუმრე საძებნელათ ისიც მაშინ წავიდა, რა ფერიანი გამობრუნებულან გზიდამ და შენთან მოვიდნენ, რომელთაც ამბავიც მოგიტანეს რომ ერთი ახალგაზდა ფალევანი შეგვხვდაო და ჩვენგნით მრავალი დახოცაო, მე ასე ვიცი რომ თქვენი ქალი უნდა ყოფილიყო, ამის მეტი მე არა ვიცირა და ახლა ნება თქვენი აღსრულდეს და თავ ჩამოგდებით დადგა.

შაჰპალ-შაჰამ რომ ესე შეიტყო, მაშინ თავის გუნებაში იფიქრა, ეტყობა ჩემ ქალ ჯავრი მოსვლია, ამიტომ რომ მე შევცდი რათ აღუთქვი საპოვნელად ქურუკის ამბის მცნობელს, ამიტომ თვითონ წასულა მის საძებნელად. ამისთანა ფიქრებში რომ იყო, მაშინ ერთი ფერია შემოვიდა და შაჰპალ-შაჰას თავი დაუკრა და მოახსენა: აგერ ერთი დღის სავალზე ასი ათასი დევნი მოსულან და ორი ტახტი მოიტანეს. ერთზე ორი უცხო ყმაწვილი ფალევანნი სხედან და მეორეზე ერთი საზარელი და საკვირველი დევი ზის, მათ უკანაც ასი ათასი დევის ლაშქარი მოზდევენ, ეს კი არ ვიცი საომრათ მოდიან თუ რისთვის.

რა შაჰპალ-შაჰამ ესე მოისმინა ფერიისაგან, დიდათ ამოიოხრა და სთქვა: ვაჰ თავო ჩემო დაღუპულო, კიდევ ჩავცვივდით დევთა ხელში ტყვეთ. მაშინვე ციხების გამაგრება ბრძანა: ციხები მსწრაფლ გამაგრეს.

იმ ჟამად ბარამ-ჯიბილი მოვიდა შაჰპალ-შაჰასთან, რა თავისი შვილი ბარამი იხილა, თავის დის ამბავი ყოველივე უამბო და დევთა ლაშქრის მოსვლაც. ბარამ-ჯიბილმა თავის დის დაკარგვა რომ შეიტყო ტირილი დაიწყო და მამას მოახსენა: ხელმწიფევო, დევთაგან არ მეშინიან მაგრამ ჩემი დისათვის ვწუხვარ, ეგ როგორ მოხდა რომ ვერ შეიტყეთ მისი დაკარგვა, შაჰპალიმ უთხრა: ქუჩუკ-ყარამანის დაკარგვა და ყოველივე იმის ამბავი. ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, კარის კაცებისაგან ორნი შემოვიდნენ და ხელმწიფეს მოახსენეს: კარზე ოცი დევი მოსულან და ამობენ კარი გაგვიღეთო რომ ხელმწიფესთან საქმე გვაქვსო, მეგობარნი ვართო და არა მტერნიო, ფეშქაშებიც მოუტანიათ. რა შაჰპალ-შაჰამ ესე გაიგონა, ბარამ-ჯიბილს უთხრა: შვილო რამდენჯერმე მოსულან ამ ციხეზე დევნი და ვერ აუღიათ, ახლა უნდათ ოსტატობით აიღონ. ბარამ-ჯიბილმა მოახსენა: ხელმწიფევო, ოცი დევი რას გვიზამს და თუ ბევრნი არიან ისიც არ ვიცი, ამ ოცი დევის საქმე მე მომანდე, ჯერ ზემოდამ ვნახოთ თუ ოცის მეტი არ არიან კარი გაუღოთ და თუ მეტნი არიან არ გაუღებო, ბარამ-ჯიბილი წავიდა და რამდენიმე ფერია გაიყოლია, თვითონ სამოცდა ორის იარაღით იყო შეჭურვილი, რა კართან მივიდნენ, ერთი ფერია ავიდა ბურჯზე და იქიდამ შინჯვა დაუწყო, ნახა რომ ოცი დევის მეტი არ არიან და ათ დევს ოქროს ტაბკები ჯავარით სავსე უჭირავთ, რა ესე ნახა ფერია მსწრაფლ ჩამოვიდა და ბარამ-ჯიბილს მოახსენა: ბარამმა რომ ესე შეიტყო, გულში თქვა, იქნება ყარამანის გამოგზავნილი დევები იყვნენო, მაშინვე კარი გაუღეს, დევებმა რომ ბარამ-ჯიბილი იხილეს. დიდათ გაეხარდათ, თაყვანი სცეს და მოიკითხეს, ბარამ-ჯიბილი წინ გამოუძღვა და ხელმწიფესთან მოიყვანა. რა ხელმწიფე დაინახეს ოთხს ალაგს თაყვანი სცეს, მივიდნენ და ტახტის ძირს აკოცეს და ოქროს ტაბკები წინ დაუწყეს და ქიჩუკის წიგნიც მიართვეს. რა შაჰპალ-ფერიამ ადამიანის წერილი იხილა, ძალიან გაიხარა და თქვა: იქნება გულიჯანის ამბავი შეიტყოთ რამეო და ამის გასაცნობლად მოსულანო. მაშინვე გახსნა და ბარამ-ჯიბილს მისცა წასაკითხავათ, ბარამ-ჯიბილმა მაღალის ხმით წაიკითხა:

„თუ ღირს ვიყო მოიხსენიეთ მოკითხვა, საბუირანის ძის ნარიმა-
„ნის შვილის ქუჩუკ-ყარამანისაგან; მდაბლად თაყვანის ცემა, მრავალს
„მოკითხვას და კალთის კოცნას მოგახსენებ, ახლა თუ ჩვენს ამბავს მო-
„იხსენიებთ, ღვთით და თქვენის ბედნიერებით კარგა გახლავართ. ამასაც
„მოგახსენებთ რომ ამ დევთა ლაშქართაგან ნუ იშიშვით, ესენი ყველა-
„ჲი ღვთის მოწყალებით ჩემი მონანი არიან, გთხოვ თქვენი მოწყალე

„გულისაგან რომ ხვალ მოგვეგებოთ და თქვენის ნახვით გაგვახაროთ,
„უმორჩილესად გწერს თქვენი პატივის მცემელი ქუჩუკ-ყარამანი“.

რა ამ წერილის პასუხი წაიკითხა, ყოველ იქ მყოფს ფერი ვარდი-ვით გაეშალათ, რა ბარამ-ჯიბილმა ქუჩუკის სახელი გაიგონა, ეჩქარებო-და მისსა ნახვასა და ყველანი დაემზადნენ და ფეშქაშებიც მრავალი მო-ამზადეს და იმ დევთა მრავალი საჩუქარი მისცეს და გაისტუმრეს.

## ესენი ამ მზადებაში დაუტეოთ და ქუჩუკისა და გულიჯა-ნის ამბავი მოისმინეთ.

იმ ჟამად რა გულიჯანი და ქეჩუკი ზღვის პირს ჩამოხტნენ, გუ-ლიჯანი შეეხვეწა ქუჩუკს რომ ერთი წიგნი მიეწერა შაჰპალ-შაჰასთან და შეტყობინა თავის მისვლა. ქუჩუკმა მაშინვე წიგნი დასწერა და ოც დევს მისცა წასაღებად და ფეშქაშიც, როგორც ზევით მოვიხსენიეთ. რა წიგნი და ფეშქაშები იქით გაისტუმრეს, თვითონ თადარიგში შევიდნენ, დასცეს დიბის კარვები და მრავალ რიგათ მოავლეს სალაფარდები აგრეთ-ვე ერთი კარავი დადგეს რომელიც შვიდ სვეტიანი იყო, ისეთი იყო ის კარავი რომ კაცს ეგონებოდა ცეცხლი ეკიდებაო, იმ შვიდ სვეტიან კა-რავში, ზორაბ-დევის ტახტი დადგეს და შვიდ იკლიმის წესურად მო-რთეს როგორც მელექსეთ უთქვამთ:

„დამართეს უცხო ტახტები, რაც ხელმწიფისა წესია,
„ყოველ ალაგსა მოჰფინეს, დიბა, სტავრა და ზარია;
„დააწყეს ოქროს სკამები, ალმასით მოჭედილია.
„აბრუნეს მრავალ სუნლები, ვით მუშკი და ამბარია,
„მხილველთა ქება დასწერეს, ადარეს ვით სამოთხეა.

რა ესე დასრულდეს, ერთ ალაჯამდის ფიანდაზი დაფინეს, ყოველ დევს ზარი ჩაცვეს და აქეთ-იქით დააყენეს რიგზე, ყოველს ხელში თი-თო ჭიქა ეჭირათ ვარდის წყლით სავსე.

იქით მხარეს შაჰპალ-შაჰამაც დიდი მზადება ნახა, მეორე დღე რომ გათენდა, ოცი ფერია დიბით მორთო და ყველას ოქროს ტაბკები თვალ-არგალიტით სავსე ხელში მისცა, თვითონაც უცხოთ მოირთო და აგ-რეთვე ბარამ-ჯიბილიც უცხო იარაღით შეიჭურვა, ერთ მარტო-რქაზედ ამხედრდა, შაჰპალ-შაჰაც ერთ უცხო ტახტზე დაბრძანდა და ათი ათასი გამოჩენილი ფერიანი თან წაიყვანა და ამ გვარ დიდებით მიბრძანდა, მიახლოვდა თუ არა, მრავალნი დევნი წინ მოეგებნენ და ფიანდაზს უმ-ღიდნენ და ვარდის წყალს ასხავდნენ, ამ ყოფით მიიყვანეს. რა ქუჩუკ

მა და გულიჯანმა ნახეს რომ შაჰპალი მობრძანდება, წინ მიეგებნენ დიდის ამბით, შაჰპალიმ გულიჯანი ვერ იცნა, რა ერთმანერთი დაინახეს, ქუჩუკი და გულიჯანი წინ მიეგებნენ და შაჰპალ შაჰას ხელს აკოცეს, მაგრამ შაჰპალ-შაჰამ ვერ იცნა თუ ქუჩუკი რომელი იყო, ორნივ ერთმანერთზე მშვენივრები იყვნენ. ქუჩუკმა დევები ადრევე დარიგა რომ არავინ უთხრას თუ იგი გულიჯანია. ერთმანერთს რომ მიესალმნენ, შემდეგ ბარამ-ჯიბილი მივიდა და ერომანერთს პირსა აკოცეს, ბარამ ჯიბილმაც ვერ იცნა თავის დაჲ, მაგრამ ერთი ძლიერ ამოიოხრა და ცრემლები გადმოედინა, მაგრამ ისევ მალე მოიწმინდა. ქუჩუკმა შეამჩნია რომ გულიჯანს ამგზავსა და იმიტომ ამოიოხრა და ცრემლები მოუვიდა. აგრეთვე შაჰპალი როცა შეხედავდა გულიჯანს, თავის ქალს ამგზავსებდა და თავის გულში ამბობდა თუ ჩემი ქალი იყოს, თავს რადათ დაიმალავს? გულმა რომ ვეღარ მოუთმინა ერთ დევს მალვით ჰკითხა: ის ქუჩუკია და ის მეორე ვიდა? დევმა მოახსენა: ასე შემიტყვია რომ ბაძაშვილი გასლავსო. მაშინ შაჰპალ-შაჰამ და ბარამ-ჯიბილმა იმედი გადაიწყვიტეს, შემდეგ ტკბილის საუბრით კარავში მივიდნენ, ზორაბ-დევიც მიეგება შაჰპალ-შაჰას და ხელს აკოცა და ერთმანერთი მოიკითხეს, ტკბილის მუსაიფით შვიდ სვეტიან კარავში შევიდნენ. ქუჩუკმა შაჰპალ-შაჰა მიიყვანა და ტახტს დასვა, მას გვერდით ბარამ-ჯიბილი და თვითონაც მეორე მხარეს დაჯდა და გულიჯანს უთხრა, შენც ბარამჯიბილს გვერდით დაუჯექო, მაშინვე გულიჯანი გვერდით დაუჯდა, რა დასხდნენ მეჯლისი გაიმართა, ასეთ რიგათ გამხიარულდნენ რომ მეტი აღარ შეიძლებოდა. ქუჩუკმა შაჰპალ-შაჰას შეხედა ნახა რომ ძლიერ მოწყენით იყო, მოახსენა: უმაღლესო ხელმწიფევ, რა მიზეზია თქვენი მაგვარი მოწყენილობა? თუ ჩემი მოსვლა გეწყინათ, მე ხვალვე პაპაჩემთან მივდივარ. რა შაჰპალიმ ქუჩუკისაგან ესეთი სიტყვა მოისმინა, ამოიოხრა და უთხრა: შვილო, თქვენი აქ მობრძანებით რათ უნდა მოვიწყინო, ამ სიტყვაზე ბარამ ჯიბილმა ანიშნა და ოცმა ფერიამ ოქროს ტაბაკებით ჯავარი მოიტანეს და ქუჩუკს თავს გადააყარეს, შაჰპალიმ უთხრა: რაც დიდებულნი მყავანან სულ პაპიშენის მონანი არიან და მეც კი მისი მონა ვარ, ყოველივე მოახსენა იმ უკან დაბრუნებულ ფერიების დახოცვა რომელთაც ვეშაპთან წაეშვათ ქუჩუკი და თავისი თვალის სინათლის ქალის დაკარგვაც. რა გულიჯანმა შენიშნა მამას მწუხარება თავის დაკარგვაზე, უნდოდა გამოცხადებულიყო მაგრამ ქუჩუკის ხათრისთვის მოითმინა, ქუჩუკმა რომ შაჰპალი-შაჰისაგან ესეთი მწუხარება მოისმინა გულმა ვეღარ მოუთმინა და ლექსათ მოახსენა:

„ხელმწიფეო ბედნიერო, მოისმინე სიტყვა ჩემი,
„მოვალე ვარ საუკუნოდ, თუ არ მოგცე შენი ქალი,
„ჩემ მიზეზით დაკარგული, ღმერთმა მოგცეს შენ ასული,
„დამიჯერე მოილხინე, გავახარო შენი გული.
„მარჯვენ მხარეს მოიხედე, ძმასა უზის შენ ასული,
„შევინახე გულსა შინა, მოვიყვანე ყოვლით სრული.

რა შაჰპალ-შაჰამ და ბარამ-ჯიბილმა ესე გაიგონეს, მაშინვე გულიჯანს მოეხვივნენ, ლოშნიდნენ და ღმერთს მადლობას სწირავდნენ, რა შაჰპალ-შაჰამ ქუჩუკის ლექსი გაიგონა, შეიტყო რომ თავის ქალია იგი ბარამ-ჯიბილს გვერდით მჯდომი და პასუხათ ლექსი მოახსენა:

„ფალევანო გიქებ თავსა, ვით ფალევანთა წესია,
„ღმერთმა მოგცეს მოთმინება, რადგან სოფელი ასეა,
„დღეს მომეცი სიხარული, მით ვილხინო მეჯლისშია,
„ღმერთმა მომცა შენი თავი, რომელიც ღვთისგან წესია,
„შენ ილხინე ბედნიერო, დღეს გულიჯანი შენია.

რა ქუჩუკმა ესე ლექსი მოისმინა, მივიდა და კალთას კოცნას აპირებდა, შაჰპალიმ არ გეუშვა პირს აკოცა და მოახსენა: საყვარელო ქუჩუკ, დღეს მმართებს რომ სამ რიგათ ლხინი გადავიხადო, ამისთვის რომ პირველათ თქვენი მწუხარებით ათი დღე და ღამ არც მიჭამია და არც მისვამს, ახლა რადგანაც მშვიდობით გიხილეთ, დიდი სიხარულია ჩემთვის. მეორე ეს ჩემი ასული ორსავ თვალის სინათლე, ანაზდად დამეკარგა და ახლა აქ ვხედავ. მესამე თქვენგან დიდი მადლობელი ვარ რომ მოგითმენიათ როგორც ფალევანთა და ხელმწიფეთა წესია, იმ რიგათ შეგინახავს და ქვეყნის საკიცხავად არ გამხდარხართ, მაშასადამე ჩვენ გვმართებს რომ სამ რიგათ ღმერთს მადლობა შევწიროთ. მაშინვე გულიჯანს ქუჩუკის გვერდით დაჯდომა უბრძანა, გულიჯანი მსწრაფლ ადგა თავის მამას თაყვანი სცა და ქუჩუკს გვერდით დაუჯდა, იმ დღეს ასეთი ლხინი გარდაიხადეს რომ იმისთანა ლხინი არა ჟამს არ გარდაეხადნათ, რა თავში ღვინო ეწვია ქუჩუკს და ემხის ალმაც პირი ვარდივით გაუწითლა, მალ-მალ ლექსს ამბობდა. იმ დღეს იქ ილხინეს, მეორე დღეს შაჰპალ-შაჰამ ბრძანა, ქალაქში შესვლა, იქიდამ ქალაქამდის სულ ფიანდაზი გააშლევინა და დიდის დიდებით ქალაქში შევიდნენ. რა შაჰპალ-შაჰს ცოლმა გულრუხმა შეიტყო მათ მოსვლა წინ მოეგება, პირველად თავის ქალს მოეხვია და მას შემდეგ ქუჩუკს, გულრუხს (შაჰპალის დედოფალს) ყარამანის სიკეთე რომ მოაგონდა: რა ჟამსაც ყარამანმა დევების ხელიდამ გამოიხსნა, ქუჩუკის სიყვარული გაუმრავლდა და ამბობდა

თავის გუნებაში ღმერთს მოუცია ყარამანის გვარი ჩვენთვის სიძეთა, თუ იკადრებს და ჩემს ქალს ითხოვს დიდი ღვთის მოწყალება იქნება ჩვენთვის. შემდეგ მრავალი ჯავაირი მოიღეს და ქურუკს თავს გადაყარეს, ამ დიდებით შაჰპალ-შაჰის სასახლეს მივიდნენ, ქურუკი მიუყვანეს და შაჰპალ-შაჰის ტახტზე დასვეს, ქვემოთ ერთი უცხო სკამი მოიღეს და ზორაბი დასვეს, ქურუკის გვერდით შაჰპალ-შაჰა დაჯდა, ერთ მხარესაც ბარამ-ჯიბილი, გულიჯანი თავის სასახლეში შევიდა, ქალური ტანისამოსით მორთო, ისე შვენოდა რომ თხუთმეტი დღის გაბადრულ მთვარესავით ანათებდა, შემდეგ თავის მამის პალატაში შევიდა, რა პირბადე აიხადა ქურუკმა შემოხედა და ვერ იცნა, თქვა თავის გულში გულიჯანზე ლამაზიც სხვა ყოფილა, რა მოუახლოვდა იცნა რომ გულიჯანი იყო, მაშინვე ფეხზე წამოდგნენ, მიუყვანეს და ქურუკს გვერდით დაუსვეს და მეჯლისი გამართეს და დიდ ლხინში შევიდნენ, ასე რომ მეცნიერნიც კი იტყოდნენ რომ ვით ზეცით ანგელოსნიც უჭვრეტდნენო. ტახტზე ვინც შეხედავდნენ მათ, ასე იტყოდნენ ერთი მზეა, მეორე მთვარეო, მაშინვე ლექსი დასწერეს:

„გაშალეს უცხო მეჯლიში, დაბრძანდნენ ტახტზე მნათობნი,
„ყველა თამაშად მოვიდნენ, დიდნი მცირენი მოხუცი,
„ყოველი ნახვას ეშურვის, მით დარჩნენ განკვირვებულნი,
„ერთმანერთს ეკითხებოდნენ, მთვარენი საით მოსულნი?

ამ ყოფით სამი დღე დიდი მეჯლისი ჰქონდათ, რა მეჯლისი მოიშალა, ყოველნი თავთავისად წავიდნენ და გულიჯანიც თავის სარაიას მიბრძანდა, ქურუკი კი იმ სასახლეში დარჩა. რა იმ ღამემ განვლო, მეორე დღეს შაჰპალი და ბარამჯიბილი ქურუკთან მობრძანდნენ და ცოტარამ მაქარლამა მოიღეს და შეექცნენ, ამ შექცევაში შაჰპალ-ფერიამ ბრძანა: საბურანის ერთავ თვალის სინათლევ და ჩვენის გვარის განმანათლებელო, პირველად მადლობას უძღვნი ჩვენს გამჩენს რომ პაპაშენი ყარამან-ყათილი იმ განსაცდელს მორჩა. და ახლა თავის მამაპაპის სასაფლაოს აკეთებს. ახლა თქვენ უნდა მიბრძანოთ თქვენი გულის წადილი რა არის? რომ მე აგისრულოთ; ასე მიღეთ, ჩემი ქალი ზოახლეთაც რომ მთხოვოთ მაშინაც არ დაგიჭერ, და თუ დედოფლად გსურს დიდი ბედნიერება იქნება ჩვენთვის, მე ახლა დიდ ბედნიერათ ვსთვლი ჩემ თავს თუ რომ დარჩებოდეთ რამდონიმე თვე ჩემთან, მაგრამ რადგანაც ეშურვით პაპის ნახვას, მე გთხოვ და ბარამჯიბლიც თქვენთან გიახლოთ და საბურანის მშვენიერი სახე კვალად მეღირსოს ნახვა ჩემ სიცოცხლეში, რომელსაც დაგნატრულვებულვარ.

რა ქუჩუკ-ყარამანმა შაჰპალისა და ბარამ-ჯიბილის სურვილი გაიგო ერთად წასვლისა თავის პაპასთან, დიდათ გაეხარდა და ბრძანა: დიად კარგი იქმნება რომ ერთად წავიდეთო. მაშინვე გზის თადარიგი იწყეს, რა გულიჯანმა მათი წასვლა გაიგო დიდ საგონებელს ჩავარდა და თავის გუნებაში ამბობდა: ვაი თუ ქუჩუკი წავიდეს და აღარ მოვაგონდეო და დავრჩე ესე გულდამწვარი, მაგრამ ამას აშკარად არ აცხადებდა. იმ დღესვე იწყეს თადარიგი წასვლისა და შაჰპალ-შაჰამაც საბურანისთვის ფეშქაშები მოამზადა, მეთერთმეტე დღეს ქუჩუკმა გულიჯანი მოაყვანინა, რა ერთმანერთი ნახეს გარდაეხვივნენ და ერთ ჟამამდის ესალმებოდნენ, ქუჩუკმა მოახსენა: საყვარელო გულიჯან, მე აქ არ გაგიშვებდი მაგრამ პაპიჩემის პირველი ნახვა, ჯერ არა ვარ მასთან კადნიერი, თქვენ საქმეს პაპაჩემთან გამოვაცხადებ და თქვენც იქ მოგაყვანინებთ. თქვენ ყოველთვის დარწმუნებული უნდა იყოთ რომ ვიდრე მე ცოცხალი ვარ, თქვენის მეტი მეუღლე არ ვიყოლიო. და გთხოვ რომ თქვენც არ დამივიწყოთ. იმ დღეს მრავალი ცრემლი დაღვარეს ამ ორთა, ერთიერთმანერთის დაშორებაზე, რა იმ დღეს ერთმანერთს შორდებოდნენ ასე ეგონათ სიკვდილს ვეძლევითო, მაგრამ რა ღონე ჰქონდათ, მოითმინეს და ყოველს გამოესალმნენ. შემდეგ მოიტანეს ზორაბ დევის ტახტი, ქუჩუკი, შაჰპალ შაჰა და ბარამ-ჯიბილი ზედ დასხდნენ, ასწიეს ტახტი და წაიღეს, ზორაბ-დევი ასი ათასის დევის ლაშქრით წინ გაუძღვა და ოცი ათასი ფერია უკან მისდევდნენნ პირდაპირ ყარამანის მამა-პაპის სასაფლაოსაკენ წარვიდნენ. გულიჯანმა თვალი გზას გაყოლა და ვიდრე თვალით ჩანდნენ უყურებდა, როცა თვალთაგან განშორდნენ ერთი ამოიოხრა და გამდელს უთხრა: ახლა კი მიშველე რომ ვკვდებიო, მაშინვე გულს შემოეყარა და წაიქცა, გამდელი მაშინვე მივარდა და გლეჯით და წივილით ძლივს მოაბრუნა და იმედიანის სიტყვებით თავის სადგომს შეიყვანა, გულიჯანმა უთხრა გამდელს: თუ გიყვარვარ ახლავ ქუჩუკის სურათი უნდა მიშოვნო რომ იმის ყურებით დავტკბე, თორემ ჯავრით მოვკვდები, მაშინვე გამდელმა რამდენიმე მსახური გაგზავნა და რაც იმ ქალაქში მხატვარი იპოებოდნენ თავისთან მოიხმო. რა მხატვარნი მოვიდნენ გამდელმა კარგის პატივით ლაპარაკი დაუწყო და უთხრა: ოსტატნო, თუ განახავთ საბურანის ძის ძე ქუჩუკ-ყარამანი აქ რომ იყო და წაბრძანდა, იმის ნამდვილ სახეს ვინც დახატავს და მომიტანს დიდ საჩუქარს მიიღებს ხელმწიფის ქალისგან. მხატვართაგანი ერთი ოსტატი წარმოსდგა და მოახსენა: ბატონო, თუ მე ხუთ დღეს ვადას მომცემ, ამ ხუთ დღეზე მოგართმევთ ჩემის მხატვრობით ქუჩუკ-ყარამანის სურათს, დიახ

მინახავს კიდეც და სახეც გადამიღია იმისი, უცხო რამ არის და მისი ფესიც ხელმწიფის ქალის ჭირის სანაცვალო იყოს.

რა გამდელმა მისგან ესეთი საიმედო სიტყვა გაიგო, დიდი მადლობა მოახსენა და უთხრა: შენ ოღონდ კარგათ დახატე და ის მე ვიციო, ესე რომ მოისმინეს გამდელისაგან, თავი დაუკრეს და ყველა თავთავისად წავიდნენ. გამდელიც მაშინვე გულიჯანთან მივიდა და მოახსენა: ხელმწიფის ასულო, ხუთ დღეზე მეგერომეგვათ თქვენი ორის თვალის სინათლის სურათი. გულიჯანმა ხუთი დღე მოითმინა, ხუთმა დღემ რომ განვლო, მხატვარმა ოსტატმა ქუჩუკის სურათი მოიტანა, გულიჯანის სარაიაში კაცი შეგზავნა და შეატყობინა; რა გამდელმა მხატვრის მოსვლა შეიტყო, მაშინვე შინ შეიწვია, მხატვარმა გამდელს თაყვანი სცა და ქუჩუკის სახე მიართვა, რა გამდელმა ქუჩუკის სახეს დახედა ძლიერ მოეწონა და უბრძანა: ოსტატო სადილობის დროს მობრძანდით და ამის ფასი მიღეთო, ოსტატმა მოახსენა: მაგის ფასი თქვენი ჭირის სანაცვლო იყოსო, გამდელმა უთხრა არა ძმაო, ხელმწიფის ქალი რა წყალობასაც გიზამს უარი არ უნდა ჰყოვო, ოსტატმა თავი დაუკრა და გამოვიდა, მაშინვე გამდელი ხელმწიფის ქალთან შევიდა და ის სურათი მიუტანა. რა გულიჯანმა ქუჩუკის სახე ნახა, ლექსი თქვა:

„გამშორდი მზეო და მთვარევ, აღმოსავლეთის ვარსკვლავო,
„ისმინე ვედრება ჩემი, როს შევხვდეთ ისევ ჩვენ კვლავო,
„ღმერთო შენ ხარ ჩემი შემწე, სული საყვარელს წაჰყვაო,
„მხოლოდ სორცია ჩემი აქ, ვაგლახიც ბევრი ამყვაო.
„თუ ვერ შეგხვდი საყვარელო, ხანჯლითაც გული გავყავო.

რა ესე ლექსი თქვა, თვალები ქუჩუკის სურათს გაუშტერა და დაიწყო ტირილი და გამდელს უთხრა: ნეტავ ის დღე მეღირსება რომ ამისი ბრწყინვალე სახე კვალად დავინახო და ჩემი გული ძველებურად გამხიარულდეს? გამდელმა მოახსენა: ხელმწიფის ასულო, ნუ სტირი ტირილით შენ თავს ავნებ და არას უშველი, ყველაფერი მოთმინებით უნდა მოიპოვო, ხათრიჯამი იყავ იმას ასეთი მთვარე უნახვიხარ რომ ათის წლის სავალს რომ წავიდეს სული და გული კიდევ შენთან ექმნება, გამდელმა მრავალი ამისთანა იმედიანი სიტყვები მოახსენა და ცოტათ გული მოუბრუნა. შემდეგ გულიჯანმა უთხრა: გამდელო თუ გიყვარდე, იმ სურათის გადამღებ ოსტატს ხუთი ამის წონა ოქრო მიეცი, ამიტომ რომ უცხოთ დაუხატავს, გამდელმა მოახსენა: ბატონი ბრძანდებით, მითქვამს სადილობის დროს უნდა მოვიდეს; აუწონ და მივსცემ.

ესენი ამ ოქროს მიცემაში დაუტეოთ და მცირე რამ ქუჩუკისა და ყარამანის ნახვის ამბავი მოიხსენიეთ.

რა ქუჩუკი და სხვანი ყარამანისაკენ გაემართნენ, თხუთმეტი დღე ჭაერით იარეს და ყარამანის გაკეთებულ სასაფლაოს და ბაღს მიახლოვდნენ. რა ქუჩუკმა ის ბაღი დაინახა, შაჭპალ-შაჭას ჰკითხა: ხელმწიფევ, ეს რა ალაგია ან ვინ აკეთებს? შაჭპალ-შაჭამ უთხრა: ფალევანო წინათ რომ მოგახსენეთ, პაპა შენი სააბყირანი აქ ბრძანდება და თავის მამა-პაპის სასაფლაოს და ბაღს აკეთებსო. რა ქუჩუკმა ყარამანის იქ ყოფნა შეიტყო ძლიერ გაიხარა.

იქით მხრიდამ რა საჭმან-დევმა დევისა და ფერისის ლაშქარი დაინახა, მაშინვე თავის დასტაჩუბი მხარზე გაიგდო, აფრინდა და იმ ლაშქარს წინ მიეგება, ნახა რომ შუა ალაგ ერთი ტახტი მოაქვთ და ზედ შაჭპალ-შაჭა ზის და გვერდით ერთი ვიღაც უმაწვილი ფალევანი უზის, ისეთი შეხედულობა აქვს რომ იფრითმა დევმაც რომ შეხედოს გული გაუსქდება და ზედ ასეთი ჯაჭვი აცვია რომ საჭმანს მისთანა არა ენახარა, იმ ტახტის გვერდით აგრეთვე ერთი სხვა ტახტი მოჰქონდათ, ოცდა ოთხს დევს—და ზედ ზორაბ-დევი იჯდა, ის იცნა და თქვა ეს ხომ ჩვენი მტერი არისო, ეს შაჭპალ-შაჭასთან რას აკეთებსო? ეტყობა რომ ტყვეთ მიჰყავსო, უკან შეხედა ნახა რომ ერთ დევს ერთი საკვირველი მარტო-რქა მოჰყავს და მეორეს ერთი იარაღის ზანდუკი მოაქვს. რა ეს ნახა თავის გუნებაში თქვა, ვაი თუ ესენი მტერნი იყვნენ, მე ამ ზორაბ-დევს ძლივ მოვერევი, მეორეებს რა უყო? არა სააბყირანს უნდა შევატყობინო, რა გამობრუნებას ლამობდა, იქიდამ ფერიები საჭმანს იცნობდნენ, შემოსძახეს: ჰეი საჭმან, რას გაშტერებულხარ! ეს უმაწვილი ფალევანი ნარიმანის ძეა ქუჩუკ-ყარამანი და ეს დევის ლაშქარი მისი მონანი არიან, ესეც ჩვენი ხელმწიფე შაჭპალ-შაჭაა, სააბყირანის მეგობარი.

რა საჭმანმა ქუჩუკის სახელი გაიგო, მივიდა წინ თაყვანი სცა და კალთას აკოცა, აგრეთვე შაჭპალსაც და ზორაბ-დევსაც მიესალმა, მაშინვე გაბრუნდა და ყარამანის წინ მიწას აკოცა და მოახსენა: სააბყირანო, თქვენი შვილის ნარიმან ხელმწიფის ძე ქუჩუკ-ყარამანი გიახლავთ, ასი ათასი დევით და ოცი ათასის ფერიით, აგრეთვე შაჭპალ-შაჭაც და ზორაბ-დევიც, რომელიც ჭენუსურას ბიძაა. ყარამანმა ქუჩუკის სახელი რომ გაიგო, მაშინვე კარზე გამოვიდა, ნახა რომ ლაშქრით მინდვრები აღვსილიყო. მაშინვე წინ მიეგება, შაჭპალ-შაჭამ, ქუჩუკმა და ზორაბ-დევმა

რომ ყარამანი დაინახეს, ქარის უმალესად ტახტებიდამ ძირს გადმოხტნენ და სააპყირანს შორიდამ თაყვანი სცეს, ქუჩუკი მაშინვე გამოექანა პაპისაკენ და კალთას ემთხვია. რა ყარამანმა ქუჩუკს შეხედა იცნა რომ თავის შვილის შვილი იყო, რომელიც სამის წლისა დაეტოვებინა, მოეხვია და ერთ ჟამამდე ლოშნიდა, რა იმას მორჩა, შაჰპალ შაჰს მიესალმა, ბარამ-ჯიბილსაც, მობრუნდა და ქუჩუკს ხელი მოჰკიდა, მეორე ხელი შაჰპალს და ლაშქარიც უკან მოზდევდა და ბინაზე მოვიდნენ. რა ჩამოხტნენ, ყარამანმა ქუჩუკი დათვალიერა და დიდათ მოეწონა მისი თვალტანადობა და დიდათ გაიხარა, ამასობაში ზორაბ-დევიც მოვიდა, ყარამანის წინ დაიჩოქა და თავის დანაშაულობის ჩუქებას ეაჯებოდა და მოახსენა: სააბყირანო, გეაჯები თქვენი საყვარლის შვილის-შვილის ქუჩუკის სადღეგრძელოთ მაპატიეთ ჩემი შეცოდება და დანაშაული მაჩუქეთ ჩემი ერთი მუჭა სისხლი. რა ყარამანმა ზორაბისაგან ამისთანა თავდაბლობა ნახა, მივიდა ხელი მოჰკიდა აყენა და უთხრა, ზორაბ მე შემიტყვია რომ თქვენ ცისა და ქვეყნის გამჩენი გიწამებიათ და რადგანაც ჩემ საყვარელ შვილი-შვილსაც მოჰყოლიხართ, მიპატიებია და მრავალი წყალობაც აღუთქვა. რა დევებმა შეიტყვეს ქუჩუკ-ყარამანის მოსვლა, მოდიოდნენ რიგზე და თაყვანსა სცემდნენ, ხელს ჰკოცნიდნენ. რა მისგან მოიცალეს სასახლეში შევიდნენ, დასხდნენ და ყარამანმა ქუჩუკს ამბავი ჰკითხა, ქუჩუკმა თავის ამბავი დაწვრილებით უამბო, ყარამანმა რომ შაჰპალი-ფერიის ქალის გულიჯანის ქება გაიგონა, გუნებაში თქვა ეს იმის ტრფიალი შექმნილა სწორეთ, ადგა ყარამანი და თავის ხალვათხანაში შევიდა, კარი დაგულა, დაიჩოქა და დაიწყო ღვთის ვედრება და თქვა: ღმერთო ვმადლობ შენს მოწყალებას, შენის მოწყალების ნახევარისაც არა ვარ ღირსი რომ ყოვლის ფრით შენი წყალობა არ მაკლია, რადგანაც ამისთანა ყრმა მაჩუქე, ახლა იმედი მაქვს რომ ჩემ შემდეგ ჩემ გვარს დევნი თუ ჯინნი, ანუ ფერიანი ვერას დაკლებენ. კვალად გმადლობ შენ დამბადებელო რომ ამდენი დევის ლეშქარი ამ ერთ უმაწვილისთვის დაგიმორჩილებია, ეს ყოველი თქვენი წყალობაა. რა ესე ლოცვა გათავა, ადგა გამოვიდა და მრავალი საბოძარი გასცა და მრავალსაც წყალობა აღუთქვა, ამ მოქმედებაში ზორაბ-დევი წინ მოეგება, თაყვანი სცა მიულოცა და მოახსენა: მომილოცავს სააბყირანო, რადგანაც მაგისთანა შვილი ღმერთს მოუნიჭებია თქვენთვის, ღმერთმა ნუ მოაკლოს ყოველ ჟამს თქვენ გვარს მაგისთანა ძე და მრავალი ქებაც მოახსენა ქუჩუკისა, ყარამანმა მადლობა მოახსენა და მრავალი წყალობაც აღუთქვა თავის ქვეყანა მასვე მისცა. შემდეგ ყარამანმა მეჯლისი ბრძანა და სამი დღე და

დამე დიდ ლხინში იყვნენ, მეჯლისი რომ მოიშალა, ნახეს ჭაერიდამ ოთხი ფერია და ოცი დევი მოდიან, მაშინვე ქურუკმა იცნა რომ თავის გაგზავნილი დევი და ფერიანნი იყვნენ, როცა ქურუკმა ზორაბ-დევი დაამარცხა და მისგან თავის პაპის ყარამანის მორჩენა შეიტყო იმ განსაცდელისაგან, მაშინ წიგნი დასწერა და თავის მამა ნარიმანს აცნობა, რომელიც ოც დევს და ოთხ ფერიას გატანა, იმათ ის წიგნიც მიეტანათ ნარიმანისთვის და პასუხიც მოუტანეს, ეს დევნი და ფერიანი რომ მოვიდნენ; ყარამანს და ქურუკს თაყვანი სცეს და ორი წიგნი მიართვეს, ერთი ქურუკს და მეორე ყარამანს, რა გახსნეს და წაიკითხეს მათი მშვიდობიანობა ეწერა, ღმერთ მადლობა შესწირეს და ლხინსა და ნადირობას ხელი მიჰყვეს. ზორაბ დევმაც უბრძანა თავის ჯარს, რომ იმ ბაღზე ემუშავნათ, ორი წელიწადი ამ ყოფით გატარეს.

რა ორი წელიწადი შესრულდა, მაშინ ფარვან-დევი მოვიდა, საბყარანს, ქურუკს და შაჰპალ-შაჰას თაყვანი სცა, შემდეგ საბყარანს მოახსენა: ხვალ თქვენი უმაღლესობა მობრძანდით და ბაღი იხილეთო, მაგრამ მრავალ ალაგ არ გამაწყვია ჯერ თილისმები, ამისთვის რომ შემდეგ შენის მეტი და ჩემის მეტი ვერავინ შევაო, რა დაივლით და ნახავთ, შემდეგ თილისმებსაც გავაწყობო. რა ესე მოისმინა ყარამანმა, მეჯლისი გამართვინა, იმ დღეს კარგათ ილხინეს და მეორეს დღეს უბძანა: ფარვან-დევო დრო არის ბაღში წასვლისაო, ფარვან-დევმა მოახსენა საბყარანო, ვისაც თავი გიყვარსთ თან წამოიყვანეთ და წამობრძანდით, ამ სუბარში რომ იყვნენ ყოველნი დევნი და ფერიანი კარზე შეიყარნენ, ყარამანმა შაჰპალ-შაჰას მოახსენა: ხელმწიფევ თუ ინებებთ ახალ ბაღში წავიდეთ და ცოტა ვისეირნოთო, შემდეგ ქურუკს ხელი დაუჭირა და წავიდნენ, ზორაბ-დევი, საჰმან-ადამზადი, ფარვან-დევი და თორმეტნი დევნი წინ გაუძღვნენ. რა ბაღის კარს მიახლოვდნენ, ბაღის კედელს შეხედეს, თვალი ხომ ვერ გაუმართეს, ასე ელავდა როგორც სარკე მზეში, რა კარს მიადგნენ, ნახეს რომ ორი კარი ჰქონდა ფოლადისა, კარის სისქე ორი ადლი იყო და განი ხუთი ადლი, სიმაღლე თხუთმეტი ადლი, კედლის განი იყო შვიდი ადლი, სიმაღლე ოცდა ხუთი ადლი. რა კარს მიადგნენ, ფარვან-დევმა დევებს უბრძანა: მოდით კარები გაღეთო, მივიდნენ რამდენიმე დევნი და უნდოდათ კარი გაეღოთ, მაშინ კარიდამ რამდონიმე ფოლადის შუბებმა წვერები გამოჰყვეს, ასე რომ კინაღამ რამდენიმე დევი დაიხოცა, მაშინ იგინი გამობრუნდნენ და ფარვანს, ყარამანს თაყვანი სცეს და მოახსენეს: ხელმწიფენო, ჩვენ ამ კარის გაღება არ შეგვიძლიან, ეს ერთი უნახავი მტერი ყოფილა, თვალით კი ვერ და-

ვინახეთ და ანაზღათ კინაღამ დავიხოცენით, ფარვან ეს რა ხუმრობა, ამაზე მრავალი იცინეს, მაშინ ფარვან-დევმა ერთი ძვლის ფირფიტა ამოიღო და ყარამანს მისცა, ყარამანმა ნახა რომ ფირფიტაზე დაწერილი იყო, და ერთი თვალი უჯდა, იმ თვალზე ღვთის სახელი ეწერა. ფარვან-დევმა მისცა ყარამანს და მოახსენა: საბატონო აჰა ესე თილისმის წერილი მიბრძანდით და იმ კარს მიახვედრეთ და თავის თავად გაიღება, მაშინვე ყარამანმა გამოართვა მიიტანა და ის წერილი კარებს მოახვედრა, რა მოახვედრა კარები თავისთავად გაიღო, ამ გაღებაზე ასეთი ხმა გამოსდა რომ ყარამანისა და ქუნუკის მეტს ყველას ცნობა დაეფანტათ. რა ეს ხმა გადაწყდა, ყარამანი, ქუნუკი, ფარვან-დევი, ზორაბი, სჰმანი, შაჰყუნნარა, ის თერთმეტნი დევნი და შაჰპალ-შაჰა, მივიდნენ ნახეს რომ კარის შესავალი ოთხი რიგი იყო. მეორე შესავალში ნახეს რომ რამდენიმე რკინის დევები დგანან, ასეთი საშინელნი რომ მეტი აღარ შეიძლებოდა და ყველას თითო საშინელი გურზი უჭირავს და ვინც შუაში გაივლიდა მიწასთან გასწორებდნენ; მაგრამ ჯერ ის თილისმა არ იყო მომართული, ის კარიც გაიარეს. მესამე კარს მიადგნენ, ნახეს აქეთ-იქით ას-ასი ხმალი, ორივ პირი გალესილნი და ათ-ათი ადლი სიგრძე ჰქონდათ და მათი ნახევარი აღმა მიდის და ნახევარი დაღმა, ასეთ რიგათ არის გამართული რომ თუმცა ილბუზის მთაც ჩავარდეს შუაში იმასაც კი შუა გაჰკვეთენ. რა ესე ნახეს გამკეთებელს ქება დაუწყეს. შემდეგ ფარვან-დევმა ყარამანს ერთი ჩარხი უჩვენა, ყარამანმა აგრეთვე ის თილისმის წერილი იმ ჩარხს მიახვედრა და მაშინვე ხმლები დაწყნარდნენ, რა დაწყნარდნენ იქაც გაიარეს. მეოთხე კარს მიადგნენ, ნახეს რომ ალაგიდამ ერთი ჯოჯოხეთის მზგავსი ცეცხლი ამოდის და შიგ ეშმაკნი დგანან, ხელთა ჩანგლები უჭირავთ და მზათ არიან რომ ვინც ახლოს გაივლის იქ ჩასწევენ. ყარამანი აქ ძალიან დაღონდა და თქვა: აქ როგორღა უნდა გავიაროთო? ფარვან-დევმა ერთი პატარა დოლაბი უჩვენა, შემდეგ მუჭით წყალი მოიტანა და ყარამანს უთხრა: ეგ თილისმის წერილი ამაში აურიე; ყარამანმაც აურია, ფარვან დევმა ის წყალი იმ დოლაბს შეასხა, ის ცეცხლი მაშინვე გაქრა. აქაც გაიარეს, ნახეს რომ ერთი ხიდი ძევს ორასი ხისაგან შედგენილი და ზედ ვერცხლია გაკრული. ხიდზე ფეხი შედგეს თუ არა, უნდოდათ მეორე ფეხიც წინ წაედგათ, მაშინვე ორასნი ანგელოზის სახისანი გამოჩნდნენ, ორ-ორი ფრთა ესხათ საკვირველი სანახავნი იყვნენ, ხელთა ცეცხლის მათრახები ეპყრათ და კინაღამ ყარამანი და მასთან მიმავალნი მიწასთან გასწორეს. ყარამანმა მაშინვე ის თილისმის წერილი პირდაპირ დაანახვა და ანგე-

ლოზის სახენი ანაზდად განქარდნენ, ეს ხიდიც გაიარეს, ნახეს რომ იმ ხიდის ქვეშ საკვირველი წყალი გამოდის, ასე რომ დიდ მდინარეს ჰგავდა და ის წყალი სამოც რიგათ იყრებოდა, რა ცოტა წინ წადგნენ, ნახეს ერთი საკვირველი აუზი, სულ მარტო მარმარილოს ქვით გაკეთებული და ასეთი დიდი იყო რომ ერთის ნაპირიდამ მეორე ნაპირზე კაცი-კაცს ვერ იცნობდა და შიგნიდამ ორასი შადრევანი ამოდიოდა სხვა და სხვა რიგათ, შუა ალაგ ერთი შადრევანი ამოდიოდა, ასეთი მაღლა ადიოდა რომ თვალი ვერ შესწვდებოდა, როდესაც ქარი ჰქროდა იმ შადრევანის წყალი წვიმასავით ბაღსა რწყავდა, ეს შადრევნები ასეთი ოსტატობით იყო გაკეთებული რომ შიგნიდამ სხვა და სხვა ხმები გამოდიოდა, ისე რომ სირინოზის ხმასა ჰგვანდა და კაცთა ჭკვას მოსტაცავდა, იმ ჰაუზს თორმეტი მილი ჰქონდა და ის ჩამოსული წყალი იქიდამ გადიოდა და ყოველ მხარეს მარმარილოს ქვითაც არხები ჰქონდა გაკეთებული და წყალი იყრებოდა, რა ყარამანმა და სხვათა აქეთ-იქით ყურება დაიწყეს ნახეს რომ მშვენიერი ბაღია ისეთი რომ თუ ვთქვათ სამოთხის შესადარი. ცოტაც რომ წაიარეს, ნახეს ხუთასმა მშვენიერის სახის მქონებელმა ქალმა რომელიც ანგელოზებს ჰგვანდნენ, დაუძახეს: საბაყირანო! კეთილი იყოს შენი ფეხის შემოდგომა ამ ბაღშიო, თაყვანი სცეს და უჩინო შეიქმნენ ყველანი.

ყარამანმა რა ესე იხილა, ფარვან-დევს დიდი ქება შეასხა და დიდი მადლობა მოახსენა: იქიდამ წავიდნენ ნახეს რომ ერთ დიდ ბაღის ოდენა ალაგისთვის ოქროს მოაჯირი შემოევლო. რა იმ მოაჯირის კარს მიადგნენ, ნახეს რომ კარზე ერთი საშინელი ვეშაპი წევს, რა იმ ვეშაპმა იგინი დაინახა, ერთი ასეთი ხმა აღმოუტევა რომ ყველას საშინლად შეეშინდათ, მაშინვე ყარამანმა თილისმის წერილი პირის-პირ დანახა. რა იგი უჩინოდ იქმნა, შიგ შევიდნენ, ნახეს რომ ალაგი სრულიად ოქროს აგურით იყო დაფილაქნებული და ყოვლის ფერი ხეები იყო დარგული, ის რომ ათას ფრათ ჰყვაოდნენ და ზურმუხტის ფოთლები ჰქონდათ, ხილათაც ლალი და იაგუნდი ესხათ და ქვეყანაზე რაც უკეთესი ფრინველნი არიან სულ იმათზე ისხდნენ და ასეთის ხმით გალობდნენ რომ კაცს ჭკუას მოსტაცავდნენ. რა იმ ბაღის შუაში მივიდნენ, ნახეს რომ ერთი ბროლის აუზი იყო გაკეთებული, ასი მწყრთა სიმაღლე ჰქონდა და ასი სიგანე, შუაში ერთი შადრევანი ამოდიოდა, ძლიერ მაღლა და ერთი საკვირველი ხმა გამოსდიოდა, ასე იტყოდა კაცი ათი მეჩანგენი სხედანო და ჩანგს უკრავენო, ის აუზი წყლით სავსე იყო და რაც ქვეყანაზე ზღვაში თუ მდინარეებში, საუკეთესო თევზნი იყვნენ ყველა სა-

რისხისა სულ იქ შეიკრიბა და იმ ბრძოლიდამ ასე ჩანდა როგორც ხმელეთზე კაცი და საკვირველი სასიამოვნო სანახავი რამ იყო. რა ქვეც იხილეს იქიდამაც გაიარეს და სხვა მრავალი სახილავიც იხილეს.

შემდეგ იქიდამ დიდ ბაღში შევიდნენ და ერთ კუთხეს მიადგნენ, ნახეს რომ ერთი მინარა აეტანა ისეთი მაღალი რომ კაცის თვალი ვერ მისწვდებოდა, რა კართან მიახლოვდნენ, ერთი საკვირველი ხმა გამოხდა რა კარს ხელი ახლეს ვერ გაღეს. მაშინ ყარამანმა იგი თილისმის წერილი ამოიღო და კარს მოუსვა, მაშინვე კარი გაეღო და ისეთი კვამლი გამოხდა რომ ცოტა უკლდა ყარამანი წაქცია, ამისთანა კვამლში ვერავინ შევიდა, შემდეგ რამდონიმე დევი შეგზავნა, მაგრამ თოვის გულსავით უკანვე გამოყარა იმ კვამლის ძალამ და კინაღამ თვალებიც დაუბრმავდათ. მაშინ ფარვან-დევი წინ წარსდგა, მარჯვენა მხარეს მოთხარა და ყარამანს ერთი მილი უჩვენა და ის თილისმის წერილი იმ მილზე დადეს, მაშინვე იგი ბოლი შესწყდა, რა შიგნით შევიდნენ ასე ეგონათ სამოთხეში შევედითო, შეხედეს აქეთ-იქით კედლებზე რომ რაც ქვეყანაზე საახმირანი და მძლავრი ხელმწიფენი ყოფილიყვნენ ყოველის სახე იქ იყო დახატული და ყველას თავს გარდასავალიც მოკლედ იყო აღწერილი. და ყველას ზევით ყარამანის სახე დაეხატა და ესრედ დაეწერა: „ჰეი კაცო აქ მოსულო, რომელიც იქნებით ჩემი გვარისა, ეს უნდა იცოდეთ რომ ქვეყანაზე მრავალჯერ ხმალი მოვიქნიე, ისე რომ რომელ მხარეზედაც წავედ ღვთით გავიმარჯვე და რომელნიც ეშმაკს ღვთის თაყვანის სცემდნენ, იგინი ჭეშმარიტის ღვთის თაყვანის მცემლებათ მოვაქციე, რომელმაც ჭეშმარიტ ღმერთ თაყვანი არა სცა ისინი ოთხად გავკვეთე და ამოვსოვე წუთი სოფლიდამ“. ჰეი აქ მოსულო კაცო, კიდევ ბეტყვი ერთს, არამც თუ ღმერთი დაივიწყო და ეშმაკს თაყვანი სცე, ამისთვის რომ ჭეშმარიტი ღმერთი გაგიწყრება და აგრევე წახდები, მაშინ შენ სულსაც ეშმაკი დაეპატრონება. აჰა ეს არის ჰაზარექ-დასტზე მივალ რომელიც არის ამ სახისა. სადაც ესე ეწერა იმის ქვემოთ ჰაზარექ-დასტის სახეც იქ იყო გამოხატული, რომელიც საკვირველი და საზარელი რამ იყო,—და იმის ქვევითაც ესე ეწერა: „ამისთანა საზარელი დევი ოუმცა ორჯელ ვსძლიე მაგრამ ხელიდამ გამექცა თავის ჯადოს მანქანებით და ახლა კვალად მივალ“. რა შაჰპალმა და ქეჩუგმა ამისთანა სახე დაინახეს განკვირვებას მიეცნენ და ღმერთს მადლობა მისცეს რომ ამისთანა არსება დაუბადებია და ამისთანა საზარელი ვით უნდა სძლიოს ადამიანმა. რა ესე ამოიკითხეს ფარვან-დევს დიდი ქება შეასხეს, შემდეგ მარჯვნივ შეხედეს, რომელიც ერთი კიბე ავიდოდა ძლი-

ერ განიერი, ესენი იმ კიბეზე ავიდნენ და ვიდრე ზევით აღწევდნენ კიდეც დაღამდა, რა იქ ავიდნენ ერთი ასეთი გუმბათი იხილეს რომ ჭერი სრულიად სარკე იყო და კედლებიც კი, აღმოსავლეთისაკენ ერთი დიდი ფანჯარა ჰქონდა და ერთი უცხო დურბინდივით გაკეთებული ფანჯრის თავზე სარკე ჰქონდა, ისე რომ რაც აღმოსავლეთისაკენ საქმე მოხდებოდა იმ სარკეში ჩახედავდნენ და სრულიად იმ სარკეში ჩნდა, ზღვა თუ ხმელეთი. რა რომ დაღამდა ფარვან-დევმა ყარამანს იმ გუმბათიდამ ერთი პატარა კარი უჩვენა, სრულიად ალმასით იყო მოჭედილი და იქიდამ ერთი დიდი ხმა გამოდიოდა ისეთი რომ სმენად კმა იყო, მოინდომეს რომ იგი კარი გაეღოთ მაგრამ ვერ გაღეს; ყარამანმა მაშინვე იგი წერილი ზედ დადო და გაეღო, რა კარი გაიღო ასეთი სურნელების სუნი ეცათ რომ მკვდარს მოაბრუნებდა. შიგ რომ შევიდნენ საკვირველად გამართული ოთახი იხილეს, ოთხ ალაგ ლამპარნი ეკიდნენ და მშვენივრად ანათებდნენ იმ ოთახის არე-მარეს ვით დღე, კედლებზე ეხატნენ მშვენიერი ქალის სახენი, მეჩანგენი იდგნენ და სხვა და სხვა საკრავი ხელთ ეპყრათ და მშვენიერის ხმით უკრავდნენ, ისე რომ ადამიანს ცნობას მოსტაცებდნენ. მეორე მხარეს შეხედა ნახა ყარამანმა რომ კედელში ერთი დიდი ჩარხი ბრუნავს და ის აკვრევინებდა მეჩანგეთ საკრავსა. რა ამათგან მოიცალეს, ყარამანმა უთხრა: ფარვან-დევო, ამაღამ მშივრები დავრჩით და იქნება აქ მოიპოვებოდეს რამე საჭმელიო? მაშინ ფარვანმა ყარამანს ერთ კედელში ერთი ჩარხი უჩვენა და მოახსენა: სააბყირანო, ეგ თილისმის წერილი მაგ ჩარხს მოახვედრეთ და თქვენ გამობრძანდითო, ყარამანმა მაშინვე იმ ჩარხს ის წერილი მოახვედრა, ჩარხმა დაიწყო ბრუნვა, იქ მსწრაფლ ფერიები გამოვიდნენ და რამდონიმე ფერიამ ოქროს სკამები გამოიტანეს დაწყეს და ერთი უცხო ტახტი წინ გამართეს. ფარვან-დევმა მოახსენა; ამ სკამებზე დაბრძანდითო, ყოველნი დასხდნენ, მაშინვე დიბის სუფრა მოიღეს, ამ ტახტზე გაშალეს და რაც ქვეყანაზე სამო საჭმელი იპოებოდა სრულიად იქ მოიღეს. რა ყარამანმა ესე იხილა თქვა: ფარვან-დევო, ყველაზე ეს უფრო დიდი საქმე არის, მაგრამ მე ერთ გკითხავ, ეს ყოველ დროს ასე იქნება თუ არა? ფარვან-დევმა მოახსენა: სააბყირანო, ეს საჭმელი ყოველ ექვს თვეზე უნდა გამოიცვალოს და აქ კი მზათ იქნება. ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, ვერცხლის ჩაფებით ღვინოც მოართვეს. მაშინ ყარამანმა ფარვანს დიდი წყალობა აღუთქვა და დევთა ხელმწიფობაც მიანიჭა. რა ლხინსა და სმას შექცნენ, შემდეგ მოსვენებას მიეცნენ, ასე რომ სამოთხეში ყოფნას ის ამჯობინეს. ფარვანმა მოახსენა ყარამანს, ეგ თილისმას წერი-

ლი მეორედ მოახვედრე. ყარამანმა მეორედ მოახვედრა და მეორე მხარეს მობრუნდა, მაშინ იგი ფერიანი მეორე მხარეს მოვიდნენ, ზოგმა სუფრა და სუფრის იარაღი აკრიფა, ზოგმა ტაშტი და წყალი ხელში მოვიდნენ, ყარამანს და სხვათა ხელები დაბანინეს და წავიდნენ. ვიდრე ჩარხი ბრუნავდა ისინიც დადიოდნენ, როდესაც ჩარხი დადგა ისინიც ყოველნი უსულოთ დადგნენ თავთავიანთ ალაგას. იმ ღამეს იქ განისვენეს, რა დილა გათენდა ადგნენ და ყველამ ილოცეს, ლოცვას რომ მორჩნენ ყარამანი ზე აღსდგა, მაშინ ერთი საკვირველი გრკვნა შემოესმათ ასე ეგონათ რომ ის კოშკი სრულიად დაიქცაო და ქვეყნის მეორედ მოსვლას ამგზავსეს, კვალად ლოცვის თქმა დაიწყეს. ქუჩუკმა თავის პაპას ჰკითხა, პაპა ეს რა ხმაო? ფარვან-დევმა შენიშნა ამათი უცოდინლობა და მაშინვე ყარამანს თაყვანი სცა და მოახსენა: აბა ამ თხუთმეტ ფეხ კიბეზე ამობრძანდით და მაგის ვითარებას შეიტყობთო, ესე რომ მოისმინეს, მაშინვე ავიდნენ, რა ზემოთ აიწიეს, გაშტერდნენ და თქვეს ამისთანა სანახავი არ გვინახავსო, ას ალაგს სხვა და სხვა მანქანები იყო გამართული, ასე რომ კაცის ენა ვერ მოსთქვამდა, ერთი ფანჯარა ნახეს რა იმ ფანჯარაში ჩახედეს მთელი ქვეყნიერება გამოჩნდა, თუ ზღვა თუ ხმელეთი, და როცა ზღვის ფრთოვნა მოხდებოდა ის ხმიანობა თურმე იმისგან წარმოსდგებოდა. რა ესენი გაშინჯეს და ქვეყნის ანგარიში შეიტყეს ნახეს რომ ქვეყნის ოთხი წილიდამ, სამი წილი ზღვას უჭირავს და ერთი წილი ხმელეთს და ყოველი ზღვა ოკეანეს ზღვას ერთვის.

ყარამანმა ჰკითხა: ფარვან-დევო, თქვენ გეცოდინებათ, თუ კი ყოველი ზღვა ოკეანეს ერთვის, მაშ რათ ამბობენ, ეს შავი ზღვა არისო და ეს თეთრიო? ფარვანმა მოახსენა: სააბყირანო მაგის ვითარებასაც მოგახსენებთ. როგორც წყარონი მრავალს ალაგს გამოდინარეობს, ზოგი მლაშეა ზოგი ტკბილი, მთა და დედამიწაც ხომ ერთია, როგორიც მთა მისი ქვაც იმისთანა და როგორიც გორა მისი მიწაც იმისთანა, ამის გარდა მთა არის გოგირდისა, რომელიც მისი წყარო არ დაილევა და ფერიც ყვითელი აქვს, თუ მთაც მრავალი მადნისა არის მისი წყალიც არ ვარგა, თუ კაცმა დალიოს მოიწამლება, არის წყარო რომელსაც ნავთი გამოზდევს წყალს, ის ალაგი ნავთის მადნის წყალია, ამისთანები მრავალია, ის შავი ზღვა ოკეანეს ზღვიდამ არის გასული ერთი ტოტი, მაგრამ მრავალი მადნის შავი მთები დაუჭერია და ახლა ის შავათ ჩანს. რამდენიმე ამისთანა საგნები აუხსნა. რა ამ საუბარს მორჩნენ, ყარამანმა კვალად ჰკითხა: ფარვან-დევო წეღანდელი ხმები რისგან იყო? აგი მოგახსენეთ, ის ხმები ზღვის ღელვისაგან მოხდება ხოლმე და აგრეთვე

მაგ ჩარხებს ხომ ხედავთ, ეგენი ისე არიან დაყენებულნი რომ როდესაც ერთი დღე და ღამე გავა რომელიც ნიშნავს ოცდა ოთხ ჟამს, მაშინ ეგ ყოველთვის მაგისთანა საზარელ ხმებს ამოიღებს ხოლმე და კოშკის გარედამ სჩანს რომ ის დროა რომ ოცდა ოთხი ჟამია გასული დილამდე, რა ესეც გაშინჯეს მეოთხე ოთახში შევიდნენ, ნახეს რომ რაც ღმერთს ზღვაში და ხმელეთზე ცხოველი გაუჩენია ყველა ხარისხისა დედალ-მამალი იქ შეიკრიბა ისე რომ ცოცხლებსა ჰგვანდნენ, რა ესენიც გასინჯეს დიდი ქება შეასხეს, შემდეგ ფარვან-დევმა მოახსენა: ახლა თუ ინებებთ ჩავიდეთ და მეორე მინარეთი ვიხილეთო.

რა გამობრუნდნენ გზა ვეღარ ჰპოვეს, ბევრი ეცადნენ რომ გზა ეპოვათ მაგრამ ვერაფრით ვერ ჰპოვეს; შემდეგ ფარვან-დევს მიმართეს ფარვან-დევმა მოახსენა: საანბყირანო, აღმოსავლეთისაკენ შავი ხაზი რომ სჩანს, ეგ თილისმის წერილი მაგ ხაზზე წაუსვი, მერე თვითონ გაჩვენებს გზას. ყარამანმა მაშინვე თილისმის წერილი იმ ხაზს მოუსვა. მაშინ ის ხაზი დატრიალდა და ერთი კარი გაიღო, იმ კარებში ჩამოვიდნენ, რა კარს ჩამოვიდნენ, ნახეს არც ის მინარა ჩნდა არც ის თავიანთ გამოსული კარი, სულ ბაღი ჩნდა, დიდ განკვირვებას მიეცნენ და იქიდამაც წამოიარეს, კვალად მრავალი საკვირველება იხილეს, ამ მიმავლობაში ერთს დაბალ ხეზე ერთი ორბი იჯდა და კვერცხები ქვეშ ჰქონდა და პირდაპირ ასამდისინ ისხდნენ, აგრეთვე ორბები და იმ ორბს უყურებდნენ. რა ყარამანმა მცირე გაიარა უკან საჰმანი მიზდევდა, რა ისე ნახა თქვა ამის ერთ კვერცხ ავიღებო ვნახოთ ეს ორბი რას მიზავსო, მაშინვე ხელი მიატანა და ამ ორბის ერთი კვერცხი უნდა აეღო, რა კვერცხს ხელი მოჰკიდა, პირველად ამ დედალ ორბმა შემოუტია და შემდეგ სხვა ორბებმა ერთი საკვირველი ხმაურობა შექმნეს და ერთიანად საჰმანს მისცვივდნენ, ამ მიცვივნაზე გვერდით ერთი ჩარხი იყო და დაიწყო ბრუნვა, ორბები ასეთ ნაირად სცემდნენ ფრთას რომ საჰმანისთანა დევი შეასუსტეს, თურმე მათი ფრთანი ფოლადისანი ყოფილიყვნენ, რა ამ ორბების ხმა ყარამანს შეესმა უკუ მოიხედა ნახა რომ საჰმანს მრავალი ორბნი დახვევიან და ნისკარტით და ფრთებით საჰმანი ასე გაუხდიათ რომ ვეღარ იცნეს, საჰმანიც გაშტერებულიყო და აღარ იცოდა თუ რა ექნა, ამდენი სცემეს რომ კვერცხი ხელიდამ გაგდებინეს, რა საჰმანმა კვერცხი ხელიდამ გაგდო თვითონაც ერთ მხარეს გაიქცა და ძლივს გადარჩა, ამაზე მრავალი იცინეს. საჰმანი რომ ყარამანთან მოვიდა, მოახსენა: საანბყირანო შენ თავსა ვფიცავ, ასი ფალევანი თითო ლახტით რომ მდგარიყვნენ და ათ ათი დაეკრათ, იმათი ათ-ათი ნაკრავი მერჩივ-

ნა ვიდრე ამ ფრინველთაგან თითო ფრთისა და ნისკარტის ცემა, ასე მეგონა ყოველ ფრთის დაკვრით ძვლები დამამტვრიეს მეთქი. ფარვან-დევმა სიცილით უთხრა: ბიძის ძეო, თუ შენ არ ყოფილიყავ და სხვა ყოფილიყო მოჰკლავდნენ, მაგრამ გიცნეს რომ ბიძაშვილი იყავ ჩემი, იმიტომ გაგიშვეს, კიდევაც მადლობელი არა ხარ? საჭმანმა უპასუხა: საყვარელო ჩემო ბიძის ძეო, ამიტომ არა ვარ მადლობელი რომ შენ ყასიდათ მამისივე ისინი. ამისთანა ლაპარაკზედ მრავალი იცინეს, ამ ლაპარაკში შუადღემ კიდეც მოატანა და ერთ უცხო ალაგს მივიდნენ, ნახეს რომ იმ ალაგს უცხო ხეივანი გაეკეთებინა, ასეთი იყო რომ კაცი ვერ იტყვის იმის ქებას, რა ის ხეივანი გაიარეს, ერთ ალაგ ერთი კალოს ოდენი რეშმით მოაჯირი შემოევლო და ერთი ტახტი დაედგა, სულ ჯაზირით შემკული და ოქროთი გაკეთებული, თვალით და მარგალიტით შეთხზული და ერთ ალაგ პატარა ერთი ოთახი იხილეს გაკეთებული და კარედამ ფერიის სახენი მდგომიარეთ იყვნენ, ტანზე ფოლადისაგან წვრილი ჯინჯილები ებათ, იმ ჯინჯილის წვერები წაედო და გვერდით ერთი ჩარხი იყო გამართული იმაზე გაემაგრებინა. ფარვან-დევმა მოახსენა: სააბყირანო, თუ ინებებთ ცოტა ხანს ამ ტახტზე შეისვენეთ და აქ ერთ წყალს იხილავთ, ეს ის წყალია რომლის ძალით, ჭაზარექ-დასტი რომ დაჭრილი იყოს, ამ წყლით უნდა განიკურნოს, ამაზედ კი ბევრი შრომა გავწიე, ამის აქ მოტანა ძლიერ ძნელი იყო, თუ ამდენი დევთა ჯარი არა მყოლოდა; სააბყირანო ესე იცოდეთ რომ მთელი ქვეყანა რომ ჯადოთ იქცნენ, ამ წყალს ვეღარსად იპოვნიან.

რა ყარამანმა ესე გაიგონა მრავალი ქება დაუწყო ფარვანს, მივიდა და იმ ტახტზე დაბრძანდა. ერთ გვერდზე ქუჩუკი მოისვა და მეორეზე მაჭპალ-მაჭა და სხვათაც დაჯდომა უბრძანა, ფარვან-დევმა კვალად მოახსენა: გთხოვთ რომ ეგ თილისმის წერილი ერთ წამს გვიბოძოთ, ყარამანმა მაშინვე მისცა, ფარვანმა მიტანა და იმ ჩარხს მიახვედრა, ჩარხს რომ მოხვდა, მაშინვე ჩარხმა ბრუნვა დაიწყო და კვალად ყარამანს დაუბრუნა იგი წერილი, ჩარხი რომ დაბრუნდა ის ფერიის სახენი შეიძრნენ და როგორათაც მინარში პური და საჭმელი მიართვეს იმ რიგათაც ამ ტახტზე მოართვეს სადილი, რა სადილს მორჩნენ, ჩარხი მეორე მხარეს მოაბრუნა, მაშინ ის ფერიის სახენი მივიდნენ სუფრა აკრიფეს და ყველა თავთავისად დაწყეს, რა ჩარხი დადგა ისინიც თავთავისად დადგნენ, ამ ოსტატობისთვისაც დიდი ქება შეასხეს, სააბყირანმა ჰკითხა: ფარვან დევო, ერთს გკითხავ, შენი ოსტატი ვინ იყო რომ ამისთანა თილისმები გასწავლა? მე მრავალი თილისმები დამირღვევია მაგრამ ამის-

თანა არა მინახავს რა. ფარვანმა მოახსენა: სააბურანო ჩემო ოსტატი დიდიხანის რაც მომკვდარა. ის მოკლა სულეიმანმა, იმან არ იცოდა რომ იმისთანა მეთილისმე იყო, რა ბოლოს იმის ოსტატობა შეიტყო ბევრი ინანა მაგრამ რაღას უშველიდა, შემდეგ სულეიმანმა იკითხა იმისი შა-გირდი ვინ უნდა იყოსო? მერე დევებისაგან შეიტყო რომ იმისი შეგირ-დი ფარვან-დევიაო, ეთქვათ თუ იმას იპოვიო, თუ იმაზე მეტი არ არის ნაკლები ოსტატი არ არისო, რა ესე გაეგო, მაშინვე ჩემი ძებნა დაეწ-ყო, მაგრამ სად მიპოვიდა, ოკეანეს ზღვის ძირში ერთი კოშკი ვიპოვე იქ შევედ და იქ ვცხოვრობდი, მთელი ქვეყანა რომ მეთილისმეთ გადა-ქცეულიყო მე იქიდამ ვერ გამომიყვანდნენ, რა ვერ მიპოვნა, მაშინ მა-ქილ და მაჭყუნნარა რომელიც თქვენთან გახლავან, ეგენი ჭპოვა და წაე-ყვანა, ეგენი ჩემი შეგირდნი იყვნენ, მაგრამ ათ წილიდამ ერთიც არ იციან, ამისთვის რომ ცოტა ხანს იყვნენ ჩემთან. მე ჩემი ოსტატისა-გან შემიტყვია რომ როცა ღმერთმა ადამ და ევა შექმნა, მაშინ მის წინათ ქვეყანაზე რაც ცხოველი გაჩინა, ყოველზე საკვირველი სანახავი ორი დედალ-მამალი დევი გაჩინა და ქვეყანაზე ნება მისცა სიარულისა, მხოლოდ იმათ უნდა ეცხოვრნათ ერთ მივარდნილ ალაგას, აი ეს თი-ლისმები იმათგან არის დარჩომილი, რომელიც იმათი შაგირდი მე ვი-ყავ, იმ ჩემ ოსტატს ერქვა ფალან-დევი, ღვთის ბრძანება ესე იყო რომ ვიდრე სოლომონ ბრძენი გაჩნდებოდეს მანამდის მე უნდა ცოცხალი ვი-ყო, ამიტომ რომ იმას უნდა ვასწავლო ჩემი თილისმები და იმან ჩემ ნასწავლ თილისმებით უნდა ქვეყანა დაიპყროს და ყოველი დევნი, ჯინნი თუ ფერიანი ჭაეროსანნი თუ ქვესკნელისანი, სრულიად მისი მორჩილნი უნდა შეიქმნენ. ბოლოს კი იმან უნდა ამოსწყვიტოს, შემდეგ ქვეყანაზე დევნი თუ ფერიანი ანუ ჯინნი აღარ უნდა იყვნენ, სოლომონის შემდეგ ათი წილი თილისმისაგან ერთი წილიღა უნდა დარჩეს ქვეყანაზე და ამ თილისმისაგან მრავალი ადამიანი წაწყმდება და სულს ეშმაკს მისცემს.

რა ყარამანმა ფარვან-დევისაგან ამისთანა საუბარი გაიგო, დიდი ქე-ბა შეასხა; შემდეგ ადგნენ და ტახტიდამ ჩამოვიდნენ და ფარვანი ერთ ხეივნისაკენ გაუძღვა, რა წაიარეს უცხო ხარისხის ხეივანი იყო, აქეთ-იქით მინის ბროლები აეტანა, ათ-ათი მწყრთა და უკან სრულიად რაც ქვეყანაზე ნაქები ეყავილებია სულ იქ იყო და მათი სურნელება მკვდარს გაცოცხლებდა და ის ხეივანი სრულიად მარმარილოს ქვიდამ იყო დაფე-ნილი, ერთმანერთში ასე გაეწყო რომ კაცს ეგონებოდა იგი ფილაქანი ერთი ქვისაგან არის შედგენილიო, და ორთავ მხარეს ასეთი წყალი ჩა-მოუდიოდა რომ ედემის წყალს ჰგავდა. ყარამანმა თქვა: ის უგუნური

ადამი როგორ შესცდა და სამოთხეს გამოაკლდა, საუკუნოდ სიცოცხლის მქონებელი, როგორ დაკარგა და თავის თავი სიკვდილს მისცა და ამ ცრუ სოფელში ჩამოვარდა? ამის პასუხი მიუგო ფარვან-დევმა და უთხრა სააბყირანო, მაგას რათა ბრძანებთ, თქვენ ხომ ეშმაკის საქმე და მისი ვითარება შეტყობილი გქონდათ და იცოდით, თქვენც კი ტყუვდებოდით თქვენს გაკეთებულ ციხეში. მე ესე შემიტყვია რომ თუ ბურჯ-ვეზირი არა ყოფილიყო, მისის სიტყვით მრავალ ღვთის მოყვარულს და ძმათ ჩაფიცს და ვინ იცის რამდენი ხელმწიფენი და ფალევანნი დაიხოცებოდნენ შენი ხელით და იმათი ცოდვა დაგედებოდა, ამისთვის უნდოდა ეშმაკს შენი შეცდენა. თქვენ რომ მისი ვითარება შეტყობილი გქონდათ და ტყუვდებოდით, მაშასადამე ადამმა რა იცოდა თუ ქვეყანაზე მაცთურნი არიან? ესეც უნდა იცოდეთ რომ ქვეყანაზე ამ ჟამად სამი წილი იქნება ეშმაკის თაყვანის მცემელნი, თუ დევნი თუ ფერიანი და თუ ჯინნი და ადამიანნი. აი რამოდენათ შეუძლიან მოტყუება ეშმაკს. ამისთანა საუბრით მეორე მინარასთან მივიდნენ, იქ მარჯვენა მხრიდამ ასმა დევმა, თითო ას-ოცი მწყრთის სიმაღლის მქონებელმა ხელში თითო ფოლადის გურზის მჭერალნი იდგნენ და ამათ შემოუტიეს, ყარამანმა მაშინვე ის თილისმის წერილი პირის-პირ დანახა, მაშინ ის დევნი მსწრაფლ უჩინო შეიქმნენ. ამ დევების ხილვით ყველანი გაჰკვირდნენ. შემდეგ ფარვანმა მოახსენა: უკაცრავათ რომ ამ ბაღში კიდე მრავალი რამ აკლიათ, ნუ ჰგონებთ რომ ამ ბაღში სულდგმული ვინმე შემოვიდეს, ან კარზე მოადგეს, თუ გინდ ეგ წერილიცა ჰქონდეს, შენის მეტს და ქუჩუკისა არავის შეუძლიან ახლო მოსვლა ამ ბაღისა. ამის გამო მე მრავალ ჭირს ვნახავ, თქვენ გამოთაც და ქუჩუკის გამოისობითაც, მაგრამ რა გაეწყობა. ამისთანა საუბრით მინარის კარს მიადგნენ, ასეთი საშინელი ხმები გამოვიდნენ რომ კაცს რკინის გული უნდა ჰქონოდა რომ გაეძლო ამისთანა ხმებისთვის.

ყარამანმა ჰკითხა: ეს რა საშინელი ხმებია? ფარვანმა მოახსენა: სააბყირანო, ეგ თილისმის წერილი კარს დადე, ყარამანმა კარს დადვა, მსწრაფლ კარი გაიღო, რა შიგნით შევიდნენ, ყოველ მხარეს საკვირველი ჩარხები იყო გამართული და ჯინჯილები დატანებული, ჩარხის პირზე დიდრონი სპილენძის მილები ეწყო და ის საშინელი ხმები იმ ჩარხებიდამ მოისმოდა. შემდეგ მოინდომეს ზევით ასვლა იმ მინარაში, მაგრამ გზა ვერ იპოვეს, ყარამანმა ჰკითხა ფარვან-დევს: საით წავიდეთ? ფარვანმა ერთი ყველაზე პატარა მილი უჩვენა და მოახსენა: ეგ თილისმის წერილი მაგ მილზე დადეთ და გზა გამოჩნდებაო, ყარამანმა ისე

აღასრულა მაშინ მილი ჩარხივით დატრიალდა, ამ ტრიალზედ ნახეს რომ ერთი კარი გაიღო და კიბე გამოჩნდა, იმ კიბის თავზე ერთი საკვირველი ვეშაპი იწვა და რა ისინი დაინახა, დატრიალდა და პირიდამ ცეცხლები გამოჰყარა, ის ცეცხლები წვრილ ვეშაპებათ იქცნენ და მათ შემოუტიეს, მაშინ ყარამანმა იგი წერილი პირდაპირ დაანახვა და ის ვეშაპნი უჩინო შეიქმნენ, მაშინ დაიწყეს კიბეზე ასვლა ორ-ათას ორას ათი ფეხი კიბე იყო ასასვლელი, რა წვერზედ ავიდნენ, ასე დაიღალნენ რომ ეგონათ თუ ერთი წლის გზა ფეხით ევლოთ, მაშინ ცოტა დასვენებას მიეცნენ, იმ ჟამად მზეც ჩავიდა, მაშინ კვალად ერთი საშინელი ხმა გამოხდა, ისე რომ იმ ბაღმა სრულიად რყევა დაიწყო, ყარამანმა იკითხა: ეს ხმიანობა რაღა არისო? ფარვანმა ერთ ალაგ ერთი ჩარხი უჩვენა და მოახსენა: საბყირანო როგორც იმ წინათ მოგახსენეთ ისეა, დღე და ღამე ოცდა ოთხი ჟამია, რა ერთი ჟამი შესრულდება ეს ხმა მაშინ გამოხდება ხოლმე და ყოველ ერთ ჟამს ხმას ამოიღებს და ნიშნებიც კი აჩვენებს თუ რამდენს ჟამს გაუვლია. რა ესეც გაშინჯეს ერთი თხუთმეტი კიბეც აიარეს და ერთ გუმბათში შევიდნენ, ის გუმბათი საკვირველად იყო დახატული, კედლები ფოლადისა ჰქონდა ჭერი ბროლისა, დასავლეთისაკენ ფანჯარაში ერთი დიდი სარკე დაეტანებინა და ყოველი რაც იმ ბაღში ქმნილება იყო ყოველი იქიდამ ჩანდა. ესენიც რომ გაშინჯეს კიდეც დაღამდა.

იმ ღამეს დიდი დაღალულობის გამო ყველამ ილოცეს და მოსვენებას მიეცნენ. რა დილა გათენდა ყოველნი ადგნენ და ღმერთს მადლობა შესწირეს და იმ მინარეთიდამ ჩამოვიდნენ, კარიდამ რომ ჩამოვიდნენ, ფარვანმა ერთი ხეივანი უჩვენა რომელიც სამხრეთისაკენ იყო, ის ხეივანი, სრულიად ლაჟვარდის ქვით იყო დაფილაქნებული, ასე რომ კაცი იტყოდა სულ ერთი ქვისაგან არის შედგენილიო, აქეთ-იქით სულ მარმარილოს სვეტები ჰქონდა გაკეთებული, რომელსაც თუ გინდოდათ დაატრიალებდით და წყალი გამოვიდოდა, რა ცოტა წაიარეს სამხრეთის კერძო მინარეთში გამოჩნდა და რამდენიმე ჩარხი გამართული, წინ ერთი ფიცრის ფილაქანი იყო, ფილაქანზე რომ შედგნენ, იმ ჩარხმა ტრიალი დაიწყო, რა ის ჩარხი დატრიალდა, რამდენიმე ფერიის ქალები მოეგებნენ და ყარამანს, ქუჩუკს და მაჭპალ-მაჭას წინ ფიანდაზები გაუშალეს და ყველამ თაყვანი სცეს და უჩინო შეიქმნენ. რა ყარამანმა ესე იხილა სიცილით მობრუნდა და ფარვან-დევს მადლობა მოახსენა: ცოტათი კიდევ წინ წაიარეს და კვალად სხვა მინარეთს მიახლოვდნენ, ფარვან-დევმა მოახსენა: ფალევანო ეგ წერილი ამოიღე და ხელში დაიჭირეო, რა ის ხელთ

დაიჭირა და იმ კარს მიახლოვდნენ, ნახეს რომ ორმოც ადლამდე დედამიწა სულ ფიცრით დოშამილი იყო, რა იმაზე შედგნენ სრულიად დაიძრა და იმ მინარის კარიდამ რამდენიმე ისარი გამოვარდა და ყარამანს და სხვების წინ დაეცნენ, მხოლოდ არაფერი აწყინესრა. მაშინ ფარვან-დევმა მოახსენა: საამბყირანო თუ ეგ წერილი ხელთ არა გჭეროდა, თუგინდ რკინის კაცი ყოფილიყო შიგ გაუვლიდა. შემდეგ კარს რომ მიადგნენ იგი თილისმის წერილი კარს დასდვა და იგი კარი გაიღო და შიგან შევიდნენ, იხილეს რომ ოთხმოცი ათასი ფეხი კიბე იყო ასავალი, მაშინ შეუდგნენ ამ კიბის ასვლას, რა შუაზე მივიდნენ დაღამდა კიდეც და იმ ღამეს იმ კიბეზე გაათენეს, რა დილა გათენდა კვალად შეუდგნენ ასვლას, რა თავს მიაღწიეს ძლიერ დაიღალნენ, ისე რომ სიარულის თავი აღარა ჰქონდათ. მაშინ ყარამანმა თქვა: ნეტავი ახლა გარდანქეშანი აქ იყოს რომ ნახოს ეს ბაღი და ვკითხო თუ სულეიმანის ბაღი და ეს როგორ არის, ის უკეთესია თუ ეს? ამიტომ რომ იმას უნახავს სულეიმანის ბაღი, რა ყარამანმა ესე განიზრახა, ფარვან-დევმა მოახსენა: საამბყირანო, მაშინაც მოგახსენეთ რომ სულეიმანის ბაღი ამის შეათედიც არ არის, თქვენ მზეს ვფიცავ, თორემ ჰკითხეთ, იმის გამკეთებელნიც კი აქ არიან. მაშინ შაჭყუნნარა და მაქილ დევი წარმოზდგნენ და მოახსენეს: მართალს ბრძანებს ფარვან-დევი, იგი ბაღი ჩვენი გაკეთებულია მაგრამ ის ამ ბაღის მეათედიც არ არის, არც შემკულობით და არც თილისმებით. ამ ლაპარაკში ავიდნენ კიდეც წვერში რა წვერის გუმბათში შევიდნენ ნახეს რომ გარეშემო ოცი ფანჯარა იყო და ყოვლის ფანჯარის პირდაპირ ფოლადის სარკე იყო დატანებული, ასე რომ რაც იმ არე-მარეზე რამ მოხდებოდა ყველა იქიდამა ჩანდა, მაშინ ერთი ფანჯარა გაღეს და იქიდამ ყურება დაუწყეს, ნახეს რომ ის კოშკი ასეთი მაღლა იყო ატანილი რომ ქვეყანა პატარათა ჩნდა იქიდამ. ყარამანმა თქვა: თუ ღმერთს ქვეყანაზე სამოთხე გაუჩენია ეს უნდა იყოსო, განა სამოთხე ამაზე უკეთესი იქნებაო? რა ისიც გაშინჯეს მეორე ფანჯარა გააღეს, იქაც მრავალი საშანიანავი რამ იხილეს, რაც ქვეყანაზე ღმერთს რამ გაუჩენია სულ იქიდამა ჩნდა, კვალად მესამეც გაღეს, იქაც მრავალი რამ იხილეს, ამ გაშინჯვით ცხრამეტი ფანჯარა გაღეს და ყველა გაშინჯეს, მეორე ფანჯარაც რომ გაღეს იქიდამ ბროლი-იაზამი და ქუი-ყაფის მთაც დაინახეს, რაც დევების სამეფონი ან ქალაქები იყო. რა ქუი-სამთავისაკენ შეხედეს ნახეს რომ ქუი-სამანდოვან ქალაქში ამდონი დევის ლაშქარი შეყრილიყვნენ რომ ის ქალაქი სრულიად გაშავებულიყო, ფარვან დევმა რომ ესე დაინახა საამბყირანს მოახსენა: იმ დევთა ჯარს ხომ ხედავთ

სულ ჭაზარექ-დასტს მოუგროვებია და მგონი თქვენზე მოდის საომრათაო. ყარამანმა რომ ესე იხილა ცეცხლივით აენთო და ფარვან-დევს უთხრა: პატიოსანო ოსტატო და საყვარელო ძმაო, ეს ხომ ვნახეთ, თუ ვიცოცხლეთ მეორეთაც შეგვიძლიან გაშინჯვა, ახლა დროა აქედამ გასვლისა და უნდა მოვემზადოთ.

ფარვან-დევმა რომ ესე გაიგო ყარამანისაგან, მოახსენა ნება თქვენი აღსრულდესო. და ერთ გზისაკენ ჩამოიყვანა იმ მინარიდამ და ბაღის ბოლოს სადაც ის საზარელი წყალი შემოდიოდა იქ გამოიყვანა ყველანი, რა ბაღში ჩამოვიდნენ ნახეს რომ ერთი დიდი მარმარილოს ჭაუზი იყო გაკეთებული და იმ ჭაუზში რა ხარისხის თევზიც გინდა იქ მოიპოვებოდა. ყარამანმა ჰკითხა: ფარვან, ეს წყალი საიდამ მოდის ან საით მიდის? ფარვან-დევმა მოახსენა: საბატონო, ეს წყალი ბროლი-იაზამიდამ მომიყვანია თილისმით და ეს წყალი მთელ ბაღს უვლის. შემდეგ ყარამანმა ჰკითხა: ფარვან ექვსი დღეა აქა ვართ და ერთი ცოცხალი ფრინველი ვერა ვნახეთო. ფარვანმა მოახსენა: ფადიშაჰო, ამ ბაღში მზისა, მთვარისა, წვიმისა და თოვლის მეტს ვერას ნახავთ, ამისთვის რომ რაც ეს ბაღი და გალავანია, ამის ზომით ცამდის თილისმით არის გაკეთებული და ვერა სულდგმული ვერ გაივლის: რა ამ საუბარსაც მორჩნენ, მომავლობაში კვალად ერთი ხეივანი იხილეს, ყარამანს ის ხეივანი ისე მოეწონა რომ ჭაზარექ-დასტის ჯავრი დავიწყდა და ქუჩუკის ხელ-დაჭერით ნაზის ქცევით ამ ხეივანში დასეირნობდნენ. მაშინ ქუჩუკს უთხრა: „ჩემო საყვარელო შვილო და ჩემო გულის ვარდო, ჩემი ანდერძი ეს არის რომ როცა ღვთის ბრძანება აღსრულდეს და მოვკვდე აქ უნდა დამმარხოთ მამაჩემთან“. ქუჩუკმა თაყვანი სცა და მოახსენა: საბატონო და ყოვლის ჩვენის გვარის განმანათლებელო და ღვთის მგმობელების დევების ამომწყვეტო, არამც თუ თქვენ, მეც უნდა თქვენს გვერდით მომასვენონ; ამ ლაპარაკით კარებსაც მოახწიეს და იმ თილისმის წერილით კარებიდამ გამოვიდნენ. კარს რომ გამოსცილდნენ, ის კარი თავისთავად ერთი ასეთი ხმით მიხურა რომ ვინც შეიტყო იმის ხმა, მეხის ხმასა ჰგავდა და აქეთ-იქით ყურება დაიწყეს.

შემდეგ იქიდამ თავიანთ სადგომს მოვიდნენ. ყარამანმა ბრძანა: ამ ათს დღეს თადარიგი ნახეთო რომ ჭაზარექ-დასტზე უნდა წავიდეთო. მაშინვე ყოველი დევის სარდლები თადარიგში შევიდნენ, ამასობაში ფარვან-დევიც მოვიდა ყარამანს თაყვანი სცა და მოახსენა: საბატონო ამ ათ დღეს მე ნუ მეძებთო, მე უნდა წავიდე ბაღში და რაც თილისმა აკლია ანუ დასაწერი ყოველივე უნდა გავმართო. ფარვანი მაშინვე გაბ-

რუნდა ბაღისაკენ და სხვანი გზის თადარიგს იყვნენ. ათი დღე რომ შემისრულდა ყოველნი ყარამანის კარს შეიყარნენ და მის ბრძანებას ელოდნენ. ფარვანიც მოვიდა და ყარამანს თაყვანი სცა და მოახსენა: სააბურანო, ბაღის ყოველი საქმე შევასრულე და წასვლის თადარიგიც მინახავს და თქვენ ბრძანებას ველით.

## აქ ყარამანისა, ქუჩუკისა და სხვა დევების წასვლა ჭაზარექ-დასტისაკენ, აქ დაიწყება ყარამანისა და ჭაზარექ-დასტის მესამე ომი და გარდაწყდება.

რა ყარამანმა და ქუჩუკმა წასვლის თადარიგი გაარიგეს, ყარამანმა ბრძანა: სჯობსო რომ ცოტათ მძიმეთ წავიდეთ რომ ეგები ის თითონ აქეთკენ წამოვიდეს, ამისთვის რომ მე იმას კიდევ ბრმათ ვგონივარ და იმისთვის შეუყრია დევთა ლაშქარი და ისე მოდის, ახლა კი ღვთისგან იმედი მაქვს რომ ამ საფარით გარდასწყდეს ჩვენი ომი, ყარამანმა ბრძანა და რაც დევთა ლაშქარი იყო ყველა მოაგროვა და ყველა საჩუქრით აავსო, საჭმანსაც ხალათი უბოძა და უბრძანა: რაც დევთა სარდლებია გამოაცხადე ათი ათასის გამორჩეულის დევით აქ დარჩნენ და დანარჩომი დევის ლაშქარნი ყველა თავ-თავის სამყოფს გაისტუმრე. მაშინვე საჭმანი მორჩილი, როგორც ბრძანა ისე აღასრულა, ასი დევი სარდლათ დანიშნა და ათი ათასი ნაქები დევი და შაჭპალ-შაჭა ოცის ფერიით და ბარამ-ჯიბილით იქ დაყენა და სხვანი გაისტუმრა, რა ქუჩუკმა ფერიათ წასვლა შეიტყო მაშინვე ერთს ხალვათ ალაგს შევიდა ერთი წიგნი დასწერა და ერთ ფერიას მისცა და უბრძანა: ეს წიგნი გულიჯანის ძიძას მიეციო და გაისტუმრა. რა ყოველნი გაისტუმრეს, ყარამანი მაშინვე შევიდა და სამოცდა ორის იარაღით შეიჭურვა, ქუჩუკმა თავის შუბებიანი ჯაჭვი ჩაიცვა და იგიც სამოცდა ორის იარაღით შეიჭურვა, შაჭპალ-შაჭა და ბარამ-ჯიბილიც შეიჭურვნენ და ეს ოთხნი ისე გამობრძანდნენ; მაშინ ლაშქარნიც მზათ იდგნენ, მაშინვე ყარამანი თავის შეშფაიბარზე ამხედრდა, ქუჩუკი თავის მხეცზე, შაჭპალ-შაჭა და ბარამ-ჯიბილიც მხეცებზე შესხდნენ, საჭმანი თავისის ამხანაგებით, ზორაბ-დევი, ფარვან დევი, მაქილ-დევი, შაჭყუნნარა და ასნი დევის სარდლები თითო ჩინარის სიმაღლის მქონებელნი წინ გაუძღვნენ და ამ ყოფით ქუის-მთისაკენ წავიდნენ.

ესენი ამ მიმავლობაში დაუტეოთ და ცოტა რამ ჭაზარექ-დასტის ამბავი მოისმინეთ.

რა ორჯელ დაამარცხა ყარამანმა ჭაზარექ-დასტი და გაექცა, ქუის მთას მივიდა, რაც თავის ხელქვეითი დევის ლაშქარი იყო, სრულიად თავისთან შეიყარა და ბრძანება გასცა რომ რაც დაჭრილები იყვნენ ყველა გაემრთელებინათ და მათაც გაამრთელეს ოც დღემდის: შემდეგ ბრძანა: სად არი ჩვენი მაცდური ღმერთიო? რა იმედებს გვაძლევდა და ახლა ეს რა საქმე მომივლინაო? ამაზე დევებმა მოახსენეს: „ხელმწიფეო, მაგაზე ნუ სწუხხართ, ის ვინ არი რომ თქვენ წინ ომი გაბედოსო? უეცრივ მოგვივიდა თორემ ერთი დაკვრით მიწასთან გაასწორებდი, მაგრამ ის წყეული ერთბაშათ მოგიხტა თორემ ის რას შემძლებელია და სხვა მრავალი ამისთანა სიტყვები უთხრეს და გული მოუბრუნეს“. რა ამ საუბარს იყვნენ, რაჯაბ ეშმაკიც გამოჩნდა და უთხრა: ჭაზარექ-დასტო, ჩემო მონავ, ახლა კი მომილოცავს ყოველთა დევთა ხელმწიფობა და ქაბულის ქვეყნის ალებაც და მაჭპალ-შაჰის ქალის გულიჯანის შენთვის ცოლად მოვნისა, ამასაც მოგილოცავ რომ მე ამდენს ვეცადე, ყარამანი ერთ ბაღში გამოვახელე და დავაბრმავე, ახლაც ბრმათ არის, ახლავ ერთი გურზი გაკეთებინე, ასეთი რომ შენმა მტერმა ვერავინ იხმაროს და ორმოცი ჯინჯილი მოაბმევინე ზედ, ჯინჯილის წვერებზე ორმოც-ორმოც ლიტრიანი რკინის ბურთები მოაბმევინე და შენი ძლიერი გოჯთა-დევი ასი ათასის დევით ქაბულისაკენ გაისტუმრე და ჯინი-დევიც მაჭპალის ქალისაკენ გაისტუმრე ორმოცდა-ათი ათასის დევით, რა წამსაც მივიდნენ მაჭპალ-შაჰას ქალი და ცოლი აკ მოიყვანონ, შემდეგ გოჯთა-დევი მივიდეს ქაბულის ქვეყანა დაიპყროს და იქ დაჯდეს, აგრეთვე უბრძანეთ რომ ყოველნი იქ მყოფნი ტყვეთ შეინახოს, ვიდრე ჩვენ ყარამანის საქმეს დავასრულებდეთ, მას უკან წავალთ და რაც მე გითხრა იმ რიგათ ვისაქმოთ. რა ჭაზარექ-დასტმა თავის ეშმაკისაგან ესე გაიგო, პირველად გაუწყრა და უთხრა: რაჯაბ რასაც ამბობ სულ ტყუილი გამოდის, შენი სიტყვა არ არის არაოდეს დასაჯერებელი, მაგრამ ეშმაკმა დაარწმუნა რომ ეხლა უეჭველად გამართლდება, ეს ყველა ჩემი სიტყვებიო. და ისე უნდა გაგამდიდრო რომ შენს წინ ვერავინ ვერ შეიძლოს ლაპარაკი. მეორე შენი დაკრა ადგილიდამ არავინ შეიძლოს, მაგრამ რაჯაბ-ეშმაკი რასაც ეუბნებოდა სულ ატყუებდა. ჭაზარექ-დასტმა ამ ხანათაც ერწმუნა და როგორც ეშმაკმა დარიგა ისე აღასრულა. გოყთა-დევი სამღავიანი და ძლიერი დევი იყო, იმას ასი ათასი დევი გაატანა და უბრ-

ძანა: ამ წამსვე უნდა წახვიდე და ქაბულის ქვეყანა დაიპყრა, შემდეგ იქ მძიმედ დაჯექი და იქიდამ არ დაიძრა, პირველად რაც დიდებულნი იყვნენ ყველა დატუსაღე, წვრილი ხალხი და ქალნი ერთად შეინახე ვიდრე მე მოვიდოდე. ის იქითკენ გასტუმრა.

შემდეგ ჯინი-დევს უბრძანა: შენც ორმოცდა ათი ათასი დევის ლაშქარი წასხი და თუ როგორმე შეიძლო, შაჰპალის ქვეყანა აიღე და გულიჯან-მნათობი ქაბულის ქალაქში გამოგზავნე, შენ კი იქ გამაგრდი და რაც ყმაწვილი იყოს ქალაქში ყველა შეკრიბე და მზათ შეინახე მანამ ჩემ მოსვლამდის ანუ როდესაც ჩემი ბრძანება მოგივიდოდეს ისე აღასრულე მათი საქმე. ისიც იქით გასტუმრა. თვითონაც რაჯაბის ნათქვამი ლახტი გაკეთებინა და თადარიგში შევიდნენ. ორი დღის შემდეგ ჭეჟნუსურ-ჯადოს ქალაქისაკენ წამოვიდა ექვსასი ათასის დევის ლაშქარით, თავის გულებაში ჰფიქრობდა, ახლა კი წავალ და ყარამანი ხომ ბრმათ არის, უკანიდამ მივეპარები და ამ ლახტით მიწასთან გავასწორებო, მაგრამ როცა ყარამანის ლახტი მოაგონდებოდა ტანში ჟრუანტელი დაუვლიდა, სიარულით რამდონსამე დღის შემდეგ ჭეჟნუსურას ქალაქს მიადწია. იმ ღამეს იქ განისვენა, რა დილა გათენდა და მზემ უნდა თავი ამოყოს, მაშინ შორიდამ ერთი საზარელი ხმა მოვიდა, ამ ხმაზე ჰაზარექ-დასტი კარზე გამოვიდა და აღმოსავლეთისაკენ შეხედა, ნახა რომ იმ ერთ ალაგ ბევრი ლაშქარი იყო მოგროვილი, მაშინ ჰაზარექ-დასტამა დაუძახა ერთ თავის სარდალს და ჰკითხა: აი იმ აღმოსავლეთის მხარეს რომ რაღაც ხალხის ყრილობა ვინ არიანო? სარდალმა მოახსენა: ხელმწიფევო, თქვენ რომ ყარამანი დაბრმავებული გგონიათ, ის ბრმა აღარ არის, უმიან-ფერია მისულა ეშმაკობით ჭეჟნუსურა მოუკლავს, მისი სისხლი ყარამანის თვალებისთვის მოუსვია და თვალები აღხილვია. შემდეგ ყარამანი თავის მამა-პაპის სასაფლაოს კეთება დაუწყვია, საჰმან-აღამზადი წასულა თავის ბიძის ძე უპოვია ფარვან-დევი მოუყვანია და იმას ერთი ასეთი სასაფლაო და ბაღი გაუკეთებია რომ სულ თილისმებით შეუმკია. იმ ბაღის საშუალსაც ერთი მინარეთი აუტანია ძლიერი მაღალი ისე რომ თითქმის ცისთვის მიუბჯენია და მინარეთის თავს ერთი მზის მზგავსი ოქროთი რამ გაუკეთებია, ისე ანათებს როგორც მზე, ის მოგროვებული ხალხი რომ მოჩანს აღმოსავლეთის მხარეს, ყარამანი იქ არის და ბჭობა აქვთ რომ თქვენზე უნდა წამოვიდეს საომრათ.

ჰაზარექ-დასტმა რომ ესე შეიტყო, არა მცირეთ შესწუხდა და თავის გულებაში თქვა: თუ მე აქედამ უკან წავიდე, ეს ჩემი ლაშქარი რას იტყვის? ანუ იტყვიან, ამ თავლაფიანმა ან ამდენი დევის ლაშქარი რათ

შეჭყარა და ან ამ ალაგ რათ მოვიდა—და ახლა ერთი მიწიდამ შექმნილ შეუშინდა და უკან გარბისო. მე ისე ვგრძნობ რომ იმ ჩვენმა ღმერთად მიღებულმა რაჯაბ-ეშმაკმა კიდევ მომატყუა, მაგრამ გული გაიმაგრა და ლაშქარს უთხრა: ძლიერ მიხარიან რომ ყარამანი აქ ახლო მოსულა, ამისთვის რომ ჩვენი გრძელი გზა შემოკლდა და ჩვენ საქმეს დროიანათ გადავწყვეტთო და ყარამანს მიწასთან გავასწორებთო. როგორც ჩემა რაჯაბმა მითხრა და რომელიც ის ნარიმანის შვილი ვიდაც უმაწვილი მოუყვანია, იმას ჩემ მონათ გავხდი. რა ესე დასრულა სარდლებს უბრძანა: ამა ლაშქარი დარაზმეთ რომ მზათ იდგნენო, ეხლა კი ომის მხარი მერჩისო, ამ რიგის მიცემაში რომ იყო, ოცი დევი შემოვიდა და მოახსენა: ხელმწიფევ, თუ ყარამანის და ქურუკის ამბავს მოიხსენიებთ, მოგახსენებთ, ასი ათასის დევით ეგერ ახლოს მოსულან. რა ესე მოისმინა მაშინვე გარეთ გამოვიდა ნახა რომ ორას ალაჯზე ჩამომხტარან და მრავალი უცხო კარვები დაუდგამთ ლაშქარს, სათვი გაუწევიათ და რიგზე დამდგარან ისე რომ მტერსაც და მოყვარესაც იამება. რა ჭაზარექ-დასტი კარგათ დაკვირდა ნახა რომ დევების შუაში ორი ადამის ტომნი არიან. რა ის ადამიანნი დათვალიერა იცნა რომ ერთი თავის სულის ამამხუთი ყარამანია, რომელიც სამოცდა ორი იარაღით შეჭურვილა და მრისხანედ ლაშქარს რიგს აძლევს, მეორეს რომ შეხედა თვალი ვეღარ გაუმართა რომელსაც შუბებიანი ჯაჭვი ეცვა და მზესავით ელავდა, რა კარგათ თვალი დაკვირვა, ათექვსმეტი წლის უმაწვილი, ოცდა თხუთმეტის მწყრთის სიმაღლის მქონებელი, სამოცდა ორის იარაღით შეჭურვილი და ყარამანს გვერდით უდგას, რა ესე ნახა არა მცირედ შეშინდა და თავის ლაშქარს უბრძანა: ომის თადარიგი ნახეთო რომ ხვალ ომი უნდა დავიწყოთო.

აქეთ მხარეს ყარამანმა რომ თავის ჯარი გაწყო, შეხედა ნახა რომ ჭაზარექ-დასტიც მეორე მხარეს ორ ალაჯზე მოახლოვებულა და ლაშქრის მზადებაშია, მაშინვე ყარამანი მობრუნდა და ჯარი რაზმებათ გაწყო, მაშინ ფარვან-დევი წინ წამოზდგა და მოახსენა: სააბყირანო გევედრები ხვალ მეიდანზე მე მიბრძანე გასვლა და ვინც გამოვა პასუხის გამცემი მე ვარ. ყარამანმა უპასუხა: ფარვან თქვენ იმიტომ მოგიყვანეთ რომ სეირი გვიყურო და არა იომოთ. თქვენ თქვენთვის ბრძანდებოდეთ, ღვთის მადლით ეს დევის ლაშქარიც რომ არა მეგანდეს, მაშინაც შემიძლიან მაგათი ომის გასწორება, თორემ თქვენ რათ გაგრჯით. ხვალ ზორაბ-დევისთვის მიმიცია მეიდანი, რა ზორაბმა ყარამანისაგან ბრძანება გაიგო, მოვიდა თაყვანი სცა და მოახსენა: სააბყირანო, მე უნდა ადრევე მომეხსენებინა თქვენთვის რადგანაც თქვენ მიბრძანეთ, მორჩილი მზათ გახლავარ,

რა მეორე დღის ომის თადარიგი ნახეს, იმ ღამეს მეჯლიში გამართეს და დიდი ლხინი გარდაიხადეს, რა მეორე დღე გათენდა და ქვეყნის დამამშვენებელმა მზემ თავის ბრწყინვალე სხივი მოჰფინა ქვეყანას იმ დროს ორსავე მხარეს დევის ლაშქარნი ამხედრდნენ და თავიანთ საკრავ ბუკს შეჰბერეს და თავიანთ ვეფხვის-ტყავის ბაირაღები ამართეს.

იქით მხარეს ჭაზარექ დასტი ერთ უცხოთ ალმასით მოჭედილს ტახტზე დასვეს და დევის სარდლები და ფალევნები აქეთ-იქით დაუდგნენ და მოედანს ყურება დაუწყეს. რომელნიც გულოვანნი დევნი იყვნენ ომისთვის კბილებს აკრაჭუნებდნენ და რომელნიც მხდალნი იყვნენ, იმათ თვალი გაქცევის გზისკენ ეჭირათ. რა ისინი ამ განზრახვაში იყვნენ, აქეთ მხრიდამ ყარამანის დევნი დასტა-დასტათ დადგნენ. ყარამანი, ქუჩუკი, შაჰპალ-შაჰა და ბარამ-ჯიბილი შუაში დადგნენ, ყველანი საომარ იარაღით იყვნენ შეჭურვილნი. ერთ მხარეს ფარვან დევი დადგა, მეორეს მხარეს ფაშკუნჯი და რაც ძლიერნი დევნი და სარდალნი იყვნენ, აქეთ-იქით დაუდგნენ და ყარამანის ბრძანებას ელოდნენ. ამასობაში ნახეს ზორაბ-დევი მივიდა ყარამანს თაყვანი სცა, კალთას აკოცა და მეიდანზე გავიდა, რა ჭაზარექ დასტის მხრიდამ ნახეს რომ ერთი საზარელი დევი გამოვიდა, მხარზე ერთი საშინელი გურუზი უდევს. ჭაზარექ დასტმა იკითხა, ეს დევი ზორაბ-დევსა ჰგავსო? ერთმა დევის სარდალმა მოახსენა: ხელმწიფეო ეს სწორეთ ზორაბ-დევი გახლავთო, მაშინ ჭაზარექ-დასტმა უბრძანა ჯანგირ-დევს დღეს შენ უნდა გახვიდეო და ზორაბს ასეთი საქმე უნდა უყო რომ სხვა დევებმა ვეღარ გაბედონ მოედანზე გამოსვლა, მაშინვე ჯანგირ-დევმა ჭაზარექ-დასტს თაყვანი სცა და თავის ხუთას ლიტრიანი კეტი მხარზე გადებული მოედანზე გავიდა, რა ზორაბ-დევს მიუახლოვდა დაუძახა: „ჰეი შენ უპურმარილო! ჩვენში რა ნახე რომ წასულხარ და მიწის შექმნილის მონათ გამხდარხარ და უხილავი ღმერთი გიწამებია?“ აბა ახლა ნახე შენი დაჭერილი საქმე შენვე როგორ განაიებს ზორაბ-დევმა უპასუხა: „ჰეი ჯანგირ-დევო, ჯერ შენ ბრმა ხარ ვერასა ჰხედავ და არცარა იცი, თუ ჩემს ახლად წამებულს ღმერთს იწამებ მაშინ თვალები გაგეღება და იტყვი მართლა ბრმა ვყოფილვარო“, აბა ჯერ იფიქრე რამდენჯერ მოუტყუებია იმ წყეულ თქვენ რაჯაბ-ეშმაკს რომელიც თქვენ ღმერთად გიწამებიათ, აბა თუ ტყუილი არ არის თქვენი ეშმაკი იხალე. ჩვენ ღმერთ ცისა და ქვეყნის დამბადებელს ნახავ რა ძალა აქვს, ეხლა კი გამითრთხილდი რომ იმის მადლით ერთის დაკვრით მიწასთან მინდა გაგასწორო, თუ ვერ გაგასწორო ღმერთიც ტყუილი იქნება, ესე თქვა და თავისი მძიმე გურზი სამჯერ თავს შემოივლო და

ერთი საშინელი ხმით შესძახა და თქვა: ღმერთო ცისა და ქვეყნის გამჩენო რომ ჭეშმარიტად მიწამებიხარ და ნუ შემარცხვენ. რა ესე თქვა, ისე ძლიერად დაჰკრა რომ თუმცა ჯანგირ-დევმა თავისი რკინის კეტი იფარა მაგრამ ასე ძლიერად მოხვდა რომ მკლავმა ვეღარ გაუძლო და თავს მოხვდა ძლიერად და თავი ტანს შეაწყვლიტა, დედამიწას მიაკრა ცომსავით, რა ზორაბ-დევმა ნახა თავის მოქმედება ღმერთს მადლობა შესწირა და თქვა: ღმერთო რაც გთხოვე ამისრულე, ამისთანა დევის სიკვდილი ჩემი ჭკუნარი არ იყო, შენი წყალობა უფრო იყო, ესე რომ თქვა, მსწრაფლ იმ დევს თავი წაჰკვეთა, მოიტანა და ყარამანის წინ გაგორა და მოახსენა: საამბირანო, ყოველ ჟამ თქვენი მტრის თავი ასე გორავდეს. შემდეგ გამობრუნდა ისევ მოედანზე და სხვა ფალევანი გამოითხოვა, იქით მხარეს ჭაზარექ-დასტმა ნახა რომ თავის იმისთანა ძლიერი ფალევანი დევი ერთის დაკვრით მიწასთან გასწორა, ძალიან გაჰკვირდა და სთქვა: თუ ეს ზორაბ-დევი არის, ჯანგირ-დევი ამას ყოველთვის მოერევოდა და თუ სხვაა ის არ ვიცი, მაშინ დევთა სარდლებმა მოახსენეს: ხელმწიფეო, ის სწორეთ ზორაბია, მაგრამ არ ვიცით ეს როგორ მოხდა რომ მაგ რიგათ მოჰკლა; შემდეგ თქვა ერთი ძლიერი დევი უნდა გავგზავნოთ რომ იმის ჯავრი ამამაყრევინოს.

მარჯვენა მხარეს ერთი დევი იდგა, სახელად უეითარ-დევი ერქვა, ას სამოცის მწყრთის მქონებელი, სამი თავი ება და საკვირველი ძლიერი იყო, მას ჭაზარექ-დასტმა უბრძანა: უეითარ, გადი მოედანზე და ჩვენი რაჯაბ ღმერთი იყოს შენი შემწე. და შენ იცი როგორც მიუგებ მაგიერს. უეითარ-დევმა ჭაზარექ-დასტის ბრძანება გაიგონა თუ არა, თავი დაუკრა, თავის იარაღი აიღო და მოედანზე გავიდა. მისი სახმარი იარაღი ეს იყო, ერთი ორას ლიტრიანი ფოლადის კეტი, ამ კეტის გვერდებზე ებნენ წისქვილის ქვები, მაშინვე განრისხებული ზორაბ-დევს მოუხტა, რა ზორაბმა უეითარ-დევი მომავალი იხილა თავისი თავის იმედი გარდაიწყვიტა, ამისთვის რომ უწინვე იცნობდა; ვიდრე ჭაზარექ-დასტი ქვეყანაზე გამოჩნდებოდა, მანამ უეითარ-დევი იყო დევთა ხელმწიფეთ და რაკი ჭაზარექ-დასტმა დაიმორჩილა, მაშინ ხუთასი ათასის დევის უფროსობა მისცა. რა უეითარ დევი ზორაბს მიუახლოვდა თავისი კეტი შეუმადლა, ზორაბმა ფარი იფარა, მაგრამ კეტი ისე მოხვდა რომ მკლავებმა ვეღარ გაუძლეს, კეტი თავს მოხვდა და ხუთ ალაგ გაუტეხა და ისეთი ძალა დაატანა რომ ზორაბ დევი კოჭებამდის მიწაში ჩაჯდა და უცნობო შეიქმნა, რა უეითარ-დევმა ნახა რომ ერთი დაკვრით ვერ მოკლა, განრისხდა და მეორეთაც უნდოდა დაეკრა, იმ ჟამად ქუჩუკმა ნახა რომ

თავისი საკუთარი მონა ზორაბი სიკვდილს მიწურვილა, გულმა ვეღარ გაუძლო. აგრეთვე ყარამანი ზორაბის სიკვდილზე, რომ დარწმუნდა მარცხენა მხარეს საჭმან-ადამზადს მიშველება ანიშნა, საჭმანს რომ უნდოდა მიშველება, ნახეს რომ ყარამანის გვერდიდამ ერთი ასეთი ხმა გამოვიდა რომ ყოველი უცნობო შეიქმნენ და ღრუბლის ხმა ეგონათ, უეითარ-დევმა მაშინვე ზეცას ყურება დაუწყო და მეორედ ვეღარ დაჰკრა. ამ ჟამად ქუჩუკ-ყარამანი შავარდენის მსგავსად მოედანს გავიდა, უეითარ-დევს წინ დაუდგა და დასძახა: ჰეი დევო! რას გაშტერდი, მოდი ეგ შენი იარაღი მოიხმარე რომ ბოლოს არა თქვან გაშტერებულ დროს მოუხტაო და დევმა ვერა შეიტყოო. რა უეითარ-დევმა შეხედა ნახა რომ ერთი ყმაწვილი ფალევანი სამოცდა ორის იარაღით შეჭურვილი მტრის ზარის დამცემი წინ უდგას. უეითარმა თავის გუნებაში თქვა: მართლა რომ დევის პატივი ამათ სცოდნიათ, დევის სიკვდილს თავის სიკვდილი არჩია, დევი გადაარჩინა და თითონ კი სიკვდილის წინ დამდგარაო, ცოდვა არის ამის სიკვდილი, ამისთანა მშვენიერი მიწის ნაშობი ჯერ არ მინახავს, არ მოვკლავ დავიჭერ და ჭაზარექ-დასტს მივართმევ ცოცხალს, მაგრამ ნახა რომ ასეთი ჯაჭვი აცვია, რომელსაც ხელი არ მიეკარება, მოდი ამ კეტს სუმბუქად დავკრავ, უცნობო იქმნას და ისე დავიჭეროო. რა ესე იფიქრა დაუძახა: ჰეი ყმაწვილო! გამიფრთხილდი რომ მინდა მიწასთან გაგასწორო, ამ ლაპარაკში მოვიდნენ და ზორაბი წაიყვანეს, დაკოდილები შეუხვიეს; მივიდა და თავის ალაგს დადგა. რა უეითარ-დევმა კეტი შეუმაღლა ქუჩუკმა თავს კორკოტილოს ფარი უფარა, მაგრამ არა მცირედი ძალა დაადგა, რა უეითარმა ნახა რომ თავის კეტისაგან არა ევნორა, განრისხდა და თავისი მძიმე კეტი სამჯერ თავს შემოივლო და დასაკრავად მიუტანა, მაშინ ორსავ მხარეს დევის ლაშქარნი იძახდნენ ვაჰ ამ ყმარწვილის ბრალი რომ ამ ვეშაპისგან გათავდებაო. იმის კეტი რომ გრგვნით მოვიდა, ქუჩუკის ფარს მოხვდა, ფარმა აიტანა მაგრამ ქუჩუკი კოჭებამდის მიწაში ჩაჯდა, ქუჩუკი შეხტა და შორს გადახტა, რა უეითარ-დევმა ნახა რომ არა ევნორა, მაშინვე სთქვა, ესეც ის მწარე ხილი არისო, ეს რომ ჩემ კეტს გადურჩა ამას ცოტა ძალა არ ექნებაო. მაშინ ქუჩუკმა თავის მძიმე ლახტი გამოიღო, თავს შემოივლო და დასაკრავად შეუმაღლა, უეითარმა თავისი კეტი იფარა, ქუჩუკის ლახტი ისე რიგათ მოხვდა რომ ორი კრკოლი უეითარის თავს მოხვდა და ორს ალაგს თავში ჩაუჯდა და დევი უცნობოსავით იქმნა, გადავარდა და დაეცა, ისე დაეცა რომ დედამიწა შეიძრა. ქუჩუკს უნდოდა მეორეთაც დაკრა და მოეკლა, მაგრამ მისი ძალა დიდათ მოეწონა და თქვა: ამას შე-

მკრავ და პაპაჩემს მივართმევო, მაშინვე თავის ვეშაპის ქამანდით მაგრა შეჰკრა, მოვიდნენ ასწიეს და წაიყვანეს, ყარამანის წინ დააგდეს და ქუჩუკიც მივიდა და ყარამანს კალთას აკოცა და ბოდიში მოითხოვა უეცრათ გასვლისათვის.

მაშინ ყარამანმა ქუჩუკს შუბლს აკოცა და უთხრა: შვილო, ომში როდი უნდა აჩქარდე, რა ესე დაარიგა მოედნისაკენ ყურება დაიწყო. რა ჭაზარექ-დასტმა ნახა რომ თავისი იმისთანა გრძნეული სარდალი იმ უმარწვილმა დაიჭირა, მაშინვე ათას დევს უბრძანა, მიდით ის უმარწვილი დაიჭირეთ და აქ მომგვარეთო, მაშინ ნახეს რომ ჭაზარექ-დასტის მხრიდამ ათასმა დევმა იერიში მოიტანა, მაშინ აქედამაც ყარამანმა ხუთას დევს ანიშნა, აქედამაც ხუთასმა დევმა შეუტია ისე რომ ამ ათასმა დევმა ხუთასი დევისაგან პირი იბრუნეს, ესენი ჭაზარექ-დასტამდის ხოცვით მიჰყვნენ, ისე რომ სამასამდის დახოცეს, რა ჭაზარექ-დასტმა ესე იხილა ოც ათას დევს შეტევა უბრძანა და ოცმა ათასმა დევმა კვალად შემოუტიეს, ისე რომ ყარამანის დევები ამდენ ლაშქარში დაიკარგნენ, მაგრამ რომელ მხარესაც შეუტევდნენ, იმ მხარეს სრულიად გაწყალებდნენ. ყარამანის დევებისაგან ორმოცი მოჰკლეს და ჭაზარექ-დასტისა მრავალი დევი ამოწყვიტეს. რა ყარამანმა იქით მხრიდამ ოცი ათასი დევის შემოტევა ნახა, მაშინვე საჭმანს უბრძანა, ათი ათასის დევით შეტევა. მაშინვე საჭმან განრისხებულმა ათი ათასის დევით შეუტია და თვითონაც თავის დასტაჩუბს, რომელ დევსაც თავს სცემდა მიწასთან ასწორებდა, ამ ყოფით ოც ათას დევის ლაშქარსაც პირი აბრუნებინეს, ასე რომ მათი კიჟინის ხმა მეორედ მოსვლასა ჰგავდა, მრავალი დახოცეს და უმრავლესი ფეხქვეშ გალეწეს, რა ისინი იმ ყოფით ხოცდნენ, ქუჩუკი პაპას გაეპარა და ერთის მხრიდამ იმათ ლაშქარს მიუხტა და ღვთის სახელი საშინელი ხმით შესძახა და ხმალს ხელი გაიკრა და ამ ზღვის ოდენა ლაშქარში გაერია, როგორც ტარბი კალიას ისე მუსრს ავლებდა, თითო ხლმის მოქნევით ორსა და სამს დევს ხოცდა, აგრეთვე ვისაც იმის ჯაჭვი მოხვდებოდა ხოცდა, ქუჩუკი მალ-მალ საშინელ ნარასა სწევდა და ორსავ მხარეს ხმალს იქნევდა, რა მოედნის ლაშქართა ესე იხილეს ომისაგან ხელი აიღეს და ლაშქარს ყურება დაუწყეს, რა ქუჩუკმა ამ ლაშქარში მრავალი დახოცა, შემდეგ ერთი საშინელი ორ თავიანი და ას ორმოცის მწყრთის სიმაღლის მქონებელი დევი წინ უდგას და ერთი საშინელი ლახტი ხელთ უჭირავს და დასაკრავად მოუტანია, რა ქუჩუკმა მისი მოქნეული ლახტი იხილა ლომსავით შეხლტა ხელიდამ ის ლახტი წართვა და მას დევს ასეთი დაჰკრა რომ უცნობო შეიქმნა, რა ის დევი

წაიქცა მაშინვე ერთი ხელი კისერში ჩავლო მეორე ხელი წელში, აიყვანა და ამ ლაშქარს გამოსცილდა. რა სააბყირანმა აქეთ-იქით მიხედა ნახა რომ ქუჩუკი არსად არის და ჭაზარექ-დასტის ჯარში დიდი კიჟინა შეიქმნა, მაშინვე ფარვან დევს უბრძანა: თუ ღმერთი გწამს ქუჩუკისა შეიტყე რამე, მაშინ მოიხედეს ნახეს რომ ქუჩუკი მოდის და ერთი საშინელი დევი მოაქვს, დიდათ გაჰკვირდნენ, მაშინვე მოიყვანა და ყარამანის წინ მიწას დანარცხა, დევებმა მაგრათ შეჰკრეს და უეითარ-დევთან დატყვევეს. რა ყარამანმა ქუჩუკისაგან ესე იხილა, ღმერთს მადლობა შესწირა და არა მცირედ გაუკვირდა და უთხრა: კვლავ უჩემოთ მაგისთანა საქმე არაოდეს არ გაბედო და კვალად დარიგა. რა მოედნის ლაშქარმა ომიდამ მოიცალა და კიჟინის ხმას დაუწყეს ყურება, მაშინ გასაყარს ნაღარას ჰკრეს, რა ნაღარის ხმა გაიგონეს, ორთავე მხრის ლაშქარმა, ერთმანეთისაგან ხელი აიღეს, საჭმარი გაჯავრებული თავისის ლაშქარით მოვიდა ყარამანს თაყვანი სცა და ყარამანმაც იმ დღის ომისთვის მადლობა მოახსენა. იმ ღამეს მეჯლიში გამართეს და დიდი ლხინი გადაიხადეს, რა ამ ლხინში იყვნენ, საჭმანი წარმოსდგა, ყარამანს თაყვანი სცა და მოახსენა: სააბყირანო ვითხოვ თქვენ უმაღლესობისაგან რომ ხვალის ომი მე დამანებოთ, მე გავალ მოედანზე, სააბყირანმაც ნება დართო.

იქით მხარეს ჭაზარექ-დასტმა ნახა რომ თავის ლაშქარში დიდი არეულობა მოხდა, თავის დიდებულთა ჰკითხა: ეს რა ხმაურობა არისო, ან რა მომხდარა რომ ლაშქარი აირიაო? მაშინ ერთი დევთაგანი წინ წარმოსდგა თაყვანი სცა და მოახსენა: ხელმწიფეო, უთუოდ ჩვენ თავს ერთი ღვთის წყრომაა თორემ, ერთმა მიწის ნაშობმა ყმაწვილმა ამისთანა საქმე როგორ უნდა ჰქმნასო? ჩვენ ლაშქარს მოუხტა, ას ორმოცი დევი დახოცა, გაბრუნდა და უვნებლად წავიდა. ის ყმაწვილი რომ წასასვლელად გაბრუნდა ჯაბარ-დევი წინ გაუდგა უნდოდა ლახტი დაეკრა, მაგრამ რა ლახტი შეუმაღლა, ყმარწვილი ლომსავით შეხლტა, ლახტი ხელიდამ წაგლიჯა და მასვე ძლიერად დასცა, იმისთანა მძლავრი დევი უცნობო შეიქმნა და მაშინვე კისერში ხელი ჩავლო და წაიყვანა, ჩვენმა ლაშქარმა ვერაფრით ვერ გაგდებინა და უვნებლად გაიარა ჩვენი ურდო, ეს კიჟინა და არეულობა იმისაგან მოხდა, სხვა კი არაფერი იყო. ჭაზარექ-დასტმა რომ ესე შეიტყო, ძაღლივით თავის ხორც კბილით გლეჯა დაუწყო, გაჯავრებულმა დაერია თავის ჯარს და რამდენიმე დევი მოკლა და თქვა: თქვე წყეულნო, ერთი ყმაწვილის ოსტიდამ რომ ვერ მოსულხართ რაღა იმედი უნდა მქონდეს მე თქვენა? შემდეგ ბრძანა, ვინც იმ ყმარწვილს დაიჭერს და აქ მომგვრის, დიდ წყალობას მიიღებს მა-

შინ ერთი კოჭლი დევბ წარმოსდგა ორივ თეძოებით და მოახსენა: ხელმწიფევო, თუ ამაღამ ის უმაწვილი ცოცხალი არ მოგჰართო მე კოჭლი მათუზ-დევი არ ვიქნები. რა შეღამდა, მაშინ კოჭლმა დევმა ბეუშტარი (სასუნებელი წამალი), ქუდში შეინახა, და ერთი რკინის ჯინჯილი აიღო და წავიდა, ყარამანის ურდოში, რას იცნობდნენ იმას, მრავალი სხვა და სხვა ქვეყნის დევნი ჰყვანდნენ, მიპარა და ერთ ჯგუფში გაერია, შემდეგ ერთ დევს უთხრა: ძმაო დღეს ჩვენი საანბეირანის შვილის შვილმა ქურჩუკმა ძლიერ საკვირველი საქმე ჩაიდინა, ახლა მგონი მეჯლიში აქვთ, მივიდეთ თამაშა უყუროთ. მეორე დევმა უთხრა, მე საჭმანმა საქმე დამდო, მე არ შემიძლიან წამოსვლაო, თუ გინდა შენ წადი, კოჭლმა დევმა უთხრა: ძმაო ახლა მგონია ქურჩუკის კარავი სხვა ალაგს დგას, უწინდელ ალაგას აღარა დგას? კოჭლმა დევმა არ იცოდა ნამდვილათ თუ ქურჩუკის კარავი რომელ მხარეს იდგა, ამიტომ ეშმაკობითა ჰკითხავდა. იმ დევმა მიუთითა ქურჩუკის კარავი და უთხრა: აი იქ წადი და თამაშა უყურე, მაშინვე კოჭლი დევი ქურჩუკის კარავისკენ წავიდა, ნახა რომ საანბეირანი, ქურჩუკი, შაჰპალ-შაჰა, ბარამ-ჯიბილი, ფარვან-დევი, ფამკუნჯი და მრავალი დევის სარდლები სხედან და მეჯლიში აქვთ. რა კოჭლმა დევმა მეჯლისში მსხდომნი ყარამანი და ქურჩუკი იხილა კანკალი დაიწყო და თქვა თავისთვის, ამისთანები ყოფილან რომ ქვეყანა დაუმორჩილებიათ, ახლა მე ბრიყვმა დავპირდი ჩემ ხელმწიფეს ქურჩუკის დაჭერას, მე როგორ უნდა ვიხელთო და წავიყვანო? მე ვგონებ რომ ამას მრისხანე ვეშაპიც ვერ გადურჩება, მერე თავის ფიქრით თქვა: ამაღამ მძინარეს თუ როგორმე ვიხელთებ თორემ მღვიძარეს რომ უყურებ შიშით ნაღველა მისკდება, ამისთანა ფიქრებში რომ იყო აქეთ-იქით მიარ-მოიარა ვიდრე ქურჩუკი და სხვანი დიდებულნი წავიდნენ. რა ყოველნი მიწყნარდნენ, მაშინ კოჭლი დევი ქურჩუკის კარავს მიუახლოვდა ჩუმათ ჩუმათ, ნახა რომ დიბას კარავი დგას, ისეთი რომ ოქროსავით ელავს, შიგ ერთი უცხო ტახტი დგას ალმასით მოჭედილი და ზედ ქურჩუკს სძინავს, გარშემო სანთლები ანთია, თავისი იარაღიც თავზე ეკიდა და შუბებიანი ჯაჭვიც გვერდით ედო. მაშინ კოჭლმა დევმა ქუდიდამ ბეუშტარი ამოიღო და ასუნებინა, ქურჩუკი ტკბილ ძილში შევიდა, მაშინ კოჭლმა დევმა ერთი ტომარა მოიდო და ქურჩუკი მძინარე ჩაგდო და უნდოდა ის შუბებიანი ჯაჭვიც თან წამოედო, მაგრამ ვერ შეიძლო, ქურჩუკი სიფრთხილით წამოჰკიდა და კვნესით და გაჭირვებით ლაშქრის ურდოს გამოაცილა და ისე მიჰქონდა, თავის გულში უხაროდა და იტყოდა, ამისთანა საშოვარი ვის უშოვიაო — და ჩქარის სიარულით მიჯლაგუნებდა თავიანთ ლაშქრი-

საკენ. რა მიაღწია, თავიანთ ბანაკს დაინახეს კოჭლი დევი რომელსაც ზურგთ ეტვირთა რაღაც ტომარა, ჰკითხეს: კოჭლო ეგ რა გინადირნია და ანუ რა მოგაქვსო? კოჭლმა-დევმა უპასუხა: თქვენი სულის ამომხდელი მომყავსო, რომელიც გუშინ ჩვენ დევებს მოუხდა და მრავალი დახოცა, ამას ჰქვიან ქუჩუკ-ყარამანი. რა დევთა ესე გაიგონეს, ერთობით შეხვეწნენ და უთხრეს, მათუზ-დევო მოდი დაგვიჯერე აქავ მძინარე მოვკლათ თორე თუ ეგ აეშოს, მთელი ქვეყანა რომ დევათ იქცეს, მაგის მამრევი არავინ გამოვაო.

რა ესენი ამ ლაპარაკში იყვნენ, ქუჩუკს ბანგი გამონელდა და ტომარაში თვალი აახილა, რა თავის თავი ტომარაში ნახა ჯერ სიზმარი ეგონა, მაგრამ რა დევთა ლაპარაკი გაიგონა რასაც კოჭლი დევი მათ უამბობდა, ასე წავედით და ასე შევედით და ქუჩუკს ასე ეძინაო. რა ქუჩუკმა ჭკუა შეიკრიბა, გამოერკვია ნახა რომ ტომარაში გდია, გულმა ველარ გაუძლო და ის ტომარა იმდენი ეცადა რომ თითით გახვრიტა, გაიწია და ტომარა შუაში გაფხრიწა და გამოვარდა ქუჩუკი. რა კოჭლმა დევმა ესე იხილა ცდილობდა რომ ბეუშტარი კვალად ესუნებინა, მაგრამ ველარ მოასწრო, დევნი მისცვივდნენ რომ დაეჭირათ, მაგრამ ქუჩუკი შავარდენივით ახტა და იმ დევთა შუა შეერია და რომელ დევსაც მუშტს შემოჰკრავდა ძვალსა და ხორცს ერთად აურევდა, რა კოჭლმა დევმა ნახა რომ ამისთანა საშოვარი ხელიდამ წაუვიდა, მაშინვე ჭაზარექ-დასტათან მივარდა, თაყვანი სცა და ყვირილით უთხრა: „ხელმწიფევ, თქვენი მტერი რომლისთვისაც წაველ, ის აქამდე მოვიყვანე! მაშინ ჩვენი დევნი წინ დამიხვდნენ და[illegible]აკიდებული დიდხანს მალაპარაკეს, თურმე იმ წყეულს ბეუსტარი თავიდამ წასვლოდა, ანაზდად ვნახე ტომარა გახია და ძირს ჩამოვარდა, რა ის ჩამოვარდნილი ვნახეთ რამდენიმე დევნი დავაწექით, მაგრამ გველსავით ქვეშიდამ გაგვიძვრა და რამდონიმე დევიც დახოცა მუშტით და ახლაც ებრძვიან დევნი, მაგრამ თუ თქვენი წყალობა არ იქნება, მისი დამჭერი არავინ არი და მრავალ დევსაც გაჟლეტავს, ჭაზარექ-დასტმა მაშინვე თავის ლახტი აიღო, ქამანდი მხარზე გადიდო და საჩქაროთ წავიდა და რამდენიმე დევი თან წაიყვანა; ყველამ ქამანდები ხელში აიღეს. რა ქუჩუკმა ნახა რომ დევის ლაშქარი ემატება, ზოგი რკინის კეტებით, ზოგი ქამანდებით და ზოგი სხვა იარაღებით, ბნელი ღამეც იყო ძლიერ და გზაც არ იცოდა რომ თავის ლაშქრისაკენ წასულიყო და უიარაღოთაც იყო. მაშინ ერთს დევს მივარდა ხუთას ლიტრიანი კეტი გამოგლიჯა ხელიდამ და ღმერთი ახსენა, ამ დევთა ლაშქარში გაერია, რომელ მხარესაც შეუტევდა, რამდონსამე ერთად ხოცდა,

პირველად ვისაც ქუჩუკის ომი ენახა ერიდებოდნენ, გარბოდნენ და შორიდამ სეირს უყურებდნენ, ამ ყოფით ას ათასმა დევმა ქამანდებით და გურზებით, ქუჩუკს შემოუტიეს, ამასობაში გათენდა კიდეც. ჭაზარექ-დასტმა ამ ლაშქარში ბევრი იარა მაგრამ ქუჩუკს ვერ შეხვდა, ქუჩუკი ერთ ალაგას მოახელეს და ათასმა დევმა ქამანდები გადააყარეს და ხუთასი ქამანდი გაადაცვეს და ხუთასმა დევმა მედგრად გასწიეს, ქუჩუკი ერთ ალაგ გაჩერეს, რა ქუჩუკმა თავისი თავი ამ ყოფაში იხილა, ღმერთს ვედრება დაუწყო და ერთი დიდის ხმით ღვთისა და ყარამანის სახელი ახსენა, რაც დევებს ქამანდების წვერები ეჭირათ სულ ყველამ ხელიდამ გაუშვეს, რა ქუჩუკი ქამანდიდამ განთავისუფლდა მაშინ გამწარებული ამ დევთა ლაშქარს შეუტია, მარჯვენის ხელით რკინის კეტს ვისაც სთხლეშავდა მიწასთან ასწორებდა და მარცხენის ხელით ვისაც მუშტს შემოჰკრავდა მაშინვე უსულოსა ხდიდა.

## ესენი ამ ბრძოლაში დაუტეოთ და მცირე რამ ყარამანისა მოიხსენიეთ.

რა კოჭლმა დევმა ქუჩუკი წაიყვანა, იმ ჟამად ყარამანს თავის კარავში ეძინა და ერთი საშინელი სიზმარი იხილა, „ვითომც ქუჩუკი ერთ საშინელ ზღვაში ჩავარდნილიყო, სცურავდა მაგრამ ვერ გამოსულიყო და ის არის რომ უნდა დამხჩვალიყო“. ამ საშინელ სიზმარმა ყარამანს სისხლის ოფლი დაასხა და ძალიან შეწუხებული შფოთავდა ძილში, შემდეგ ყარამანს ერთი საკვირველი ხმა შემოესმა, მაშინვე გაშფოთებული საწოლიდამ წამოვარდა და დაიძახა, საჭმან სადა ხარ! მაშინ საჭმანი კარზე ყარაულობდა, მაშინვე კარავში შევარდა და თაყვანი სცა, ყარამანმა უთხრა: საჭმან თუ ღმერთი გწამს ქუჩუკი ნახე თავის კარავშია თუ არა, ამიტომ რომ ძლიერ ცუდი სიზმარი ვნახე ქუჩუკზე. საჭმანმა მოახსენა: საბეიარანო, შუაღამის აქეთ ჭაზარექ-დასტის ლაშქრიდამ დიდი კიჟინის ხმა მოდის და არ ვიცი რა ამბავია, მაშინვე გამობრუნდა და ქუჩუკის კარავში შევიდა, ნახა რომ ყოველი იარაღი იქ არი ქუჩუკისა, ჯუბა-ჯაგშანი, სრულიად იქ ეკიდა და თვითონ კი არსადა ჩანდა. საჭმანი მაშინვე ყარამანთან მოიჭრა და მოახსენა: საბეიარანო, საყვარელი ქუჩუკის იარაღი იქა ჰკიდია, მაგრამ ქუჩუკი არსადა სჩანს. რა ყარამანმა გაიგონა, თავს ზარი დაეცა და თქვა: ვაჰ შვილო! სიზმარი მართლდება. შემდეგ საჭმანს უბრძანა: ჩემო ერთგულო, მსწრაფლ ლაშქარს შეატყობინე რომ დაემზადნენ, ვიდრე მე კარს გამოვიდე, შენ ახლავე წადი ჭაზარექ-დას-

ტის ლაშქრისაკენ, შეიტყე თუ რა ამბავია და მეც ამ წამსვე მოგდევთ რამდენიმე ლაშქრით. საჭმანმა მაშინვე აპარულად გასწია ჭაზარექ დასტის ლაშქრისაკენ. ყარამანიც მსწრაფლ შეიჭურვა სამოცდა ორი იარაღით და შეშფაიბარს ამხედრდა და ოცი ათასის ფალეკნებით ჭაზარექ-დასტისაკენ წავიდნენ. იმ ჟამად რა ჭაზარექ-დასტი თავის ლაშქარში ქურუკს ეძებდა ნახა რომ ქურუკი გამწარებული დევის ლაშქარს გარევია და რომელ დევსაც კეტსა სცემს დედამიწასთან ასწორებს. რა ქურუკისა ესეთი ძალ-გული ნახა დიდი ქება შეასხა და თქვა: ამას თუ ლახტით მიუხტე, ლახტიდამ გამექცევა, ისევ სჯობს რომ ქამანდით შევიპყრო და ეგება დამორჩილდეს, რა ასე იფიქრა ორ ათას დევს უბრძანა, ქამანდები მოიმარჯვეთო. რა ქურუკმა შეხედა ნახა რომ ერთი საკვირველი და საზარელი დევი მოდის, სამი თავი აბია და ათას ერთი ხელი აქვს, უკან ორი ათასნი დევნი, ხელთ ქამანდის მჭერალნი თავისაკენ მიდიან. რა ქურუკმა ჭაზარექ-დასტი იხილა ტანმა კანკალი დაუწყო და არა მცირედ შეშინდა და თქვა: ჭაზარექ-დასტი სწორედ ეს იქნებაო, ამ განზრახვაში რომ იყო, ჭაზარექ-დასტმა და ორ ათასმა დევმა ქამანდები გადაყარეს, ჭაზარექ-დასტისა და მრავალი სხვის ქამანდები ქურუკს გარდაეცვნენ და მაშინვე ქამანდებს მედგრად გაზიდეს რა ქურუკი მუხლზე დაჩოქეს, მაშინ ჭაზარექ-დასტმა ლახტი აიღო და ქურუკს მიმართა, რა ქურუკმა ეს იხილა, რადგანაც ქამანდებში გაბმული იყო, თავის თავის იმედი გარდაიწყვიტა და დაიძახა: ვაჰ რა უბრალოდ გავფუჭდი! სადა ხარ საბაყირანო რომ შენ საყვარელს შვილს უშველო!... ოჰ სადა ხარ, ყარამანყათილო რომ შენი სანატრელი ძე ქურუკი ამ გაჭირვებიდამ მოარჩინო!.

მაშინ ამ თქმაზე ჭაზარექ-დასტმა ლახტი შეუმაღლა, ქურუკმაც ქამანდი მიადუნა და თავის რკინის კეტი ამ ლახტს მიაშველა, რა ლახტი კეტს მოხვდა ქურუკს არა მცირედ ძალა დადგა, ორსავე მხარიდამაც დევნი ქამანდებს ეწეოდნენ. რა ამისთანა მდგომარეობაში ჩავარდა, ქურუკი ღმერთს ევედრებოდა მხურვალის გულით თავის გადარჩენას. მაშინ საჭმანმა მოასწრო, რა ქურუკი ამისთანა მდგომარეობაში იხილა, მაშინვე მეხსავით ჩამოიჭრა და თავისი მძიმე დასტაჩუბი ამ ქამანდების მჭერალს დევებს სცა და რამდენიმე დახოცა. რა სხვათა საჭმანი იხილეს, მაშინვე ქამანდებს ხელი ანებეს და გაიქცნენ. ქურუკმა რომ საჭმანი და თავის თავი განთავისუფლებული იხილა, გული ერთი ათასად შექმნა, მაშინვე შავარდენივით შეხლტა და ჭაზარექ-დასტს თავს ასეთი კეტი დასცხო რომ თავი ორ ალაგას მძიმედ გაუხეთქა, ამაზე ჭაზარექ-დასტს ძლიერ ჯავრი მოუვიდა თავის მძიმე ლახტი თავს შემოივლო და ქურუკს დასა

ჭრავად მიუტანა, რა ქურუკმა მისი მოქნეული ლახტი ნახა, შეიტყო რომ მისი გადარჩენა აღარ შეიძლებოდა, მაშინვე ლომსავით შეხტა და ლახტიან მაჯაში ხელი სტაცა და მეორეს ხელით ლახტი წართო და ის საზარელი ლახტი ისე მსუბუქად იხმარა რომ კაცს ეგონებოდა ნამდვილად თავისთვის იყო გაკეთებული და ჭაზარექ-დასტს დასაკრავად მიუტანა, რა ჭაზარექ-დასტმა ლახტი წართმეული ნახა, გაცეცხლდა და ქურუკს მივარდა ლახტის წასართმევათ, მაშინ ქურუკმა ლახტი სუმბუქად დაჰკრა და არა მცირედ შეაწუხა, მეორეც უნდოდა დაეკრა, მაგრამ ჭაზარექ-დასტმა მაშინ ორმოცი მკლავი გაშალა და ქურუკს შემოახვია, უნდოდა აეყვანა და წაეყვანა, მაშინ ყარამანი იქ გაჩნდა თავის სულის ამომხდელი, გამწარებული და მრისხანედ მოვიდა თავის თილიყამყაში ხელში და ოცი ათასი გამოჩენილი დევიც თან მოჰყვნენ და შემოუტია საშინელის ხმით, რომელ დევსაც ხმალსა სცემდა თავიანთ იარაღით ორათ ჰკვეთავდა და მალმალე ნარასა სწევდა და იძახდა ვაი საყვარელო შვილო! სადა გპოვო და სადა ხარ! ჰოი საყვარელო თვალის ჩინო! შენი გულისთვის ქვეყანას მოვაოხრებ. ამ გვარად რომ ჰყვიროდა, ჭაზარექ-დასტმა იგრძნო რომ თუ ყარამანს ხელში ჩავარდნოდა ვეღარ აცოცხლებდა, მაშინვე ქურუკისაგან ხელი აიღო და ერთ მხრისაკენ გაიქცა. რა ქურუკმა ყარამანის ხმა გაიგო, მაშინვე მივიდა და წინ დაუდგა, რა ყარამანმა ქურუკი დაინახა ასე ეგონა ახლა დავიბადეო. მაშინვე მივარდა ლოშვნა დაუწყო და ღმერთს მადლობა შესწირა და ჰკითხა: საყვარელო შვილო, ეს როგორ მოგიხდა რომ მაგ გვარ ფალარსათ აქ იმყოფები? ქურუკს რაც თავს გარდახედოდა ყველა წვრილად უამბო, რა მისი საქმე ყველა შეიტყო, მხეციდამ ჩამოხტა დაიჩოქა და თქვა: ღმერთო ვმადლობ შენს მოწყალებას რომ დღეს ამისთანა განსაცდელიდამ გადარჩინე ჩემი შვილი, შემდეგ მხეცს ამხედრდა. ქურუკმა მოახსენა: პაპა-ჩემო მე ნუღარ მეძებ. ჩემი მომპარავი უნდა გიპოვო, თუ თქვენ ახლა ომიდამ ხელს არ აიღებთ ჭაზარექ-დასტს ვეღარ იხელთებთ. სჯობს რომ ჩვენი მხრის დევნი გააბრუნო და მეც ახლავ გიახლები. ყარამანმა მიუგო, საყვარელო კარგს მეუბნები მაგრამ მარტო როგორ გაგიშო? ქურუკმა მოახსენა: პაპავ ჩემთვის ნურას იფიქრებთ, თუ ჭაზარექ-დასტისას ბრძანებთ ის შენის შიშით ვინ იცის სად დაიკარგა. მაშინ ყარამანმა თავის ლაშქარს უკან გაბრუნება უბრძანა.

მაშინ საჭმან-ალამზადიც მოვიდა ყარამანს თაყვანი სცა, ყარამანმა დიდი მადლობა უთხრა, საჭმანმა ყარამანს და ქურუკს მოახსენა: უმორჩილესად გთხოვთ რომ თქვენ მცირე ხანს აქ მომიცადოთ, ამიტომ რომ მე ცოტა ასასრულებელი საქმე მაქვს ჭაზარექ-დასტის ლაშქარში, მათაც ნება

დართეს, საჭმანმა მსწრაფლ თავი დაუკრა და ჭაზარექ-დასტის ლაშქარს მიმართა, საჭმანს რაც უნდოდა იმათ ლაშქარში მალე ინადირა და მსწრაფლ მოვიდა. საჭმანი ყარამანის და ქუჩუკის წინ გამოცხადდა და კვალად თაყვანი სცა, ყარამანმა შეხედა ნახა რომ საჭმანს ერთი უშველებელი ხვადი კოჭლი დევი წელთ აკიდებული და ჯინჯილებით ხელ-ფეხ შეკრული წინ მოაყენა და უთხრა: სააბყირანო ეს გახლავთ თქვენის გულის გარდის ქუჩუკის მძინარე წამყვანი. ქუჩუკმა შეხედა თუ არა მაშინვე იცნა რომ ის კოჭლი დევი იყო, რომელმაც იმ ღამეს მოიპარა იგი, ქუჩუკმა მოახსენა: ბაბაჩემო, აი სწორედ ეგ არის ჩემი წამყვანი, ყარამანმა ჰკითხა: წელან რომ მიდიოდი ამისთვის მიდიოდი? ახლა ნუღარ წახვალ აი საჭმანმა უკვე მოგგვარა, ქუჩუკმა მოახსენა: დიაღ ეგ იყო ჩემი ნადველი, ახლა გავბრუნდეთ და ცოტათი ან კოჭლ დევთან შევექცეთ. მაშინვე ჭაზარექ-დასტისაგან წართმეული ლახტი აიღო და წამოვიდნენ. რა ბინაზე მოვიდნენ, მაშინვე მეჯლიში გამართეს და დიდი ლხინი და სიხარული გადაიხადეს.

## ესენი ამ ლხინში დაუტეოთ და ჭაზარექ-დასტის ამბავი მოიხსენიეთ.

რა ჭაზარექ-დასტი გაიქცა მივიდა და ერთ უდაბურ ალაგ დადგა და ლაშქარს ყურება დაუწყო, ნახა რომ თავის ლაშქარი სულ კუდ ამოძუებული გამორბიან, რა ჭაზარექ-დასტთან მოვიდნენ დამფრთხალი და შეშინებულნი. ჭაზარექ-დასტმა გაჯავრებული შესძახა: რათ გამობრუნდით თქვე წყეულნო? მაშინ წინ წარმოსდგნენ რამდენიმე დევთა ფალავნები და მოახსენეს: ხელმწიფევო, რა რომ თქვენ გიხილეთ გამობრუნებული, ჩვენც აღარ დავრჩით. მან უბრძანა, რაც მოხდა მოხდა, ახლა რა გაეწყობა, მაგრამ მზათ იყავით რომ ხვალ დიდი ომი უნდა გარდავიხადოთ, ყოველ სარდლებს შეატყობინეთ რომ იმათაც ყველას აცნობონ და დიდ მზადებაში შევიდნენ. მაგრამ ჭაზარექ-დასტს გულსა შინა დიდი შიში ჩავარდნოდა.

## ესენი ამ ომის მზადებაში დაუტეოთ, ქუჩუკისა და კოჭლი დევის ამბავი მოიხსენიეთ.

რა ყარამანის მეჯლიში მოიშალა, ქუჩუკმა საჭმანს იმ კოჭლი დევის მოყვანა უბრძანა, მაშინვე საჭმანმა შეკრული მოჰგვარა და ქუჩუკის



წინ დაყენა. რა ქუჩუკმა ის დაინახა ღმერთ მადლობა მისცა და თქვა: გმადლობ შენ ღმერთო რომ ამისთანა მაწახწურა კოჭლი დევი ამოდენა სამინელ დევის ლაშქარში შემოვიდეს და ესეთი საქმე მოიქმედოს, ესეთი საქმე ძლიერ სირცხვილია ჩვენთვის და ჩვენ გვარისთვის. შემდეგ ქუჩუკმა უთხრა იმ კოჭლ დევს, დევო „ერთ რამეს გკითხავ და თუ თავისა შენისა სიცოცხლე გინდა სწორედ მეტყვი, აქედამ როგორ წამიყვანე და ამ ჩემ კარავში როგორ შემოხვედი“? კოჭლმა დევმა მოახსენა: „ფალევანო, სწორეს გეტყვი, კაცს ყოველთვის მართებს რომ ვის სამსახურშიაც იყოს, იმისი მორჩილი უნდა იყოს და იმისთვის უნდა იქნევდეს ხმალს სიკვდილამდის“, რაც ჯანზარექ-დასტმა მიბრძანა მეც ისე ავასრულე; და როგორც მოსულიყო და წაეყვანა, ყველაფერი წვრილად მოახსენა. შემდეგ უთხრა: ფალევანო, ახლა რომ თქვენ რომელსამე მონას უბრძანოთ ერთი რამ, იმან უნდა ასრულოს თუ არა ძალა-უნებლიეთ? მაშასადამე თუ არ აღასრულა მაშინ რას უზამთ? მე ვგონებ რომ სიკვდილს მიაღწევთ. აგრეთვე მეც ჩემი ხელმწიფის შიში მქონდა და რაც ჩემა ხელმწიფემ სამსახური მამცა მეც ერთგულათ აღვასრულე. ახლა ნება თქვენი აღსრულდეს რაც რომ გნებავდეს ის აღმისრულე. და თავ ჩამოკიდებით დადგა. რა საჯმანმა კოჭლი დევისაგან ამისთანა პასუხი გაიგონა, რომელიც გვერდით უდგა, პირში ასეთი სილა სთხლიშა რომ სამჯერ ყირაზე გადატრიალდა და ორ ტოტად ცხვირიდამ სისხლი წასქდა და უთხრა: მე ჩლახუნა ყურუმსაღო, შენგან მაგისთანა პასუხი ვის ეკადრება?

კოჭლი დევი მსწრაფლ ფეხზე წამოდგა და კანკალით წინ დაუდგა საჯმანს და უთხრა: საჯმან ერთი სიტყვა მათქმევინე შენ წინ, მე ხომ შენ პირველიდგანვე გიცნობ, ერთ რასმეს გკითხავ, ამის პასუხი მითხარ მხოლოდ კი ნუ გამიწყრები, თქვენ ახლა საბურანის მონა ხართ, რაც საბურანმა გიბრძანოს უნდა აღასრულო თუ არა? მეც ჩემი უფროსის ბრძანება აღმისრულებია, ამაზე რომელ ტანჯვითაც გინდოდეთ იმით მომკალით. ფალევანო, ერთ რამესაც მოგახსენებ და გთხოვ რომ ჩემი უკანასკნელი მოხსენება ისმინოთ და მას შემდეგ ნება თქვენი აღსრულდეს. ქუჩუკმა ნება დართო და უბრძანა: თქვი კოჭლო დევო რაც გინდოდეს ამიტომ რომ დღეს უნდა გაფრინდეს შენი სიცოცხლის ფრინველი.

კოჭლმა დევმა მოახსენა: „ფალევანო, ჩემი სიკვდილი თქვენთვის სასახელო არ იქნება მხოლოდ ამას იტყვიან რომ ქუჩუკმა ერთი კოჭლი დევი მოკლაო“, მხოლოდ თუ მე მერწმუნებით და ჩემს თხოვნას მოისმენთ და შემიწყალებთ, მეც ერთი წყალობა მიყავით, როგორც მრავლისთვის გიქნიათ წყალობა, იმათში ერთიც მე ვიყო. და ამას იქით ვირწმუ-

ნებ თქვენ ჭეშმარიტ ღმერთს და შევიქმნები თქვენი ერთგული მონა. ნახავთ ყოველთვის კოჭლ დევისაგან ერთგულ სამსახურს, მე მგონებ რომ ყოველ გაჭირვებაში მიგონებდე და იძახდე სადა ხარ კოჭლო დევო. ამასაც აღვთქვამ თქვენ წინაშე რომ დავივიწყო ჩემი რაჯაბ-ეშმაკი და ვირწმუნო თქვენი ჭეშმარიტი ღმერთი. ფალევანო მე რომ თქვენი ძლიერება ვნახე, ქვეყანა რომ ჯაზარექ-დასტათ აივსოს თქვენ პასუხს მაშინაც ვერ მოგცემენ, შემიწყალე და მაპატიეთ ჩემი ერთი მუჭა სისხლი.

რა ყარამანმა კოჭლი დევისაგან ამისთანა სინანული ისმინა, უთხრა ქურუკს: საყვარელო შვილო, ამდენი სწორე ფერიანი დევებისთვის დანაშაული გიპატიებია, მოდი ამ ერთ კოჭლ დევსაც აპატიე და ეგეც შენ მონათ გახადე. ქურუკმა მიუგო: პაპა-ჩემო როგორ ვაპატიო რომ ამისგან მრავალი ჭირი ვნახე? მაგრამ რადგანაც თქვენ ხდებით ამის შუა-მავალი და მთხოვთ არამც თუ ეს, ჩემი თავიც თქვენი ჭირის სანაცვლო იყოს, და მიპატიებია თქვენ სადღეგრძელოთ. რა კოჭლმა დევმა ყარამანისაგან ამისთანა მოწყალებიანი სიტყვები გაიგონა, მაშინვე ყარამანს მივარდა ფეხთ მოეხვია და ქურუკს უთხრა: ფალევანო მაპატიე და პირ ველადვე თუ გაჩვენო ჩემი სამსახური ხომ კვლავ მაცოცხლე, თუ არა ნება თქვენი აღსრულდეს. ქურუკმა მაშინვე საჭმანს კოჭლი დევის განთავისუფლება უბრძანა. რა კოჭლმა დევმა თავის თავი განთავისუფლებული იხილა, მაშინვე კვალად მივიდა და ყარამანს ფეხთა აკოცა და პირ მიწაგაერთებით თაყვანი სცა, შემდეგ მობრუნდა და ქურუკს კალთას აკოცა და მოახსენა: საბუირანო და ფალევანო, მოიხსენეთ ჩემი ვედრება და იმ გვარათ დაიჭირეთ თქვენი საქმე. „პირველი მოგახსენოთ, როცა ჯაზარექ-დასტი აქეთ მოდიოდა რაჯაბ ეშმაკის ძალით, თქვენ შვილ ნარიმანზე ქაბულისაკენ ერთი ძლიერი დევი გაგზავნა, სახელათ გოვთია, ასი ათასის დევის ლაშქრით. მეორე დევის სარდალიც ორმოცდა ათი ათასის დევის ლაშქრით შაჭპალ-შაჭის ქალაქს გაისტუმრა. მესამეც ეს მოიხსენეთ, ვაი თუ ის წყეული ჯაზარექ-დასტი გაიქცეს და კვალად გაგრძელდეს თქვენი ჯაფა და შრომა“.

რა ყარამანმა, ქურუკმა, შაჭპალ-შაჭამ და ბარამ-ჯიბილმა ესე შეიტყეს, ცეცხლებრ აენთნენ. ქურუკმა რომ გულიჯანის მხრისაკენ დევის ჯარის წასვლა შეიტყო, თავიდამ ჭკვა დაეფანტა და არ იცოდა თუ რა ექმნა და მეორედ თავის მამა ნარიმანისთვის სწუხდა და ამბობდა, მარტო მამაჩემმა როგორ უნდა მისცეს პასუხიო; რა ვქნა რომლის მხრისაკენ წავიდეო, მამიჩემისაკენ თუ გულიჯანისკენ? ვაი თუ გულიჯანი ხელიდამ წამივიდეს. შემდეგ ყარამანმა ორმოც დევის სარდლებს უბრძანა თავიანთ

დევის ლაშქრით: „თქვენ უნდა ამაღამ წახვიდეთ და ჭაზარექ-დასტს ყოველი გასაქცევი გზები შეუკრათ და თუ ვინიცობა თქვენი ხელიდამ წასულა ჩემგან ვეღარ მორჩებით“. ხვალ ჩემი და ჭაზარექ-დასტის ომი უნდა გადაწყდეს უეჭველად და ქაბულისაკენ და ფერიისტანისაკენ უნდა გავემგზავროთ. რა ესენი ესე დაარიგა, თითონ ომის თადარიგს შეუდგა, შეღამდა თუ არა ისინი ყოველ მხარეს გაისტუმრა და ესეც უთხრა რომ ხვალ ჩვენი კიჟინის ხმა რომ გაიგონოთ ყოველ მხრიდამ თქვენც იერიში მოიტანეთ, ეგება ის წყეული როგორმე დავიჭიროთ. რა ისინი გაგზავნა, თითონ მეჯლიში გამართა, შუა მეჯლიში რომ შეიქმნა კოჭლი დევი მოვიდა ყარამანს და ქურუკს თაყვანი სცა და მოახსენა: ჩემო ხელმწიფენო, მე ერთი საქმე მიფიქრია თუ თქვენც ინებებთ? ყარამანმა თქმა უბრძანა, მან კოჭლმა დევმა მოახსენა: სააბყირანო, ხვალ თქვენ გაბრძანდით მოედანზე, ტანისამოსი გამოიცვალეთ, ერთი რომელიმე დევის ტანისამოსი ჩაიცვით და წამლით ფერიც გამოიცვალეთ, დევის სახედ შეიცვალეთ და თქვენის იარაღით ქვეითად გაბრძანდით; მეც ამაღამ ჭაზარექ-დასტთან წავალ და იმოდენა რასმეს ვეტყვი რომ ხვალ მოედანზე თვითონ გამოვიდეს. მეც უკან მოვყვები ჩლახუნით და ღვთით როცა თქვენ იმას წააქცევთ ანუ შეჰკრავთ ანუ მოჰკლავთ და დავიჭერთ მაშინ სხვა ყველა ადვილია.

ყარამანს ესე რჩევა ძლიერ მოეწონა, მაშინვე კოჭლი დევი ჭაზარექ-დასტისაკენ გაისტუმრა და თითონ ერთი დევური ტანისამოსი ჩაიცვა და ბურჯ-ვეზირის ნასწავლი მაჯუმი გაკეთა და ჭამა, მაშინვე ერთ შავ დევ დაემგზავსა, რა წყალში ჩაიხედა თავის თავი ვეღარ იცნო და ერთ შავ დევათ ჩნდა, სხვანიც სამზადისით გათენებას ელოდნენ.

იქით მხარეს რა კოჭლი დევი მივიდა, თავიანთ ლაშქარში გაერია, შემდეგ ჭაზარექ-დასტთან შევიდა, თავმიწაგაერთიერით თაყვანი სცა და მოახსენა: ხელმწიფევ ეს როგორი საქმეა რომ მე მამივიდა თქვენი უგუნური დევების ჭკუით. ჭაზარექ-დასტმა კოჭლი დევისაგან რომ ესეთი ჩივილი გაიგონა, ჰკითხა დევო რა დაგმართია რომ ეგრე სჩივიო? მაშინ კოჭლმა დევმა მოლექნური ენა იხმარა და რაჯაბ-ემმაკს გადააჭარბა, მოახსენა: „ხელმწიფევ, რა ის ყმაწვილი მიწით ნაშობი ქამლის მოვიყვანე, ემმაკათ წინ რამდენიმე ჩვენი დევნი დამიხვდნენ და ძალად ამდენი მალაპარაკეს რომ იმისთანა საქმე დამართეს“. ჭაზარექ-დასტმა ჰკითხა: ვინ იყვნენ მაგისთანა მტერნი? კოჭლმა დევმა მოახსენა იმ დევების სახელები: მაშინვე მოაყვანინა ის დევნი და გაჯავრებული ყველანი დახოცინა, იმ კოჭლი დევის ენით. რა ისინი დაახოცინა ჰკითხა, დევო

შენ ახლა საიდამ მოხვალთ, ან რა ამბავი იცით მათი? მან კოჭლმა მოახსენა: „ხელმწიფეო, მიხარებია, ის უმაწვილი ხომ ხელიდამ წაგვივიდა და მეც დამიჭირეს წამიყვანეს, მერე რა წვალებები მომაყენეს, წუხელ თავიანთ შეჯლისში შემიყვანეს, მრავალი ტანჯვა მომაყენეს, და ერთ ალაგ დამაგდეს შეკრული ყარამანის კარავში, რა რომ ყველა თავ-თავისად წავიდნენ, ყარამანმაც იქ მოისვენა და ძილს მიეცა. რა დრო გავიდა და ფეხი მიწყნარდა, მაშინ ჩვენი რაჯაბ-ეშმაკი იქ გაჩნდა და ხელები ამიხსნა, მაშინვე გულდამწვარი ავდექი ყარამან თავი მოვკვეთე, მინდოდა თავი თქვენთან მომეტანა მაგრამ ვნახე ერთ ალაგ შეყრილობა იყო, შემეშინდა და თავი იქვე დავაგდე, იქიდამ რა ყოფით და რა ოსტატობით ძლივას გამოველ, და ეს არის რომ იქიდამ თქვენთან გიახელით“. ესეც შეგიტყე რომ ერთი დევი ჭუავთ ადამიანსა ჰგავს და ხვალ ის უნდა გამოვიდეს მოედანზე. ჭაზარექ-დასტმა რომ ესე შეიტყო, დაერწმუნა და რაჯაბი ილოცა, შემდეგ მივარდა და კოჭლ დევს შუბლზე აკოცა და თითზე ერთი ძვირფასი ბეჭედი ეცვა, წაიძრო და აჩუქა, მრავალი სხვა საჩუქარიც აღუთქვა და სიხარულით არ იცოდა თუ რა ექმნა, თქვა: ის რა დევი უნდა იყოს რომ ერთი დაკვრით მიწასთან არ გავასწოროთ? მხოლოდ ჩვენი საფიქრობელი ის უმაწვილია, მაგრამ რადგანაც ყარამანი მოგიკლავს იმისიც ადვილია. ესე თქვა და მეორე დღის ომის თადარიგი იწყეს.

რა დილა გათენდა, მაშინვე ორსავე მხრის ლაშქარნი ამხედრდნენ და საზარელ ბუკს ჰკრეს, გულოვნებს თვალი მოედნისკენ ეჭირათ და კბილებს აკრაჭუნებდნენ, მხდლებს თვალები გზაზე ეჭირათ, თუ ვინიცობა იძლივნენ იმ გზაზე გაიქცნენ. ამასობაში ნახეს რომ ყარამანის მხრიდამ ერთი დევი გამოვიდა და მოედანზე დადგა, ჭაზარექ-დასტის მხრიდამ დევი გამოითხოვა, მაშინ მაჭარან-დევი გამოვიდა და ერთი მთის ოდენი გურზი ხელთ ეჭირა და მრისხანედ მოაბოტებდა ფეხებს, რა მოუახლოვდა გურზი შეუმაღლა, ამ დევმა ფარი იფარა, გურზი ფარს მოხვდა მკლავმა ვერ გაუძლო, თავს მოხვდა და თავი ორ ალაგს გაუხეთქა, მეორეც უფრო მედგრათ დასცხო და იგი დევი სატოდავათ მოჰკლა. ყარამანმა იმისთანა მჩატე დევი იმიტომ გაგზავნა რომ ეგება თვალში გვიფუქსავატონო, რა რომ ის დევი მოჰკლა, მაჭარან-დევი გაამაყებული დადგა და დაიძახა: ჰეი დევნო! რომლისაგანაც იმედი გქონდათ, თქვენი ყარამანი ხომ წუხელის კოჭლმა დევმა მოკლა, თქვენ ახლა დამიჯერეთ, მოდით და ჩვენ ხელმწიფეს დამორჩილდით რომ იმან იცის თქვენი პატივი, თორე სუყველას დაგხოცთო. და თუ არ დამიჯერებთ გამოგზავნეთ

დევი რომ ჩემი თავი გაცნობო და თქვას, მაჭარან-დევიც მართლა ფალევანი ყოფილათ. მაშინ ყარამანმა ერთ დევს გასვლა უბრძანა, მაშინვე ერთი უბრალო დევი გავიდა მოედანს და ისიც მოკლა, რადა გაგაკრძელო, შვიდი დევი ერთმანეთზე დახოცა. რა ჭაზარექ დასტმა იმ დევისაგან იმისთანა საქმე ნახა, ბრძანა და სამხიარულო ბუკსა ჰკრეს. მაშინ ნახეს რომ ყარამანის მხიდამ ერთი დევი კვალად გამოვიდა, ორმოცდა ხუთი მწყრთის სიმაღლის მქონებელი საზარელი სახის მქონებელი იყო და არც თუ დევი იყო არც თუ ადამიანი და სამოცდა ორი იარაღით შეჭურვილი, მოედნის თავს მოვიდა და იმ დევს შეჰყვირა: „ჰეი დევო, თუ ყარამანი მოჰკლეს მე ხომ აქა ვარ მისი მონა და ერთგული, ახლა მისი სისხლი შენ უნდა გაზღვეინო, შვიდი დევი მოჰკალ განა? თუ ძალა გაქვს მოდი და დამკარ, მაშინვე გაცხარებულმა მაჭარან-დევმა თავის მთის ოდენა გურზი შეუმაღლა, ყარამანმა ჯანი-ბეჟანის ფარს აატანინა, ისე ეჩვენა ვითომც ყარამანს არა სცემოდარა, მეორეც და მესამეც დაჰკრა და ვერა აგნორა, რა დევმა ესე ნახა თავის გუნებაში დიდი ქება შეასხა. მაშინ ყარამანმა თავის ბედნიერი გურზი გამოიღო და დევს დასაკრავად მიუტანა, დევმა ფარი იფარა, ფარს მოხვდა, კლავმა ვეღარ გაუძლო, თავს მოხვდა და მაშინვე მიწასთან გასწორა. ჭაზარექ-დასტმა რომ ესე იხილა, ძლიერ გაუკვირდა და კოჩლ დევსა ჰკითხა: ეს რომელი დევია რომ ერთი დაკვრით ამისთანა ძლიერი დევი მიწასთან გასწორათ? კოჩლმა მოახსენა: ხელმწიფეო ეგ ის დევია რომელიც წუხელის მოგახსენე. რა ყარამანმა ის დევი მოკლა, მოედანზე იდგა და სხვა დევს გამოითხოვდა. რა ქუჩუკმა ნახა რომ ყარამანი მოედანზეა თითონაც შუბებიანი ჯაჭვი ჩაიცვა და სამოცდა ორის იარაღით შეიჭურვა, ვეშაპის ტყავის ქამანდი ხელში დაიჭირა და მრისხანედ, თვალებ ცრემლიანი იდგა და ამბობდა, როდის იქნება ამ საქმეს მოვრჩეთ და გულიჯანისაკენ მივდიოდეთ და გამწარებულმა ესე ლექსი თქვა:

„საყვარელო ტურფა ვარდო, ჩემი გულის დანადაგო,
„ისწრაფის გული შენკენა, თვალსაცა მაქვს ცრემლის დენა,
„რა შევიტყე ეს ამბავი, არ ვინდომე ქვეყნის ცქერა,
„შენთვის გავწირ სიცოცხლესა, და დამჩემდა გულთა ქმენა

რა ესე ლექსი თქვა: მოიდანს ყურება დაუწყო, ნახა რომ ჭაზარექ-დასტის მხრიდამ ერთი სამ თავიანი დევი გამოვიდა, ხელში ერთი მთის ოდენი კეტი ეჭირა მეჭდრიალა და კეტი ყარამანს შეუმაღლა, ყარამანი მისწვდა კეტიან მაჯას ხელი წაავლო და ისე მოუჭირა რომ კეტი ხელიდამ გავარდა, მას დევს თავს ასეთი მუშტი დაჰკრა რომ მისი ძვალი

და ტვინი ერთად აურია და დევი უსულოდ წაიქცა, რა ისიც მოჰკლა და იქით მხრის დევებმაც ნახეს რომ ორი საკვირველი დევი ისე ადვილად მოჰკლა, გულს შიში ჩაუვარდათ და მოედანზე გამოსვლა ვეღარავინ გაბედეს. რა ყარამანმა ნახა რომ აღარავინ გამოდის, მაშინ დევურის ენით ჭაზარექ-დასტს შესძახა: „ჰეი დევთა ხელმწიფევ! უბრალოთ ამ დევებს რათ მახოცინებ? თუ ქვეყანაზე ფალევნობას ჩემობ და ათასი ერთი ხელიცა გაქვს ჩემგან ნუღარ გეშინიან, მოდი და მნახე როგორი ფალევანი ვარ, ასეთი საქმე გიყო რომ თქვა ჩემზე ძალიანი ორ ხელიანი დევი ყოფილაო“, ეს სიტყვები ჭაზარექ-დასტს სულ ესმოდა და თქვა ის ვინ ძაღლია რომ მე იმისგან შემეშინდესო, რა ორი დევი მოკლა იმიტომ გამაყებულა, მაშინ კოჭლმა დევმა მოახსენა: ხელმწიფევო, მართალს ბრძანებ ის ვისი ძაღლია რომ შენ შეგეშინდეს, მაგრამ შენ უნდა უჩვენო შენი ფალევნობა და გაუკაცობა, გაბრძანდი და ისეთ რიგ წვალებით უნდა მოჰკლა რომ სხვა დევებმა ვეღარ გაბედონ მოიდანზე მაგისთანა საქმე. კოჭლმა დევმა ამდენი მოშხიბლავი სიტყვები უთხრა რომ ჭაზარექ-დასტი მოედანზე გაიტყუა და თვითონაც უკან გაჰყვა და სხვა რამდონიმე დევნიც უკან გამოჰყვნენ და დიდის დიდებით მოედანს გამოიყვანეს. რა ყარამანს მოუახლოვდა დაუძახა: ჰეი დევო! ორი დევის დახოცამ ეგრე როგორ გაგამაყა, ნახე ახლა იმათი სისხლი როგორ გაზღვევინო, ესე თქვა და თავისი მძიმე ლახტი ყარამანს შეუმაღლა, ყარამანმა ჯანი-ბეჟანის ფარი იფარა და გულ-უშიშრათ დადგა, ის ლახტი გრგვინით მოვიდა ფარს მოხვდა და ერთი ასეთი ცეცხლები გამოხდა რომ ჭაერი სრულიათ დაჰფარა და ყარამანი მიწასთან გასწორებული ეგონა და კოჭლ დევსაც ასე შესძახა: ნახე მათოზ-დევო როგორ ავიღე იმ ორი დევის სისხლი, მაშინ ვიდრე ცეცხლი გადიურებოდა კოჭლ დევს ცრემლები მოუვიდა და უნდოდა უკანიდამ ხანჯალი დაეცა ჭაზარექ-დასტისათვის, ხანჯალი ამოიღო და ხელში დაიჭირა, ჭაზარექ-დასტმა უკუ მიხედა ნახა რომ კოჭლ დევს ხანჯალი ხელში უჭირავს, უთხრა დევო, ხანჯალი რათ ამოგიღიაო? მან მიუგო ხელმწიფეო, ვიფიქრე თუ შენ ვერა ბევნო, მე უკანიდამ ხანჯალს დავცემდი, იმასაც მართალი ეგონა, რა ამ ლაპარაკში იყვნენ, ნახეს რომ ყარამანი უვნებლად დგას, რა კოჭლმა დევმა ყარამანი უვნებლად იხილა, თავის გუნებაში დიდი ქება შეასხა, ყარამანსაც იმის ნაკრავისაგან არა მცირე ძალა დადგა, რა ჭაზარექ-დასტმა ნახა რომ მას არა ავნორა, ძალიან იწყინა და მეორეც ძლიერად დაჰკრა, მაგრამ ვერცა თუ მაშინ ავნორა, მესამედ ასე დაჰკრა რომ თუმცა იალბუზის მთისთვის დაეკრა იგიც კი დაინგრეოდა, მაგრამ იმასაც

ზერა უყორა. რა რიკი ყარამანს ერკო, ყარუნ-მაჯას გურზი ამოიღო და რაც ძალა ჰქონდა სამჯერ თავზე გადაიტრიალა, მაშინ ჭაზარექ-დასტმა ფარი იფარა, მაგრამ ფარმა და მკლავმა ვეღარ გაუძლეს, გურზი თავს მოხვდა და თავი ათას ალაგს გაუსკდა და მუხლამდის მიწაში ჩაჯდა და უცნობო შეიქმნა და ისე მიწაში დარჩა, რა ჭაზარექ დასტის მხრის დევებმა თავიანთ ხელმწიფე იმ ყოფაში იხილეს, ოთხასმა ათასმა დევმა ერთად შემოუტიეს და ჭაზარექ-დასტი უნდოდათ გაექციათ, რა კოჭლმა დევმა ესე იხილა ყარამანს დიდი ქება შეასხა და ჭაზარექ-დასტის კალთას მოეჭიდა, რა ოთხასნი ათასნი დევნი მოახლოვდნენ, რომელთაც ენებებოდათ მისი გაქცევა და ასაყვანად ხელი მოჰკიდეს კიდეც, კოჭლ დევს კალთა მაგრა დაეჭირა ტყუილად ყვიროდა, აბა მორჩით ავიყვანოთ და გავაქციოთო. ამ მოქმედებაში ნახეს რომ ჭაზარექ-დასტს ერთი ქამანდი გადაეცვა, რა კოჭლმა უკუ მოიხედა ნახა რომ ქურუკის ქამანდია რომელიც გარდაეცვა ჭაზარექ-დასტს, კოჭლმა დევმა დაიძახა: არიქა გავექცეთ თორემ აბა შეხედეთ ვინა დგას სუყველას გაგწყვეტსო, რა ქურუკს შეხედეს ყველანი გაიქცნენ. ყარამანმა რომ ნახა ჭაზარექ-დასტის ლაშქარმა იერიში მოიტანა, მაშინ ერთი ნარა გასწია და თიღიყამყამი ბედნიერის ქარქაშიდამ ამოახდინა, დევთა შუაში გაერია და დაუწყო უწყალოდ ხოცვა. რა ყარამანის დევთა ესე იხილეს, სულ ერთიანად იერიში მიტანეს, რა ერთმანერთს შეხვდნენ ერთი ასეთი ომი შეიქმნა რომ მეორედ მოსვლას ემგზავსებოდა, ერთი ასეთი სისხლის ნიაღვრები შედგა და მიდიოდა რომელიც ცოცხალ დევებსაც კი იტაცავდა და ახრჩობდა, მკვდრები ხომ მრავალი მიჰქონდა.

მაშინ ჭაზარექ-დასტის ლაშქარს პირი აბრუნებინეს და თორმეტს ალაგზე სულ ხოცვით მიჰყვნენ. იმ ომში მობრუნდა ნახა საჭმანი რომ ქურუკს ჭაზარექ-დასტი ქამანდში ჩაუგდია და ორასი სხვა დევნი ებრძვიან, სამანი მაშინვე თავისი დასტაჩუბით მიუხტა და ვისაც თავში სთხლეშდა სულ ყირა-ყირა ატრიალებდა, მრავალი დახოცა და სხვანი გაიქცნენ. მაშინკე ჭაზარექ-დასტი მაგრა შეჰკრეს, კოჭლმა დევმაც დაიძახა მეც შემკარითო: იგიც შეჰკრეს და წაიყვანეს. რა მოჰყვანდათ ნახეს რომ ყარამანს მარჯვენა მხარეს მრავალი დევი გაუწყვეტია და რაც მის ხელიდამ გაქცეულან ისინიც გამობრუნებულან, ყარამანმა შეხედა ნახა რომ ქურუკსა და საჭმანს ჭაზარექ-დასტი შეუკრავთ და მოჰყავთ. რა ესე ნახა მივიდა და ქურუკს პირს აკოცა და უთხრა: საყვარელო შვილო, დღეს შენ ასეთი საქმე ჩაიდინე რომ მეორეთ მოსვლამდის დაუვიწყარი იქნება! მაშინ ქურუკმა ჭაზარექ-დასტი ასწია შეკრული და ყარამანს წინ

დაუხეთქ და მოახსენა: სააბყირანო, ამისთანა საშოვარი ყოველ ჟამს ღმერთმა ნუ მოგაკლოს. რა ესე მიულოცა, ასწიეს და თავიანთ ბინაზე მიიტანეს და ერთ დიდ ხაროში ჩააგდეს, თითონ კი გამობრუნდნენ და განრისხებულნი ჭაზარექ-დასტის ლაშქარს შეუტიეს და უწყალოთ ხოცვა დაუწყეს და ნახევრამდის ამოსწყვიტეს, რა დევთა ნახეს რომ თავიანთ აღსასრული მოღწეულა, მაღალის ხმით სულ ყველამ ერთობრივ დაიძახეს: სააბყირანო ნუ გვხოც, შენი მონანი შევიქნებითო და ჩვენც გვიწამებია თქვენი ღმერთი. ჩვენ ამ ურჯულომ ძალათ მოგვიყვანა, სააბყირანო შენი ქუჩუკის სადღეგრძელოთ გვაპატიეთ ჩვენი დანაშაული. რა ყარამანმა ამ დევის ლაშქრისაგან ამისთანა ხვეწნა გაიგონა, მაშინვე ლაშქარს იმისაგან ხელი აადებინა. რა ჭაზარექ დასტის დევებმა ესე იხილეს, მაშინვე ერთიანად შეიყარნენ, დასტა-დასტათ დადგნენ და მოვიდნენ ყარამანთან და თავვანი სცეს და წინ მიწას აკოცეს, იქიდამ გამობრუნდნენ და თავიანთ ბინაზე მოვიდნენ. ყარამანის ლაშქარნიც თავთავის ალაგს განწესდნენ, შემდეგ ყარამანმა ბრძანა: ჭაზარექ-დასტის ლაშქარსაც ალაგი უჩვენეთო, მაშინ ერთ მხარესაც ისინი დააყენეს. რაც ჭაზარექ-დასტს ხაზინა ჰქონდა სულ მოზიდეს და ყარამანს მოართვეს, იმ დღეს და იმ ღამეს დიდი ლხინი გარდაიხადეს, მეორე დღეს ყარამანმა მრავალი საჩუქარი გასცა, შემდეგ მაჭპალ-შაჭა, ბარამ-ჯიბილი, ქუჩუკი და სხვანი ყოველნი შეიყარნენ, მაშინ ყარამანმა ჭაზარექ-დასტის მოყვანა ბრძანა, მაშინვე ჭაზარექ-დასტი მოიყვანეს, მაგრამ ასე შეეკრათ რომ მოძრაობის ღონე აღარა ჰქონდა, მიიყვანეს და ყარამანის წინ დააყენეს.

რა ჭაზარექ-დასტმა ყარამანი დაინახა, ტანმა კანკალი დაუწყო და თავის გულში იძახდა, ვის ძალ-უძს შენთან ომიო? მე რომ შენი ძალა გამოვცადე. შემდეგ ყარამანმა უთხრა: ჰეი დევო რას აპირობ? შენი მიზეზით რამდენი წვალება მინახავს, შენ ეხლა ცოცხალი ვეღარ გიდარჩები.

ჭაზარექ-დასტმა მიუგო: „ჰეი შენ ადამიანის ნათესაო, მე გიჩვენებდი მაგრამ, შენმა შვილმა და რამდენიმე დევებმა დამიჭირეს, ჩემთვის ეს არის ჭირი რომ იტყვიან ერთმა ყმაწვილმა დაიჭირაო“. „რა ქუჩუკმა გაიგონა წინ წარსდგა და სააბყირანს მოახსენა: პაპა-ჩემო, მოისმინე ვედრება ჩემი და მოგვეც ბრძანება რომ მოედანზე ორნივ გავიდეთ თუ ეს მამერიოს ჩემი სისხლი მაგაზე ჰალალი იყოს და თუ მე მოვერიო, მაგის სისხლი ჩემზე ჰალალი იყოს, თუ ასე არ ინებებთ, მაგის ნათქვამი სიტყვები მე მომკლავს“. ყარამანმა ნახა რომ ქუჩუკი იმ სიტყვაზე ძალიან არის შეწუხებული და ისე განრისხებულა რომ თვალები სისხლით ავსებია, ყარამანმა ნახა რომ არა გაეწყობოდარა, მაშინ უთხრა:

შვილო როგორც გენებოს ისე ასრულეთ. რა ესე თქვა ყარამანმა, მივიდნენ და შეკრულობიდამ განთავისუფლეს. რა ჭაზარექ-დასტმა თავისი თავი განთავისუფლებული იხილა, თავის იარაღიც მისცეს, ჭაზარექ-დასტმა ის ამისთვის მოიგონა რომ გზები ერთს მხარეს გაქცეულიყო, მაგრამ ბედმა უმტყუნა. რა მოედანზე გავიდა მაშინვე ყარამანმა დევების სარდლებს უბრძანა: ოთხსავ მხარეს გზები შეეკრათ რომ ვერსაით გაქცეულიყო, მაშინ ქურუკიც გავიდა მოედანზე, ყარამანი მოედნის თავს დადგა, შაჰპალ-შაჰა, ბარამ-ჯიბილი და სხვები გვერდით დაუდგნენ, რამდენიმე ათასი დევნიც გარშემო შემოერტყნენ და ამბობდნენ ვაი, ვაი, ცოდვა არ არისო რომ ამისთანა ანგელოზის მზგავსი ყმაწვილი, ამისთანა ვეშაპთან იომოსო და მისი ხელით გათავდესო, ამ ლაპარაკში რომ იყვნენ ნახეს ჭაზარექ-დასტმა ერთი საშინელი დაიღრიალა და თავის მძიმე ლახტი თავს შემოივლო და ქურუკს მიუტანა დასაკრავათ, ქურუკმა ფარი იფარა, ლახტი რომ არს მოხვდა ასეთი ძალა დაადგა ქურუკს რომ კოჭებამდის მიწაში ჩასვა და რაც დედისაგან ძუძუ ეწოვნა სულ ცხვირიდამ ედინა და არა მცირედ შესწუხდა, მაგრამ სიმხნეს ძალა მისცა, ჭკუა შეიკრიბა და იმ ალაგიდამ შავარდენის მსგავსად ახლტა და სხვა ალაგს დადგა, რა ჭაზარექ-დასტმა ნახა რომ იმ ძლიერ ლახტს გადურჩა და ლომსავით დგას, გუნებაში დიდი ქება შეასხა და ძლიერ შეშინდა, ისე რომ თავის ხორც თითონვე გლეჯა დაუწყო, განრისხებულმა მეორედ ლახტი სამჯერ დაიტრიალა თავს და დასაკრავად მიუტანა, ქურუკმა ნახა რომ იმ ნაკრავს სულიერი ვერ გადურჩებოდა, მაშინვე ბედნიერ ქარქაშიდამ ხმალი ამოახლდინა და ლახტიდან მაჯას ისე შემოჰკრა რომ ლახტი და მაჯა ერთად დაეცნენ მიწაზე, მისწვდა მეორეს ხელით მსწრაფლ აიღო და მესამედ მოუქნია, ქურუკმა მას ხელსაცა სცა ხმალი რა ისიც მოსწყვიტა, რა რიგი ქურუკს ერგო, ჭაზარექ-დასტისეული ლახტი რომელიც წინათ ომში წართვა, ის აიღო და დასაკრავად მიუტანა, მაგრამ ჭაზარექ-დასტს თვალი გაქცევაზე ეჭირა, რა ნახა რომ არსაით არის გასაქცევი გზა, მაშინ ფარი იფარა და მთასავით დადგა, მაგრამ ქურუკმა მწარედ დაჰკრა ლახტი, მკლავებმა ვეღარ გაუძლეს დაიღრიკა და ლახტის ხუთი რკინის ბურთები თავს მოხვდა და ხუთ ალაგ თითო მტკაველი შიგ ჩაჯდა და ჭაზარექ-დასტი უცნობო შეიქმნა, მაგრამ კვალად ცნობას მალე მოვიდა და მთვრალ ვეშაპსავით დადგა და კანკალებდა. რა ქურუკმა ნახა რომ კიდე ფეხზე დგა, გაწყრა და მეხსავით ერთი ასეთი ხმა გამოახლდინა რომ ყოველ მხრის დევნი უცნობო შეიქმნენ, მაშინ ქურუკმა ძალას მოუმატა მძიმე ლახტი სამჯერ თავს შემოივლო და ჭაზარექ-

დასტს შეუმადლა, ჭაზარექ-დასტმა ფარი იფარა, მაგრამ ისე დასკრა რომ ფარმა ვეღარ გაუძლო, ლახტი თავს მოხვდა და თავი გვამში ჩაუძვრა, მაშინ დაიწყო ჰარბაცი საზრალოში. ქუჩუკი მისწვდა და თავი ტანიდამ განუშორა და ყარამანს მიართვა.

რა ყარამანმა ქუჩუკისა ესეთი ძალა და შნოება ნახა ღმერთს დიდი მადლობა შესწირა: რა დევთა ლაშქარმა ესე იხილეს, ერთმანერთს უთხრეს: დევნო ნუდა დააყოვნებთ ამათ ხელიდამ ვერსად წავალთ, სჯობს რომ საუკუნოთ მაგათ ვემსახუროთ, ხომ იცით და კიდეც შეგვიტყვია რომ ამათ უფრო იციან დევთა პატივი. რა ჭაზარექ-დასტის საქმეს მორჩნენ, მისი ლაშქარიც დაემორჩილათ. მესამე დღეს ყარამანმა ანგურ-დევი მოიხმო, ათიც სხვა ფალევანი, ოცი ათასის დევით და უბრძანა: წადით თქვენ ქუის მთასა და რაც ჭაზარექ-დასტის ხაზინა არის სულ ქაბულის ქვეყანას მოიტანეთო, რა ისინი იქით გასტუმრა, თვითონაც წასვლის თადარიგი ნახა, ამ თადარიგის ნახვაში შაჰპალ-შაჰამ და ბარამ-ჯიბილმა ყარამან თხოვნა მიართვეს და სთხოვდნენ რომ ჩვენს ქვეყანასაც ერთი გზა მიეციო. რა ყარამანმა მათი თხოვნა წაიკითხა, შაჰპალ-შაჰას უთხრა: განა მე დამვიწყებია, აქედამ სწორედ თქვენ ქვეყანას უნდა წავიდეთო და იქიდამ შემდგომ ქაბულის ქვეყანაში. მაშინვე სამმანს უბრძანა, ანუაბუზ-დევი, ქელან დევი და შენ ოცი ათასის დევით ხვალ აიყარენით და ქაბულის მიდით, ვინიცობა მტერი იდგეს თქვენ იცით როგორც გაირჯებით რადა თქმა გინდათ, მანამ მოვიდოდეთ. ისინიც იქით გასტუმრა, შემდეგ ფარვან-დევს უბრძანა: თადარიგი ნახე რომ ხვალ ავიყარნეთ დანარჩენი ლაშქრითაო. რა ფარვან-დევმა ყარამანის ბრძანება მოისმინა, მაშინვე ჭაზარექ-დასტის ტახტი ყარამანისთვის შეამკო და ერთი უცხო ტახტი ბარამ-ჯიბილისთვის, შაჰპალ-შაჰასთვის და სხვა თადარიგიც ნახა, შემდეგ ყარამანს მოახსენა: საბძანო ყოველი თადარიგი გამირიგებია და ახლა ნება შენი აღსრულდესო. მეორეს დღეს ყარამანი და ქუჩუკი სამოცდა ორის იარაღით შეიჭურვნენ, აგრეთვე შაჰპალიც და ბარამ-ჯიბილი. შემდეგ ყარამანი მივიდა და ჭაზარექ-დასტის ტახტს დაბრძანდა, გვერდით ქუჩუკი დაუჯდა, მეორე ტახტზე შაჰპალ-შაჰა და ბარამ-ჯიბილი დასხდნენ. მაშინ რამდენიმე დევნი მოვიდნენ და ტახტს ასწიეს. ფარვან-დევმა თავის ნაჯახი მხარზე გაიდო და წინ გაუძღვა და ამ რიგათ შაჰპალ-შაჰას ქვეყნის მხრისაკენ გაემართნენ.

### აქ ესენი ამ მიმავლობაში დაუტყოთ და შაჭპალ-შაჭპას ქვეყნის ამბავი მოისმინეთ. აქ დაიწყება ჯინი-დევის წასვლა შაჭპალ-შაჭპის ქვეყანას და გულიჯანის ომი და მრავალი ფერიის დახოცვა.

რა ჯინი-დევი შაჭპალ-შაჭპის ქვეყანას მიახლოვდა, რომელიც ჭაზარექ-დასტმა გაგზავნა, მაშინ დევებს უბრძანა, მზათ იყავით რომ შეცრათ მივიდეთ და ციხე ავიღოთო. მაშინ ყოველნი დევნი დაემზადნენ. იქით მხარეს ციხეში არ იცოდნენ თუ რა ამბავია. იმ ჟამად გულიჯანი რამდენიმე ფერიის ქალებით სანადიროთ წასულიყო. ამ ნადირობაში დევთა კიჟინის ხმა შეესმა და ძალიან გაეხარდა, ასე ეგონა რომ ქუჩუკი, თავისი მამა და ძმა მოსულან თავიანთ დევის ლაშქრით. მაშინვე ორ მსახურს ფერიებს უბრძანა: წადით შეიტყეთ რა ამბავიაო და მალე მაცოდინეთო. მაშინვე ის ორნი ფერიანი წავიდნენ ამბის შესატყობლად, რა დევებმა ისინი დაინახეს გამოუდგნენ დაიჭირეს და წაიყვანეს. ჯინი-დევის წინაშე. რა ფერიებმა ჯინი-დევი ნახეს, წნორის ფურცელსავით თრთოლა დაიწყეს. რა ჯინი-დევმა ფერიანი იხილა, ჰკითხა: ესენი სად დაიჭირეთო? დევებმა უპასუხეს გზაზე მომავლობაში დავიჭირეთო. ჯინი-დევმა იფიქრა: ამათ კარგი ამბავი უცოდინებათ ვკითხავ. მაშინ მათ უთხრა ფერიანო, თუ თავისა თქვენის სიცოცხლე გინდათ სწორეთ მითხარით, თორე ისეთ ტანჯვით დაგხოცთ რომ მისთანა ტანჯვა არავის დამართებოდეს, ფერიანი შეშინდნენ და მოახსენეს: ჩვენი ხელმწიფის ქალი გულიჯანი აქ სანადიროთ იმყოფებოდა, რა დევთა კიჟინის ხმა გაიგო, თავის მამა და ძმა ეგონა მოსული დევის ლაშქრით, რომელიც დიდი ხანია ყარამანთან იმყოფებოდნენ და ახლა შესატყობლად გამოგზავნაო. რა გულიჯანის იქ ყოფნა შეიტყო, მაშინვე თავის ლაშქარს ერთიანათ მათზე მისვლა უბრძანა და უთხრა: თუ ის ცოცხალი არ დაგიჭერიათ ცოცხალნი ნუღარ მეჩვენებითო. მაშინვე დევებმა ოთხსავ მხარეს იერიში მიიტანეს. გულიჯანმა რომ ფერიანი გაისტუმრა, მათგან ამბავს ელოდა, ნახა რომ ოთხსავე მხარეს მინდორი დევის ლაშქრით აივსო, მაგრამ გულიჯანს ჯერ კიდე ქუჩუკის მხრის დევნი ეგონა და გაშტერებული უყურებდა. რა დევნი მოახლოვდნენ, ნახა რომ მტერნი იყვნენ და ოთხსავე მხარეს გზები შეუკრავთ. მაშინ გულიჯანმა დაიძახა, ვაიმე არ იქნა ხელმეორეთ დევის ხელში დავტყვევდითო, რა ესე სთქვა ხმალი ამოიღო და მომავალ დევთა შეუტია, მიუახლოვდა თუ არა ერთ დევს ისეთი ხმალი სცა რომ შუა გაწყვიტა, მეორესაც და ამ ყოფით მრავა-

ლი დაჰოცა, მაგრამ რაც გულიჯანის გვერდით ფერიის ქალები იყვნენ ყველა დევებმა დაიჭირეს. რა დევებმა გულიჯანის ძლიერება ნახეს ახლოს ვეღარ მოუდგნენ, მივიდნენ და ჯინი-დევს მოახსენეს: თუ თქვენ არ მოხვალთ და არ დაიჭერთ ჩვენ დევებს მისი დაჭერა არ შეუძლიათო. მაშინვე ის წყეული ჯინი დევი ადგა თავის ქამინდი და რკინის კეტი აიღო, თითონაც საკვირველი ჯადო იყო და გულიჯანს შიმართა. იმ ჟამათ გულიჯანს ციხეში შესვლა უნდოდა. რა პირი გაიბრუნა, ნახა რომ ერთი საკვირველი სამ თავიანი დევი წინ დაუდგა და შესძახა: მჩათობო სად მიხვალ? მოდი დამიჯერე, შენის ნებით წამოდი რომ ქვეყნის ჩელმწიფე ჭაზარექ-დასტთან წაგიყვანო და მისი საყვარელი გახდე და ქვეყანაში იხარე, თორემ ძალათ დაგიჭერ. თქვენს ქვეყანასაც ცეცხლ მოუკიდებ და ყველას დაგწოვოთო. გულიჯანმა რომ ესე მოისმინა, იფიქრა მე ამის ჩელიდამ ვეღარ გადავრჩებიო, აქ ოსტატობა რამე ვიხმაროვო. რა ესე მოიფიქრა დაუძახა: ჰეი დევო, არამც თუ მატყუებდე და ჭაზარექ-დასტისათვის არ გინდოდე და იქნება შენთვის წამიყვანოვო, მე ორი წელიწადიც არი იმისი ვარ და იმისი სიყვარული გულში მაქვს, მე იმიტომ დავდივარ ესე არჩეინად. შენც რომ არ მოსულიყავ, მე ამ ახლო ხანში წასვლის თადარიგში ვიყავ რომ იმასთან უნდა წასულვიყავ. რა ჯინი-დევმა გულიჯანისაგან ესეთი სიტყვები გაიგონა. მართალი ეგონა, ძალიან გაეხარდა და მოახსენა: ჰეი დედოფალო და ჩვენის ხელმწიფის სატრფოვ, ჩვენ ჭაზარექ-დასტის მცირე მონანი ვართ და როგორ შეგვიძლიან მისი წინააღმდეგი შევიქმნათო, როგორც თქვენი ბრძანება იყოს ისე აღსრულდესო, გულიჯანმა უთხრა: ამ ალაგ ჩემ კარავს დავადგმევინებ, თქვენ ჩემი მოახლენი დაგიჭერიათ, ისინი აქ მოაყვანინეთ, ამ დღებში ჩემ თადარიგს ვნახავ და შემდეგ დიდის სიხარულით წავიდეთ. მეც მეშურება იმასთან წასვლა დიდი ხანია არ მინახავს.

ჯინი-დევს ამის ლაპარაკი ყველა მართალი ეგონა, და დიდათ იამა და თავის ლაშქარს ბრძანება გასცა რომ ფერიებს არა ავნონრა, ესე ქვეყანაც ჭაზარექ-დასტისაო, მაშინვე ის ფერიის ქალები მოასხეს და გულიჯანს მიართვეს. გულიჯანმა მაშინვე ოცი ფერია გაგზავნა და ოცი დევიც გაატანა თავის მშობლებთან რომ ქალაქში ყოველ ფერიებს შეატყობინონ რომ დევთა ლაშქრისაგან ნუ იშიშვიან, ესენი ჩვენნი არიანო და არა უცხონიო. ერთი წიგნიც ჩუმათ მისწერა თავის დედას და ყოველივე ამბავი შეატყობინა. რა დედამ ეს საქმე შეიტყო დიდათ შეშინდა მაგრამ რა ღონე ჰქონდა. მაშინ ჯინი-დევი ძლიერ პატივით მოექცა. რა შეღამდა გულიჯანმა მეჯლისი გამართა ჯინი-დევისთვის, და დიდი ლხი-

რი გადაიხადეს. იმ მეჯლისში ჯინი-დევი ერთ დევს გაუწყრა და უნდოდა მოეკლა მაშინ გულიჯანი წინ წარსდგა და უთხრა: ამის სისხლი მე მაპატიე. რა ჯინი-დევმა გულიჯანი ფეხზე წამომდგარი იხილა, მაშინვე თვითონაც ფეხზე წამოხლტა და მოახსენა: დედოფალო, ჩვენი თქვენი მონანი გახლავართ, თუ თქვენ მიბრძანებ ვაპატიებ. მაშინ გულიჯანმა უბრძანა შენ ჩემ კარავს არ მოშორდე ამას იქითო. რა იმ დევმა თავი გადინარჩუნა სიკვდილს, მივიდა გულიჯანის წინ მიწას სამჯერ აკოცა; მივიდა და გულიჯანის კარავთან დადგა. რა მეჯლისი მოიშალა, ჯინი-დევი თავის კარავში მივიდა და დევებს მუყაითათ ყოფნა უბრძანა და თითონ დაიძინა. რა გულიჯანი თავის კარავს მივიდა ნახა რომ იგი დევი თავის კარავთან იდგა რომელიც სიკვდილიდამ დაიხსნა. მაშინ გულიჯანმა ფერიას შეაყვანინა თავის კარავში და პატივი მისცა, შემდეგ უთხრა: დევო, თუ შენი გამდიდრება გინდა ერთ საქმეს დაგდებ სამსახურად და უნდა ამისრულოვო, პირველად დაიფიცე რომ ეროგული იქნები და შემდეგ გეტყვი. დევმა დაიფიცა და მოახსენა: მნათობო ასე იცოდე, ჯოჯოხეთშიაც რომ გამგზავნო იქაც სიხარულით წავალ, თორემ იმისთანას რას მიბრძანებ რომ ჩემთვის ძნელი იყოსო. რადგანაც თქვენ იმისთანა სიკეთე მიყავ და სიკვდილს გადამანარჩუნეთ, ამას იქით ვიდრე ცოცხალი ვარ თქვენს სამსახურში უნდა მოვკვდე. ამასაც მოგახსენებ რომ ჩემთვის ძალიან დიდი ჭირია რომ შენისთანა მთვარე იმისთანა საშინელ და საზარელის ხელში ჩავარდეს.

რა გულიჯანმა იმ დევისაგან ესეთი სიტყვები გაიგო, მაშინ უთხრა: დევო, თუ მაგ სიტყვებ მართლა ამბობ, მაშ გეტყვი და უნდა ერთგულად ამისრულო სამსახური, მე ერთ წიგნ მოგცემ და ეს წიგნი შენ რაც შეგეძლოს სისწრაფით წაიღე ქეის მთაში და იქნება გზაზედაც შეგხვდნენ, საამბირანი, ქუჩუკი და ჩემი მამა და ძმა ბარამ ჯიბილი მომავალი, ოთხასი ათასის დევის ლაშქრით, რა წამსაც მიიტანო ეს წერილი მამაჩემ მისცემ შაჰპალ-შაჰას. ახლა დევო შენ იცი და შენმა ღმერთმა, ჩემი სიკვდილი შენ ხელშია. დევმა უთხრა: ჩემო ხელმწიფევ, ეს საქმე ჩემს გუნებაშიაც იყო მაგრამ შენი მოქმედება მართალი მეგონა, როგორც ჯინი-დევი დარწმუნე. მაშინ ის წერილი გამოართო ხელიდამ და სთქვა, ახლა მე ვიციო. თაყვანი სცა და კარზე გამოვიდა, დევის ლაშქარს გაშორდა ჩუმათ, აფრინდა და ქეის მთისაკენ გაემართა, ათი დღე ჩქარის ფრენით იარა, შემდეგ ნახა რომ დასავლეთის მხრიდამ დიდი ღრუბელი გამოჩნდა ისეთი დიდი იყო რომ ჰაერი სრულიად დაებნელებინა, ცოტა რომ მიახლოვდა ნახა, წინ ერთი საშინელი დევი მოდის და უკან ოცი ათასი დევის ლაშქარი მოზდევს და ყველას თილისმის იარაღები ჰკიდიათ და მოზდევენ.

(ამის გაგრძელება მერვე კარში იხილე).